ნაციონალების მოგონებები ვ.ი. ლენინზე

სახელგამი. 1957

წინასიტყვაობა

ამ კრებულში მოთავსებულია მოგონებები ვ. ი. ლენინზე, რომლებიც ეკუთვნის მის ნათესავებს — ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას, დ. ი. ულიანოვს, მ. ი. ულიანოვასა და ნ. კ. კრუპსკაიას.

კრებულის ძირითად ნაწილს შეადგენს მასალები ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას წიგნიდან „მოგონებანი ილიჩზე“ და დ. ი. ულიანოვისა და მ. ი. ულიანოვას წიგნიდან „ლენინის შესახებ“. ეს წიგნები საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტმა გამოსცა 1934 წელს. გარდა ამისა, კრებულში შევიდა დ. ი. ულიანოვისა და მ. ი. ულიანოვას ზოგი სხვა მოგონებაც, აგრეთვე ნ. კ. კრუპსკაიას მოგონებანი, რომლებიც წინათ იბეჭდებოდა პერიოდულ და სხვა გამოცემებში.

კრებულში შესული მოგონებანი აშუქებენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ პერიოდებს. მოგონებათა მეტი ნაწილი ეხება ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლებს, აგრეთვე მისი რევოლუციური მოღვაწეობის ოქტომბრამდელ პერიოდს. რამდენიმე მოგონებაში გაშუქებულია ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა ოქტომბრის შემდგომ პერიოდში.

ნათესავთა მოგონებანი ვ. ი. ლენინზე, რომლებშიც მკაფიოდ არის დახატული მისი სახე, დაგვეხმარებიან, რომ უფრო ღრმად შევისწავლოთ კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და ბელადის, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა

მოგონებანი ილიჩზე

I. ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

(ვ. ი. ულიანოვ-ლენინის მშობლები და მათი დრო)

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ. ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲔᲪᲕᲐᲚᲐ. ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲘᲡ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲪ. ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲐ ᲫᲐᲓᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ, ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲫᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲒᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ. ᲘᲒᲘ ᲒᲕᲘᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔᲡ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲡᲬᲣᲠᲝᲚᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲡ, ᲛᲐᲠᲢᲝᲓᲛᲐᲠᲢᲝ ᲣᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲡ, ᲝᲠᲘ ᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐ. ᲘᲒᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐᲨᲘ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲣᲙᲣᲔᲒᲓᲝ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲖᲔ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲐᲙᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲛᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲡᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔ, ᲫᲛᲐᲡ ᲛᲘᲕᲡᲪᲔᲛ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ, ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲧᲐᲖᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐ. ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲐᲭᲐᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲡ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲨᲔᲩᲕᲔᲣᲚᲛᲐ ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲩᲔᲜᲐ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ვასილ ნიკოლოზის ძეს ცოლ-შვილი არ ჰყავდა და მთელი სიცოცხლე დედას, დებსა და ძმას შესწირა.

ილია ნიკოლოზის ძის სტუდენტობის წლები დაემთხვა ნიკოლოზ პირველის მეფობის მძიმე წლებს, როდესაც ჩვენი სამშობლო ბატონყმობის უღელქვეშ გმინავდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი წარმოადგენდა მონებს, რომელთა მფლობელებს — მემამულეებს შეეძლოთ ისინი გაეჯოხათ, გაეცემბირებინათ, პირუტყვივით გაეყიდათ, გაეთიშათ მათი ოჯახები და საკუთარი სურვილისამებრ დაექორწინებინათ. დაჩაგრული, დაბეჩავებული გლეხობა სრულიად უკულტურო და უწიგნური იყო. აქა-იქ იფეთქებდა ხოლმე ამბოხება განსაკუთრებით სასტიკ მემამულეთა წინააღმდეგ, მათს სახლკარს ცეცხლს უკიდებდნენ. მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა არაორგანიზებულად; ამბოხებას სასტიკად ახშობდნენ და სოფლად კვლავ უკუნი წყვდიადი და სასოწარკვეთილება სუფევდა. ერთადერთ ნუგეშს, ერთადერთ ხსნას არაყში პოულობდნენ. ხოლო ყველაზე ურჩებს, ისეთ ადამიანებს, რომელთაც ქედის მოხრა არ შეეძლოთ, ერთი გზა რჩებოდათ: ტყე-ველად გაჭრა და ყაჩაღობა.

იმ ძველ დროში ვაებას,
ტანჯვას ვინმე მოსთვლიდა?
გლეხკაცობა გარბოდა
მშობლიური სოფლიდან,
მამის კერას ტოვებდა,
ცოლსაც თავს ანებებდა,
მხოლოდ თავისუფლებას
ეოლგის გაღმა ეძებდა.

ასეთი იყო ერთი ხალხური სიმღერის სიტყვები.

მოსახლეობის უმეტესობის ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „დაბალი“ წოდების სასტიკი ჩაგვრა მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა „მაღალი“ წოდების იმ ადამიანებს, რომელთაც პატიოსნად და გულწრფელად უყვარდათ სამშობლო. მათ აღშფოთებდა თავიანთი ქვეყნის

უუფლებობა, ისინი ეხმაურებოდნენ დასავლეთ ევროპაში მომხდარ რევოლუციებს, ლაპარაკობდნენ სიტყვის, პრესის, კრებების თავისუფლების აუცილებლობაზე, მმართველობის არჩევითი სისტემის უპირატესობაზე და, უწინარეს ყოვლისა, ბატონყმობის — ამ სამარცხვინო მოვლენის გაუქმებაზე, ბატონყმობისა, რომელიც უკვე ევროპის არც ერთ ქვეყანაში აღარ არსებობდა. ვინც განსაკუთრებულ გაბედულებას იჩენდა, ისინი გაღასახლებაში და სახრჩობელაზე იღუპებოდნენ (დეკაბრისტთა პროცესი 1825 წ., პეტრაშევსკელთა პროცესი 1848 წ. და სხვ.); დანარჩენნი ჩუმდებოდნენ ან კუნჭულებში ჩურჩულებდნენ და, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლავ:

გათენების წინ გარეშემო მეფობს წყვდიადი,
. . . . . .
ავი ქარბუქი გაშმაგებით თავზე გევლება,
რაც ცოცხალია, რაც კეთილი და რაც ზეიადი,
უტყვო ქვეყანავ, იღუპება და იცელება.

ეს ჩაგვრა განსაკუთრებით გაძლიერდა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ, რევოლუციისა, რომელმაც მთელ ევროპას გადაუარა. თვითმპყრობელობის სადარაჯოზე მაშინ, როგორც მთელი ევროპის ჟანდარმი, იდგა ნიკოლოზ პირველი. იგი გზავნიდა რუს ჯარისკაცებს უნგრეთში სისხლის საღვრელად, რევოლუციის დასათრგუნავად. მაშინ თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეძლო ჩაეხშო აჯანყებები არა მარტო რუსეთში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც.

ხოლო რუსეთში თავისუფალი აზრის ყოველი გამოვლინება ითრგუნებოდა. სტუდენტობასაც მძიმე უღელი აწვა. მხოლოდ ვიწრო წრეებში ბედავდა ახალგაზრდობა გული მოეთხებინა ლაპარაკით, ემღერა თავისი აკრძალული სიმღერები რილეევის და სხვათა სიტყვებზე. შემდეგში ამ სიმღერებს ქალაქიდან მოშორებით, ტყე-ველად სეირნობის დროს ილია ნიკოლოზის ძისგან ვისმენდით ხოლმე მისი შვილები.

უნდა გეცხოვრათ იმ მძიმე დროში, რათა გეგრძნოთ დიდი შვება, როცა ნიკოლოზ I-ის სიკვდილისა და მისი ძის ალექ-

სანდრე II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ რუსეთში დაიწყო რეფორმების ხანა. უწინარეს ყოველისა გადაწყდა ბატონყმობის გაუქმება. რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ კაპიტალისტურ მრეწველობას, რომელიც ვითარდებოდა, თავისუფალი მუშახელი ესაჭიროებოდა, თანაც ყმების უკმაყოფილება და ამბოხებები მატულობდა. ტყუილ-უბრალოდ კი არ უთქვამს ალექსანდრე მეორეს: „უნდა ვიჩქაროთ, რომ ზემოდან მივცეთ თავისუფლება, ვიდრე ხალხი ქვემოდან მოიპოვებდეს მასო". გლეხთა განთავისუფლება ისეთი დიდი ძვრა იყო, რომ მთელი ქვეყანა ზეიმობდა. ნეკრასოვმა კარგად გამოხატა ეს განწყობილება:

ვიცი: მონობის ძველ ხლართების ნაცვლად ახალი
მოგონილია ქვეყანაზე, ხერხი მრავალი,
უფრო ადვილად გახსნის ყველას ხალხისვე ნება.
მუზავ, იმედით მიესალმე თავისუფლებას.

მაგრამ, მალე დაიწყო გამოფხიზლება. პირველმა ნაღარას შემოჰკრა ჩვენმა დიდმა წინასწარმსილველმა ჩერნიშევსკიმ, რომელმაც ამის გამო მთელი სიცოცხლე მიყრუებული ციმბირის საპყრობილეებში გაატარა; დაიწყო ახალგაზრდობის რევოლუციური ორგანიზაციების დაარსებაც. მაგრამ მშვიდობიანი კულტურული მუშაკების ტიპის ადამიანთათვის, ნიკოლოზის რეჟიმის მარწუხის შემდეგ მაინც გადაიშალა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი და მათაც გატაცებით მიაშურეს ამ ასპარეზს. ახალი სასამართლოები, პრესის შეუდარებლად მეტი თავისუფლება, ბოლოს, სასალხო განათლება — ყოველივე ეს იზიდავდა იმ დროის მოწინავე ადამიანებს. სახალხო განათლება,— იმის შესაძლებლობა, რომ გაენათლებინათ გუშინდელი მონები,— ეს წარმტაცი საქმე იყო ბევრისათვის.

ილია ნიკოლოზის ძე მათ რიცხვს ეკუთვნოდა. იგი სიხარულით დათანხმდა სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორის ახლადდაარსებულ თანამდებობაზე სიმბირსკის გუბერნიაში. მანამდე ის გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა და მოწა-

ფეებს დიდად უყვარდათ. ილია ნიკოლოზის ძე გულისხმიერ ღ და მოთმინებით უხსნიდა მათ გაკვეთილებს, ცელქობის გამო არ ურისხდებოდა, ღარიბ მოწაფეებს უფასოდ ამზადებდა გამოცდებისათვის. იგი ბუნებით პედაგოგი იყო, მას უყვარდა თავისი საქმე. მაგრამ ის მიისწრაფოდა უფრო ფართო სამუშაო ასპარეზისკენ, სურდა თავისი შრომა მოეხმარებინა არა გიმნაზიის შედარებით უზრუნველყოფილი მოწაფეებისათვის, არამედ ყველაზე გაჭირვებულთათვის, მათთვის, ვისაც ყველაზე მეტად უჭირდა განათლების მიღება, გუშინდელი მონების შვილებისათვის.

ასპარეზი მართლაც ფართო გადაეშალა. სიმბირსკის გუბერნიაში სკოლები ძალიან ცოტა იყო და, რაც იყო, ისიც ძველი ტიპისა; ეს სკოლები ჭუჭყიანსა და ვიწრო შენობებში იყო მოთავსებული, მასწავლებლებს მცირე განათლება ჰქონდათ და სწავლებას მეტწილად ცემა-ტყეპაზე ამყარებდნენ. ყველაფერი ხელახლა იყო დასაწყები: კრებებზე გლეხები უნდა დაერწმუნებინათ, რომ ახალი სკოლები აეგოთ, სხვა გზებითაც უნდა გამონახულიყო სახსრები ამ სკოლებისათვის, ახალგაზრდა მასწავლებელთათვის პედაგოგიური კურსები უნდა მოწყობილიყო, რათა ისინი დაუფლებოდნენ სწავლებას პედაგოგიკის ახალ მოთხოვნათა მიხედვით. საქმე ყველგან მოითხოვდა თვალყურის დევნებას, ილია ნიკოლოზის ძე კი მარტოდმარტო იყო მთელ გუბერნიაში. მუშაობას დიდად აძნელებდა მაშინდელი ოღროჩოღრო, ტალახიანი, გაუვალი გზები გაზაფხულსა და ზამთარში. ილია ნიკოლოზის ძე მთელი კვირაობით და თვეობითაც კი ვერ ბრუნდებოდა შინ, ჭამა-სმა და ღამისთევა ჭუჭყიან საგზაო ქოხებში უხდებოდა. ის კი ჯანმაგარი არ ყოფილა. მაგრამ საქმის სიყვარული, დიდი გულმოდგინება და შეუპოვრობა ყველაფერს სძლევდა. ილია ნიკოლოზის ძის 17 წლის მუშაობის მანძილზე სკოლების რიცხვი გუბერნიაში 450-მდე გაიზარდა. გაიხსნა კურსები, რომლებზედაც მომზადე-

ბულ იქნა ახალი მასწავლებლები. ამ მასწავლებლებს „ულიანოველებს“ უწოდებდნენ.

საქმე წინ მიდიოდა. ილია ნიკოლოზის ძეს ნელა-ნელა უმატებდნენ თანაშემწეებს — ინსპექტორებს, თვითონ კი დირექტორად დანიშნეს. ახლა მას მეტწილად საქმის ხელმძღვანელობა უხდებოდა. მაგრამ იგი როდი შეცვლილა: ისეთივე ბეჯითი მუშაკი, ცხოვრებასა და ადამიანებთან ურთიერთობაში წინანდებურად უბრალო იყო. მასწავლებლები თავისუფლად მიდიოდნენ მასთან რჩევის საკითხავად, სკოლებში იგი ზოგჯერ ავადმყოფ პედაგოგთა მაგიერობას სწევდა ხოლმე. დიდი ოჯახი, შვილების აღზრდა მთელ მის ხელფასს ნთქავდა, თავის თავზე ცოტას ხარჯავდა, მრავალრიცხოვანი საზოგადოება და ფუფუნება არ უყვარდა. საქმისგან დასვენების დროს უყვარდა ამ საქმით დაინტერესებულ ხალხთან ბაასი, უყვარდა ოჯახში დასვენება, შვილების აღზრდისათვის თვალყურის დევნება, ჭადრაკის თამაში. მუშაობის დროს მომთხოვნი იყო თავის თავისა და სხვათა მიმართ, დასვენებისას კი — გატაცებული და მხიარული თანამოსაუბრე, ეხუმრებოდა ბავშვებს, ზღაპრებსა და ანეგდოტებს უამბობდა მათ. საუბრისა თუ თამაშის დროს (ჭადრაკი, კროკეტი) ბავშვებთან თავი ამხანაგურად ეჭირა და მათზე ნაკლებ როდი იყო ხოლმე გატაცებული.

იგი ადრე დაიფერფლა დიდი შრომით და 55 წლის ასაკში— 1886 წლის 12 იანვარს ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო უეცრად გარდაიცვალა.

ვლადიმერ ილიჩის დედა, მარიამ ალექსანდრეს ასული, თავისი დროისათვის ფრიად მოწინავე ექიმის შვილი იყო. ბავშვობისა და ყრმობის მეტი წილი მან სოფლად გაატარა. სახსრები მამამისს ერთობ მცირე ჰქონდა, ოჯახი კი დიდი. ამიტომ მკაცრი დეიდის აღზრდილი ახალგაზრდა გოგონა შრომასა და მომჭირნეობას ადრევე შეეჩვია. მამა სპარტანულად ზრდიდა ქალიშვილებს: გოგონებს ზამთარ-ზაფხულ მოკლესახელოებიანი და ღია საყელოიანი ჩითის კაბები ეცვათ; თვითეულს მხო-

ლოდ ორი ასეთი კაბა გააჩნდა. საჭმელი— ღარიბული ჰქონდათ: როცა წამოიზარდნენ, მაშინაც კი არ ასმევდნენ ჩაის ან ყავას; მამას ჩაი და ყავა ჯანმრთელობისათვის მავნებლად მიაჩნდა. ასეთმა აღზრდამ მარიამ ალექსანდრეს ასულის ჯანმრთელობა გამოაწრთო, ძალიან ამტანი გახადა. ის გამოირჩეოდა მშვიდი, მტკიცე, მაგრამ ამავე დროს მხიარული და ალერსიანი ხასიათით; დიდად ნიჭიერი იყო, სწავლობდა უცხო ენებსა და მუსიკას, ბევრს კითხულობდა.

მარიამ ალექსანდრეს ასული გულით იყო მოწადინებული უფრო მეტი ესწავლა და ყოველთვის სინანულით იგონებდა, რომ სახსრების უქონლობამ ამის საშუალება არ მისცა.

მარიამ ალექსანდრეს ასულს არ იტაცებდა მორთულობა, ჭორები და მითქმა-მოთქმა, რაც იმ დროს ქალთა საზოგადოებას ახასიათებდა. იგი ოჯახში ჩაიკეტა და მთელი სერიოზულობითა და გულისხმიერებით შეუდგა შვილების აღზრდას. შეამჩნევდა თუ არა ბავშვებს რაიმე ნაკლს, მოთმინებით და დაჟინებით ებრძოდა მას. მარიამ ალექსანდრეს ასულს ხმა არასოდეს აუმაღლებია, თითქმის არასდროს მიუმართავს სასჯელისათვის და მიაღწია, რომ ბავშვებს ძალიან უყვარდათ და უჯერებდნენ მას. დედაჩვენის უდიდესი სიამოვნება იყო მუსიკა, რომელიც გატაცებით უყვარდა და რომელსაც დიდი შთაგონებით გადმოსცემდა. ბავშვებს გვიყვარდა მისი მუსიკის მოსმენა და ისე დაძინება, ხოლო როცა წამოვიზარდეთ, მის მუსიკას ვისმენდით და ისე ვმუშაობდით.

მშობლები ძალიან მეგობრულად ცხოვრობდნენ. არ მოსდიოდათ დავა და უთანხმოება აღზრდის საკითხებზე. მშობლების უთანხმოება ხომ მუდამ ცუდად მოქმედებს ბავშვებზე. ჩვენი დედ-მამა ყოველგვარ ეჭვს აღზრდის თაობაზე მარტოდ განიხილავდნენ ხოლმე, ბავშვები კი ამ მხრივ მუდამ „ერთიან ფრონტს“ ხედავდნენ.

რადგან ბავშვები გრძნობდნენ გულწრფელ სიყვარულს, ხედავდნენ, რომ მათი ინტერესები მშობლებისათვის ყოველ-

თვის პირველ რიგში იდგა, თვითონ ბავშვებიც ასევე ეპყრობოდნენ მშობლებს. ერთსულოვანი, შეხმატკბილებული იყო ჩვენი ოჯახი. ვცხოვრობდით მოკრძალებულად, მთელი ჩვენი სარჩო-საბადებელი მამის ხელფასი იყო. დედა მხოლოდ დიდი ჭომპარნეობით ახერხებდა, რომ ოჯახს თავი გაეტანა. მაგრამ რაც აუცილებელი იყო, ბავშვებს მაინც არ გვაკლდა, სულიერ ნოთხოვნილებასაც შეძლებისამებრ ვიკმაყოფილებდით.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ ოჯახური ვითარება და აღზრდის პირობები ფრიად ხელსაყრელი იყო ბავშვების გონებისა და ხასიათის განვითარებისათვის. ვლადიმერ ილიჩის და მისი და-ძმების ბავშვობა ნათელი და ბედნიერი იყო.

II. ვლადიმერ ილიჩის ბავშვობისა და ყრმობის წლები

ვლადიმერ ილიჩი დაიბადა სიმბირსკში 1870 წლის 10 (22) აპრილს. ოჯახში ის მესამე ბავშვი იყო. მალხაზს, მკვირცხლსა და მხიარულს ხმაურიანი თამაში და სირბილი უყვარდა. სათამაშოებით იმდენად კი არ თამაშობდა, რამდენადაც ამტვრევდა. ხუთი წლისამ კითხვა ისწავლა. შემდეგ სიმბირსკის სამრევლო სკოლის მასწავლებელმა მოამზადა გიმნაზიისათვის, სადაც ცხრაწლინახევრისა შევიდა პირველ კლასში 1879 წლის შემოდგომაზე.

მას სწავლა ეადვილებოდა. უმცროსი კლასებიდანვე საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და კლასიდან კლასში გადასვლისას პირველ ჯილდოს ღებულობდა. იმ დროს ჯილდოს წარმოადგენდა წიგნები, რომელთა ყდაზე ოქროთი ამოტვიფრული იყო „კეთილზნეობისა და წარმატებებისათვის“, და ქების ფურცელი. გარდა დიდი ნიჭისა, საუკეთესო მოწაფედ მას ხდიდა ის, რომ სერიოზულად და ყურადღებით ეკიდებოდა მუშაობას. მამა მასაც და მის უფროს და-ძმასაც პატარაობიდანვე უნერგავდა ამ ჩვევას, თვითონვე ადევნებდა თვალყურს მათს მეცადინეობას უმცროს კლასებში. პატარა ვალოდიასთვის დიდი მნიშვნე-

ლობა ჰქონდა [illegible] ეთ„ე ´ უდაო მ [illegible] უცლელი დ [illegible] შ ´ ო [illegible] ელ ი დედ-
ვამის და, განსაკ„ ოებით, უფროსი ძმის საშას მ გ ლითს. საშა
ფრიად სერიოზული და დაკვირვე [illegible] ული ყმაწვილი იყო, რომე-
ლ ი ც თავის მოვალე ობას მკაცრად ეკიდებოდა. იგი გამოირჩე-
ოდა არა მარტო მტკიცე, არამედ სამართლიანი, მგრძნობიარე
და ალერსიანი ხასიათით. ყველა უმცროს და-ძმას მისი დიდი
სიყვარული ჰქონდა. ვალოდია იმდენად ბაძავდა უფროს ძმას,
რომ ამის გამო ზოგჯერ დაეცინოდით ხოლმე;—რაც უნდა გე-
კითხათ, მუდამ გიპასუხებდათ: „როგორც საშა ამბობს". ხო-
ლო თუ ბავშვობაში საერთოდ მაგალითს დიდი მნიშვნელობა
აქვს, ასაკით რამდენადმე უფროსი ძმების მაგალითი მოზრ-
დილთა მაგალითზე უფრო მნიშვნელოვანია.

ვალოდია ცელქი და მკვირცხლი ბავშვი იყო, მაგრამ რაკი
ჩვეულ ჰქონდა სერიოზულად მოკიდებოდა საქმეს, გაკვეთილს
ყურადღებით ისმენდა. ეს დიდი ყურადღებიანობა, როგორც
ამას ვალოდიას მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ მაშინ, ცხოველ
ნიჭთან ერთად, მას შესაძლებლობას აძლევდა, რომ ჯერ კიდევ
კლასში კარგად შეესწავლა ყოველი ახალი გაკვეთილი, ასე
რომ შინ განმეორება თითქმის არ უხდებოდა. მახსოვს, რა
სწრაფად მოათავებდა ხოლმე გაკვეთილებს უმცროს კლასებში.
შემდეგ კი ცელქობას დაიწყებდა, ყირაზე გადადიოდა და უფ-
როსებს, რომლებიც იმავე ოთახში ვმეცადინეობდით, ხელს
გვიშლიდა. მამა სანდახან გაკვეთილის შესამოწმებლად თავის
კაბინეტში შეიყვანდა ხოლმე მას და მთელი რვეულის მიხე-
დვით ლათინურ სიტყვებს ეკითხებოდა, მაგრამ ვალოდიამ ჩვე-
ულებრივ ყველაფერი იცოდა. იგი ბევრს კითხულობდა ბავ-
შვობაში. მამას ყველა ახლადგამოსულ საბავშვო წიგნს და
ჟურნალს უგზავნიდნენ, გარდა ამისა, ბიბლიოთეკაშიც ვიყა-
ვით ჩაწერილი.

ვალოდიას მუდმივი მეგობარი თამაშობაში იყო ჩვენი
უმცროსი და ოლია (დაიბადა 1871 წლის 4 ნოემბერს). ოლია

ფრიად ნიჭიერი, მკვირცხლი და კისკასა გოგონა იყო. 4 წლისამ ისწავლა კითხვა ვალოდიასთან ერთად, სკოლაში ისიც იოლად და ხალისით მეცადინეობდა. გარდა ამისა, ოლია, რომელიც ხასიათის ზოგიერთი თვისებით ძმას — საშას გვაგონებდა, მეტად შრომისმოყვარე იყო. ერთხელ მეზობელ ოთახში ოლია დაუსრულებლად უკრავდა ეტიუდებს ფორტეპიანოზე., მახსოვს, ვალოდიამ, რომელიც მაშინ გიმნაზიის ერთ-ერთ უფროს კლასში იყო, მითხრა: „აი, ვისი შრომისუნარიანობა შეიძლება შეგშურდესო". ვალოდიამ შეიგნო ეს და თვითონაც დაიწყო ბეჯითობა, რაც ეგზომ გვანცვიფრებდა მერმინდელ წლებში და რამაც შესანიშნავ ნიჭთან ერთად ხელი შეუწყო მას მიეღწია ასეთი ბრწყინვალე შედეგებისათვის.

ვლადიმერ ილიჩი სკოლის ამხანაგებს ხალისით უზიარებდა თავის ცოდნას, უხსნიდა მათ ძნელ გაკვეთილებს, ამოცანებს, ბერძნულ და ლათინურ თხზულებებს და თარგმანებს. გიმნაზიის უკანასკნელ ორ კლასში კი იგი, გარდა იმისა, რომ თავის გაკვეთილებს სწავლობდა, ამეცადინებდა ერთ ჩუვაშ მასწავლებელს, ამზადებდა მას გამოსაშვები გამოცდებისათვის უნივერსიტეტში შესასვლელად. ამეცადინებდა უფასოდ, რადგან იმ მასწავლებელს არაფერი ებადა, რომ გადაეხადა. ვლადიმერ ილიჩმა კიდევაც მოამზადა თავისი არცთუ ნიჭიერი მოწაფე. მან გამოცდები ჩააბარა და შეძლო თავისი საყვარელი მათემატიკა ესწავლა უნივერსიტეტში.

პირადად, ჩემს თავზეც გამოვცადე, თუ როგორი მასწავლებელი იყო ვლადიმერ ილიჩი, თუმცა იგი ხუთიოდე წლით ჩემზე უმცროსი იყო და ჯერ ისევ გიმნაზიაში სწავლობდა, მე კი ქალთა უმაღლესი კურსების უკანასკნელისწინა კურსზე ვიყავი. მიუხედავად ამისა, იგი დამეხმარა ერთი ჩამორჩენის დაძლევაში. 1886 წლის გაზაფხულზე ჩასაბარებელი მქონდა რამდენიმე გამოცდა, მათ შორის ლათინური ენის მთელი სამი წლის კურსისა. ისტორიისა და სიტყვიერების განყოფილებაზე ლათინუ-

რი მაშინ საეალდებულო საგანი იყო. იმ წლებში, როდესაც კლასიკური განათლება სჭარბობდა, ლათინურს ძალიან ფორმალურად გვასწავლიდნენ და მე, ისევე როგორც კურსისტი ქალების უმრავლესობას, ეს საგანი თავმინებებული მქონდა. ახალგაზრდობას გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ცხადია, უფრო ცოცხალი და საზოგადოებრივი რამ იზიდავდა. და მე, ლათინურისათვის რომ თავი დამეღწია, მოსკოვის კურსების თავისუფალ მსმენელად გადასვლაც კი განვიზრახე. როდესაც ამ გეგმაზე ხელი ავიღე, იძულებული გავხდი სერიოზულად დამეწყო ლათინურის სწავლა, ვვარაუდობდი ზამთრის არდადეგების დროს გამომესწორებინა საქმე, მაგრამ ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი. მამის გარდაცვალების (1886 წლის 12 იანვარი) შემდეგ კი მეცადინეობა განსაკუთრებით გამიძნელდა და ლათინურშიც წინ ვერ წავიწიე. მაშინ ვალოდიამ დახმარება შემომთავაზა, თუმცა თვითონაც გიმნაზიის უკანასკნელისწინა კლასში გაკვეთილები ბლომად ჰქონდა მოსამზადებელი და, გარდა ამისა, ჩუვაშური სკოლის მასწავლებელს — ოხოტნიკოვს ამეცადინებდა. ყმაწვილმა, რომელსაც ჯერ კიდევ 16 წელი არ შესრულებოდა, ასე იოლად და ხალისით იკისრა ეს ახალი ტვირთი. და არა მარტო იკისრა, — ვინ იცის, რას არ იკისრებს ცხელ გულზე ახალგაზრდობა, რათა პირველი დაბრკოლებისთანავე თავი მიანებოს მას, — არამედ ფრიად სერიოზულად და ვულმოდგინედ მამეცადინებდა და კვლავაც ასე განაგრძობდა, რომ მე პეტერბურგს არ წავსულიყავი მარტში. ისე ყურადღებით, ისე ცოცხლად და ინტერესით მასწავლიდა, რომ მალე „საძაგელმა ლათინურმა“ მეც ჩამითრია. გასაკვეთი ბევრი გვქონდა, უნდა წაგვეკითხა და გვეთარგმნა იულიოს კეისრის „მოხუცებულობის შესახებ“[1] და, რაც მთავარია, უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა რთული ლათინური გრამატიკის

[1] ტრაქტატი „მოხუცებულობის შესახებ“ ციცერონის ნაწარმოებია. — რ ე დ.

ყველა ის წესი, რომელიც ტექსტში გვხვდებოდა. მე, რა თქმა უნდა, უხერხულობას ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩემი ჩამორჩენა დამოუკიდებლად ვერ დავძლიე და დასახმარებლად უმცროს ძმას მივმართე, მას ხომ შეეძლო ისე მუშაობა, რომ ჩამორჩენა არ ჰქონოდა. აქ, უეჭველია, ყალბი თავმოყვარეობის მცირეოდენი ნასახიც იყო, რომ მე მეცადინეობა დავიწყე უმცროსი ძმის— გიმნაზიელის ხელმძღვანელობით. მაგრამ ჩვენი მეცადინეობა ისე გაცხოველებით წარიმართა, რომ მალე ყოველგვარი უხერხულობის გრძნობა გაქრა. მახსოვს, ვალოდია გატაცებით აღმინიშნავდა ლათინური სტილის ზოგ სილამაზეს და თავისებურებას. რა თქმა უნდა, მე ენა ძალიან სუსტად ვიცოდი და ვერ შევაფასებდი მათ, ამიტომ მეცადინეობისას მთავარი ყურადღება ლათინური ენისათვის დამახასიათებელი ისეთი გრამატიკული ფორმების განმარტებისადმი გვქონდა მიპყრობილი, როგორიცაა სუპინუმი, გერუნდიუმი და გერუნდივი (ზმნისმიერი ზედსართავი და არსებითი სახელები), აგრეთვე უფრო ადვილად დასამახსოვრებელ გამოგონილ გამოთქმებისა და ლექსებისადმი, როგორიცაა, მაგალითად (გერუნდივი):

Gutta cavat lapidem
Non vi sed saepe cadendo;
Sic homo sit doctus
Non vi sed multo studendo.

წვეთი ხშირ-ხშირი დაცემით
ხვრეტს ქვას და არა ძალითა.
ასევე კაციც ბრძენდება
არ ძალით, — ბევრი სწავლითა.

მახსოვს, ვალოდიას ვუზიარებდი ჩემს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ასე მოკლე ვადაში შემესწავლა გიმნაზიის რვა წლის კურსი, მაგრამ ვალოდია მამშვიდებდა და მეუბნებოდა: „ლათინური ენის ამ კურსზე რვა წელიწადი ხომ გიმნაზიაში იხარჯება, სადაც სწავლება უთავბოლოდაა დაყენებული. მოზრდილ, შე-

გნებულ ადამიანს კი საკვლევით ძალუძს ამ რვა წლის კურსის გავლა ორ წელიწადშიო". ამის დასამტკიცებლად მეუბნეოდა, რომ ოხოტნიკოვთან ორ წელიწადში გაივლიდა ამ კურსს; მართლაც გაიარა, მიუხედავად იმისა, რომ ოხოტნიკოვს ენების შესწავლის დიდი ნიჭი არ გააჩნდა. ძალიან ცოცხლად, საქმის მხურვალე სიყვარულით მიმდინარეობდა ჩვენი მეცადინეობა. ვალოდია როდი იყო ის საუკეთესო მოწაფე, რომელსაც გულმოდგინედ გაუზეპირებია გაკვეთილები, — იგი უმალ ახალგაზრდა ლინგვისტი იყო, რომელსაც შეეძლო მიეგნო ენის თავისებურებისა და სილამაზისათვის.

რადგან მიდრეკილება ენათმეცნიერებისადმი მეც მახასიათებდა, ძალიან მალე მოვიხიბლე და ამ მეცადინეობამ, რასაც ხშირად ერთვრდა ვალოდიას მსიარული სიცილი, დიდად წამწია წინ. გაზაფხულზე წარმატებით ჩავაბარე სამი წლის კურსი, რამდენიმე წლის შემდეგ კი ლათინურის საფუძვლების ცოდნამ გამიადვილა იტალიური ენის შესწავლა, რამაც შესაძლებლობა მომცა შემოსავალი მქონოდა და ბევრი სიამოვნებაც მომგვარა.

1886 წელს, როდესაც ვალოდიას თექვსმეტი წელი ჯერ კიდევ არ შესრულებოდა, გარდაგვეცვალა მამა — ილია ნიკოლოზის ძე. ერთი წლის შემდეგ კი ოჯახს მეორე მძიმე უბედურება დაატყდა თავს: მეფე ალექსანდრე III-ზე თაედასხმაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და შემდეგ — 1887 წლის 8 მაისს—დასაჯეს კიდეც ვალოდიას უფროსი საყვარელი ძმა — ალექსანდრე. ამ უბედურებამ ვლადიმერ ილიჩზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, გამოაწრთო, სერიოზულად ჩააფიქრა იმაზე, თუ რა გზებით უნდა წასულიყო რევოლუცია. არსებითად, უკვე ალექსანდრე ილიას ძეც იდგა გზაჯვარედინზე ნაროდოვოლცებსა და მარქსისტებს შორის. იგი იცნობდა კარლ მარქსის „კაპიტალს", აღიარებდა მარქსის მიერ დასახულ განვითარების მსვლელობას. ეს ჩანს თვით ალექსანდრეს მიერ შედგენილ პარტიულ

პროგრამიდან[1]. იგი ხელმძღვანელობდა მუშათა წრეებს, მაგრამ იმ დროს სოციალ-დემოკრატიული მუშაობისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო. მუშები ცოტანი, დაქსაქსულნი და განუვითარებელნი იყვნენ; მაშინ ინტელიგენტებს უძნელდებოდათ მათთან დაახლოება. ამასთანავე მეფის დესპოტიზმის მხრივ ჩაგვრაც ისეთი ძლიერი იყო, რომ ხალხთან ურთიერთობის ოდნავი ცდის გამოც კი აპატიმრებდნენ და ციმბირში ასახლებდნენ. და არა მარტო ხალხთან ურთიერთობის გამო: თუ სტუდენტი ამხანაგები თუნდაც სრულიად უწყინარ წრეს ჩამოაყალიბებდნენ, რომ ერთად წაეკითხათ რაიმე ან კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან, ამ წრეს დაშლიდნენ, სტუდენტებს კი სამშობლო ადგილებში აძევებდნენ. ასეთი რეჟიმის მიმართ გულგრილი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ისეთი ახალგაზრდა, ვინც მარტო კარიერაზე და წყნარ ცხოვრებაზე ოცნებობდა. ყოველი უფრო პატიოსანი, გულწრფელი ადამიანი ბრძოლას ესწრაფოდა, უწინარეს ყოვლისა ცდილობდა რამდენადმე მაინც შეერყია თვითმპყრობელობის ვიწრო კედლები, რომლებშიც მათ სული ეხუთებოდათ. ყველაზე მოწინავეებს ეს მაშინ დაღუპვას უქადდა, მაგრამ მედგარ ადამიანებს დაღუპვაც ვერ აშინებდა. ალექსანდრე ილიას ძე მათ რიცხვს ეკუთვნოდა. მან არათუ უყოყმანოდ მიატოვა უნივერსიტეტი და საყვარელი მეცნიერება (მას პროფესორობა მოელოდა), როცა იგრძნო, რომ აღარ შეეძლო ქვეყნის შემავიწროებელი თვითნებობის ატანა, არამედ სიცოცხლეც გაბედულად შესწირა. მან თავს იდვა ყუმბარების მომზადების სახიფათო სამუშაოები და, როცა სასამართლოში ამჟს აღიარებდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ ამხანაგები გამოეხსნა.

ალექსანდრე ილიას ძე დაიღუპა როგორც გმირი და მისმა სისხლმა რევოლუციური ხანძრის დაფიონით გაუნათა გზა მის მომდევნო ძმას, ვლადიმერს.

---

[1] იხ. „ალექსანდრე ილიას ძე ულიანოვი და 1 მარტის საქმე“ პარტისტი. 1927 წ. — ა. ე. (რუსული გამოცემა).

ეს უბედურება სწორედ იმ წელიწადს მოხდა, როცა ვალოდიამ გიმნაზია დაამთავრა.

მიუხედავად მძიმე განცდებისა, რასაც ვალოდია დიდი სიმტკიცით იტანდა, მან, ისევე როგორც მისმა დამ ოლიამ, გიმნაზია იმ წელიწადს ოქროს მედლით დაამთავრა.

ბუნებრივია, ოჯახზე გადავლილი ქარიშხლის შავი ღრუბლები მის დანარჩენ წევრებსაც ჩამოაწვა, ხელისუფლება უმცროს ძმასაც ძალიან ეპვის თვალით უყურებდა და მოსალოდნელი იყო, რომ მას არც ერთ უნივერსიტეტში არ მიიღებდნენ.

სიმბირსკის გიმნაზიის მაშინდელი დირექტორი თ. კერენსკი დიდად აფასებდა ვლადიმერ ილიჩს, ძალიან კარგად ეპყრობოდა მის მამას, ილია ნიკოლოზის ძეს, რომელიც მაშინ ერთი წლის გარდაცვლილი იყო. თ. კერენსკის სურდა დახმარებოდა ნიჭიერ მოწაფეს, გვერდი აევლო ამ დაბრკოლებათათვის. ამით აიხსნება ვალოდიას უაღრესად „კეთილზნეობრივი“ დახასიათება, რომელიც კერენსკიმ ყაზანის უნივერსიტეტში გაგზავნა და რომელსაც პედაგოგიური საბჭოს სხვა წევრებიც აწერდნენ ხელს. განსვენებული ილია ნიკოლოზის ძე სიმბირსკში ფრიად პოპულარული, საყვარელი და პატივცემული პიროვნება იყო და ამის გამო მისი ოჯახი დიდი სიმპათიით სარგებლობდა. ვლადიმერ ილიჩი გიმნაზიის თვალი იყო. ამ მხრივ კერენსკის მიერ გაცემული დახასიათება სავსებით სწორია. იგი მართებულად აღნიშნავდა იმასაც, რომ ეს იყო არა მარტო ვლადიმერ ილიჩის ნიჭის, არამედ მძსი გულმოდგინებისა და სიფაქიზის შედეგი იმის შესრულებისას, რასაც მისგან მოითხოვდნენ, აგრეთვე იმ გონივრული დისციპლინით გამომუშავებულ თვისებათა შედეგიც, რომელიც საფუძვლად ედო მის შინაურ აღზრდას.

რა თქმა უნდა, კერენსკი განზრახ აღნიშნავდა, რომ აღზრდას საფუძვლად ედო რელიგია, ისევე როგორც განზრახ მიუთითებდა ვლადიმერ ილიჩის „ზედმეტ გულჩათხრობილობას“ და

„უკარებლობას“[1]. როცა ის ამბობს, „არ ყოფილა შემთხვევა, რომ ულიანოვს სიტყვით ან საქმით თავის შესახებ საძრახისი. აზრი გამოეწვიოსო“, კერენსკი რამდენადმე სცოდავს კიდეც ჭეშმარიტების წინაშე. მუდამ გაბედული და ცელქი ჩემი ძმა, რომელიც ადამიანებში მოსწრებულად ამჩნევდა სასაცილო მხარეებს, ხშირად დასცინოდა ამხანაგებსაც და ზოგ მასწავლებელსაც. ერთხანს ვლადიმერ ილიჩმა დასაცინად ნიშანში ამოიღო ფრანგული ენის მასწავლებელი, გვარად პორი.

ეს პორი ფრიად გონებაშეზღუდული და ფუქსავატი ვინმე იყო. ამბობენ, პროფესიით მზარეული იყოო. ამ გაქნილმა ადამიანმა სიმბირსკელი მემამულის ქალიშვილი შეირთო ცოლად და ამ გზით „საზოგადოებაში“ გაძვრა. იგი ნიადაგ დირექტორს ან ინსპექტორს ეტმასნებოდა; წესიერი პედაგოგები მას ათვალწუნებით ეპყრობოდნენ. განაწყენებულმა ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და კადნიერ მოწაფეს ყოფაქცევაში ოთხიანი დაუწერა მეოთხედში.

იმის გამო, რომ ჩემი ძმა უკვე მეშვიდე კლასში იყო, ამ შემთხვევას სერიოზული საფრთხე მოსდევდა. მაშამ ეს ამბავი მიამბო 1885 წლის ზამთარში, როდესაც არდადეგებზე ჩამოვედი. მან დაუმატა: ვალოდიამ სიტყვა მომცა, ეს აღარ განმეორდებაო.

მაგრამ განა ხშირად ასეთი წვრილმანის გამო არ იყო, რომ ყმაწვილს გარიცხავდნენ და ცხოვრების მთელ გზას უფუჭებდნენ ხოლმე? მამასა და მთელ ოჯახთან დამოკიდებულებამ, აგრეთვე ვლადიმერ ილიჩის განსაკუთრებულმა ნიჭმა იხსნა იგი ასეთი ხვედრისაგან.

იმავე მოსაზრებით, რომლითაც კერენსკიმ დახასიათება გასცა, დედაჩვენმა გადაწყვიტა უნივერსიტეტში მარტო არ გაეშვა ვლადიმერ ილიჩი და მთელი ოჯახით გადასულიყო ყაზანს.

---

[1] მას დიდი მეგობრები გიმნაზიის წლებში არ ჰყოლია, მაგრამ, რასაკვირველია, უკარებელს ვერავითარ შემთხვევაში ვერ უწოდებდით. — ა. ე.

ყაზანში 1887 წლის აგვისტოს მიწურულიდან დაიქირავეს ბინა როსტოვას სახლში—პირველ გორაზე, საიდანაც ერთი თვის შემდეგ ვლადიმერ ილიჩი მთელ ოჯახთან ერთად გადავიდა ახალი კომისარიატის ქუჩაზე — სოლოვიოვას სახლში.

ეამთა სიავის იმ წლებში, როცა „ნაროდნაია ვოლია“ უკვე განადგურებული იყო, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსეთში ჯერ კიდევ არ დაარსებულიყო და მასები ბრძოლის ასპარეზზე არ გამოსულიყვნენ, ერთადერთ ფენას, რომელშიც საზოგადოების სხვა ფენებისაგან განსხვავებით, უკმაყოფილება არ გამქრალა და აქა-იქ იფეთქებდა ხოლმე, სტუდენტობა წარმოადგენდა. სტუდენტთა შორის მუდამ მოიძებნებოდნენ პატიოსანი, მგზნებარე ადამიანები, რომლებიც აშკარად გამოთქვამდნენ აღშფოთებას და ცდილობდნენ ებრძოლათ. ამიტომ იყო, რომ მთავრობა ყველაზე მეტად სტუდენტობას ბოჭავდა. ჩხრეკა, დაპატიმრება, გადასახლება, — ყოველივე ეს სტუდენტობას სხვაზე მეტად ატყდებოდა თავს. 1887 წელს ჩაგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა იმის გამო, რომ ამ წლის გაზაფხულზე მოკვლის მიზნით პეტერბურგში თავს დაესხნენ მეფეს; ამ თავდასხმის მონაწილენი თითქმის მხოლოდ სტუდენტები იყვნენ[1].

მუნდირებმა, პედელებმა, უაღრესად საგულდაგულო მეთვალყურეობამ და ჯაშუშობამ უნივერსიტეტში, უფრო ლიბერალური პროფესორების მოხსნამ, ყოველგვარი ორგანიზაციის აკრძალვამ, ისეთი უწყინარი ორგანიზაციისაც კი, როგორიც სათვისტომო იყო, თუნდაც ოდნავ შენიშნული უამრავი სტუდენტის გარიცხვამ და გადასახლებამ,— ყოველივე ამან აკადემიური წლის პირველი თვეებიდანვე აღაგზნო სტუდენტობა.

---

[1] იხ. 1887 წლის 1 მარტის საქმე, რომელსაც წოდებრივ წარმომადგენელთა სასამართლო არჩევდა. 15 ბრალდებულიდან ხუთი, — მათ შორის ა. ი. ულიანოვი, ვლადიმერ ილიჩის უფროსი ძმა, — ჩამოახრჩეს, ორს მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა შლისელბურგის ციხეში, ხოლო დანარჩენებს — სხვადასხვა ვადით გადასახლება ციმბირში და სახალინზე. — ა. ე.

ეგრეთწოდებული „არეულობის“ ტალღა ნოემბრიდან ყველა უნივერსიტეტს მისწვდა. ეს ტალღა ყაზანსაც მოაწყდა.

ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტები 4 დეკემბერს შეიკრიბნენ; ისინი ხმამაღლა მოითხოვდნენ, რომ ინსპექტორი მათთან მისულიყო და დაშლაზე უარს ამბობდნენ; როცა ინსპექტორი მოვიდა, მას წაუყენეს მთელი რიგი არა მარტო სტუდენტური, არამედ პოლიტიკური მოთხოვნებიც. ამ შეჯახების დეტალები, რაც თავის დროზე ძმამ მიამბო, არ დამამახსოვრდა. მაგონდება მხოლოდ დედაჩემის მონაყოლი, რომ ის ცდილობდა მოეგვარებინა რამე, რადგან ინსპექტორს ვალოდია დაუსახელებია კრების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილედ, რომელიც პირველ რიგებში იდგა მეტად აღგზნებული და თითქმის მუშტებშეკუმშულიო. 4 დეკემბერს ღამით ვლადიმერ ილიჩი ბინაზე დააპატიმრეს; მან სხვა პატიმრებთან ერთად (სულ 40 კაცი) რამდენიმე დღე გაატარა განყოფილებაში. ყველა ისინი გაასახლეს ყაზანიდან. ვ. ვ. ადორატსკი გადმოგვცემს, რომ ვლადიმერ ილიჩს მერმე უამბნია მისთვის, თუ რა საუბარი ჰქონია ბოქაულთან, რომელმაც დაპატიმრების შემდეგ ვალოდია განყოფილებაში წაიყვანა.

— რას ჯანყდებით, ყმაწვილო? თქვენს წინ ხომ კედელია.

— კედელია, მაგრამ დამპალი, ხელი ჰკარ და დაინგრევა, — უყოყმანოდ უპასუხა ვლადიმერ ილიჩმა.

გარიცხვის მთელმა ამბავმა მეტად სწრაფად ჩაიარა, ვლადიმერ ილიჩი გადაასახლეს სოფელ კოკუშკინოში, ყაზანიდან ორმოციოდე ვერსის დაშორებით, იმ მამულში, რომელიც შეძენილი ჰქონდა მის პაპას დედის მხრივ — ალექსანდრე დიმიტრის ძე ბლანკს. იმ დროს აქვე აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა ილიჩის და ანა (ამ სტრიქონების ავტორი), რომელსაც ციმბირში ხუთი წლის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა დედის შუამდგომლობით შეუცვალეს და ამ სოფელში გადაასახლეს. ამ მამულის მეხუთედი დედაჩვენს ეკუთვნოდა და ჩვენმა ოჯახმაც (რამდენიმე ხნის შემდეგ კოკუშკინოში დე-

დაც გადმოსახლდა უმცროსებიანად) ერთ-ერთი დეიდის (იქ ორი დეიდა ცხოვრობდა) ცივსა და ძალიან მოუწყობელ ფლიგელში გაატარა 1887/88 წლის ზამთარი.

არც ერთი მეზობელი არ გვყავდა. ზამთარი სრულ მარტოობაში გავატარეთ. ჩამოდიოდა მხოლოდ ბიძაშვილი, ისიც იშვიათად, და გვეწვეოდა ხოლმე სამაზრო პოლიციის უფროსი, რომელიც ვალდებული იყო შევემოწმებინე ადგილზე ვარ თუ არა და ხომ არ ვეწევი პროპაგანდას გლეხებში. ეს იყო და ეს. ვლადიმერ ილიჩი ბევრს კითხულობდა, — ფლიგელში იდგა განსვენებული ბიძის, ფრიად ნაკითხი კაცის, წიგნების კარადა, გვქონდა ძველი ჟურნალებიც, რომლებშიც საყურადღებო სტატიები იყო მოთავსებული; გარდა ამისა, ჩაწერილი ვიყავით ყაზანის ბიბლიოთეკაში, მოგვდიოდა გაზეთებიც. მახსოვს, რა დიდი ამბავი იყო ჩვენთვის, როცა ქალაქიდან რაიმეს მივიღებდით, და რა მოუთმენლად ვხსნიდით კალათს, რომელშიც წიგნები, გაზეთები და წერილები ეწყო. ასევე მარჯვე შემთხვევის დროს ქალაქში ვგზავნიდით უკან დასაბრუნებელი წიგნებითა და ფოსტით სავსე კალათს. ამასთან დაკავშირებულია ჩემი ერთი ასეთი მოგონება: ერთხელ საღამოს ყველა ვიჯექით და წერილებს ვწერდით, ვამზადებდით ფოსტას, რომელიც დილაადრიან კალათში ჩაწყობილი უნდა წაეღო დეიდა-ჩვენის მსახურს.

თვალში მომხვდა, რომ ვალოდია, რომელიც ჩვეულებრივ არ წერდა ხოლმე ბარათებს, რაღაც დიდ ქაღალდს აჭრელებს და საერთოდ აღგზნებულ მდგომარეობაშია. მთელი კალათი გაიტენა. დედა და პატარები დაწვნენ, მე და ვალოდია კი ჩვეულებისამებრ ჯერ ისევ ვისხედით და ვსაუბრობდით. შეეკითხე, ვის სწერდი-მეთქი. თურმე გიმნაზიელი ამხანაგისათვის მიუწერია, რომელიც სხვა უნივერსიტეტში—როგორც მახსოვს, სამხრეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში — შესულა. რასაკვირველია, ვალოდიას დიდი გულმოდგინებით აუწერია სტუდენტთა არეულობა ყაზანში და ეკითხებოდა, რა ხდება თქვენს უნივერსიტეტშიო.

მე ვუმტკიცებდი ძმას, რომ არ ღირდა ასეთი ბარათის გაგზავნა, ეს იქნებოდა უნაყოფო რისკი, რომელსაც ახალი რეპრესიები მოჰყვებოდა მის მიმართ. მაგრამ მისი გადარწმუნება ყოველთვის ძნელი იყო. აღგზნებული ოთახში ბოლთას სცემდა, აშკარა კმაყოფილებით გადმომცემდა იმ მკეახე ეპითეტებს, რომლებითაც ინსპექტორს და სხვა ხელისუფალთ აჯილდოებდა; იგი დასცინოდა ჩემს სიფრთხილეს; მას არ სურდა შეეცვალა გადაწყვეტილება. მაშინ მე მივუთითე იმ ხიფათზე, რომელსაც ამხანაგს უქმნიდა, რადგან ასეთი შინაარსის ბარათს მისი პირადი მისამართით გზავნიდა; მივუთითე იმაზე, რომ ეს ამხანაგიც შეიძლება გარიცხული ან შენიშნული ყოფილიყო და ასეთი ბარათი მის ხვედრს გააუარესებდა.

აქ კი ჩაფიქრდა ვალოდია, შემდეგ საკმაოდ სწრაფად დაეთანხმა ამ უკანასკნელ მოსაზრებას, სამზარეულოში გავიდა და კალათიდან ამოიღო ეს ბედუკუღმართი წერილი, თუმცა აშკარად ნანობდა.

მერე, ზაფხულში, როცა რაღაც შემთხვევის გამო დეიდაშვილს ვეგაასებოდით, სიამოვნებით მოვისმინე მისგან ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ნათქვამი, რომ ერთი რჩევისათვის ის ჩემი მადლიერი იყო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან ხელახლა წაიკითხა და შემდეგ მოსპო ბარათი, რომელიც რამდენიმე თვე მის უჯრაში ეგდო.

გარდა იმისა, რომ ბევრს კითხულობდა, ვლადიმერ ილიჩი კოკუშკინოში უმცროს ძმასაც ამეცადინებდა, ზამთარში სანადიროდ დადიოდა თხილამურებით. მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, მის მიერ თოფის პირველი მოსინჯვა და ნადირობას მთელი ზამთარი წარმატება არ მოჰყოლია[1]. მე მგონია, ეს კიდევ იმი-

[1] ეს დამამახსოვრდა მასთან ჩემი ერთი გახუმრების გამო: ერთხელ, მომდევნო ზაფხულში, როცა ისა და მისი ბიძაშვილი სეირნობიდან დაბრუნდნენ, ვალოდიამ განაცხადა: „ჩვენ ახლა კურდღელმა გადაგვიჭრა გზა". — „ვალოდია, — ვუთხარი მე, — ეს, რა თქმა უნდა, სწორედ ის კურდღელია, რომელზედაც მთელი ზამთარი ნადირობდი". — ა. ე.

ტომაც ხდებოდა, რომ იგი, როგორც დანარჩენი ჩემი ორი ძმა, ბუნებით მონადირე არასოდეს ყოფილა.

მაგრამ თოვლით დაფარულ პატარა ფლიგელში ცხოვრება, რა თქმა უნდა, მოსაწყენი იყო და სწორედ აქ უშველა ვალოდიას გულმოდგინე მეცადინეობის ჩვევამ. განსაკუთრებით ცხადად მახსოვს ერთობ მკვეთრი ადრიანი გაზაფხული მარტოობაში გატარებული და მომქანცველი ზამთრის შემდეგ. პირველი გაზაფხული, რომელსაც სოფლად ვატარებდით. მახსოვს ძმასთან ერთად ხანგრძლივი საუბარი და სეირნობა ახლო-მახლო მინდვრებში; გვესმოდა ცაში გაუჩინარებულ ტოროლათა გამუდმებული წკრიალა ჰანგები, თვალს გვტაცებდა ნორჩი ბალახის სიმწვანე და ხეებში მოქათქათე თოვლი...

ზაფხულში ჩამოვიდნენ დეიდაშვილები; — ვალოდიას გუჩნდნენ ამხანაგები სეირნობასა, ნადირობასა და ჭადრაკის თამაშში. მაგრამ მათ საზოგადოებრივი ფხა არ გააჩნდათ და ვალოდიასათვის საინტერესო მოსაუბრენი ვერ იქნებოდნენ. ისინი, თუმცა უფროსები იყვნენ, მაგრამ ვალოდიას მოსწრებულ სიტყვას ან ეშმაკურ ჩაცინებას ვერ სწვდებოდნენ.

1888 წლის შემოდგომიდან ვლადიმერ ილიჩს ნება დართეს გადასახლებულიყო ყაზანს, სადაც დედაც გადავიდა უმცროსებიანად. ცოტა უფრო გვიან მეც ნება დამრთეს იქ გადავსულიყავ.

III. ცხოვრება ყაზანში

ბინა დაიქირავეს ორლოვას სახლის ფლიგელში პირველ გორაზე, არსკის მინდვრის ახლოს, ბინას ჰქონდა აივანი და გორაზე შეფენილი საკმაოდ ლამაზი პატარა ბაღი. პირველ სართულზე რატომღაც ორი სამზარეულო იყო, ზედა სართულზე კი — დანარჩენი ოთახები. ვალოდიამ თავისთვის მეორე, ზედმეტი სამზარეულო აირჩია, რადგან იგი უფრო განმარტოებული და მეცადინეობისათვის მოხერხებული იყო, ვიდრე ზედა სართულის ოთახები; ჩაეფლო წიგნებში და დღის უფრო

მეტ ნაწილს ამ წიგნებს უჯდა. აქ დაიწყო მან კარლ მარქსის „კაპიტალის“ I ტომის შესწავლა.

მახსოვს, საღამოობით, როცა მასთან სამუსაიფოდ ჩავიდოდი, იგი გატაცებითა და აღფრთოვანებით მომითხრობდა მარქსის თეორიის საფუძვლებზე და იმ ახალ ჰორიზონტებზე, რომლებსაც ეს თეორია სახავდა. გუშინდელივით მახსოვს, იჯდა ის თავის ოთახში გაზეთებით დაფენილ ფილაქურაზე და გაცხარებული იქნევდა ხელებს. მისგან პირდაპირ მოსჩქეფდა მხურვალე რწმენა, რაც თანამოსაუბრეთაც გადაეცემოდა ხოლმე. ილიჩს უკვე მაშინაც შეეძლო თავისი სიტყვით დარწმუნება და გატაცება. უკვე მაშინაც არ შეეძლო მას, რომ როცა რაიმეს სწავლობდა, როცა ახალ გზებს პოულობდა, არ გაეზიარებინა ეს სხვებისათვის, არ გაეჩინა მომხრენი. ყაზანში მან მალე იპოვა ასეთი მომხრეები, ახალგაზრდები, რომლებიც აგრეთვე სწავლობდნენ მარქსიზმს და რევოლუციურად იყვნენ განწყობილი.

იმის გამო, რომ ჩვენი ოჯახი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო, ეს ნაცნობები თითქმის არ დადიოდნენ ჩვენთან. ჩვეულებრივ ვალოდია მიდიოდა იმ ბინებში, სადაც ისინი იკრიბებოდნენ. იმ გვარებიდან, რომლებსაც ის მაშინ ახსენებდა, მხოლოდ ორი მახსოვს: ჩეტვერგოვა, ხანში შესული ნაროდოვოლეცი ქალი, რომელსაც ვალოდია დიდი სიმპათიით იხსენიებდა, და სტუდენტი — (აღარ მახსოვს, გარიცხული თუ არა) — ჩირიკოვი, მომავალი მწერალი-ბელეტრისტი, რომელიც შემდეგში რევოლუციას განუდგა და მტრების ბანაკშიც კი გადავიდა. დედისადმი ყურადღების გამო ვლადიმერ ილიჩი მაინც საკმაოდ ფრთხილი იყო. დედა ალექსანდრეს დაკარგვის უბედურებას განსაკუთრებული მხნეობით იტანდა და ეს უცხო პირებშიც იწვევდა განცვიფრებასა და პატივისცემას. მით უფრო ვგრძნობდით ამას ჩვენ, შვილები, რომელთა გულისთვისაც ნებისყოფის საშინელი დაძაბვით იკავებდა თავს დედა. ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მეუბ-

ნებოდა, რომ ვლადიმერ ილიჩმა მასაც უამბო, თუ რა გასაოცარი სიმტკიცით გადაიტანა დედამ ჯერ ჩვენი ძმის, შემდეგ კი ჩვენი დის ოლგას დაკარგვა.

დედის გავლენა ჩვენზე პატარაობიდანვე დიდი იყო. ამაზე უფრო დაწვრილებით სხვა ადგილას ვიტყვი, აქ კი გავიხსენებ ყაზანში ცხოვრების მხოლოდ ერთ ეპიზოდს. ვალოდიამ თამბაქოს წევა დაიწყო. დედა შიშობდა მისი ჯანმრთელობის გამო (ვალოდია ბავშვობასა და ყრმობაში არცთუ ისე ჯანსაღი იყო) და არწმუნებდა თავი დაენებებინა თამბაქოსათვის. როცა ამოსწურა თამბაქოს წევის მაენებლობის ყველა საბუთი, რომლებიც ჩვეულებრივ ნაკლებად მოქმედებენ ახალგაზრდებზე, დედამ უთხრა: საკუთარი შემოსავალი რომ არა გაქვს, არც კი უნდა აძლევდე თავს ნებას ზედმეტი ფული, თუნდაც კაპიკები (ჩვენ ყველა მაშინ დედის პენსიით ვცხოვრობდით) დახარჯოო. ეს მოსაზრება გადამწყვეტი აღმოჩნდა და ვალოდიამ მაშინვე — ერთხელ და სამუდამოდ — თავი დაანება თამბაქოს წევას. დედამ კმაყოფილებით მიამბო ეს შემთხვევა და დაუმატა: რა თქმა უნდა, საბუთი ხარჯის შესახებ გამოვიყენე როგორც უკანასკნელი ხერხი.

ვალოდია მიამბობდა რეფერატებზე, რომლებიც მათთან იკითხებოდა; ზოგი კრების შესახებ დიდი გატაცებით მომითხრობდა ხოლმე. გაზაფხულისათვის, როგორც ეს ყოველთვის ხდება, წრეების საქმიანობა უფრო გაცხოველდა, და საღამოობით ვალოდია ხშირად არ იყო შინ.

იმ დროს, როგორც ამას მაშინდელი წრეობრივი მუშაობის ამჟამად გამოცემული გამოკვლევები გვიჩვენებს, ყაზანში რამდენიმე წრე იყო. კონსპირაციის დაცვის გამო ამ წრეებს არამცთუ გაერთიანება, არამედ ერთმანეთთან შეხვედრაც არ შეეძლოთ. ზოგმა წევრმა სხვა წრეების არსებობაც კი არ იცოდა, ხოლო ზოგმა, თუ იცოდა ან ხვდებოდა მათ არსებობას, ის მაინც არ იცოდა, თუ ვინ შედიოდა სხვა წრეებში. გვარს, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვდა, არ ახსენებდნენ. ცენტრალურ

წრეში მაშინ შედიოდა მეტად აქტიური ახალგაზრდა რევოლუციონერი, მტკიცე სოციალ-დემოკრატი ნიკოლოზ ევგრაფის ძე ფედოსეევი.

ფედოსეევი, რომელიც ჯერ კიდევ გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდან გარიცხეს, ენერგიულ რევოლუციურ მუშაობას შეუდგა. ცენტრალურ წრესთან არსებობდა არალეგალური და აკრძალული წიგნების ბიბლიოთეკა, ხოლო გაზაფხულიდან აქ დაიწყეს ადგილობრივ გამოცემათა ხელახალი გამოცემისა და სხვა იძვიათი არალეგალური გამოცემების გადმობეჭდვის ტექნიკის მოგვარება. ვლადიმერ ილიჩს გაგონილი ჰქონდა ეს გეგმები, მაგრამ თვითონ ამ წრეში არ შედიოდა. პირადად იგი არც ფედოსეევს იცნობდა, მხოლოდ სხვების გადმოცემით იცოდა მის შესახებ. მაგრამ, როცა 1889 წლის ივლისში ყაზანში მომხდარ დაპატიმრებათა შესახებ შეიტყო, ვლადიმერ ილიჩმა მითხრა, რომ თვითონაც, ალბათ, ასევე ჩავარდებოდა; ფედოსეევი დააპატიმრეს, მისი წრე დაარბიეს, დააპატიმრეს აგრეთვე იმ წრის ზოგი წევრიც, რომელშიც ვლადიმერ ილიჩი შედიოდა. ილიჩი მაშინ იმან იხსნა, რომ 1889 წლის მაისში მთელი ოჯახი გადავსახლდით სამარის გუბერნიაში, სოფელ ალაკაევკის ახლომდებარე ხუტორში; ეს ხუტორი დედაჩემმა მ. ტ. ელიზაროვის[1] მეოხებით იყიდა. იმავე წლის შემოდგომიდან, მას შემდეგ, რაც მ. ტ. ელიზაროვს ცოლად გავყევი, მთელი ჩვენი ოჯახი სამარაში დამკვიდრდა.

ამრიგად, ვლადიმერ ილიჩმა ბედნიერად დააღწია თავი ყაზანში მომხდარ დაპატიმრებებს, რაც ფედოსეევს დაუჯდა დაახლოებით 2 ½ წლის პატიმრობა (ჯერ წინასწარ, ხოლო შემდეგ სასამართლოს განაჩენით) „ჯვრებში“ (ასე უწოდებდნენ პეტერბურგში ვიბორგის ციხეს, სადაც მსჯავრდადებულთ ათავსებდნენ). უფრო მიყრუებულ სამარაში გადასახლებამ ილიჩს იმის შესაძლებლობა მისცა, რომ შედარებით მშვიდად ემუშავა

[1] ჩემი ძმის, ალექსანდრე ილიას ძის ამხანაგი სტუდენტთა ვოლგის-პირეთის სათვისტომოდან. — ა. ე.

თავისი მარქსისტული მსოფლმხედველობის გამოსამუშავებლად, ხოლო უფრო გვიან — მომზადებულიყო გამოცდების ჩასაბარებლად უნივერსიტეტში. ზაფხულის გატარებამ ხუტორში, უაღრესად ჯანსაღ, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ადგილას, უეჭველია, განამტკიცა მისი ჯანმრთელობა.

IV. ᲪᲮᲝᲛᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲨᲘ

ვლადიმერ ილიჩი ცდილობდა კვლავ შესულიყო უნივერსიტეტში, მაგრამ მას დაჟინებით ეუბნებოდნენ უარს, ხოლო როცა ნება დართეს, ნაცვლად იმისა, რომ ჩაებარებინა უნივერსიტეტის დასამთავრებელი გამოცდები, იგი გულდაგულ შეუდგა სხვადასხვა იურიდიულ მეცნიერებათა გაზეპირებას და 1891 წელს ჩააბარა გამოცდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მაშინ ბევრს უკვირდა, რომ იგი, უნივერსიტეტიდან გარიცხული, რაღაც ერთ წელიწადში, სხვის დაუხმარებლად, საკურსო და ნახევრად საკურსო გამოცდების ჩაუბარებლად, ისე კარგად მოემზადა, რომ თავის კურსთან ერთად ჩააბარა გამოცდები. გარდა დიდი ნიჭისა, ვლადიმერ ილიჩს ამაში დაეხმარა დიდი შრომისუნარიანობაც.

მახსოვს, იმ ზაფხულს როგორ მოიწყო მან სამარის გუბერნიაში განმარტოებული კაბინეტი ხშირი ცაცხვების ხეივანში, სადაც მიწაში ჩაამაგრებინა მერხი და მაგიდა. დილის ჩაის შემდეგ, წიგნებით დატვირთული ილიჩი ისეთი სიზუსტით მიდიოდა იქ, თითქოს მკაცრი მასწავლებელი ელოდა; საკუთარი განმარტოებული, სადილობამდე, 3 საათამდე მთელ დროს იქ ატარებდა.

არც ერთი ჩვენგანი იმ ხეივანში არ დადიოდა, რომ ხელი არ შეგვეშალა მისთვის.

დილის საათებში სწავლას რომ მორჩებოდა, ნასადილევსაც იმ ხეივნისაკენ გასწევდა ხოლმე, თან მიჰქონდა წიგნი, რომელიც საზოგადოებრივ საკითხებს ეხებოდა. მაგალითად, მახსოვს, გერმანულად კითხულობდა ენგელსის „მუშათა კლა-

სის მდგომარეობას ინგლისში". მერე გაისეირნებდა, იბანავებდა, საღამოს ჩაის შემდეგ აივანზე გამოიტანდა ლამპას, რომ ოთახში კოღოები არ შეფრენილიყვნენ, და კვლავ წიგნს ჩაჰკირკიტებდა. მაგრამ თუ დაძაბულმა მეცადინეობამ ვლადიმერ ილიჩი უფრო გვიან წლებშიც ვერ აქცია პირქუშ წიგნის კაცად, მით უმეტეს ახალგაზრდობაში ვერ აქცია ასეთ კაცად. თავისუფალ დროს, სადილობისა თუ სეირნობისას, იგი ჩვეულებრივ ხუმრობდა და მასლაათობდა, დანარჩენებსაც ამხიარულებდა და თვითონაც გულიანად იცინოდა.

მან იცოდა მუშაობა ისე, როგორც არავინ, და დასვენებაც იცოდა ისე, როგორც არავინ.

რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა სამარაში, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ყაზანში — საუნივერსიტეტო ქალაქში, მაგრამ ასეთები აქაც მოიძებნებოდა. მათ გარდა, იყვნენ ხანში შესული ადამიანებიც, ყოფილი გადასახლებულნი, ციმბირიდან დაბრუნებულნი და მეთვალყურეობის ქვეშ მცხოვრებნი. ესენი, რასაკვირველია, ყველანი ნაროდნიკული ან ნაროდოვოლცური მიმართულებისა იყვნენ. მათთვის სოციალ-დემოკრატია ახალ რევოლუციურ მიმდინარეობას წარმოადგენდა; მათ ეგონათ, რომ რუსეთში ამისათვის შესაფერი ნიადაგი არ იყო. გადასახლების მიყრუებულ ადგილებში, ციმბირის ულუსებში ისინი თვალყურს ვერ ადევნებდნენ იმ ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის განვითარების მსვლელობაში, რომლებიც მათი მონაწილეობის გარეშე ხდებოდა და იქმნებოდა მსხვილ ცენტრებში. თვით ცენტრებშიც ცოტანი იყვნენ წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული მიმართულებისა, რომელსაც ჯერ კიდევ 1883 წელს საზღვარგარეთ ჩაუყარა საფუძველი „შრომის განთავისუფლების" ჯგუფმა. ეს იყო უმთავრესად ახალგაზრდობა.

ეს მიმართულება მხოლოდ გზას იკაფავდა. საზოგადოებრივი აზრის ბურჯებს ჯერ ისევ ნაროდნიკები წარმოადგენდ-

ნენ: ვორონცოვი (ვ. ვ.), იუჟაკოვი, კრიეენკო, ხოლო აზრთა მპყრობელი იყო კრიტიკოსი და პუბლიცისტი მიხაილოვსკი, რომელსაც წინათ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ნაროდოვოლ-ცებთან. ამ უკანასკნელმა, როგორც ცნობილია, 1894 წელს აშკარა ბრძოლა დაიწყო სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მაშინდელი ყველაზე მოწინავე ჟურნალის — „რუსკოე ბოგა-ტსტვოს“ ფურცლებზე. დამკვიდრებულ შეხედულებებთან საბრძოლველად საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, შეიარაღება როგორც თეორიული ცოდნით — მარქსის შესწავლა, ისე მა-სალითაც ამ ცოდნის გამოსაყენებლად რუსეთის სინამდვილე-ში — ჩვენი მრეწველობის, ჩვენი მიწათმოქმედების და სხვათა განვითარების სტატისტიკური გამოკვლევების შესწავლა. ამ ხასიათის შემაჯამებელი შრომები თითქმის არ მოიძებნებოდა; საჭირო იყო პირველწყაროების შესწავლა და მათ საფუძველ-ზე საკუთარი დასკვნების გამოყვანა. ამ დიდ და ხელუხლებ სამუშაოს მოჰკიდა ხელი ვლადიმერ ილიჩმა სამარაში.

ილიჩი განაგრძობდა მარქსისა და ენგელსის ყველა ნაშრო-მის სერიოზულ შესწავლას (ზოგი მათგანი, მაგალითად, „ფი-ლოსოფიის სიღატაკე“, მაშინ მხოლოდ უცხო ენებზე იყო); ამავე დროს იგი გაეცნო ნაროდნიკთა ყველა თხზულებას და მათ შესაბოწმებლად, იმის გამოსარკვევად, შესაძლებელია თუ არა რუსეთში სოციალ-დემოკრატია, ხელი მოჰკიდა სტატის-ტიკურ გამოკვლევებს. პარტისტის სამარის განყოფილების ახალი მონაცემები ცხადყოფენ, თუ რაოდენ ბევრი წიგნი გა-მოჰქონდა ამ საკითხებზე ვლადიმერ ილიჩს საქალაქო ბიბლიო-თეკიდან. კითხვისა და შესწავლისას იგი რეფერატებსაც წერ-და წაკითხულის გამო. ეს რეფერატები სქელტანიან რვეულს შეადგენენ, ერთი მათგანია პოსტნიკოვის წიგნის („სამხრეთ რუსეთის გლეხური მეურნეობა“) შესახებ დაწერილი ნაშრომი სათაურით: „ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვ-რებაში“[1].

[1] დაბეჭდილია ლენინის თხზულებათა I ტომში. — ა. ე.

როგორც ცნობილია, მიწათმოქმედებაში მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება უფრო ადრე დაიწყო სამხრეთ რუსეთში, ვიდრე ცენტრსა და ჩრდილოეთში. აქ წარმოიშვნენ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ეკონომიები, რომლებშიც შრომობდნენ დიდი რაოდენობის უმიწაწყლო მუშა-მოჯამაგირეები. ამიტომ სამხრეთ რუსეთის მიწათმოქმედების მდგომარეობა განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ თვალსაზრისით, თუ რა მიმართულებით ვითარდებოდა ჩვენი მეურნეობა. რა თქმა უნდა, პოსტნიკოვი სულაც არ იზიარებდა რევოლუციურ თვალსაზრისს და ვლადიმერ ილიჩმა უყურადღებოდ დატოვა მისი მითითებანი სხვადასხვა რეფორმებზე: მან ამ ნაშრომიდან ფაქტიური მასალა აიღო და ამ მასალისგან თავისი დასკვნები გამოიყვანა.

ეს რეფერატი, ისევე როგორც მარქსიზმის შესასწავლად შანამდე დაწერილი სხვა რეფერატები (მაგალითად, „ფილოსოფიის სილატაკის“ მოკლე შინაარსი და ნაროდნიკების —ვ. ვ. (ვორონცოვის), იუჟაკოვის წინააღმდეგ დაწერილი რეფერატები) ვლადიმერ ილიჩმა ადგილობრივი ახალგაზრდების წრეებში წაიკითხა. ვლადიმერ ილიჩმა სამარაში სხვებზე ადრე გაიცნო ვადიმ ანდრიას ძე იონოვი— ჩემი მეუღლის—მარკ ტიმოთეს ძე ელიზაროვის მეგობარი. იონოვი ვლადიმერ ილიჩზე უხნესი იყო და ნაროდოვოლცთა თვალსაზრისზე იდგა. იმ დროს სამარის ახალგაზრდობაში იონოვი ნამდვილად ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო და გავლენით სარგებლობდა. ვლადიმერ ილიჩმა იგი თანდათანობით მიიმხრო. ვლადიმერ ილიჩის შეხედულებანი სავსებით გაიზიარა მისმა თანატოლმა— ალექსი პავლეს ძე სკლიარენკომ (პოპოვმა), რომელიც წინათ სამარის გიმნაზიიდან გარიცხეს და რომელსაც ახლა თავისი პირველი საქმის გამო უკვე მოხდილი ჰქონდა „ჯვრებში“ პატიმრობანი. სკლიარენკოს გარშემო თავს იყრიდნენ ახალგაზრდები— სემინარისტები და საფერშლო სკოლის მოსწავლე ქალები. სწორედ ამ წრეში, აგრეთვე ნაროდნიკულ წრეებშიც გა-

მოდიოდა ვლადიმერ ილიჩი; ნაროდნიკულ წრეებში გაცხოველებით კამათობდნენ ხოლმე. ბევრს დავობდნენ აგრეთვე ძველ ნაროდოვოლცებთან შეხვედრისა და საუბრისას. მათგან ვლადიმერ ილიჩი ყველაზე ხშირად ხვდებოდა ალექსანდრე ივანეს ძე ლივანოვს, რომელსაც დიდად აფასებდა მისი რევოლუციური წრთობის გამო.

ვლადიმერ ილიჩს უნარი ჰქონდა ყველგან შეეთვისებინა რაც უკეთესი იყო; იგი არა მარტო ბათილებდა ლივანოვისა და სხვა ნაროდოვოლცთა შეხედულებებს, არამედ ამასთანავე მათგან იძენდა რევოლუციურ ჩვევებს, ინტერესით ისმენდა და იმახსოვრებდა მონაყოლს რევოლუციური ბრძოლის ხერხების, კონსპირაციის მეთოდების, პატიმრობის პირობებისა და საპყრობილიდან გარეთ კავშირის გაბმის შესახებ; ისმენდა მონაყოლს ნაროდნიკთა და ნაროდოვოლცთა პროცესების შესახებ. ალექსანდრე ივანეს ძე გულისხმიერი და თავაზიანი იყო, მას თავი ისე როდი ეჭირა როგორც ბევრ მოხუცს სჩვევია, ვითომდა შენ ახალგაზრდა, გამოუცდელი ხარო. ვლადიმერ ილიჩის დიდი გამბედაობა და შეურიგებლობა მეტწილ მოკამათეს მხოლოდ ახალგაზრდულ სიფიცხედ და მეტისმეტ თვითდაჯერებულობად მიაჩნდა. არც იმ წლებში. როცა სამარაში ცხოვრობდა, და არც უფრო გვიან ილიჩისათვის არ უპატიებიათ მწვავე თავდასხმები საზოგადოებრივი აზრის ისეთ აღიარებულ ბურჯებზე, როგორიც იყვნენ მიხაილოვსკი, ვ. ვ., კარეევი და სხვ.. ვლადიმერ ილიჩის მიერ სამარაში გატარებული ოთხივე ზამთრის განმავლობაში მოწინავე საზოგადოების უფრო სოლიდური ფენები მას უყურებდნენ, როგორც მეტად ნიჭიერ, მაგრამ მეტად თავისმოიმედე და ფიცხ ჰაბუკს. მხოლოდ ახალგაზრდობის, მომავალი სოციალ-დემოკრატების წრეებში სარგებლობდა ილიჩი უსაზღვრო პატივისცემით. ვლადიმერ ილიჩის მიერ ვ. ვ.-ის, იუჟაკოვის, მიხაილოვსკის თხზულებათა შესახებ სამარის წრეებში წაკითხულმა რეფერატებმა, რომლებიც შემდეგში რამდენადმე გადამუშავებულ იქნა, შეადგინა სამი რვეული საერთო

სათაურით: „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ ერთი ასეთი რვეული დღესაც ნაპოვნი არაა, ორი დანარჩენი კი მის თხზულებათა სრულ კრებულში შევიდა და, როგორც მართებულად იყო აღნიშნული, უკვე შეიცავენ ლენინის მიერ შემდეგში განვითარებულ შეხედულებათა მთავარ საფუძვლებს, ლენინიზმის საფუძვლებს.

მაგრამ სამარის პერიოდში ვლადიმერ ილიჩმა მარტო თეორიული სკოლა როდი გაიარა. რუსი გლეხობისათვის ასეთ ტიპიურ გუბერნიაში ცხოვრებამ მას მისცა ამ საზოგადოებრივი ფენის ის დიდი ცოდნა და გაგება, რაც შემდეგში ეგზომ გვაოცებდა ყველას. ამ ცოდნამ უდიდესი როლი შეასრულა როგორც ჩვენი პროგრამის აგრარული ნაწილის ჩამოყალიბებასა და მთელ რევოლუციამდელ ბრძოლაში, ისე ჩვენი პარტიის „შენებლობაში გამარჯვების შემდეგ. ცოდნის შეძენა კი ვლადიმერ ილიჩს შეეძლო ყველგან.

სკლიარენკო მდივნად მუშაობდა მომრიგებელ-მოსამართლე სამოილოვთან, იდეურ და მოწინავე ადამიანთან. საქმის გასარჩევად თავის უფროსთან ერთად სკლიარენკოს უხდებოდა სოფლებში მოგზაურობა, საჩივრებით ქალაქს ჩამოსული გლეხების მიღება და, ამრიგად, მას მაზრაში გლეხობის მდგომარეობის შესახებ ძვირფასი ცნობები უგროვდებოდა. თავის დაკვირვებებს ის ვლადიმერ ილიჩს უზიარებდა. ამ საკითხებზე ვლადიმერ ილიჩი ესაუბრებოდა თვით სამოილოვსაც და სხვა ნაცნობებსაც, რომლებსაც გლეხობასთან მრავალნაირი ურთიერთობა ჰქონდათ. მაგრამ ყველაზე მეტი მასალა მან მიიღო მარკ ტიმოთეს ძე ელიზაროვის ნაამბობიდან; მ. ტ. ელიზაროვი წარმოშობით სამარის გუბერნიის გლეხობას ეკუთვნოდა და თანასოფლელებთან მას კვლავ მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ილიჩი მარკ ტიმოთეს ძის უფროს ძმას— პავლე ტიმოთეს ძესაც ესაუბრებოდა. ეს უკანასკნელი ეგრეთწოდებული „ღონიერი“ გლეხი იყო, რომელიც გამდიდრდა იმით, რომ იჯარით იღებდა ახლო-

მდებარე საუფლისწულო (ე. ი. მეფის ოჯახის კუთვნილ) ქიწებს და იჯარითვე აძლევდა გლეხებს. მას, ყველაზე მეტად პოპულარულ პირს სოფელში, უცვლელად ირჩევდნენ ერობის ხმოსნად. როგორც მისი ტიპის ყველა ადამიანი, იგი ისწრაფოდა დაემრგვალებინა კაპიტალი, გარეულიყო ვაჭრებში, რასაც შემდეგ კიდევაც მიაღწია. მახსოვს, მაოცებდა, რა დიდხანს, რა ინტერესით შეეძლო ვალოდიას ესაუბრა ამ, თითქმის უწიგნურ და ყოველ იდეალს მოკლებულ კულაკთან. ეხოლოდ გვიან მივხვდით, ილიჩმა მისგან მიიღო ცნობები გლეხობის ცდგომარეობაზე, გლეხობის ფენებად დაშლაზე, სოფლის ეკონომიური ზედაფენის შეხედულებებსა და მისწრაფებებზე. ილიჩი, როგორც ყოველთვის, გულიანად იცინოდა ვაჭრის ზოგიერთ ნაამბობზე; ეს უკანასკნელიც უაღრესად კმაყოფილი იყო მისდამი გამოჩენილი ყურადღებით და დიდი პატივისცემით ეკიდებოდა ვლადიმერ ილიჩის ჭკუას. მაგრამ მას ვერ გაეგო, რომ ვალოდია ხშირად იცინოდა არა იმაზე, თუ რა მარჯვედ ჩარხავდნენ თავიანთ საქმეებს სოფლის ვაჭრები, არამედ ნაროდნიკებზე, მათს მიამიტ რწმენაზე, რომ თითქოს გლეხური წყობა მყარია, რომ თემი მტკიცეა.

ამ საუბრებში მეღავნდებოდა ილიჩის დამახასიათებელი უნარი, ესაუბრა ყოველნაირ ხალხთან, ეთქმევინებინა თვითეულისთვის ის, რაც მას სჭირდებოდა; იმის უნარი, რომ ნიადაგს არ მოსწყვეტოდა, თეორიას არ შთაენთქა და ფხიზლად ჩაკვირვებოდა გარემო ცხოვრებას, გულისხმიერად მოჰკიდებოდა მის მაჯისცემას. მას უნარი ჰქონდა გარკვეული თეორიის მტკიცე მიმდევარი ყოფილიყო და ამავე დროს ფხიზლად გაეთვალისწინებინა დაუცხრომლად მჩქეფარე გარემო ცხოვრების ყველა თავისებურება, ერთი წუთითაც არ დაეკარგა თვალთაგან პრინციპული გეზი, აგრეთვე ერთი წუთითაც არ მოსწყვეტოდა მშობლიურ რუსულ ნიადაგს, რომელზეც ის იდგა;— აი ეს შეთავსება იყო, როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნულა, ილიჩის ძალისა და მნიშვნელობის მთავარი წყარო. მაგ-

რამ მისი სიყმაწვილის წლებში გაცხოველებული მასლაათისა და ხუმრობის მიღმა, უზრუნველი სიცილ-ხარხარის მიღმა, ვეჭვობ, ვინმეს შეემჩნია ეს წყარო. იგი არასოდეს არ ლაპარაკობდა მწიგნობრული ენით, თავს არავის ახვევდა თავის თეორიას, მოცალეობისას იცოდა მხიარულება, გულალალი ამხანაგობა, მაგრამ იცოდა ამ მოცალეობის გამოყენებაც იმისათვის, რომ გულისხმიერად დაკვირვებოდა გარემო ცხოვრებას და ამოერჩია ამ ცხოვრებაში ის, რაც ძვირფასი და საჭირო იყო მის გზაზე, მისი ცხოვრების ამოცანისათვის.

გლეხებთან უშუალო ურთიერთობიდან ბევრი რამ გადმოიღო ვლადიმერ ილიჩმა ალაკაევკაშიც, სადაც ხუთი ზაფხული ზედიზედ გაატარა, ყოველ წელიწადს სამ-სამი, ოთხ-ოთხი თვე, აგრეთვე სოფელ ბესტუჟევკაში, სადაც ის და მარკ ტიმოთეს ძე ერთად დადიოდნენ ამ უკანასკნელის ნათესავებთან. მაგრამ როცა საუბრებში გლეხთა საერთო მდგომარეობას ეცნობოდა, ილიჩი ცდილობდა უფრო მეტი მოესმინა მათგან და ნაკლები ელაპარაკა,— ყოველ შემთხვევაში თავის რწმენას არ გამოთქვამდა. და არა მარტო იმიტომ, რომ მას ანგარიში უნდა გაეწია მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნისათვის. არა, მან იცოდა, რომ გლეხობას უშუალოდ რევოლუციითა და სოციალიზმით ვერ მიუდგები, რომ ამით უნდა მიხვიდე სხვა ფენასთან, მრეწველობის მუშათა ფენასთან; იგი მათთვის ზოგაედა თავის თავს. ილიჩისათვის უცხო იყო ყოველგვარი ცარიელი ფრაზა, საქმე კი,— მან ეს იცოდა,—გლეხობასთან ლაპარაკით მაშინ ვერ გაკეთდებოდა.

ასე შეუმჩნეველად ვითარდებოდა და იზრდებოდა პროვინციულ ქალაქში და განმარტოებული ხუტორის მყუდროებაში ის ლენინი, რომელმაც საფუძვლები ჩაუყარა საკ. კპ(ბ)-ს და გამარჯვებისაკენ წაიყვანა იგი, ხოლო გამარჯვების შემდეგ წარუძღვა მას მშენებლობისაკენ, რომელიც ამ საფუძვლებს ეყრდნობოდა.

სამარაში ცხოვრების წლები და უფრო ადრე ყაზანს გატარებული ერთი წელი მხოლოდ მოსამზადებელი წლები იყო მისი მუშაობისათვის, რომელიც შემდეგ ასე ფართოდ გაიშალა. მაგრამ ამასთან ერთად ეს წლები ყველაზე მნიშვნელოვანი წლებია ვლადიმერ ილიჩის ცხოვრებაში: ამ წლებში მომწიფდა და ჩამოყალიბდა საბოლოოდ მისი რევოლუციური ფიზიონომია.

V. ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ნ. ლენინის) რევოლუციური მუშაობის დასაწყისი

1. სამარიდან პეტერბურგს

1893 წლის შემოდგომაზე ვლადიმერ ილიჩი სამარიდან პეტერბურგს გადავიდა იმ მიზნით, რომ რევოლუციური მუშაობისათვის მოეკიდა ხელი. უნივერსიტეტის დასამთავრებელი გამოცდები მან ჯერ კიდევ 1891 წელს ჩააბარა. სამარა გასაქანს ვერ მისცემდა მის მოღვაწეობას, იგი ფრიად მცირე საზრდოს აძლევდა მის გონებას. მარქსიზმის თეორიული შესწავლა, რაც მას სამარაშიც შეეძლო, უკვე დამთავრებული ჰქონდა.

მაშ რატომ არ გაემგზავრა იგი 1892 წლის შემოდგომაზე, როცა უკვე დაამთავრა უნივერსიტეტი, რისთვის დარჩა კიდევ ერთი წელიწადი სამარაში?

ამ კითხვაზე შემიძლია ასე ვუპასუხო: დედის გულისათვის.

მისი ბავშვობისა და სიყმაწვილის წლების აღწერისას უკვე ვთქვი, თუ რა დიდი ავტორიტეტი ჰქონდა დედას და რა მხურვალე სიყვარულით ეპყრობოდა მას ვალოდია, ისევე როგორც ყოველი ჩვენგანი. ის სიმტკიცე, რომლითაც დედა თავის მძიმე უბედურებას იტანდა, ყველას აოცებდა. ვინც კი მას იცნობდა,— მით უმეტეს ამას ვგრძნობდით შვილები. უფროსი ძმის დაკარგვით გამოწვეული უბედურება მეტისმეტად მძიმე

იყო, მაგ´ ამ ამ უბედურებამ მაინც ვერ გატეხა დედა, მან იმ-დენი ნებისყოფა გამოიჩინა, რომ შეძლებისამებრ გვიმალავ-და ცრემლსა და დარდს, უწინდებურად და კიდევ უფრო მე-ტად ზრუნავდა ბავშვებზე, რადგან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარტო მას უხდებოდა შვილების მოვლა-პატრონობა.

რამდენადაც შეეძლო, დედა ცდილობდა არ დაესევდიანე-ბია შვილების ახალგაზრდული ცხოვრება, მიეცა მათთვის იმის საშუალება, რომ შეექმნათ თავისი მომავალი, თავისი ბედნიერება... დედას ესმოდა შვილების რევოლუციური მია-წრაფებანი.

ეს მზრუნველობა ისეთი გასაოცარი იყო, მაგალითი, რო-მელსაც ის შვილებს უჩვენებდა, ისეთი მშვენიერი იყო, რომ შვილებს სურდა დაემშვიდებინათ დედის ცხოვრება, შეემსუ-ბუქებინათ მისი მწუხარება. იმ წელს კი, რთცა ვლადიმერ ილიჩმა უნივერსიტეტი დაამთავრა, ოჯახს ახალი უბედურება დაატყდა თავს: პეტერბურგში მუცლის ტიფისაგან გარდაი-ცვალა ილიჩის და ოლგა. ვლადიმერ ილიჩი სწორედ მაშინ, გაზაფხულზე, ჩავიდა პეტერბურგს გამოცდების პირველი ნა-ხევრის ჩასაბარებლად, მან წაიყვანა ოლგა საავადმყოფოში (სამწუხაროდ, ძალიან ცუდ საავადმყოფოში მოხვდა) და შემ-დეგ, როცა იგი ცუდად გახდა, დეპეშით გამოიძახა დედა. მხოლოდ ვლადიმერ ილიჩი იყო დედასთან პირველ, ყველაზე მძიმე დღეებში. დედა მან ჩამოიყვანა სამარაში. ილიჩი ხედავ-და ამ ახალი უბედურების დროსაც რა რიგ იჩენდა დედა მხნეობას, უწინარეს ყოვლისა, გულისხმიერებას დანარჩენე-ბის მიმართ.

დედა ცდილობდა გამკლავებოდა მწუხარებას, მაგრამ, მაინც, რა თქმა უნდა, ძლიერ იტანჯებოდა. ოლგა მშვენიერი, თვალსაჩინო ნიჭის და დიდი ენერგიის მქონე ქალიშვილი იყო.

იგი 1890 წლის შემოდგომაზე გაემგზავრა პეტერბურგში ქალთა უმაღლეს კურსებზე სასწავლებლად. არც ყაზანში და მით უმეტეს არც სამარაში ქალთა უმაღლესი სასწავლებელი

არ იყო, მას კი ძლიერ წყუროდა სწავლა. კურსებზე მან პირველ წელსვე გამოიჩინა თავი ცოდნით და მუშაობის უნარით; მისი მეგობრები — ზ. პ. ნევზოროვა-კრჟიჟანოვსკაია, ტოვონსკაია, განსვენებული ა. ა. იაკუბოვა — ახასიათებდნენ მას როგორც შესანიშნავ ქალიშვილს, რომელიც მათი კურსის თვალი იყო. მეგობრები, თუ რამ გაურკვეველი და ბუნდოვანი ჰქონდათ, მას მიმართავდნენ ხოლმე. მან კი ზიანი მოუტანა თავის თავს იმით, რომ უკვე ავადმყოფი უხსნიდა სხვებს ქიმიასა და სხვა საგნებს დაწყებული გამოცდებისათვის. ოლღა ეძებდა აგრეთვე საზოგადოებრივი მუშაობის გზებსაც და, უეჭველია, იგი გამოჩენილი და თავდადებული რევოლუციონერი ქალი დადგებოდა. მისი დაკარგვის შემდეგ დედის მწუხარებას რამდენადმე შეამსუბუქებდა მხოლოდ ერთი რამ: დანარჩენი შვილების სიახლოვე და ვალოდიაც კიდევ ერთ წელს დარჩა შინ, სამარაში.

მაგრამ ამ უკანასკნელი ზამთრის მიწურულისათვის იგი ხანდახან უკვე საკმაოდ დაღვრემილი იყო, რადგან უფრო მჩქეფარე ცენტრისაკენ, რევოლუციური მუშაობის ასპარეზისაკენ ისწრაფოდა: სამარა იმ წლებში მხოლოდ ერთგვარი სადგური იყო ციმბირიდან — ნამდვილი გადასახლებიდან — გონებრივი ცხოვრების ცენტრებისაკენ — დედაქალაქების და საუნივერსიტეტო ქალაქებისაკენ მიმავალ გზაზე.

მეხსიერებაში ჩამრჩა ვალოდიასთან საუბარი ა. ჩეხოვის ახალ მოთხრობაზე — „პალატა № 6“, რომელიც იმ ზამთარს გამოქვეყნდა ერთ-ერთ ჟურნალში. ვალოდია ამბობდა, რომ ეს მოთხრობა ნიშიერადაა დაწერილი და ის ძლიერი შთაბეჭდილება, რაც ამ მოთხრობამ მოახდინა,— მას საერთოდ უყვარდა ჩეხოვი, — საუკეთესოდ განსაზღვრა შემდეგი სიტყვებით: „როდესაც გუშინ საღამოს ამ მოთხრობის კითხვა დავასრულე, პირდაპირ შემზარა. ოთახში ვერ გავძელი, ავდექი და გამოვედი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მე ჩავემწყვდიეთ № 6 პალატაში“. ეს მოხდა გვიან საღამოს. ყველა თავთავის

კუთხეში იყო წასული ან უკვე ძილს მისცემოდა. ხმის გამცემი არავინ ჰყავდა.

ვალოდიას ამ სიტყვებმა ჩემს თვალწინ ფარდა ახადა მის სულიერ მდგომარეობას: სამარა მისთვის უკვე ასეთ „№ 6 პალატად" იქცა, იგი ილტვოდა მისგან სწორედ ისე, როგორც ჩეხოვის უბედური ავადმყოფი. მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ზომავალ შემოდგომასვე წავიდოდა სამარიდან. მაგრამ მან არ მოისურვა დარჩენილიყო მოსკოვში. სადაც მთელი ჩვენი ოჯახი გაემგზავრა უმცროს ძმასთან — მიტიასთან ერთად, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში შედიოდა. მან გადაწყვიტა დაბინავებულიყო უფრო ცოცხალ, გონებრივ და რევოლუციურ ცენტრში — პიტერში. პიტერელები მოსკოვს მაშინ დიდ სოფელს უწოდებდნენ. იმხანად მოსკოვს ჯერ კიდევ ბევრი რამ პროვინციული ახასიათებდა, ვალოდიას კი მოყირჭებული ჰქონდა, ყელში ამოსდიოდა პროვინცია. გარდა ამისა, მას განზრახული ჰქონდა კავშირი გაება მუშებთან, ჯეროვნად მოეკიდა ხელი რევოლუციური მუშაობისათვის და, ალბათ, ამის გამოც ამჯობინა დამოუკიდებლად, ოჯახს გარეთ დაბინავებულიყო, რომ ოჯახის დანარჩენი წევრები ეპვის ქვეშ არ მოექცია.

გვიან შემოდგომაზე, როცა უკვე მოსკოვში მოვეწყვეთ, მე და დედა პიტერს გავემგზავრეთ ვალოდიას მოსანახულებლად. ამასთან დედას სპეციალური მიზანი ჰქონდა: ეყიდა ვალოდიასთვის ზამთრის პალტო. ვალოდია მუდამ უაღრესად არაპრაქტიკული იყო ცხოვრების ყოველდღიურ საქმეებში,— უნარი არ ჰქონდა და არც უყვარდა ეყიდა თავისთვის რაიმე, შემდეგშიც ჩვეულებრივ ამ ამოცანას დედა ან მე ვკისრულობდით. ამ მხრივ ის მთლად მამას ჰგავდა, რომლისთვისაც დედა უკვეთავდა კოსტიუმებს და ირჩევდა საკოსტუმე მასალას; მამაც ვალოდიასავით მეტად გულგრილი იყო ჩაცმა-დახურვის მიმართ, მიეჩვეოდა ნივთებს და თავისი ინიციატივით, მგონი, არასოდეს შეცვლიდა მათ. ვალოდია ამ მხრივ. ისევე როგორც ბევრ სხვა რამეში, პირწავარდნილი მამა იყო.

2. ახალი ნაცნობობა და ურთიერთობა

პეტერბურგში რომ ჩავიდა. ვლადიმერ ილიჩი ნაცნობებს ცოტ-ცოტაობით, წინდახედულად იძენდა: იცოდა, რომ მთავრობა მას სხვა თვალით უყურებდა როგორც ალექსანდრე ილიას ძის ძმას; ხედავდა, რა ხშირად ისჯებოდა ახალგაზრდობა გაუფრთხილებელი ლაყბობის გამო ისე, რომ ვერაფრის გაკეთებას ვერ ასწრებდა. ილიჩისათვის უცხო იყო ყოველგვარი ყბედობა და ცარიელი ფრაზა: მას სურდა თავისი ცოდნა, თავისი მუშაობა იმ ფენაში შეეტანა, რომელიც რევოლუციას მოახდენს, შეეტანა მუშათა ფენაში. იგი ცდილობდა გასცნობოდა იმათ, რომლებიც იზიარებდნენ მის შეხედულებებს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ რევოლუციას ვერ მოახდენდა ვერც გლეხობა, რომელიც ვითომდა სოციალისტურად იყო განწყობილი და ვითომდა იზიარებდა წინაპართა კომუნისტურ რწმენასა და ჩვეულებს და ვერც ინტელიგენციის თავგანწირული, სიკეთილისათვის მზადმყოფი, მაგრამ ძარტოხელა წარმომადგენელნი. იგი ეძებდა ისეთებს, რომლებმაც მასავით მტკიცედ იცოდნენ, რომ რუსეთში რევოლუციას ან მუშათა კლასი მოახდენს ანდა რევოლუცია სულაც არ იქნება (პლეხანოვის სიტყვებია). ასეთი პირები, სოციალ-დემოკრატები, მაშინ უმცირესობას შეადგენდნენ. რევოლუციურად განწყობილ განათლებულ პირთა უმრავლესობა ნაროდნიკთა და ნაროდოვოლცთა შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ რადგან ორგანიზაცია უკვე დანგრეული იყო და არაფერი აღ კეთდებოდა, აქტიურობას ცოტა ვინმე თუ იჩენდა, ჭარბობდა ლაპარაკი, ხმაური. ვლადიმერ ილიჩი ცდილობდა შორს დაეჭირა თავი სწორედ ამ ინტელიგენტური ყბედობისაგან. პოლიციას, ხელისუფლებას მაშინაც უფრო საშიშრად მიაჩნდა ნაროდოვოლცთა წარმომადგენლები, რომლებიც ძალადობას მიმართავდნენ, სხვებსაც ხოცავდნენ და თავის სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებდნენ. მათთან შედარებით სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მშვიდობიან პრო-

პაგანდას მუშებში, ნაკლებ საშიშრად მიაჩნდათ. „წრე პატარაა და ოდესღაც, ორმოცდაათი წლის შემდეგ, ვინ იცის, რა იქნებაო“, — ამბობდა სოციალ-დემოკრატებზე პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ზვოლიანსკი.

საზოგადოებასაც დაახლოებით ასეთივე შეხედულება ჰქონდა სოციალ-დემოკრატებზე. თუ იმ დროის ფიქრთა ისეთი მპყრობელიც კი, როგორიც მიხაილოვსკი იყო, იმდენად ვერ ერკვეოდა მარქსის შეხედულებებში, რომ ვერ ხედავდა — ან ჩქმალავდა — ამ შეხედულებების რევოლუციურ მნიშვნელობას, ფართო ფენებზე რაღა ითქმოდა. მარქსი თითქმის არავის წაეკითხა, სოციალ-დემოკრატებზე უმთავრესად წარმოდგენა ჰქონდათ მათი ლეგალური საპარლამენტო მოღვაწეობით გერმანიაში. რუსეთში იმ დროს პარლამენტის ხსენებაც არ იყო, ამიტომ მოუსვენარ ახალგაზრდობას, რომელსაც რევოლუციური მუშაობა სწყუროდა, ეგონა, რომ რუსი სოციალ-დემოკრატები მარტოოდენ დამშვიდებულ ცხოვრების გზას ირჩევდნენ: მარქსის ნაწერებს იკითხავდნენ კანტიკუნტად და დაუცდიდნენ, როდის აღმობრწყინდებოდა თავისუფლების ცისკარი რუსეთის ცაზე. მათ ეგონათ, რომ მარქსის ობიექტივიზმი აქ უკეთეს შემთხვევაში უბრალოდ საფარი იყო მოდუნებულობისა, ბებრული გონივრულობისა, ხოლო უარეს შემთხვევაში — ეგოისტური ინტერესებისა. ასე უყურებდნენ მარქსის რუს მოწაფეებს ძველი რევოლუციონერები, რომლებიც ბრუნდებოდნენ კატორღიდან და გადასახლებიდან და რომელთაც ავტორიტეტი ჰქონდათ ახალგაზრდობას შორის. მათი სიჭაბუკე იყო მგზნებარე, თამამი მისწრაფება ყოვლისმძლე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ისინი, როცა ხალხში მიდიოდნენ, თავს ანებებდნენ წიგნებს, აფურთხებდნენ დიპლომს... ეს ძველი რევოლუციონერები რაღაც სევდით და მიუხვედრელად შესცქეროდნენ ახალ, როგორღაც არაყმაწვილურად სოლიდურ ახალგაზრდობას, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნდა ირგვ-

ლივ შემოეწყო მეცნიერული წიგნების სქელტანიანი ტომები, მაშინ როცა თვითმპყრობელობის პირობებში ჯერ არაფერი შეცვლილიყო და ხალხის მდგომარეობა კვლავ სავალალო იყო. ამაში ისინი რაღაცნაირ გულგრილობას ხედავდნენ. ისინი მზად იყვნენ ამ ახალგაზრდობისათვის ნეკრასოვის სიტყვებით ეთქვათ:

> რა ღირსეული მოქალაქეა
> თუ სამშობლოსთვის ცივი გული აქვს,
> მისი ყველაზე მძიმე ნაკლია...

ყოველი დრო თავის მოთხოვნებს აყენებს ხოლმე და ჩვეულებრივ ისე ხდება, რომ ძველი თაობის წარმომადგენლებს ცუდად ესმით იდეალები და მისწრაფებანი ახალი თაობისა, რომელმაც აზროვნება შეცვლილ საზოგადოებრივ პირობებში დაიწყო. ხოლო რუსეთში თუ პოლიტიკური პირობები ადრინდელი დარჩა, ეკონომიური პირობები ძლიერ იცვლებოდა: კაპიტალიზმი სულ უფრო დიდ სფეროებში იჭრებოდა, სულ უფრო უეჭველი ხდებოდა, რომ ჩვენი განვითარების გზაც ისევე წარიმართება როგორც დასავლეთში, რომ რევოლუციის ბელადი ჩვენშიც, ისევე როგორც იქ, პროლეტარიატი იქნებოდა. ძველი ნაროდნიკული შეხედულების მომხრეებს კი, რომლებსაც არ ესმოდათ, რომ აქ საქმე დამოკიდებულია არა ვინმეს გულგრილობაზე, ან ვინმეს ბოროტ სურვილზე, არამედ იმაზე, რომ ასეთია განვითარების მსვლელობა და მის წინააღმდეგ თვით უმამაცესი თავგანწირვითაც ვერას გახდები, ეგონათ, თითქოს მარქსისტები ბრმად მიჰყვებოდნენ დასავლეთის გზას და სურდათ ფაბრიკის ქვაბში გამოეხარშათ მთელი გლეხობა, გლეხობას კი, მათი რწმენით, ახასიათებდა კომუნისტური შეხედულებანი, რის მეოხებითაც მას შეეძლო თითქოს გვერდი აევლო კაპიტალიზმის მძიმე გზისათვის, კაპიტალიზმისა, რომელსაც, განსაკუთრებით თავის პირველ სტადიაში, აურაცხელი უბედურება და ტანჯვა მოაქვს ხალხისათვის. „უმჯობესია უკაპიტალიზმოდ", — ამბობდნენ ისინი ვ. ვ. (ვორონცოვის), იუკა-

ყოვის და სხვა ნაროდნიკთა პირით და ცდილობდნენ ეპოვათ იმის უტყუარი საბუთი, რომ ეს „უმჯობესი“ შესაძლებელია. ისინი გამოთქვამდნენ გულისწყრომას მარქსისტების მიმართ, როგორც ადამიანი, რომელსაც არ ესმის რომელიმე ოპერაციის აუცილებლობა და გულისწყრომას გამოთქვამს ხოლმე ვითომდა გულგრილი და უგრძნობი ექიმის მიმართ, რომელიც აუღელვებლად აყენებს ავადმყოფს ამ ოპერაციასთან დაკავშირებულ ტკივილებს და არ ცდილობს იოლად წავიდეს იმით. რაც „უმჯობესია“.

ამ გულკეთილ „უმჯობესია უკაპიტალიზმოდ“-ს ვლადიმერ ილიჩი ძალიან გესლიანად დასცინოდა იმ პერიოდის ზეპირ გამოსვლებშიც და პირველ ნაშრომებშიც, რომლებიც უმთავრესად ნაროდნიკების კრიტიკას მიეძღვნა. მკითხველს შეუძლია წაიკითხოს ჩვენ მიერ უკვე ხსენებული მისი თხზულება: „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“, რომელიც ილიჩის იმ პერიოდის შეხედულებებზე საუკეთესო წარმოდგენას იძლევა. მაშინ ეს შრომა გადაბეჭდილი იყო ჰექტოგრაფზე რვეულებად და ახალგაზრდობა დიდი გატაცებით კითხულობდა მას.

უფრო ადრე, ვიდრე ეს რვეულები გამოჩნდებოდა,— 1893 წლის ზამთარში ვლადიმერ ილიჩი გამოდიოდა ნაროდნიკების წინააღმდეგ მოსკოვში. ეს იყო საშობაო არდადეგების დროს, როცა ის ჩვენთან ჩამოვიდა. დღესასწაულებზე ჩვეულებრივ საღამოს წვეულებას მართავდნენ ხოლმე. სტუდენტის ბინაში გამართულ ერთ-ერთ ასეთ წვეულებაზე ვლადიმერ ილიჩი ლაპარაკობდა ნაროდნიკების წინააღმდეგ. მას აქ უმთავრესად შეჯახება მოუხდა ცნობილ ნაროდნიკ მწერალ ვ ვ.-სთან (ვორონცოვთან). ვლადიმერ ილიჩს ვ. ვ. პირადად არასოდეს არ ენახა და არ იცოდა, ვის წინააღმდეგ გამოდიოდა. შემდეგ კი გაუჯავრდა კიდევაც იმ ნაცნობს[1], რომელმაც ამ წვეულებაზე მიიყვანა ისე, რომ მოწინააღმდეგის ვინაობა

[1] მ. ბ. იასნევა-გოლუბევას. — ა. ე.

არ უთხრა. ილიჩი ჩვეული გამბედაობით, ცოდნითა და რწმენის მთელი ძალით ლაპარაკობდა. მოწინააღმდეგე ძხარის მომხრეებს. უცნობი ახალგაზრდის გაბედულება მეტისმეტ კადნიერებად მიაჩნდათ; მარქსისტულად განწყობილი მთელი ახალგაზრდობა ძლიერ გახარებული იყო მოულოდნელი მხარდაჭერით და ნანობდა, რომ ვ. ვ.-ს შეხურების შემდეგ უცნობმა მალე დატოვა წვეულება. ვლადიმერ ილიჩი კი თავის თავს ტუქსავდა იმის გამო, რომ ავტორიტეტულობამ, რომლითაც ვ. ვ. თავის მოძველებულ შეხედულებებს გამოთქვამდა, გააჩელა და ბევრი რამ გამოამჟღავნებინა არაკონსპირაციულ ვითარებაში. მაგრამ ამ წვეულებამ უხიფათოდ ჩაიარა: დღესასწაულებზე მოსკოვის პოლიციაც ლხინს ეძლეოდა და, გარდა ამისა, ილიჩის სახელიც არავინ იცოდა, მას „პეტერბურგელს" უწოდებდნენ. მოსკოველი ახალგაზრდებისათვის კი მისი გამოსვლის მნიშვნელობა დიდი იყო: მან ახალგაზრდა მარქსისტებს ბევრი რამ განუმარტა, დასაყრდენი მისცა, წინ წაუბიძგა.

ვლადიმერ ილიჩს იმ ზამთარს პიტერშიც ცოტა ნაცნობობა ჰყავდა. იგი დაუახლოვდა ტექნოლოგთა წრეს: ეს წრე შემოკრებილი იყო ძმების კრასინების ირგვლივ. რომლებსაც ნიჟნი ნოვგოროდის საშუალებით დაუკავშირდა. შემდეგ გაიცნო რამდენიმე შეგნებული და აქტიური მუშა, როგორიც იყვნენ ბაბუშკინი (დახვრიტეს ციმბირში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ) და ვ. ა. შელგუნოვი, რომელიც კარგა ხანია დაბრმავდა და დღესაც მოგონებებით გამოდის მოსკოვში[1]. ილიჩმა გაიცნო ზოგიერთი ლეგალური ლიტერატორი-მარქსისტი: პ. ბ. სტრუვე, ა. ნ. პოტრესოვი და სხვ.. მათთან ილიჩს აახლოებდა ნაროდნიკების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა. სხვათა შორის, პოტრესოვი ამის შემდეგაც „ისკრაში" მუშაობისას მისი უახლოესი ამხანაგი იყო; მათი ამხანაგობა გაგრძელდა პარტიის II ყრილობაზე 1903 წელს მომხდარ გათიშვამდე. მაგრამ, როცა სტრუვესთან ერთად ნაროდნიკების

[1] ვ. ა. შელგუნოვი 1939 წელს გარდაიცვალა. — რ ე დ.

წინააღმდეგ იბრძოდა, ვლადიმერ ილიჩმა სხვებზე ადრე იგრძნო, რომ სტრუვე რევოლუციონერისათვის უცხო ჰანგებზე მღეროდა, რომ იგი მარქსის მოძღვრებიდან. ყველა საჭირო დასკვნას არ აკეთებდა, წმინდა ლეგალურ, პროფესორულ, ბურჟუაზიულ მარქსიზმზე ჩერდებოდა. ვლადიმერ ილიჩმა იგრძნო, რომ იგი მომავალი კადეტი იყო, და ამ მავნე გადახრას იმთავითვე ცხარედ დაესხა თავს კ. ტულინის ფსევდონიმით ხელმოწერილ სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „მასალები ჩვენი სამეურნეო. განვითარების დახასიათებისათვის"; ეს კრებული პოტრესოვმა გამოსცა 1895 წელს. კრებული ისე ვერ გადაურჩა ცენზურას, როგორც გადურჩა პლეხანოვის წიგნი „ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის", რომელიც ბელტოვის ფსევდონიმით გამოვიდა. რთულმა სათაურმა გადაარჩინა პლეხანოვის წიგნი, რომელიც ნაროდნიკებზე აშკარა თავდასხმას შეიცავდა და გარკვეულად გამოთქვამდა რევოლუციური მარქსისტების თვალსაზრისს. „მასალების" კრებული კი, მიუხედავად რამდენიმე მშრალი, ციფრებით ავსებული სტატიისა, ტულინის სტატიის გამო ჩავარდა და დაწვეს. მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარის გადარჩენა მოხერხდა და ამიტომ ვლადიმერ ილიჩის სტატია მაშინ ბევრს არ წაუკითხავს.

ამგვარად, ცენზურამ სწრაფად გაარკვია განსხვავება რევოლუციურ მარქსიზმსა — სოციალ-დემოკრატიასა და ლეგალურ მარქსიზმს შორის. ეს განსხვავება ზოგმა ნაროდნიკ-რევოლუციონერმაც შეიგნო და შენიშნა, რომ არსებითად მათი მოწინააღმდეგე სოციალ-დემოკრატებიც აგრეთვე რევოლუციონერებია და რომ არ შეიძლება ისინი მოათავსო ერთ ჯგუფში „ლეგალურ მარქსისტებთან", რომლებიც აღნიშნავდნენ ფაქტს, „რუსეთი სასწავლებლად კაპიტალიზმთან მიდისო" (ეპიგრაფი სტრუვეს წიგნისა „კრიტიკული შენიშვნები რუსეთის ეკონომიური განვითარების საკითხისათვის") და აქედან არავითარი დასკვნა არ გამოჰყავდათ იმ აზრით, რომ სა-

ჭირო იყო ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ. ზოგიერთი ახალგაზრდა ნაროდოვოლეციც, რომელიც არ იცნობდა ჩვენი თემის მნიშვნელობას (ერთ-ერთ წინა თავში ჩვენ დავინახეთ, რომ მას უკვე ალექსანდრე ილიას ძე და მისი ამხანაგებიც არ ცნობდნენ 1887 წელს), დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატებს, რადგან დარწმუნდა, რომ ისინი არათუ წინააღმდეგი არ არიან პოლიტიკური ბრძოლისა, არამედ თავის დროშაზეც წააწერეს ეს ბრძოლა. მაგალითად, ნაროდოვოლცებმა, რომლებსაც საკუთარი სტამბა ჰქონდათ პეტერბურგში (ლახტის სტამბა), თვითონ მისცეს წინადადება სოციალ-დემოკრატებს დაებეჭდათ თავიანთი პროკლამაციები და ბროშურები, რადგან მათი შეხედულებით განსხვავება ამ ორ მიმართულებას შორის მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ სოციალ-დემოკრატები მიმართავდნენ მუშებს და არა საზოგადოების სხვა კლასებს, მაგრამ მათი მიმდინარეობაც რევოლუციური იყო. ლახტის სტამბაში დაიბეჭდა ვლადიმერ ილიჩის ბევრი პროკლამაცია და ბროშურა „ჯარიმების შესახებ"; მეორე ბროშურა — „გაფიცვების შესახებ" სტამბის ჩავარდნისას წაიღეს და დაიკარგა.

მაგრამ ეს უფრო გვიან მოხდა. 1894 წლის ზაფხული — პეტერბურგში გატარებული პირველი ზამთრის შემდეგ — ვლადიმერ ილიჩმა ჩვენთან გაატარა მოსკოვის მახლობლად კუზმინკში, კურსკის რკინიგზის სადგურ დუბლინოსთან. იგი საკმაოდ განმარტოებულად ცხოვრობდა და ბევრს მეცადინეობდა. დასასვენებლად უმცროს დასა და ძმასთან ერთად სეირნობდა კუზმინკის მიდამოებში და სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების საფუძვლები შთაუნერგა მათ. მოსკოველ სოციალ-დემოკრატთაგან იგი ხვდებოდა მიცკევიჩს, რომელსაც უფრო ადრე ნიჟნინოვგოროდში გაეცნო, განშინს და ძმებს მასლენიკოვებს. ამ ამხანაგებმა ხელი მოჰკიდეს ილიჩის რევეულების — „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?" — და-

ბეჭდვას; ეს რვეულები, ჰექტოგრაფზე გადაბეჭდილი, მოსკოვსა და პეტერბურგში 1894 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა.

მახსოვს, რომ იმ ხელნაწერი რვეულის წაკითხვა, რომელიც მიხაილოვსკის ეხებოდა, ვერ მოვასწარი და შემდეგ მოსკოვში ვცღილობდი მის შოვნას.

ეს არცთუ ისე ადვილი იყო, იმიტომ რომ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მიხაილოვსკის გამოსვლამ ბევრი აღაშფოთა და ამ გამოსვლის რამდენიმე პასუხი, ხელნაწერი ან შინაურულად დაბეჭდილი, ხელიდან ხელში გადადიოდა მოსკოვში. ამ პასუხების ლეგალურად დაბეჭდვა არ შეიძლებოდა და სწორედ ეს იწვევდა მიხაილოვსკის წინააღმდეგ აღშფოთებას, რადგან იგი თავს ესხმოდა და ცილს სწამებდა იმათ, ვისაც პირში ბურთი ჰქონდა ჩაჩრილი. მიამბეს ორი-სამი პასუხის შესახებ და მათი დახასიათებისას მითხრეს: „ერთი უფრო საფუძვლიანია, მაგრამ გამოთქმები ერთობ დაუშვებელია". —„მაგალითად, რომელი გამოთქმები?" — სასწრაფოდ ვიკითხე მე.—„აი, მაგალითად: მიხაილოვსკი წუმპეში ჩაჯდა".— „ჰოდა, სწორედ ეგ მიშოვეთ, გეთაყვა",— ვთხოვე მე, რადგან საკუთარი ნათლად მივხვდი, რომ სწორედ ეს უნდა ჰკუთვნებოდა ვალოდიას კალამს. შემდეგ ბევრს ვიცინოდით იმ ნიშნის გამო, რომლითაც შეუცდომლად გამოვიცანი მისი ნაშრომი.

8. ბრძოლა „ეკონომისტების" წინააღმდეგ

გარდა ნაროდნიკებისა და „ლეგალური მარქსისტებისა", ვლადიმერ ილიჩს ბრძოლა მოუხდა კიდევ ეგრეთწოდებული „ეკონომისტების" წინააღმდეგ. ეს იყო მიმდინარეობა, რომელიც უარყოფდა მუშების პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებას და ამ საგანზე მუშათა მასებში აგიტაციის გაწევას. „ეკონომიზმი" გამომდინარეობდა ჯანსაღი და ბუნებრივი მისწრაფებიდან: ყოველდღიური საჭიროებისა და მოთხოვნების თვალსაზრისით მისდგომოდნენ მუშებს, რომლებიც პოლიტიკურად სრულიად განუვითარებელი იყვნენ და რომელთა

უმრავლესობასაც მეფისადმი რწმენა ჯერ ისევ შერჩენოდა. საკუთ ეხებოდა პირველ ნაბიჯებს ამ მასებში, რომლებიც უადა გაეღვიძებინათ და რომლებშიაც უნდა ჩაენერგათ თავისი ინტერესების დაცვის მისწრაფება, იმის შეგნება, რომ ხსნა მხოლოდ გაერთიანებაში, დარაზმვაში შეიძლებოდა ეპოვნათ, და ხელი შეეწყოთ ამ დარაზმვისათვის. გაერთიანება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ უშუალო, თვალსაჩინო საჭიროებათა საფუძველზე — უწინარეს ყოვლისა, მეპატრონეების მხრივ შეეწროების წინააღმდეგ პროტესტის საფუძველზე. მაგალითად, მოწოდება, რომ გაელაშქრათ უზომოდ გახანგრძლივებული სამუშაო დღის წინააღმდეგ, სხვადასხვა ყალთაბანდობით ხელფ სის შემცირების წინააღმდეგ, მოწოდება, რომ მოეთხოვათ ადუღებული წყალი სადილობისას, მოეთხოვათ შაბათობით სამუშაოს უფრო ადრე დამთავრება, რათა ესარგებლათ აბანოთი, მოეთხოვათ უსამართლო ჯარიმების გაუქმება, უხეში, თავგასული ოსტატების სამუშაოდან მოხსნა და სხვა,— ყოველივე ეს — გასაგები იყო ყველაზე უბირი, განუვითარებელი მუშისათვისაც.

ასეთი ყოველდღიური საჭიროების ნიადაგზე დარაზმვით ისინი სწავლობდნენ ერთად ბრძოლას, საერთო ინტერესების ერთსულოვან, მტკიცე დაცვას, ხოლო ამ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებანი მათ საკუთარ ძალას აგრძნობინებდა და კიდევ უფრო აერთიანებდა. პირველი გაფიცვების წარმატება (წარდგენილ მოთხოვნებს კი მით უფრო ადვილად აკმაყოფილებდნენ, რაც უფრო უმნიშვნელო და სამართლიანი იყო ისინი) ფრთებს ასხამდა მათ და ყოველგვარ აგიტაციაზე უფრო მეტად ეწეოდა წინ. მდგომარეობის გაუმჯობესება, რასაც მუშები აღწევდნენ, უფრო მეტად ხელმისაწვდომს და შესაძლებელს ხდიდა, რომ მათ წიგნი ეკითხათ და უფრო განვითარებულიყვნენ. ამიტომ ყველა სოციალ-დემოკრატი, რომელიც მუშათა მასებში მიდიოდა, აგიტაციას ეკონომიური საჭიროებებით იწყებდა. ვლადიმერ ილიჩის პროკლამაციებიც ამა თუ

იმ ქარხნის ან ფაბრიკის მუშათა უაღრესად არსებით მოთხოვნებზე მიუთითებდა და ამით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონეები უარზე იყვნენ მშვიდობიანი გზით დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები, მუშებს ურჩევდნენ მოეწყოთ გაფიცვა. ერთ საწარმოში გაფიცვის წარმატება ბრძოლის ამ მეთოდის ხელსაყრელობას უჩვენებდა სხვებს.

ის დრო იყო პროპაგანდიდან—პატარა წრეებში მეცადინეობიდან აგიტაციაზე — მასებში მუშაობაზე გადასვლის დრო. ვლადიმერ ილიჩი იყო ერთი იმათგანი, ვინც მხარს უჭერდა ასეთ გადასვლას. განსხვავებას პროპაგანდასა და აგიტაციას შორის ყველაზე უკეთ განსაზღვრავდა პლეხანოვის სიტყვები: „პროპაგანდა ბევრ იდეას აძლევს ადამიანთა ვიწრო წრეს, აგიტაცია კი ერთ იდეას მასებს“.

მაგრამ თუ სავსებით განუვითარებელი მუშების გათვითცნობიერება აუცილებლობის გამო უნდა დაწყებულიყო უახლოესი ეკონომიური საჭიროებებიდან, თავიდანვე ვლადიმერ ილიჩზე უფრო გარკვევით არავის უთქვამს, რომ ეს მხოლოდ დაწყებითი საფეხური უნდა იყოს, რომ მუშების პოლიტიკური შეგნება პირველი საუბრიდან და პირველი პროკლამაციიდანვე უნდა განვითარდეს. მახსოვს მასთან საუბარი ამის შესახებ 1895 წლის გვიან შემოდგომაზე, მის დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა მე კვლავ ჩავედი მასთან პეტერბურგში.

„როგორ უნდა დაუწყო პოლიტიკაზე ლაპარაკი უბირ მუშას, რომლისთვისაც მეფე მეორე ღმერთია და რომელიც ეკონომიურ მოთხოვნათა შემცველ პროკლამაციასაც ჯერ კიდევ შიშითა და ძრწოლით ჰკიდებს ხელს? ამით ხომ არ ჩამოვიშორებთ მას“, — ვამბობდი მე, მყავდა რა მხედველობაში კიდევ უფრო უბირი მოსკოველი მუშები.

ვლადიმერ ილიჩი მაშინ შეუბნებოდა, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მიდგომაზე.

„რა თქმა უნდა, თუ ერთბაშად დაუწყებ ლაპარაკს მეფისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ, ამით მხოლოდ ხელს ჰკრავ მუშებს. მაგრამ მთელი ყოველდღიური ცხოვრება ხომ „პოლიტიკითაა“ დაქსელილი, პოლიციელთა, ბოქაულთა და ჟანდარმთა უხეშობა და ობროდობა, მათი ჩარევა მეპატრონესთან მომხდარ ყოველ უთანხმოებაში, თანაც უსათუოდ მეპატრონის სასარგებლოდ ჩარევა, გაფიცვებისადმი დამოკიდებულება ყოველთა ძლიერთა ამა ქვეყნისათა — ყოველივე ეს მალე ამქლავნებს, თუ ვის მხარეზე არიან ისინი. საჭიროა მხოლოდ, რომ ფურცლებში, სტატიებში ყოველთვის აღნიშნო ეს, უჩვენო ადგილობრივი პოლიციელის ან ჟანდარმის როლი, შემდეგ კი აზრი, რომელსაც თანდათანობით წარმართავ ამ მხრივ, თვითონ განეითარდება. საჭიროა მხოლოდ, რომ თავიდანვე ხაზი გაუსვა ამას, არ მისცე საშუალება, რომ განვითარდეს ის ილუზია, თითქოს მხოლოდ ფაბრიკანტებთან ბრძოლით შეძლებენ რაიმეს მიღწევას“.—„აი, მაგალითად,—ამბობდა ვლადიმერ ილიჩი, — გამოვიდა ახალი კანონი მუშების შესახებ (ახლა ზუსტად არ მახსოვს, რას ეხებოდა იგი.—ა. ე.), იგი უნდა განვმარტოთ, ცხადვყოთ, თუ რა კეთდება მუშისათვის და რა — ფაბრიკანტისათვის. და აი, გაზეთში, რომელსაც ჩვენ ვუშვებთ, ვათავსებთ მოწინავე სტატიას: „რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტრები?“ ეს სტატია მუშებს უჩვენებს, რა არის ჩვენი კანონმდებლობა, ვის ინტერესებს იცავს იგი. ჩვენ განზრახ ვლაპარაკობთ მინისტრებზე და არა მეფეზე. მაგრამ ეს სტატია იქნება პოლიტიკური და უთუოდ ასეთი უნდა იყოს ყოველი ნომრის მოწინავე, რათა გაზეთმა მუშების პოლიტიკური შეგნება აღზარდოს“. ეს სტატია, რომელიც ვლადიმერ ილიჩის კალამს ეკუთვნოდა, მართლაც შედიოდა გაზეთ „რაბოჩეე დელოს“ პირველ ნომერში; გაზეთმა დღის სინათლე ვერ იხილა, რადგან, როგორც ცნობილია, 1895 წლის 9 დეკემბერს, როცა ვალოდია და მისი ამხანაგები დააპატიმრეს, პოლიციამ გაზეთიც ხელთ იგდო. სტატია წაკითხული მაქვს ისევე როგორც სხვა მასალაც, განკუთვნილი „რაბოჩეე დელოს“ პირველ-

ლი ნომრისათვის, რომელსაც მაშინ ამზადებდნენ. მიმეოგრაფზე ნომრის დაბეჭდვა რთული საქმე იყო და კარგა ხნით ადრე მზადდებოდა. მახსოვს, რა გესლიანად იყო ამ სტატიაში გაკენწლული მინისტრი, რა პოპულარული და მებრძოლი სტატია იყო იგი.

ასე დაწვრილებით ამაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ აღვნიშნო, თუ როგორ ცდებოდა მაშინ „ეკონომიზმისაკენ" გადახრილი ბევრი პირი, რომელნიც უფრო გვიან თავს იმართლებდნენ, ვლადიმერ ილიჩიც წერდა იმ დროს ფურცლებს ეკონომიურ თემებზეო. ასეთი თავის მართლებისათვის ერთგვარ საფუძველს იძლეოდა ის, რომ დააკავეს გაზეთის ნომერი, რომელშიც პოლიტიკური ხასიათის ხელნაწერი მოწინავე სტატია ჰქონდა, აგრეთვე ის, რომ შემდეგ ვლადიმერ ილიჩი 4 წლით ჩამოაშორეს მუშაობას. მაგრამ გადასახლებამდე ხანმოკლე დავისუფლების პერიოდში, აგრეთვე საპყრობილიდან და გადასახლებიდანაც ვლადიმერ ილიჩმა ამ მხრივ საკმაოდ გარკვეულად გამოიჩინა თავი, ისე რომ შეიძლებოდა მისთვის არ დაებრალებინათ „ეკონომიზმი". საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც გადასახლებიდან გამოგზავნილი მისი პროტესტი კუსკოვას „კრედოს"[1] წინააღმდეგ.

ეს მკაფიო პოლიტიკური მიმართულება ილიჩს თავიდანვე ახასიათებდა; ეს მიმართულება გამომდინარეობდა მარქსის სწორად გაგებული მოძღვრებიდან და შეესაბამებოდა აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინაპრის — „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის და არსებითად მისი დამაარსებლის— პლეხანოვის შეხედულებებს. ვლადიმერ ილიჩი კარგად იცნობდა პლეხანოვის შეხედულებებს მისი ლიტერატურული ნაშრომების მიხედვით. გარდა ამისა, 1895 წლის ზაფხულში ილიჩი გაემგზავრა საზღვარგარეთ და იქ პირადად გაეცნო პლეხანოვს. ამ მოგზაურობის ოფიციალური მიზანი იყო დასვენება და მკურნალობა გადატანილი ფილტვების ანთების შემდეგ, არა-

[1] თავისი რწმენის გადმოცემა. — ა. ე.

ოფიციალური კი — კავშირის დამყარება „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფთან.

ვლადიმერ ილიჩი მეტად კმაყოფილი იყო საზღვარგარეთ მოგზაურობით, რასაც მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პლეხანოვი მის თვალში მუდამ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა; აქსელროდს ის მაშინ ძალიან დაუახლოვდა; დაბრუნების შემდეგ ვლადიმერ ილიჩი გვიყვებოდა, პლეხანოვთან თუმცა კარგი, მაგრამ მაინც შორეული, ხოლო აქსელროდთან სულ ახლო, მეგობრული ურთიერთობა დავამყარეო. ორივეს აზრს ვლადიმერ ილიჩი დიდად აფასებდა. უფრო გვიან, გადასახლებიდან ილიჩმა მათ დასაბეჭდად გაუგზავნა თავისი ბროშურა „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები“. როცა მე ილიჩს გადავეცი მისი შრომის ქება მოხუცების მიერ, მომწერა: „მათ (მოხუცთა) მიერ ჩემი ნაშრომების მოწონება ყველაზე ძვირფასია, რაც კი შემიძლია წარმოვიდგინოო“. მათთან შეხვედრის შემდეგ ილიჩი კიდევ უფრო გარკვევით და ენერგიულად დაადგა რუსეთში სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციის გზას.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ვლადიმერ ილიჩმა მოსკოვში მოგვინახულა და ბევრი რამ გვიამბო თავის მგზავრობაზე და საუბრებზე; ილიჩი განსაკუთრებით კმაყოფილი და გამოცოცხლებული იყო, მე ვიტყოდი, სახე გაბრწყინებულიც კი ჰქონდა. გაბრწყინებული უმთავრესად იმიტომ იყო, რომ წარმატებით გადმოიტანა არალეგალური ლიტერატურა.

ვლადიმერ ილიჩმა იცოდა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო, მას განსაკუთრებული სიმკაცრით უყურებდნენ და არ აპირებდა რაიმე ნებადაურთველის წამოღებას, მაგრამ საზღვარგარეთ თავი ვერ შეიკავა, ცთუნება მეტად ძლიერი იყო და მან წამოიღო ორფსკერიანი ჩემოდანი. იმ დროს ეს არალეგალური ლიტერატურის წამოღების ჩვეულებრივი ხერხი გახლდათ, არალეგალურ ლიტერატურას ორ ფსკერს შორის

აწყობდნენ. საზღვარგარეთის სახელოსნოებში ამ სამუშაოს სუფთად და ფაქიზად ასრულებდნენ, მაგრამ პოლიცია ამ ხერხს მაინც კარგად იცნობდა, — მთელი იმედი იმაზე იყო დამყარებული, რომ ყოველ ჩემოდანს არ დაუწყებდნენ სინჯვას. მაგრამ აი, საბაჟოში ვლადიმერ ილიჩის ჩემოდანი გადმოატრიალეს და ფსკერზეც დაუკაკუნეს. ვლადიმერ ილიჩმა იცოდა, რომ საბაჟოს გამოცდილი მესაზღვრე მოხელენი ამგვარად განსაზღვრავდნენ, ორფსკერიანი იყო თუ არა ჩემოდანი, და, როგორც შემდეგ გვიამბო, გადაწყვიტა, ჩავვარდიო. იმ ფაქტმა, რომ მან მშვიდობიანად დააღწია თავი საბაჟოს და ჩემოდანი პიტერში ჩააბარა, სადაც ის აგრეთვე მშვიდობიანად გახლიჩეს, დიდებულ გუნებაზე დააყენა ილიჩი და სწორედ ამ მხიარული განწყობილებით ჩამოვიდა ჩვენთან მოსკოვში.

4. თვალთვალი და დაპატიმრება

რა თქმა უნდა, საკვლევით შესაძლებელია, რომ ვლადიმერ ილიჩი არ შემცდარა, როცა ფიქრობდა, ფარული ტვირთი ნამდვილად აღმოაჩინესო; მაგრამ, როგორც ეს მიღებული იყო, ჩავარდნილს მაშინვე არ აპატიმრებდნენ, რათა თვალთვალით მიეკვლიათ მთელი რიგი პირები, რომლებიც ღებულობდნენ ლიტერატურას, ავრცელებდნენ მას, რომ ამ გზით შეექმნათ დიდი საქმე.

1895 წლის შემოდგომის დამდეგს ვლადიმერ ილიჩს გაძლიერებით უთვალთვალებდნენ. მან ეს მიამბო, როცა იმავე წლის შემოდგომის მიწურულში ჩავედი მასთან, რაც ზემოთ აღვნიშნე. ის მეუბნებოდა, ჩემი დაპატიმრების შემთხვევაში დედას პიტერში ნუ გამოუშვებთ, სხვადასხვა დაწესებულებაში სიარული და ჩემზე ზრუნვა მისთვის განსაკუთრებით სამძიმო იქნება, რადგან უფროსი ძმისათვის ასეთსავე სიარულს მოაგონებსო. მაშინ ძმასთან გავიცანი ე. ა. შელგუნოვი, იმ დროს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანსაღი მუშა.

ვლადიმერ ილიჩმა მიამბო რამდენიმე შემთხვევა, თუ როგორ გაექცა ჯაშუშებს. მხედველობა მას კარგი ჰქონდა, ფეხმარდიც იყო; მახსოვს, მისი ამბავი, რასაც ის მეტად ცოცხლად და გულიანი ხარხარით ჰყვებოდა, ძალიან სასეირო იყო. განსაკუთრებით ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა. ჯაშუში დაჟინებით უთვალთვალებდა ვლადიმერ ილიჩს, რომელსაც არასგზით არ უნდოდა მიეყვანა ის იმ ბინაზე, სადაც მიდიოდა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოიშორა თავიდან. ილიჩმა, რომელიც თვალს ადევნებდა ამ არასასურველ თანამგზავრს, შენიშნა, რომ იგი პიტერის ერთ-ერთი სახლის ჭიშკარის შიგნით იყო მიმალული. მაშინ ილიჩმა სწრაფად ჩაუარა ჭიშკარს, შეირბინა იმავე სახლის სადარბაზო შესასვლელში და იქიდან კმაყოფილებით დაუწყო მზერა, თუ როგორ აწყდებოდა აქეთ-იქით საფარიდან გამომხტარი მდევარი, რომელმაც თვალთაგან დაკარგა ილიჩი.

„მე მეკარის სავარძელში ჩავჯექი,— მიამბობდა ილიჩი, — გარედან ის ვერ მხედავდა, მე კი ფანჯრის მინაში ყველაფერს ვხედავდი და მისი გასაჭირის ცქერით ვერთობოდი; ვიღაც კაცმა, რომელიც კიბეზე ჩამოდიოდა, გაოცებით შეხედა მეკარის სავარძელში მჯდომ სუბიექტს, რომელიც სიცილით კვდებოდა“.

მაგრამ თუ სიმარჯვის წყალობით ხანდახან ხერხდებოდა კიდეც დევნისაგან თავის დაღწევა, პოლიცია, მეეზოვეები (რომლებიც მაშინ სახლის პოლიციას წარმოადგენდნენ) და ჯაშუშთა ხროვა მაინც უფრო ძლიერნი იყვნენ. მათ ბოლოს მაინც მიაგნეს ვლადიმერ ილიჩსა და მის ამხანაგებს, რომელთა მცირე ჯგუფს უხდებოდა მრავალი სხვადასხვა დაუმთავრებელი საქმის შესრულება: კონსპირაციულ კრებებზე შეხვედრა, შენიშნულ და მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ მუშათა ბინებში მისვლა, არალეგალური ლიტერატურის შოვნა და გადაცემა, ფურცლების დაწერა, გადაბეჭდვა და დარიგება და სხვ.. შრომის განაწილება მცირე იყო, რადგან არც მუ-

შაკები იყვნენ ბლომად და ამიტომ ყოველი მათგანი სწრაფად იქცევდა პოლიციის ყურადღებას. ამასთან ერთად, ქუჩის მაძებრებს გარდა, იყვნენ პროვოკატორებიც, რომლებიც „თავისიანებად“ ძვრებოდნენ ხოლმე წრეებში; ასეთი იყო მაშინ კბილის ექიმი მიხაილოვი, რომელიც თუმცა იმ წრეში არ შედიოდა, სადაც ვლადიმერ ილიჩი მუშაობდა, მაგრამ სხვა წრეების შესახებაც ჰქონდა ცნობები. ასეთი პროვოკატორები მუშათა წრეებშიც მიძვრებოდნენ, გარდა ამისა, მაშინდელი მუშები გულუბრყვილონი იყვნენ, ანკეტს ადვილად ეგებოდნენ ხოლმე. არალეგალური მუშაობის პირობებში იმ დროს რევოლუციონერები ცოტა ხანს „ცხოვრობდნენ“: ასეთი მუშაობა მხოლოდ 1895 წლის შემოდგომიდან ფართოედება, 9 დეკემბერს კი ვლადიმერ ილიჩი და მისი ამხანაგების უმრავლესობა დააპატიმრეს.

ამრიგად, ვლადიმერ ილიჩის მოღვაწეობის პირველი პერიოდი დამთავრდა საპყრობილის კარებით. მაგრამ ამ 2 ½ წლის განმავლობაში როგორც პირადად ილიჩმა, ისე ჩვენმა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამაც დიდი გზა გამოიარა. ვლადიმერ ილიჩმა ამ წლებში გადამწყვეტი ბრძოლები გადაიხადა ნაროდნიკების წინააღმდეგ. მან საესებით ნათლად გამოამჟღავნა თავისი რევოლუციური მარქსისტული არსი, როცა სხვადასხვა გადახრებს გაემიჯნა; იგი დაუკავშირდა იმ რუს მარქსისტთა საზღვარგარეთის ჯგუფს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რუსეთში მარქსიზმის გავრცელებას. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვლადიმერ ილიჩი შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას, დაუკავშირდა მუშებს, გამოვიდა როგორც პარტიის ბელადი და ორგანიზატორი—იმ წლებში, როცა საეჭვოდ მიაჩნდათ ნაშინდელი რუსეთის პირობებში ასეთი პარტიის წარმოშობის შესაძლებლობა. თუმცა პარტია უკვე უამისოდ შეიქმნა (პარტიის I ყრილობა) მაშინ, როცა ის გადასახლებული იყო, მაგრამ შეიქმნა მისი ზეგავლენით და იმის შემდეგ, რაც მან საფუძველი ჩაუყარა სოცი-

ალ-დემოკრატიის პირველ პოლიტიკურ ორგანიზაციას პეტერბურგში, დასახა პირველი პოლიტიკური ორგანო, მოაწყო პირველი დიდი გაფიცვები მთელ პიტერსა და მოსკოვში.

VI. ვლადიმერ ილიჩი საპატიმროში

ვლადიმერ ილიჩი დააპატიმრეს მაშინ, როცა იგი გატანჯული იყო უკანასკნელი ხანების ნერვული მუშაობით და არცთუ მთლად ჯანმრთელად გრძნობდა თავს. საიდუმლო პოლიციის 1896 წლის ცნობილი ბარათი წარმოდგენას გვაძლევს მისი მდგომარეობის შესახებ.

პირველი დაკითხვის შემდეგ ილიჩმა ჩვენთან, მოსკოვში გამოგზავნა დავალებით ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. შიფრით მოწერილ ბარათში ილიჩი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს სთხოვდა სასწრაფოდ გაეფრთხილებინეთ, რომ როცა ილიჩს შეეკითხნენ, სად არის ჩემოდანი, რომელიც საზღვარგარეთიდან ჩამოიტანეო, მას უპასუხნია, მოსკოვში, ჩვენებთან დავტოვეო.

„იყიდონ მსგავსი და უჩვენონ, რომ ჩემი ჩემოდანია... მალე, თორემ დამაპატიმრებენ“. ასეთი იყო ილიჩისაგან მიღებული ცნობა, რომელიც კარგად დამამახსოვრდა, რადგან ათასგვარი სიფრთხილით მომიხდა ჩემოდნის შეძენა და შინ მიტანა; ჩემოდნის გარეგნულ შესახედაობაზე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა რაღაც ფრიად გაურკვეველი რამ თქვა; რა თქმა უნდა, აღმოჩნდა, რომ ეს ჩემოდანი სულ არ ჰგავდა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილ ორფსკერიან ჩემოდანს. ასალთახალი, უხმარი რომ არ ყოფილიყო, ეს ჩემოდანი თან წავიღე, როცა ძმის სანახავად და მისი საქმის გასაგებად წავედი პეტერბურგს.

პირველ ხანებში, პეტერბურგში, ამხანაგებთან ყოველი მოლაპარაკებისას, ძმასთან შიფრით მიმოწერისას და ნახვის დღეებში მასთან პირად საუბრებშიაც ეს ჩემოდანი ისეთ დიდ როლს ასრულებდა, რომ ქუჩებში თვალს ვარიდებდი მაღაზი-

ების ფანჯრებს, სადაც გამოფენილი იყო ეს ნივთი, რამაც ასე მომაძულა თავი; მისი დანახვაც კი მეზარებოდა. მართალია, პირველ დაკითხვაზე ჩემოდანი გადაკრულად ახსენეს, მაგრამ მის თავსა და ბოლოს ვერ მიაგნეს და ეს ბრალდება, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, ჩაიძირა სხვა ბრალდებებში, რომელთა შესახებ უფრო მტკიცე მამხილებელი საბუთები აღმოჩნდა.

ასე, მაგალითად, დამტკიცებულ იქნა, რომ ვლადიმერ ილიჩს ამხანაგობა და ურთიერთობა ჰქონდა რამდენიმე პირთან, რომლებიც იმავე დროს დააპატიმრეს; ერთ მათგანს, ვანეევს, არალეგალური გაზეთის — „რაბოჩეე დელოს“ ხელნაწერი ნომერი უპოვეს; დამტკიცდა, იმ წრეებში გაერთიანებულ მუშებთან კავშირი, რომლებსაც — ნევის საყარაულოს იქით — ამაცადინებდა ვლადიმერ ილიჩი. ერთი სიტყვით, საბუთები იმისათვის, რომ ჟანდარმებს გამოძიება დაეწყოთ, სავსებით საკმაო იყო.

მეორე, ვინც ძმის დაპატიმრების შემდეგ, ჩამოვიდა ჩვენთან მოსკოვში, იყო მიხეილ ალექსანდრეს ძე სილვინი, ილიჩის წრის გადარჩენილი წევრი; მან გვიამბო ვლადიმერ ილიჩის მიერ ციხიდან იმ ნაცნობი ქალის სახელზე გამოგზავნილ ბარათის შესახებ, ვისთანაც ილიჩი სადილობდა. ვლადიმერ ილიჩი ციხიდან გამოგზავნილ ამ პირველ ვრცელ ბარათში ავითარებდა იმ მუშაობის გეგმას, რომლისთვისაც სურდა ხელი მოეკიდა იქ, — მოემზადებინა მასალები განზრახული წიგნისათვის—„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ვრცელი ბარათის სერიოზულმა ტონმა, ბარათისა, რომელსაც თან ერთვოდა მეცნიერული წიგნებისა და სტატისტიკური კრებულების მეტად გრძელი სია, ოსტატურად შენიღბა მისი ფარული მიზნები და ბარათიც დაუბრკოლებლივ, ყოველგვარი ამოშლის გარეშე მოვიდა დანიშნულებისამებრ. ვლადიმერ ილიჩი კი ამ ბარათით—არც მეტი, არც ნაკლები,—ეკითხებოდა ამხანაგებს, თუ ვინ დააპატიმრეს მასთან ერთად; ეკითხებოდა წინასწარ ღაუთქმელად, მაგრამ ისე, რომ ამხანაგებმა მაშინვე

გაუგეს და უპასუხეს; ფხიზელ არგუსებს კი ეკვიც არ აუღიათ.

„ვლადიმერ ილიჩმა პირველივე წერილით დაპატიმრებულთა ამბავი იკითხა, — აღტაცებით მითხრა სილვინმა, — და ჩვენც ვუპასუხეთ“.

სამწუხაროდ, ამ ბარათის მხოლოდ პირველი ნაწილი გადარჩა, წიგნების თანდართული სია კი არა: ალბათ, სადმე ჩარჩა და ამ წიგნების ძებნის პროცესში დაიკარგა. ჩამოთვლილი წიგნების უმეტესობა ვლადიმერ ილიჩს მართლაც სჭირდებოდა მუშაობისათვის; ასე რომ, წერილი ორ კურდღელს მისდევდა და, წინააღმდეგ ცნობილი ანდაზისა, ორივე დაიჭირა. მე მხოლოდ მეხსიერებით შემიძლია აღვადგინო ამ სიაში ოსტატურად ჩართული ზოგი სათაური, რომლებითაც ვლადიმერ ილიჩი კითხულობდა, რა ბედი ეწია ამხანაგებსო. ამ სათაურებს დასმული ჰქონდა კითხვის ნიშანი, როგორითაც ავტორი ვითომ იმას აღნიშნავდა, წიგნის ზეპირად მოყვანილი სახელწოდება ზუსტად არ მახსოვსო, ნამდვილად კი ეს ნიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში ილიჩი წიგნს კი არ ითხოვდა, არამედ კითხვას იძლეოდა. შეკითხვისათვის ივი ამხანაგების მეტსახელებს იყენებდა. ამ მეტსახელთაგან ზოგი ძალიან უდგებოდა მისთვის საჭირო წიგნების ხასიათს და შეკითხვა ყურადღებას ვერ მიიქცევდა. ასე, მაგალითად, ვასილ ვასილის ძე სტარკოვის შესახებ იკითხა: „ვ. ვ. კაპიტალიზმის ბედი რუსეთში“. სტარკოვს „ვეეეს“ ეძახდნენ. იმ შეკითხვას კი, რომელიც ეხებოდა ნიჟნინოვგოროდელთ — ვანეევსა და სილვინს, მეტსახელად „მინინსა“ და „პოჟარსკის“ რომ ეძახდნენ, უკვე უნდა შეეეჭვებინა პატიმართა წერილების უფრო ყურადღებიანი კონტროლიორი, რადგან წიგნი არ ეხებოდა განზრახული შრომის თემას, — ეს იყო კოსტომაროვის წიგნი „შფოთიანი დროის გმირები“. მაგრამ ეს მაინც მეცნიერული, ისტორიული წიგნი იყო და, გასაგებია, რომ წერილთა გროვის გამსინჯველები მეტისმეტად გამჭრია-

ხი უნდა ყოფილიყვნენ, რომ ამ შეუსაბამობის შემჩნევა შესძლებოდათ. მაგრამ შედარებით ასე მოხერხებულად ყველა მეტსახელი როდი თავსდებოდა მეცნიერული წიგნების სათაურების ჩარჩოებში. ერთ-ერთი შემდეგი გადამმიჯნავი წიგნი, — რა თქმა უნდა, ნამდვილად საჭირო წიგნებთან ერთად, იყო ბრემის „პატარა მღრღნელთა შესახებ“. ამხანაგებისათვის ცხადი იყო, რომ კითხვის ნიშანი აქ კრაიჟანოვსკის ხვედრს ეხებოდა, რომელსაც მეტსახელად „ციყვს“ ეძახდნენ. სწორედ ასევე ინგლისურად დაწერილი სათაური Mayne—Rid „The Mynoga“ გულისხმობდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას, რომლის ფსევდონიმი „თევზი“, ან „მინოგა“ იყო. ამ სათაურებს თითქოს უნდა მიექცია ცენზორთა ყურადღება, მაგრამ ბარათის სერიოზულმა ტონმა, უამრავმა ჩამოთვლილმა წიგნმა და ამასთანავე წინდახედულმა ფრაზამ, რომელიც სადღაც მეორე (დაკარგულ) ფურცელზე ეწერა: „წიგნების მრავალფეროვნება ვითარების ერთფეროვნების კორექტივი უნდა იყოსო“, — მიაძინეს ცენზორთა სიფხიზლე.

სამწუხაროდ, მხოლოდ ეს რამდენიმე სათაური დამამახსოვრდა, რომელთა გამო ჩვენ ერთ დროს ბევრს ვიცინოდით. კიდევ მე მაგონდება მხოლოდ „Coutchoul“ ან „Goutchioule“, განზრახ რთული ფრანგული მართლწერით დაწერილი გვარი რომელიღაც ისტორიული წიგნის (მისი სათაური უკვე აღარ მახსოვს) ფანტასტიკური ავტორისა. ეს, ალბათ, გუცულს ანუ ზაპოროჟელს აღნიშნავდა. მახსოვს კიდევ, რომ „შფოთიანი დროის გმირების“ შესახებ სილვინი გვიამბობდა: ვუპასუხეთ „ბიბლიოთეკაში თხზულების მხოლოდ I ტომი არის“, ე. ი. დაპატიმრებულია მხოლოდ ვანეევი, სილვინი კი არაო.

ვლადიმერ ილიჩი წინასწარი პატიმრობის ციხეში იჯდა. იქ იმ ხანად პატიმრობისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იყო. ტუსაღის ნახვა, ჩვეულებრივ, შეიძლებოდა დაპატიმრებიდან ერთი თვის შემდეგ, კვირაში ორჯერ: ერთი პირადი, მეორე საერთო, მავთულის ბადეს იქით. პირადი ნახვა ნახე-

ვარ საათს გრძელდებოდა ზედამხედველის თანდასწრებით, საერთო კი — მთელ საათს. აქასთან ზედამხედველები ბოლთას სცემდნენ — ერთი რკინის გალიის უკან, რომელშიც ტუსაღები შეპყავდათ, მეორე მნახველთა ზურგს უკან. იმის გამო, რომ ასეთ დღეებში იქ დიდი ყაყანი ისმოდა, რასაც საერთოდ უნდა დაექანცა ზედამხედველები, აგრეთვე იმის გამოც, რომ ზედამხედველები გონებრივად ერთობ ჩამორჩენილი იყვნენ, — თუ მარჯვედ იქნებოდით ამ შეხვედრების დროს თითქმის ყველაფერზე შეგეძლოთ გელაპარაკათ. საუბრის გადაცემა კვირაში სამჯერ შეიძლებოდა, წიგნებისა კი — ორჯერ. ამასთან წიგნებს ჟანდარმები კი არ სინჯავდნენ, ალბედ სასამართლოს პროკურორის მოხელეები; ეს სასამართლო გვერდზე სახლში იყო მოთავსებული. წიგნების გასინჯვა, ალბათ, უმეტეს შემთხვევაში უბრალო ფორმალობას წარმოადგენდა, რადგან უამრავი წიგნები მოჰქონდათ. საერთოდ წიგნების გადაცემას დიდად არ აბრკოლებდნენ, მხოლოდ ზოგიერთ წიგნს აკავებდნენ; ნებადართული იყო ყოველთვიური, ხოლო შემდეგ ყოველკვირეული ჟურნალების გადაცემაც კი. ამგვარად, ცხოვრებისაგან მოწყვეტა, — რაც განმარტოებული პატიმრობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მხარეა, — არ ყოფილა. წინასწარი პატიმრობის ციხეში იყო საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკაც, რომელიც სხვადასხვა შემოწირულებებიდან შედგებოდა; ასე რომ, მრავალი ამსანაგი, განსაკუთრებით მუშები, იქ სერიოზულ განათლებას იღებდნენ.

ვლადიმერ ილიჩი ხანგრძლივ პატიმრობას და შემდეგ შორეულ გადასახლებას მოელოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა ამ დროის განმავლობაში პიტერის ბიბლიოთეკებიც გამოეყენებინა, შეეგროვებინა მასალა განზრახული შრომისათვის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". იგი ბარათებთან ერთად გზავნიდა მეცნიერული წიგნების, სტატისტიკური კრებულების ვრცელ სიებსაც; ამ წიგნებს ვშოულობდით მეცნიერებათა აკადემიაში, უნივერსიტეტისა და სხვა ბიბ-

ლიოთეკებში და ვუგზავნიდით ლენინს. ვლადიმერ ილიჩის პატიმრობის განმავლობაში მე და დედა მეტწილად პიტერში ვიყავით; მე მიხდებოდა მისთვის წიგნების მთელი გროვის მიტანა; მისი საკნის ერთი კუთხე წიგნებით იყო სავსე. რამდენიმე ხნის შემდეგ პირობები ამ მხრივ უფრო გაუარესდა; პატიმართათვის გადასაცემ წიგნთა რაოდენობა მკაცრად და ძუნწად განსაზღვრეს. წინათ კი ვლადიმერ ილიჩს აუჩქარებლად შეეძლო სტატისტიკური კრებულებიდან ამონაწერების გაკეთება და, გარდა ამისა, ხელთ ჰქონდა სხვა — მეცნიერული, ბელეტრისტული — წიგნები რუსულ და უცხოურ ენებზე.

გადასაცემი წიგნების სიმრავლე ხელს გვიწყობდა იმაში, რომ კავშირი გაგვება ამ წიგნების საშუალებით. ვლადიმერ ილიჩმა ჯერ კიდევ თავისუფლების დროს მასწავლა შიფრით წერის საფუძვლები და ჩვენ გაცხოველებით ვაწარმოებდით მიმოწერას: ასოებში ოდნავ შესამჩნევ წერტილებს ან ხაზებს ვუსვამდით და პირობითი ნიშნებით აღვნიშნავდით წიგნსა და წერილის გვერდს.

მართალია, ამ მიმოწერამ თვალები გაგვიფუჭა, მაგრამ იგი საშუალებას გვაძლევდა კავშირი გაგვება, ერთმანეთისათვის გადაგვეცა საჭირო, კონსპირაციული ცნობა და ამიტომ ფასდაუდებელი რამ იყო. ასეთი მიმოწერის პირობებში უაღრესად სქელი კედლები და უფროსთა უსასტიკესი ზედამხედველობაც კი ჩვენს გასაუბრებას ხელს ვერ უშლიდა. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, არა მარტო უსაჭიროეს რამეზე ვწერდით. მე ვაწვდიდი ილიჩს ცნობებს გარედან, ისეთ ცნობებს, რის თქმაც შეხვედრისას მოუხერხებელი იყო, თუმცა სათქმელს ყოველნაირად ვნიღბავდით. ის კი მაძლევდა დავალებებს, მთხოვდა გადამეცა რაიმე ამხანაგებისათვის, ამყარებდა მათთან კავშირსა და მიმოწერას საპატიმროს ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების მეშვეობით; მთხოვდა გადამეცა, თუ რომელ ფიცარზე იყო მიკრული შავი პურის ცომით ბარათი ამა თუ იმ ამხანაგისათვის იმ გალიაში, რომელ-

შიაც სასეირნოდ შეჰყავდათ. ვლადიმერ ილიჩი დიდად ზრუნავდა ამხანაგებზე: გამამხნევებელ ბარათებს სწერდა მათ, როცა გაიგებდა რომელიმე მათგანი ნერვიულობსო; მთხოვდა მეშოვა ესა თუ ის წიგნი; მომეხერხებინა იმათი ნახვა, ვისაც ამის ნება არ ჰქონდა. ეს მზრუნველობა იმასაც დიდ დროს ართმევდა და ჩვენც. მისი დაუშრეტელი მხნეობა და ჰუმორი ამხანაგებსაც ამხნევებდა.

ილიჩის საბედნიეროდ პატიმრობის პირობები მისთვის, შეიძლება ითქვას, ხელსაყრელი შეიქნა. რასაკვირველია, იგი გახდა და, პატიმრობის დასასრულისათვის კიდევაც გაყვითლდა, მაგრამ მისი კუჭიც კი, — რომლის შესახებაც მან საზღვარგარეთ ერთი ცნობილი შვეიცარიელი სპეციალისტის რჩევა მიიღო, საპყრობილეში გატარებული ერთი წლის მანძილზე უფრო უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე წინა წელს პატიმრობამდე. დედა მას უმზადებდა და კვირაში სამჯერ უგზავნიდა საჭმელს, ამასთან ხელმძღვანელობდა ზემოხსენებული სპეციალისტის მიერ დანიშნული დიეტით; გარდა ამისა, ილიჩს ჰქონდა ფასიანი სადილი და რძე. როგორც ჩანს, ვლადიმერ ილიჩს რუსეთის ამ „სანატორიუმის“ რეგულარული ცხოვრებაც მოუხდა; ასეთ რეგულარულ ცხოვრებაზე, რა თქმა უნდა, ფიქრიც კი მეტი იყო არალეგალური მუშაობის ნერვიული ფაციფუცის პირობებში.

ილიჩთან შეხვედრები მეტად შინაარსიანი და საინტერესო იყო. განსაკუთრებით ბევრი შეიძლებოდა გველაპარაკა საერთო ნახვისას. ჩვენ ქარაგმებით ვლაპარაკობდით და ისეთი უხერხული გამოთქმებისათვის, როგორიცაა „გაფიცვა“, „პროკლამაცია“, უცხო სიტყვებს ვხმარობდით. მოვაგროვებდი ხოლმე ახალ ამბებს და მერე ვიწაფებოდი, როგორ მეამბნა ყოველივე ეს. ძმა კი იწაფებოდა, როგორ გადმოეცა თავისი ამბები, როგორ გამოეკითხა ყოველივე. რა მხიარულად ვიცინოდით ორივე, როცა მოვახერხებდით შეგვეტყობინებინა ან გაგვეგო რაიმე არეულ-დარეული ცნობა. საერთოდ

ჩვენი შეხვედრები უდარდელ, გაცხოველებულ მუსაიფს ჰგავდა, სინამდვილეში კი აზრი გამუდმებით დაძაბული იყო: უნდა მოგვეხერხებინა ცნობების გადაცემა, ცნობების გაგება, არ უნდა დაგვვიწყებოდა არც ერთი დავალება. მახსოვს, ერთხელ მეტისმეტად გაგვიტაცა უცხოურმა ტერმინებმა და ზედამხედველმა ვლადიმერ ილიჩს ზურგს უკნიდან მკაცრად მოგვმართა:

— უცხო ენებზე ლაპარაკი არ შეიძლება, მხოლოდ რუსულად უნდა ილაპარაკოთ!

— არ შეიძლება?! — მიუბრუნდა ძმა და მკვირცხლად უპასუხა. — აბა, რუსულად ვილაპარაკებ. მაშ ასე, უთხარი იმ ოქროკაცს... — განაგრძო საუბარი ჩემთან.

მე სიცილით დავუქნიე თავი: „ოქროკაცი" გოლდმანს ნიშნავდა, ე. ი. რაკი უცხო სიტყვათა ხმარების ნება არ დაგვრთეს, ვალოდიამ გერმანული გვარი რუსულად თარგმნა, რომ ვერ გაეგოთ, თუ ვის ახსენებდა.

ერთი სიტყვით, ვლადიმერ ილიჩი საპატიმროშიაც იჩენდა თავის მუდამ მჩქეფარე ენერგიას. მან შეძლო ისე მოეწყო თავისი ცხოვრება, რომ მთელი დღე სავსე ჰქონოდა შინაარსით, უმთავრესად, რა თქმა უნდა, მეცნიერული მუშაობით. უზარმაზარი მასალა წიგნისათვის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" — საპატიმროში დააგროვა. ვლადიმერ ილიჩი მასალის შეკრებას ჩქარობდა. ერთხელ, როდესაც პატიმრობის მიწურულს ვაცნობე, ამბობენ საქმე მალე დამთავრდება-მეთქი, მან წამოიძახა: „ადრეა, მე ჯერ მთელი მასალის შეგროვება ვერ მოვასწარი".

მაგრამ მას ეს დიდი მუშაობაც ეცოტავებოდა. მას სურდა მონაწილეობა მიეღო არალეგალურ, რევოლუციურ ცხოვრებაში, რომელიც მაშინ დიდად გამოცოცხლდა. იმ ზაფხულს (1896 წ.) პეტერბურგში მიმდინარეობდა ფეიქართა დიდი გაფიცვები, რომლებიც შემდეგ მოსკოვსაც გადაედო; ამ გაფიცვებმა პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში

ეპოქა შექმნეს. ცნობილია, რა შეშფოთება გამოიწვიეს ამ გაფიცვებმა მთავრობის წრეებში, როგორ ეშინოდა მეფეს მათ გამო, სამხრეთიდან პიტერში დაბრუნება. ქალაქში ყველაფერი დუღდა და ბობოქრობდა. მეტად მხნე და აღტაცებული განწყობილება სუფევდა. ნიკოლოზ II-ის მეფედ კურთხევის წელიწადი, როცა ცნობილი ხოდინკის კატასტროფა მოხდა, აღინიშნა ორი მთავარი ცენტრის მუშათა პირველი საცდელი გამოსვლით, — ასე ვთქვათ, მუშათა პირველი, ცარიზმისათვის ავისმომასწავებელი მარშით; მართალია, მუშათა ეს გამოსვლა ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკური, მაგრამ იყო მეტიდროდ დარაზმული და მასობრივი. უფრო ახალგაზრდა ამხანაგებს გაუძნელდებათ ახლა შეაფასონ და წარმოიდგინონ ყოველივე ეს, მაგრამ ჩვენთვის, 80-იანი წლების მძიმე უღლის შემდეგ, იმ პირობებში, როცა თხუნელებივით ვცხოვრობდით და მხოლოდ კუთხე-კუთხე მიმალული შეგვეძლო ლაპარაკი, ეს გაფიცვა დიდი მოვლენა იყო. ჩვენს წინაშე თითქოს „გაიხსნა ყრუ დილეგის ურდულები და შორით გამოჩნდა კაშკაშა დღე". თითქოს მომავლის ბურუსში გამოჩნდა იმ მუშათა მოძრაობის სახე, რომლითაც რევოლუციას შეეძლო გამარჯვება და უნდა გაემარჯვნა კიდეც. სოციალ-დემოკრატიაც მწიგნობრული თეორიიდან, რომელიღაც ასოკირკიტა. მარქსისტების შორეული უტოპიიდან იქცა ხორცშესხმულ, ცოცხალ მოძრაობად, იგი გამოვიდა როგორც სასიცოცხლო ძალა პროლეტარიატისათვისაც და საზოგადოების სხვა ფენებისთვისაც. გაიღო რუსეთის თვითმპყრობელობის დახშულ და შეხუთულ საპყრობილის რომელიღაც სარკმელი და ჩვენც ყველანი ხარბად ვსუნთქავდით სუფთა ჰაერს, თავს მხნედ და ენერგიულად ვგრძნობდით ისე, როგორც არასდროს.

სულ უფრო პოპულარული ხდებოდა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი"; — ასე ეწოდა ვლადიმერ ილიჩის მიერ დაარსებულ კავშირს უკვე მისი

დაპატიმრების შემდეგ. საწარმოები ერთიმეორის მიყოლებით მიმართავდნენ ამ კავშირს თხოვნით: მათთვისაც გამოეშვათ ფურცლები. უგზავნიდნენ საჩივრებსაც: „კავშირმა რატომ დაგვივიწყაო“. ითხოვდნენ საერთო ხასიათის ფურცლებს, უწინარეს ყოვლისა, საპირველმაისო ფურცლებს. ციხის გარეთ მყოფი ამხანაგები ნანობდნენ, რომ ვლადიმერ ილიჩი ვერ წერდა პროკლამაციებს. თვითონ ვლადიმერ ილიჩსაც სურდა ეწერა ეს ფურცლები. გარდა ამისა, მას უკვე დასახული ჰქონდა თემა ბროშურებისათვის, როგორც, მაგალითად, „გაფიცვების შესახებ“.

მაშინ ილიჩი პროგრამის საკითხზე მუშაობდა. მან სცადა დაეწყო საპატიმროში არალეგალური სტატიების წერა. მათი შიფრით გადმოცემა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. უნდა გამოენახა ისეთი ხერხი, რომ გაეკეთებინა შეუმჩნეველი ნაწერი, რომლის გამჟღავნება გარეთ მოხერხდებოდა. ვლადიმერ ილიჩმა მოიგონა ბავშვების ერთი თამაში, და იწყო წიგნის სტრიქონებს შორის რძით წერა, ნაწერი ლამპაზე გახურებით უნდა გამჟღავნებულიყო. ამისათვის ილიჩი შავი პურისაგან აკეთებდა პაწაწკინტელა სამელნეებს ამ ვარაუდით, რომ შესძლებოდა მათი გადაყლაპვა, თუ კარებთან ჩქ

გაიგონებდა ან ჰუჰრუტანიდან თვალთვალს შეამჩნევდა. ილიჩი სიცილით გვიამბობდა, ერთ დღეს ისე დავინავსე, რომ ექვსი სამელნის გადაყლაპვა მომიხდაო.

მახსოვს, იმ წლებში ილიჩი დაპატიმრებამდეც და დაპატიმრების შემდეგაც ხშირად იტყოდა ხოლმე: „არ არსებობს ისეთი ეშმაკური ხერხი, რომელსაც ვერ აჯობო ეშმაკური ხერხითვე“. ციხეში იგი ჩვეული მოსაზრებულობით ვარჯიშობდა ამ საქმეში. ციხიდან გზავნიდა ფურცლებს, დაწერა ბროშურა „გაფიცვების შესახებ“, რომელიც ლახტის სტამბის ჩავარდნისას წაიღეს (მას ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ამჟღავნებდა და იწერდა). შემდეგ დაწერა პარტიის პროგრამა და ამ პროგრამის საკმაოდ ვრცელი „განმარტებითი ბარათი“,

რომელიც ნაწილობრივ მე გადავწერე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დაპატიმრების შემდეგ. დღის სინათლე არც ამ პროგრამას უხილავს: გადაწერის დამთავრებისთანავე ის ა. ნ. პოტრესოვს გადავეცი და მისი დაპატიმრების შემდეგ ვიღაცამ მოსპო, ვისაც მან შესანახად გადასცა[1]. გარდა ნაშრომისა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისაგან მემკვიდრეობად მივიღე არალეგალური ნივთების კონსპირაციული საცავი — პატარა მრგვალი მაგიდა, რომელიც ილიჩის გეგმით გაუკეთა მას ერთმა ამხანაგმა-დურგალმა. მაგიდის ერთადერთი, ჩვეულებრივზე რამდენადმე უფრო მსხვილი ფეხის ქვედა თლილი ღილი მოიხრახნებოდა ხოლმე და ამოღრუებულ ნაწილში საკმაოდ მოზრდილი შეკერა ჩაიდებოდა. ღამე იქ ვმალავდი ნაშრომის გადაწერილ ნაწილს, დედანს — ლამპაზე გახურებულ გვერდებს კი გულმოდგინედ ვსპობდი. ამ მაგიდამ მცირედი სამსახური როდი გაგვიწია: ჩხრეკისას არც ელადიმერ ილიჩთან და არც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან იგი არ შეუმჩნევიათ; პროგრამის უკანასკნელი გადაწერილი ნაწილი გადარჩა და მაგიდასთან ერთად გადმომცა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის დედამ. მაგიდა ეჭვს არ ბადებდა; მხოლოდ უფრო გვიან ხშირი მოხსნის გამო ხრახნი გაცვდა და ღილს აღარ იჭერდა.

ფურცლებისა და სხვა არალეგალურ თხზულებათა დედნებს, როცა მათ რძით გადაწერდა, თავდაპირველად ელადიმერ ილიჩი სპობდა, შემდეგ კი მეცნიერულად შომუშავე ადამიანის რეპუტაციით სარგებლობდა და მათ თავისი წვრილი ხელით შესრულებულ სტატისტიკურ და სხვა ამონაწერთა ფურცლებში ტოვებდა ხოლმე. ისეთი მასალის დედნის მოსპობა კი, როგორიც იყო, მაგალითად, პროგრამის ვრცელი

[1] ეს განმარტებითი ბარათი ხელნაწერი წაიღეს და დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. უკვე ვლადიმერ ილიჩის სიკვდილის შემდეგ მოინახა მისი ერთი არასრული ეგზემპლარი, რომელიც „პროლეტარსკაია რევოლუციის“ 1924 წლის 3(26) ნომერში დაიბეჭდა (იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 2, გვ. 99 — 135, რედ.). — ა. ე.

განმარტებითი ბარათი, არც შეიძლებოდა: შეუძლებელი იყო ერთ დღეში მისი გადაწერა; გარდა ამისა, ილიჩს, მოფიქრების შემდეგ, გამუდმებით შეჰქონდა დედანში შესწორებანი და დამატებანი. ერთხელ შეხვედრისას მან ჩვეული ჰუმორით მიამბო, მისი საკნის მორიგი ჩხრეკის დროს თუ როგორ გადაფურცლა ჟანდარმთა ოფიცერმა კუთხეში დაწყობილი წიგნების, ცხრილებისა და ამონაწერების მოზრდილი გროვა და საქმე ხუმრობით გაათავა: „დღეს ძალიან ცხელა და სტატისტიკაზე ვერ ვიმუშავებო“. მაშინ ილიჩი მეუბნებოდა, მაინცდამაინც არც ვწუხდიო: „ვერ იპოვიდა იმოდენა გროვაში“, შემდეგ სიცილით დაუმატა: „მე უკეთეს მდგომარეობაში ვარ, ვიდრე რუსეთის იმპერიის დანარჩენი მოქალაქენი,— მე ვეღარ დამაპატიმრებენ“. ის კი იცინოდა, მაგრამ მე, რასაკვირველია, ვწუხდი, ვთხოვდი უფრო ფრთხილად ყოფილიყო და ვეუბნებოდი, რომ რაიმე გიპოვონ, თუ ვეღარ დაგაპატიმრებენ, სასჯელს, რაღა თქმა უნდა, ძლიერ გაგიდიდებენ და შეიძლება კატორღაც მოგისაჯონ ისეთი გაბედულებისათვის, როგორიცაა არალეგალური თხზულების წერა საპატიმროში.

ამიტომ მე მუდამ შიშით მოველოდი მისგან იმ წიგნის დაბრუნებას, რომელიც ქიმიურ ბარათს შეიცავდა. განსაკუთრებული ნერვიულობით მოველოდი ერთი წიგნის დაბრუნებას, მახსოვს ეს იყო წიგნი პროგრამის განმარტებითი ბარათით,— ვიცოდი, რომ იგი მთლად ავსებული იყო სტრიქონებს შორის რძით ნაწერით. მე ვშიშობდი მისი გასინჯვისას საპატიმროს ადმინისტრაციას რაიმე საეჭვო არ შეემჩნია და თუ დიდხანს ექნებოდათ ხელთ, ასოები თავისთავად არ გამომჟღავნებულიყო, როგორც ეს ხანდახან ხდებოდა, როცა რძე მეტისმეტად სქელი იყო. თითქოს განგებო, წიგნები მართლაც არ მომცეს ვადაზე. დაპატიმრებულთა ყველა დანარჩენმა ნათესავმა ხუთშაბათს მიიღო ჩემს წიგნებთან ერთად გამოგზავნილი წიგნები, მე კი ზედამხედველმა მოკლედ მითხრა: „თქვენი არ

გახლავთ“, თუმცა ილიჩმა, რომელიც ის-ის იყო ვინახულე, მითხრა, წიგნები დავაბრუნეო. პირველად მომხდარმა ამ შეფერხებამ მაფიქრებინა, რომ ილიჩი ჩავარდა; განსაკუთრებით პირქუში მეჩვენა წიგნების გამცემი ზედამხედველის ისედაც პირქუში სახე. რა თქმა უნდა, დაჟინებით მოთხოვნა არ შეიძლებოდა; მთელი ღამე ვდარდობდი. მეორე დღეს კი გადმომცეს წიგნები, მათ შორის ის წიგნიც, რომელშიც პროგრამა ეწერა.

ზოგჯერ ჩემი ძმაც შეშფოთდებოდა ხოლმე ტყუილუბრალოდ. 1896 წლის ზამთარში, რომელიღაც დაპატიმრების შემდეგ (ვგონებ, პოტრესოვის დაპატიმრების შემდეგ), შემოხვევით დავაგვიანე შეხვედრაზე, მივედი უკანასკნელ ცვლაზე, რასაც ჩვეულებრივ არ ვშვრებოდი ხოლმე. ვლადიმერ ილიჩს უფიქრია, რომ მე დამაპატიმრეს, და მოუსპია მის მიერ გამზადებული რომელიღაც დედანი.

მაგრამ ასეთი მღელვარება ხდებოდა იშვიათად, ისეთი განსაკუთრებული მიზეზების დროს, როგორიც იყო ახალი დაპატიმრება. საერთოდ კი ილიჩი გასაოცრად მშვიდი, მტკიცე და მხიარული იყო ხოლმე შეხვედრებისას და თავისი გულიანი სიცილით აქარვებდა ჩვენს წუხილს.

არცერთმა ჩვენგანმა, დაპატიმრებულთა ნათესავებმა — არ ვიცოდით, როგორი განაჩენი იქნებოდა. ნაროდოვოლცებთან შედარებით სოციალ-დემოკრატებს საკმაოდ მსუბუქ სასჯელს ადებდნენ. მაგრამ პიტერის უკანასკნელი ინციდენტი იყო მ. ი. ბრუსნევის საქმე, რომელიც მკაცრად დასრულდა: 4 წლის განმარტოებული პატიმრობა და 10 წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება — ასეთი განაჩენი გამოუტანეს საქმის მეთაურს.

ჩვენ ძალიან გვაშინებდა ხანგრძლივი პატიმრობა, რასაც ბევრი ვერ აიტანდა და რაც, ყოველ შემთხვევაში, ძლიერ შეარყევდა ძმის ჯანმრთელობას. უკვე ისედაც ერთი წლის პატიმრობის შემდეგ ზაპოროჟელს ნერვები ძლიერ მოეშალა,

რაც შემდეგ განუკურნებელი სულიერი დაავადება აღმოჩნდა; ვანეევი ჩამოხმა და ახველებდა (განთავისუფლებიდან ერთი წლის შემდეგ ჭლექით გარდაიცვალა გადასახლებაში); კრჟიჟანოვსკი და დანარჩენებიც მეტნაკლებად ნერვიულობდნენ.

ამიტომ სამი წლით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლების განაჩენს ყველანი პირდაპირ შვებით შევხვდით.

ეს განაჩენი 1897 წლის თებერვალში გამოგვიცხადეს. დედის მეცადინეობის შედეგად ვლადიმერ ილიჩს ნება დართეს წასულიყო ციმბირში თავისი ხარჯით და არა ეტაპით. ეს არსებითად შემსუბუქება იყო, რადგან შუალედურ საპატიმროებში გადაყვან-გადმოყვანას ბევრი ძალა და ნერვები უნდებოდა.

მახსოვს, საპატიმროდან ძმის გამოშვების დღეს ამხ. იაკუბოვამ მოირბინა ჩემსა და დედაჩემის ოთახში და გადაკოცნა ილიჩი, ამასთან იგი თან იცინოდა და თან ტიროდა.

ძალიან ნათლად მახსოვს ძმის მეტყველი, გაბრწყინებული, ფერმკრთალი და გამხდარი სახე, როცა ის პირველად აკიდა „კონკის“ იმპერიალზე და იქიდან თავი დამიქნია.

მას შეეძლო პიტერის ქუჩებში „კონკით“ სიარული, შეეძლო ამხანაგების მონახულება, რადგან ყველა განთავისუფლებულ „დეკაბრისტს“ ნება დართეს გამგზავრებამდე სამი დღე დარჩენილიყვნენ პეტერბურგში, ოჯახებში. . თავდაპირველად ამ უმაგალითო შეღავათს, თავისი ვაჟიშვილისათვის მიაღწია ი. ო. ცედერბაუმის (მარტოვის) დედამ, რომელსაც პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ ზვოლიანსკისთან უშუამდგომლეს ვიღაც ნაცნობებმა; შემდეგ კი, რაკი პრეცედენტი შეიქმნა, პოლიციის მეთაურმა შესაძლებლად ვერ ცნო უარი ეთქვა დანარჩენებისათვის. ამის შედეგად ყველამ ნახა ერთმანეთი, ჯგუფურად სურათი გადაიღეს (ცნობილი სურათი), მოაწყვეს ორი საღამოს კრება, რომლებიც გვიანობამდე გაგრძელდა: პირველი — სტეფანე ივანეს ძე რადჩენ-

კოსთან და მეორე — ცედერბაუმთან. ამბობდნენ, პოლიცია ვონს გვიან მოვიდა, გვიან მიხვდა, რომ შეცდა, როცა პიტერში სასეირნოდ გაუშვა ეს სოციალ-დემოკრატებიო, რომ ისინი არცთუ ისე მშვიდობიანი ხალხიაო. იმასაც ამბობდნენ, ზეოლიანსკის ამის გამო კარგად მოხვდაო. როგორც უნდა ყოფილიყო, ამ შემთხვევის შემდეგ ასეთ შეღავათებს ჯკუფურად უკვე აღარ აძლევდნენ; თუ გადასახლებამდე ვინპეა ტოვებდნენ, მხოლოდ იმათ, ვისი ავადმყოფობაც წინასწარ იცოდნენ ან ვისაც განსაკუთრებული პროტექცია ჰყავდა. კრება წარმოადგენდა „მოხუცებისა“ და „ახალგაზრდების“ შეხვედრას. კამათობდნენ ტაქტიკის შესახებ. განსაკუთრებით ასეთი წმინდა პოლიტიკური კრება იყო პირველი — რადჩენკოსთან გამართული კრება. მეორე — ცედერბაუმთან გამართული კრება უფრო ნერვიული და აურზაურიანი იყო. პირველ კრებაზე დისკუსია გაიმართა „დეკაბრისტებსა“ და „რაბოჩაია მისლის“ გვიანდელ მომხრეებს შორის.

ვლადიმერ ილიჩს იმის ნებაც დართეს, რომ სამი დღე მოსკოვში, ოჯახში გაეტარებინა. მან ინახულა ამხანაგები და კინაღამ გადაწყვიტა თავისი ნებით მისულიყო საპატიმროში და გზა ამხანაგებთან ერთად განეგრძო. მაშინ ის იყო დაამთავრეს მაგისტრალი კრასნოიარსკამდე და ეტაპი არც ისე სამძიმო უნდა ყოფილიყო, როგორც ადრე: მხოლოდ ორი საპატიმრო უნდა გამოეცვალა — მოსკოვსა და კრასნოიარსკში. ვლადიმერ ილიჩს არ სურდა ამხანაგებზე უფრო კარგი პირობებით ესარგებლა. მახსოვს, ამან ძალიან დაანაღვლიანა დედა, რომლისთვისაც იმის ნებართვა, რომ ვალოდია თავის ხარჯზე გამგზავრებულიყო, ყველაზე დიდი ნუგეში იყო. მას შემდეგ, რაც დედას უმტკიცებდნენ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მიეღწია, რომ ვალოდია საკუთარ ხარჯზე გამგზავრებულიყო, მას შემდეგ, რაც მას გადასცეს რომელიღაც ძველი გადასახლებულის სიტყვები: „გადასახლებაში წასვლას ისევ შეეძლებდი, ეტაპით მგზავრობას კი — ვერასოდესო“,— ვლადიმერ

ილიჩი ფიქრობს უარი თქვას მის ვაივაგლახით მიღებულ ამ შეღავათზე და თავის ნებით წავიდეს ისევ საპატიმროში.

მაგრამ საქმე მოგვარდა. პიტერში ხელახლა დაპატიმრებული „დეკაბრისტები“ ამ სამი შეღავათიანი დღის გასვლამდე მოსკოვს არ ჩამოსულან; ამასობაში კი მოსკოვის პოლიცია დაფაცურდა, ვლადიმერ ილიჩი გამოიძახა და ულტიმატუმის წინაშე დააყენა: ან ხვალისათვის გასამგზავრებელი მოწმობა მიიღე ან ახლავე დაგაპატიმრებთო. ამრიგად, ვ. ილიჩის მისწრაფებას გადაეღობა პერსპექტივა, რომ დაუყოვნებლივ, შინაურებთან გამოუთხოვებლად წასულიყო საპატიმროში და იქ, ვინ იცის, რამდენ ხანს ეცადა „თავისიანებისათვის“. აი, ეს იყო კონკრეტული რუსული სინამდვილე, ამასთან პიტერზე უფრო ნაკლებ შელამაზებული მოსკოვური ფორმით, რომელსაც თავად სერგის „მამულის“ იერი ჰქონდა. გაიმარჯვა საღი გონების ბუნებრივმა პროტესტმა იმის წინააღმდეგ, რომ ასე უნაყოფოდ დაეხარჯა ძალღონე, რათა არ გამორჩეულიყო ამხანაგებში, გაიმარჯვა მისმა ჩვეულმა შეგნებამ, რომ საჭიროა გაუფრთხილდე ძალებს ნამდვილი ბრძოლისათვის და არა რაინდული გრძნობების გამოჩენისათვის, და ილიჩმა გადაწყვიტა მეორე დღეს გამგზავრებულიყო. ჩვენ ოთხმა — დედამ, დამ — მარიამ ილიას ასულმა, მე და ჩემმა მეუღლემ — მარკ ტიმოთეს ძემ ტულამდე გავაცილეთ ილიჩი.

ვლადიმერ ილიჩი გადასახლებაში წავიდა უკვე როგორც ბელადი, აღიარებული მრავალთა მიერ. პარტიის 1898 წლის პირველმა ყრილობამ დაასახელა იგი პარტიული ორგანოს რედაქტორად და დაავალა დაეწერა პარტიის პროგრამა. ჩვენმა სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამაც ამ წლებში პირველი და ამიტომ ყველაზე ძნელი ნაბიჯი გადადგა პარტიულობისაკენ, ფართო მასობრივი ბრძოლისაკენ. თითქმის ყველა ხელმძღვანელი დააპატიმრეს, I ყრილობის მონაწილენი თითქმის მთლად დაფანტეს, მაგრამ საფუძველი ჩაყრილი იყო. მოძრაობის პირველი დაწყებითი საფეხური გავლილი იყო.

VII. გადასახლება

ვლადიმერ ილიჩისათვის გადასახლებამაც შედარებით ხელსაყრელ პირობებში ჩაიარა. დედის შუამდგომლობით სუსტი ჯანმრთელობის გამო, მას ნება დართეს სასჯელი მოეხადა ციმბირის ყველაზე ჯანსაღ ადგილას, მინუსინსკის მაზრაში. გადასახლების პუნქტად დაუნიშნეს სოფელი შუშენსკოე, ანუ, როგორც მაშინ შემოკლებით უწოდებდნენ, შუშა. მასთან ერთად იყო ორი თუ სამი პოლონელი შუშა. დანარჩენი ამხანაგები, რომლებიც ამ საქმის გამო გადაასახლეს, სხვა სოფლებში გაგზავნეს. უარეს მდგომარეობაში ჩავარდა,— ალბათ, როგორც ებრაელი,— ი. ო. ცედერბაუმი (მარტოვი). იგი გადაასახლეს ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტში, გაუვალი საფლობითა და ჭაობით გარემოცულ ტურუხანსკში. გადასახლების მთელი დროის განმავლობაში მარტოვი შოწყვეტილი იყო ამხანაგებს. დანარჩენებს კი შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ ერთმანეთს, თავი მოეყარათ ისეთ დღესასწაულებზე, როგორიცაა ქორწილი, ახალი წლის შეხვედრა და სხვ., მიეღოთ ნებართვა კრასნოიარსკში სამკურნალოდ ჩასვლისა. მაგალითად, ჩემი ძმა ჩადიოდა კრასნოიარსკში კბილების სამკურნალოდ. მარტოვს კი მხოლოდ მიმოწერით უკავშირდებოდნენ; ვლადიმერ ილიჩს მასთან ყველაზე ცხოველი მიმოწერა ჰქონდა.

ვლადიმერ ილიჩის დრო მეტისმეტად ერთფეროვნად მიმდინარეობდა გაძლიერებულ და დაძაბულ მუშაობაში. გადასახლების განმავლობაში მან დაწერა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ (გამოვიდა 1899 წლის აპრილში) და რამდენიმე სტატია, რომლებიც ნაწილობრივ იბეჭდებოდა „ლეგალურ მარქსისტთა“ მაშინდელ ჟურნალში — „ნოვოე სლოვო“, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოვიდა სათაურით „ეკონომიური ეტიუდები და სტატიები“.

ვლადიმერ ილიჩი მიეჩვია რეგულარულ მუშაობას; ივი. მეცადინეობას ხანგრძლივად მაშინაც არ წყვეტდა, როცა ეს

გარდუვალი იყო, მაგალითად, გზაში ან გაურკვეველი მდგომარეობისა ან მოლოდინის დროს. ასე, მაგალითად, განწესების მოლოდინში ილიჩმა მთელი თვე დაჰყო კრასნოიარსკში და ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე მიდიოდა სამეცადინოდ ვაჭარ იუდინის ბიბლიოთეკაში, ქალაქიდან სამიოდე ვერსის მოშორებით; მან რუმიანცევის ბიბლიოთეკაში სამეცადინოდ გამოიყენა ნაწილობრივ ის სამი დღეც კი, რომლებიც მშობლიურ ოჯახში, მოსკოვში შეეძლო გაეტარებინა, რადგან ამის ნება დართეს. ამით ვლადიმერ ილიჩმა ძალიან გააკვირვა ერთი ახალგაზრდა სტუდენტი, იაკოვლევი, რომელიც ბავშვობიდან იცნობდა ჩვენს ოჯახს და რომელმაც შემოირბინა ჩვენთან, რათა ენახა ილიჩი სამი წლით გადასახლებაში გამგზავრების წინ. ილიჩის დასვენება იყო სეირნობა ახლომდებარე ტყეებში, ნადირობა კურდღელსა და ფრინველზე, რაც იმ წლებში ბლომად იყო.

გადასახლებიდან მოწერილ ერთ-ერთ ბარათში ვლადიმერ ილიჩი აღწერს იმ სოფელს, „შუ-შუ-შუს“, როგორც მას ხუმრობით უწოდებდა, — სადაც ის გაამწესეს.

„სოფელი დიდია, რამდენიმე საკმაოდ ჭუჭყიანი, მტვრიანი ქუჩისაგან შედგება — ყველაფერი ისეა, როგორც მოსალოდნელი იყო. იგი ველზეა გაშლილი — ბაღები და საერთოდ მცენარეულობა არა აქვს. სოფელი გარშემორტყმულია... ნაკელით, რომელიც აქ მინდვრად არ გააქვთ და რომელსაც პირდაპირ სოფლის კიდეზე ჰყრიან, ასე რომ, სოფლიდან გასასვლელად თითქმის ყოველთვის რამდენიმე მანძილი ნაკელზე უნდა გაიარო. სოფელს ჩაუდის ამჟამად მთლად დაკლებული ღელე შუში. სოფლიდან (უფრო სწორედ, ჩ ე მ გ ა ნ: სოფელი გრძელია) 1 — 1½ ვერსის დაშორებით შუში ერთვის ენისეის, რომელიც აქ უამრავ კუნძულს და ტოტს ქმნის, ასე რომ, ენისეის მთავარ კალაპოტთან მისასვლელი არ არის. ვბანაობ ყველაზე დიდ ტოტში; ახლა ეს ტოტიც ძლიერ კლებულობს. მეორე მხარეს (მდინარე შუშის პირდაპირ)

დაახლოებით 1½ ვერსის მანძილზე „ნაძვნარია“, როგორც მას დიდი ამბით უწოდებენ გლეხები; სინამდვილეში კი მეტად ცუდი, ძლიერ გაჩეხილი პატარა ტყეა, რომელშიც ნამდვილ ჩრდილსაც კი ვერ იპოვი (სამაგიეროდ ბლომადაა ხენდრო!) და რომელსაც ციმბირის ტაიგასთან საერთო არაფერი აქვს; ტაიგის შესახებ მე მხოლოდ გაგონილი მაქვს, მაგრამ იქ არ ვყოფილვარ (იგი აქედან 30—40 ვერსით მაინც არის დაშორებული). მთები... ამ მთების შესახებ მე ფრიად არაზუსტი გამოთქმა ვიხმარე, რადგან მთები აქედან ორმოცდაათიოდე ვერსის მანძილზეა გაწოლილი, ასე რომ შეიძლება მხოლოდ დაინახო ისინი, როცა მათ ღრუბლები არ ფარავენ... სწორედ ისევე, როგორც ყენევიდან შეგვიძლია მონბლანის დანახვა. ამიტომაც ჩემი ლექსის[1] პირველი (და უკანასკნელი) სტრიქონი „მთის ძირის“ თაობაზე ერთგვარ ჰიპერბოლას (პოეტებს ხომ აქვთ ასეთი ფიგურა!) შეიცავს... ამიტომ შენს შეკითხვაზე: „რომელ მთებზე ადიო“, შემიძლია მხოლოდ ეს გიპასუხო: ქვიშის ბორცვებზე, ეგრეთწოდებულ „ნაძვნარში“ რომ არის — საერთოდ ქვიშა აქ საკმარისადაა“ [2].

ციმბირში იმ დროს ძალიან სიიაფე იყო. ასე, მაგალითად, გადასახლების პირველ წელს ვლადიმერ ილიჩს ოთახი და სრული სარჩო ჰქონდა გლეხის ოჯახში იმ დახმარების ფასად — თვეში 8 მანეთად, რაც მაშინ გადასახლებულს ეძლეოდა.

ერთი წლის შემდეგ დედასთან ერთად ვლადიმერ ილიჩის სანახავად ჩავიდა მისი საცოლე — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია; ვლადიმერ ილიჩი უფრო მოზრდილ ბინაში გადავიდა და ოჯახურად იწყო ცხოვრება. ნადეჟდა

---

[1] კრასნოიარსკიდან გამოგზავნილ ბარათში, რომლითაც ვლადიმერ ილიჩი იტყობინებოდა: სოფელ შუშენსკოეში გამგზავნესო, იგი ხუმრობით წერდა, ლექსის თხზვა დავიწყე და მისი პირველი სტრიქონი ასეთია: „შუშაში, ალტაის მთის ძირას“. — ა. ე.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 56 — 57. — რ ე დ.

კონსტანტინეს ასულს გადასახლების ადგილად უფა დაუნიშნეს, მაგრამ მისი თხოვნის თანახმად შეუცვალეს სოფელ შუშენსკოეთი, სადაც გადასახლებული იყო ვლადიმერ ილიჩი. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ვლადიმერ ილიჩი, ფულის შოვნის მიზნით, ინგლისურიდან თარგმნიდა ცოლქმარ ვებთა წიგნს ტრედუნიონიზმის შესახებ.

იმ წლებში ილიჩთან მე მუდამ უაღრესად გაცხოველებული მიმოწერა მქონდა. ჩვეულებრივი ბარათებით იგი თხოულობდა წიგნებს, მაძლევდა დავალებებს, მწერდა თავის ლიტერატურულ ნაშრომებზე, თავის ცხოვრებაზე, ამხანაგებზე; ქიმიური ბარათებით მე მას ვწერდი რუსეთში რევოლუციური ბრძოლისა და მუშაობის მიმდინარეობაზე, ის კი მიგზავნიდა თავის სტატიებს, რათა გამოსაცემად გადამეგზავნა პიტერის „ბრძოლის კავშირისა“ ან საზღვარგარეთ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისათვის. ასე, მაგალითად, მათ გავუგზავნე ბროშურა „რუსი სოციალ-დემოკრატების ამოცანები,“ რომელიც პ. ბ. აქსელროდის წინასიტყვაობით გამოვიდა საზღვარგარეთ; მათვე გავუგზავნე პასუხი მაშინდელი „ეკონომისტების“ წერილზე, რომელიც შეადგინეს კუსკოვამ და პროკოპოვიჩმა და რომელსაც ეწოდა „კრედო“. ამის გამო პასუხი ცნობილია „ანტიკრედოს“ სახელით. ვლადიმერ ილიჩმა მკაცრად გაილაშქრა ყველაზე აშკარად გამოთქმულ იმ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომ მუშები ეკონომიურ ბრძოლას უნდა დასჯერდნენ, პოლიტიკური ბრძოლა კი ლიბერალებს მიანებონო. მართალია, ამ შეხედულებას გამოთქვამდა არა სოციალ-დემოკრატთა მებრძოლი რაზმი, მაგრამ მას გამოთქვამდნენ ისეთი პირები, რომლებსაც მაშინ ახალგაზრდებში ავტორიტეტი ჰქონდათ. გარდა ამისა, მეტად მკაფიოდ გამოთქმული შეხედულებანი შესაძლებლობას იძლეოდნენ უფრო გადაჭრით აღნიშნულიყო ის, თუ რას იწვევდა „ეკონომიზმისაკენ“ გადახრა. ეს პროტესტი წაიკითხეს სხვადასხვა სოფლებიდან თავმოყრილ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ზემოხსენებული

შეხვედრისას, მაშინვე მიიღეს და გამოგზავნეს როგორც „17 სოციალ-დემოკრატის პასუხი“,—სათაურით, რომლითაც ცნობილია იგი პარტიულ ლიტერატურაში.

გადასახლებულთა უმრავლესობისაგან განსხვავებით ვლადიმერ ილიჩი არ მიისწრაფოდა უფრო ხმაურიანი ცენტრისაკენ, არ უნდოდა ადგილის გამოცვლა. დედის წინადადებაზე—ეზრუნა ქალაქში გადაყვანისათვის (წლის ან წლინახევრის შემდეგ), ის გვწერდა: არ ღირს, რადგან მინუსინსკსა ან კრასნოიარსკში დროებით ჩასვლა, ჩემი აზრით, უმჯობესია, ვიდრე მუდმივად იქ ცხოვრებაო. ცხადია, იმიტომ, რომ წყნარ სოფელში ერთ ადგილას ცხოვრება მეცადინეობისათვის უფრო მეტ გასაქანს იძლეოდა და უფრო მოხერხებული იყო; აქ მას არაფერი არ უშლიდა ხელს. პირიქით მოხდებოდა შედარებით ხალხმრავალ კოლონიებში, სადაც, გარდა ამისა, იძულებითი უსაქმობა იმ კინკლაობას ქმნიდა, რომელიც გადასახლების ყველაზე მძიმე მხარეა. ერთი ასეთი კინკლაობის გამო, რომელმაც ვერხოლენსკში ნ. ე. ფედოსეევის თვითმკვლელობა გამოიწვია, ვლადიმერ ილიჩი მწერდა: „არა, უმჯობესია ნუ მისურვებ ინტელიგენტ ამხანაგებს შუშაში!“ „გადასახლებაში ყველაფერზე ცუდია ეს „გადასახლების ისტორიებიო“[1].

მაგრამ ხანდახან ამხანაგების მოსანახულებლად ვლადიმერ ილიჩი ხალისით მიდიოდა სხვა სოფლებში, ორმოცდაათი თუ ასიოდე ვერსის დაშორებით, ან ხვდებოდა მათ შუშაში. იმ დროს ასეთი მოგზაურობის ნებას აძლევდნენ ახალი წლის შესახვედრად, ქორწილზე ან დღეობაზე დასასწრებლად. 3-4 დღით ამ თავშეყრისას, როგორც ილიჩი გვწერდა, დროს „ძალიან მხიარულად“ ატარებდნენ: სეირნობდნენ, აწყობდნენ შორეულ ნადირობას, დადიოდნენ საბანაოდ ზაფხულში; ციგურაობდნენ და ჰადრაკს თამაშობდნენ ზამთარში; საუბ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 88, 125.— რ ე დ.

რობდნენ სხვადასხვა თემაზე, კითხულობდნენ ვლადიმერ ილიჩის წიგნის ცალკეულ თავებს, ან მსჯელობდნენ სხვადასხვა ახალ მიმართულებაზე ლიტერატურასა და პოლიტიკაში. მაგალითად, ზემოხსენებული „კრედოს“ დასაგმობად ამხანაგებმა თავი მოიყარეს ვითომ ლეპეშინსკის ქალიშვილის დაბადების დღის აღნიშვნის საბაბით. გადასახლების პერიოდში ვლადიმერ ილიჩი ორჯერ თუ სამჯერ ხალისით ჩავიდა მინუსინსკსა და კრასნოიარსკში მკურნალობის საბაბით.

გარდა გადასახლებულთა კომპანიისა, სადაც ვლადიმერ ილიჩი გულახდილად აშუქებდა თავის შეხედულებებს, ხალისით ეხმარებოდა ამხანაგებს თვითგანვითარების საქმეში, უთითებდა ლიტერატურას,— მას აინტერესებდა ადგილობრივი გლეხების ცხოვრებაც; ამ გლეხთაგან ზოგიერთს დღემდე ახსოვს იგი და მის შესახებ თავიანთი მოგონებებიც გამოგზავნეს. მაგრამ გასაგებია, რომ ვლადიმერ ილიჩი თავშეკავებული იყო მათთან საუბარში. მაშინდელი რუსეთის გლეხობაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო მოშორებულ, ციმბირის გლეხობაზე, პოლიტიკურად სრულიად განუვითარებელი იყო. გარდა ამისა, მის მდგომარეობაში მყოფის — გადასახლებულის, შეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის მხრივ პროპაგანდის გაწევა არათუ მიზანშეუწონელი, არამედ პირდაპირ უცნაური იქნებოდა.

მაგრამ ვლადიმერ ილიჩი ხალისით ესაუბრებოდა გლეხებს, რაც მას იმის შესაძლებლობას აძლევდა, რომ შეესწავლა ისინი, გამოერკვია მათი მსოფლმხედველობა; ილიჩი მათ რჩევასაც აძლევდა ყველაფერში, რაც მათს ადგილობრივ საქმეებს შეეხებოდა, უმთავრესად იურიდიულს. ასეთი იურიდიული რჩევის მისაღებად გლეხობამ ოლქიდანაც იწყო მოსვლა, ხანდახან ისინი საკმაოდ ბლომად მოგროვდებოდნენ. ამას გვიამბობენ თავიანთ მოგონებებში გლეხები, აგრეთვე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულიც. ასეთი საუბრებით, ნადირობის დროს მუსაიფით ვლადიმერ ილიჩი ამ სოფელში ყოფ-

ნისას, ისევე როგორც წინათ ვოლგისპირეთის სოფლებში ყოფნისას, შეუმჩნეველად გაეცნო გლეხობას, მის ფსიქოლოგიას, რამაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია მას რევოლუციურ მუშაობაშიც და უფრო გვიან მართვა-გამგეობის საქმესთანაც.

მას უნარი ჰქონდა უბრალო მუსაიფის დროს აელაპარაკებინა მოსაუბრენი და ისინიც გაუხსნიდნენ გულს, გაუზიარებდნენ თავიანთ გულისნადებს.

ამრიგად, ვლადიმერ ილიჩი გადასახლებიდან დაბრუნდა არა მარტო როგორც რევოლუციონერი, რომელსაც გამოცდილება და გარკვეულად დაკრისტალებული, იატაკქვეშეთში უკვე ავტორიტეტად აღიარებული ინდივიდუალობა ჰქონდა; დაბრუნდა არა მარტო როგორც ადამიანი, რომელმაც მეცნიერული შრომა გამოუშვა, არამედ როგორც ისეთი ადამიანიც, რომელმაც თვით სოფლის შუაგულში სამი წლის ცხოვრებისა შედეგად ზედმიწევნით შეისწავლა გლეხობა — რუსეთის მოსახლეობის ეს ძირითადი ფენა.

ამით მთავრდება ვლადიმერ ილიჩის ბიოგრაფიის პირველი ნაწილი, გადასახლებიდან მის დაბრუნებამდე, იმ დრომდე, როცა მან — 30 წლის ასაკში — კვლავ მტკიცედ მოჰკიდა ხელი რევოლუციურ მუშაობას, მაგრამ უკვე შეუდარებლად უფრო ფართო მასშტაბით, მუშაობას, რომელმაც რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატი დარაზმა და გამარჯვებამდე მიიყვანა.

ილიჩის დაბრუნება გადასახლებიდან და „ისკრის“ იდეა

ეს მოხდა 1900 წლის თებერვალში. ჩვენ ყველანი, განსაკუთრებით კი განსვენებული დედაჩემი, ამ თვეს ისე მოველოდით როგორც დღესასწაულს: იწურებოდა ჩემი ძმის, ვლადიმერ ილიჩის გადასახლების ვადა და იგი ციმბირიდან უნდა დაბრუნებულიყო. ჩვენ ის სამი წლის უნახავი გვყავდა და, რა თქმა უნდა, მოუთმენლად მოველოდით მის ჩამოსვლას. ვადა იწურებოდა იანვრის უკანასკნელ დღეებში, იმ დღეს, როცა ხელი მოაწერეს ბრძანებას გადასახლების შესახებ, მაგრამ ილიჩს შორი გზა ედო წინ, ჯერ ცხენებით შუშენსკოედან მინუსინსკზე გავლით კრასნოიარსკამდე დაახლოებით 350 ვერსი, შემდეგ კი რკინიგზით. გარდა ამისა, გული მთლად დამშვიდებული არ გვქონდა, ნამდვილად გათავდა გადასახლება თუ არა; ვფიქრობდით, რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა. ჩვენ ხომ მაშინ თვითმპყრობელობის უღელქვეშ ვცხოვრობდით, ეს კი ადმინისტრაციული გადასახლება იყო, ე. ი. ხელისუფლების სრული თვითნებობა. უფროსებთან რაიმე შეტაკება, რომელიმე ადგილობრივი სატრაპის მხრივ, რაიმე

წვრილმანი შურისძიება — და გადასახლების ვადა შეიძლებოდა გაეგრძელებინათ.

თუმცა ასეთი ხვედრი უმთავრესად გადასახლების ადგილზე ჩადენილი რაიმე დანაშაულის გამო შეხვდებოდათ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ ეს ნაკარნახევი იყო აგრეთვე ცენტრის მოსაზრებებით, მაგალითად, რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში არასასურველად ითვლებოდა მიყრუებული ადგილებიდან გავლენიანი რევოლუციონერების დაბრუნება.

ამიტომ ვლადიმერ ილიჩი, თუმცა თავდაჭერილად და ყველას დასანახად ცხოვრობდა და, ყოველ შემთხვევაში, აკრძალულს არაფერს აკეთებდა, თავისი ხვედრის გამო დამშვიდებული მაინც ვერ იყო და რაც უფრო ახლოვდებოდა განთავისუფლების დღე, მით უფრო ნერვიულობდა.

„ამა და ამ დღეს გამოვემგზავრები, თუ ვადა არ წამიმატეს“,— გვწერდა ის.

ეს შიში არ გამართლდა — ვლადიმერ ილიჩმა შესძლო წამოსვლა იმ დღეს, როცა ის ვარაუდობდა და ჩვენ წერილითა თუ დეპეშით (ახლა აღარ მახსოვს) ვიცოდით მისი ჩამოსვლის დღე და საათი და მოველოდით მას.

უმცროსი ძმა, დიმიტრი ილიას ძე, თავისი პირველი საქმის გამო, მაშინ მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა პოდოლსკში, მოსკოვის გუბერნიაში. როცა ციმბირის მატარებელი პოდოლსკში გაჩერდა, იგი მატარებელში ჩაჯდა და ვლადიმერ ილიჩთან ერთად ჩამოვიდა მოსკოვს.

მაშინ მოსკოვის განაპირას კამერ-კოლეჟის საყარაულოსთან ბახმეტევის ქუჩაზე ვცხოვრობდით. როცა დავინახეთ მოახლოებული ეტლი, ყველანი კიბეზე გამოვცვივდით ვლადიმერ ილიჩის შესახვედრად. პირველად დედის ნაღვლიანი წამოძახილი გაისმა:

— აბა, როგორ მწერდი, მოვკეთდიო? რა გამხდარი ხარ!

— მე მართლა მოვიკეთე, მაგრამ უკანასკნელ ხანს, წამოსვლის წინ გავხდი.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა გვიამბო შემდეგ, რომ ვადის გასვლის წინ ნერვიულობამ და იმან, რომ ილიჩი დარწმუნებული არ იყო ვადის ნამდვილად დამთავრებაში, სულ დააკარგვინა ის, რაც ციმბირიში მოიკეთა.

— იული ჩამოვიდა? წერილი იყო? დეპეშა? — მოგვაყარა ვალოდიამ შეკითხვები პირველ მისალმებათა შემდეგ, როგორც კი გაიხადა და ჩვენს სასადილო ოთახში შემოვიდა.

იული ცედერბაუმი, შემდეგში მარტოვის ფსევდონიმით ცნობილი, იმავე საქმის გამო გადაასახლეს ტურუხანსკში, რაზეც ვლადიმერ ილიჩი; მისი ვადაც ჩემი ძმის ვადასთან ერთად მთავრდებოდა. როგორც ებრაელი, იგი გადაასახლეს ენისეის გუბერნიის ყველაზე შორეულ და ცუდ კუთხეში.

იულისაგან რომ არავითარი ცნობა არა გვქონდა და მის შესახებ არაფერი ვიცოდით, ამან ვლადიმერ ილიჩი შეაშფოთა.

— როგორ? ჩვენ ხომ დავთქვით. ეს რას უნდა ნიშნავდეს? — ამბობდა ის და ოთახში ბოლთას სცემდა — დეპეშა უნდა გავუგზავნო. მიტია, წაიღე, თუ კაცი ხარ!

მან მაშინვე შეადგინა დეპეშა და გაატანა ძმას, რითაც ცოტა გული ატკინა უმცროს ძმასაც და ჩვენ ყველასაც, რომლებსაც, ბუნებრივია, გვსურდა, რომ ჩამოსვლის ამ პირველ წუთებში ვლადიმერ ილიჩი მთლიანად ჩვენი ყოფილიყო.

გარდა ამისა, მე ამან გამაოცა, რადგან გადასახლებამდელი პერიოდის მიხედვით ვიცოდი, რომ მარტოვთან, რომელიც წრეში შედარებით გვიან შევიდა, ვალოდია გაცილებით ნაკლებად იყო დაახლოებული, ვიდრე წრის დანარჩენ წევრებთან — კრჟიჟანოვსკისთან, სტარკოვთან, ვიცოდით, რომ გადასახლებაში ეს უკანასკნელნი მის მეზობლად ცხოვრობდნენ (ორმოცდაათიოდე ვერსზე) და საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ასეთ პირობებში სიახლოვე ჩვეულებრივ მხო-

ლოდ ძლიერდება. მაგრამ მათ შესახებ ვლადიმერ ილიჩი ცოტას ლაპარაკობდა, მშვიდად, აუღელვებლად. მარტოვისაგან კი ცნობებს მეტად მოუთმენლად ელოდა.

მომდევნო საუბრებმა გამარკვიეს ამ ვითარებაში. ცედერბაუმი მას მიაჩნდა უახლოეს ამხანაგად შემდგომ მუშაობაში, უმთავრესად საერთო რუსეთის გაზეთის შესაქმნელად. ილიჩი აღტაცებას გამოთქვამდა იულის რევოლუციური ტემპერამენტის გამო და ძლიერ ღელავდა, ვიდრე არ მიიღო ცნობა, რომ იგი მშვიდობიანად გამოემგზავრა ტურუხანსკიდან. ილიჩი გვიმღეროდა ცედერბაუმის მიერ გადასახლებაში შეთხზულ ლექსს:

> განა გაპლმუის მშიერი მხეცი,
> აეობს ქარბუქი გააფთრებული,
> ქარის ოხერაშიც მკაფიოდ გეესმის:
> ხარხარებს მტერი გამარჯვებული.
> ძმებო, მხნედ ვიყოთ! ძმებო, მხნედ ვიყოთ;
> ლაღი სიმღერით ავბედს დავცინოთ.
> ზვიადი არის რუსეთში ხალხი,
> საქმე მოითხოეს სისხლის გაღებას,
> მაგრამ ბევრს წლები შორეულ მხარის
> ჩამოაფხიკავს ოქროს საღებავს.
> და მათი სწრაფვა გახდება ნოლი
> აჯობებს წეკო და ალკოგოლი.
> და ა. შ.

ილიჩი მღეროდა, და კი მისი მიყოლებით ფორტეპიანოს უხამებდა პოლონურ რევოლუციურ სიმღერებს, რომლებიც ილიჩს გადასახლებულმა პოლონელმა მუშებმა ასწავლეს; ეს სიმღერები მან ზოგი პოლონურად, ზოგიც კრჟიჟანოვსკის მიერ შესრულებული რუსული თარგმანით იცოდა.

ეს სიმღერები იყო: „გაშმაგდით ტირანებო!“, „მტრული გრიგალი“, „ჩერვონი შტანდარ“. ნათლად მახსოვს, ვალოდია ჩვენი პატარა სასადილო ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში მიმოდიოდა და გატაცებით მღეროდა:

„А колёр штандара червоны,
Бо на ним работнікув крев."

იგი აღტაცებული იყო პოლონელ მუშათა რევოლუციური სიმღერებით და ამბობდა, საჭიროა რუსეთისთვისაც შეიქმნას ასეთი სიმღერებიო.

იმ წლებში გამოცხადებული იყო რუსეთის სამოცამღე პუნქტი, სადაც აკრძალული ჰქონდათ ცხოვრება გადასახლებიდან დაბრუნებულ პირებს. დედაქალაქებსა და საუნივერსიტეტო ქალაქებთან ერთად მათ შორის იყო სამრეწველო პუნქტები, რომლებიც მუშათა მოძრაობამ მოიცვა. ასეთი კი 1900 წლისათვის მეტად თუ ნაკლებად ყველა ქალაქი იყო. ასარჩევი ცოტაღა რჩებოდა. ვლადიმერ ილიჩმა ჯერ კიდევ ციმბირში აირჩია ფსკოვი, როგორც პეტერბურგის ახლო მდებარე ქალაქი; ამ საცხოვრებელი ადგილის შესახებ იგი შეუთანხმდა ცედერბაუმს და პოტრესოვს (რომელიც ვიატკის გუბერნიაში იყო გადასახლებული). ორივესთან ერთად ის ვარაუდობდა საერთო რუსეთის გაზეთის გამოცემას. ცედერბაუმი ფსკოვში ჩავიდა პეტერბურგიდან, სადაც მშობლები ინახულა, პოტრესოვი კი ჩვენთან — მოსკოვს ჩამოვიდა, მაგრამ უკვე ვლადიმერ ილიჩის წასვლის შემდეგ.

არ მახსოვს, რამდენ დღეს დარჩა ჩვენთან ჩემი ძმა. იმ ხანებში მის სანახავად ეკატერინოსლავიდან ჩამოვიდა მისი ძველი სამარელი ნაცნობი ი. ხ. ლალაიანცი, რომელიც მაშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის და გაზეთ „იუჟნი რაბოჩის" რედაქციის წევრი იყო. ის ჩვენთან სამ დღეს დარჩა. ლალაიანცს ილიჩთან საქმიანი საუბარი ჰქონდა.

შემდეგ ვლადიმერ ილიჩი მიამბობდა, რომ საუბარი ეხებოდა უმთავრესად პარტიის II ყრილობის მოწვევას, რასაც მაშინ ჯერ კიდევ რუსეთში ვარაუდობდნენ. საყოველთაო დაპატიმრებებმა სამხრეთში 1900 წლის აპრილში — მათ შორის ლალაიანცის დაპატიმრებამ—საბოლოოდ დაარწმუნა ვლადიმერ ილიჩი, რომ რუსეთში ყრილობის მოწვევა შეუძლებელი

იყო. ამაზე ის მესაუბრებოდა ივნისში, საზღვარგარეთ გამგზავრებამდე, როცა საერთო რუსეთის გაზეთის დაწერილებით გეგმას ავითარებდა, რომლის ორგანიზაციაც რუსეთის ყველა კუთხეს მისწვდებოდა და ძირითადი პრინციპების გარშემო გააერთიანებდა ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში გაფანტულ კომიტეტებსა და წრეებს.

„თუ მხოლოდ ყრილობისათვის მზადება წარმოშობს ასეთ ჩავარდნებს, — ამბობდა იგი, — თითქმის ძირამდე ანგრევს ორგანიზაციას, იწვევს ყველაზე ძვირფას მუშაკთა დაპატიმრებას, ეს იმის მაჩვენებელია, რომ თვითმპყრობელურ რუსეთში ყრილობები შეუწყნარებელი ფუფუნებაა, საჭიროა პარტიის გაერთიანების სხვა ხერხები. და აი, ასეთი ხერხი შეიძლება იყოს საერთო რუსეთის გაზეთი, რომელსაც საზღვარგარეთ გამოვცემთ და რომლის ირგვლივაც, როგორც მშენებლობაზე დადგმულ ხარაჩოს ირგვლივ, აიგება პარტია“.

ამ იდეიდან იბადებოდა „ისკრა“ თავისი ეპიგრაფით: „ნაპერწკლიდან ალი აინთება“; „ისკრამ“ მართლაც შეასრულა პარტიის გაერთიანების ამოცანა და რევოლუციის ხანძარი ააგიზგიზა.

ილიჩის მესამე დაპატიმრება. უფაში წასვლა და საზღვარგარეთ გამგზავრება

ერც კი მოვასწარით გავხარებულიყავით ციმბირიდან ილიჩის დაბრუნების გამო, — იგი რამდენიმე დღე დარჩა ჩვენთან, მოსკოვში, და მალე ფსკოვს გაემგზავრა,—რომ მაისში კვლავ მიგვეღო შემაშფოთებელი ცნობა: ილიჩი პეტერბურგში დააპატიმრესო. მახსოვს, რა საშინელი თავზარი დაგვცა ამ ამბავმა, განსაკუთრებით, რასაკვირველია, დედას, რომელიც პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მიუხედავად იმისა, რომ მან არაერთხელ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე. მაგრამ დედაჩვენი უკვე გააწამა დაპატიმრებებმა: ვლადიმერ ილიჩის გადასახლებაში ყოფნისას დააპატიმრეს უმცროსი ძმა, დიმიტრი, V კურსის სტუდენტი; ის 9 თვე იყო დაპატიმრებული `ბულგადასალევი საქმის გამო, რომელიც მის შემთხზველებს არასგზით არ გამოსდიოდათ. ფაქტები არ იყო: თვითგანათლების უბრალო წრიდან კრიმინალური არაფერი გამოდიოდა, ხოლო გუჟონის ქარხანაში მისი მეცადინეობა ვერ გახსნეს. ძმა ვერ იტანდა პატიმრობის მოსკოვურ პირობებს; ბოლოს, დედა მთლად დაავადმყოფდა. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ვლადიმერ ილიჩი გადასახლები-

დან დაბრუნდებოდა, داپატიმრეს მისი და — მარიამ ილიას ასული, რომელიც რაიმე, ყოვლად უვნებელი „ამხანაგობის“ წევრიც არ იყო; ის იძულებული იყო შეეწყვიტა მეცადინეობა ბრიუსელის უნივერსიტეტში რადგან გადაასახლეს ნიჟნი ნოვგოროდში. დედაც ხან ტულაში მიემგზავრებოდა დიმიტრისთან, ხან ნიჟნი ნოვგოროდში მანიასთან. ის-ის იყო მოხერხდა მარია ილიას ასულის შინ დაბრუნება, ხოლო მიტიას გადაყვანა პოდოლსკში, მოსკოვის გუბერნიაში, სადაც ზაფხულის გატარებას ვაპირებდით, .რომ თავს დაგვატყდა ახალი უბედურება, რომელიც ბევრად უფრო ცუდ შედეგს გვიქადდა: ვალოდია, რომელმაც თავი გამოიჩინა როგორც სერიოზულმა რევოლუციონერმა, კვლავ داپატიმრეს პეტერბურგში. მას იქ ჩასვლის უფლება არ ჰქონდა; داუპატიმრებიათ უკვე საზღვარგარეთული პასპორტით.

მაშასადამე, საზღვარგარეთ ვეღარ წავა! რაღა თქმა უნდოდა, თუ საზღვარგარეთული პასპორტი მანიასაც კი ჩამოართვეს და ნება არ მისცეს წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად, ილიჩს, მით უმეტეს, ვინღა გაუშვებდა.

ჩვენ კი ძალიან გვინდოდა, რომ ის საზღვარგარეთ წასულიყო, ვხედავდით, რომ რუსეთში მისი რევოლუციური ტემპერამენტის გამო მას ხეირი არ داეყრებოდა. და განა მარტო ეს?.. ისევ რომელიმე დიდი საქმე... ჩვენ სრულებით არაფერი ვიცოდით, თუ რატომ, ან რა პირობებში داپატიმრეს ის და, რა თქმა უნდა, სერიოზულად ვერ მივიღებდით ჟანდარმების ხელში გამოვლილი მისი ბარათის დამამშვიდებელ სტრიქონებს. მახსოვს, რომ თვითონ მან გვაცნობა თავისი ამბავი ასეთი ბარათით. ჩვენ მწარე გამოცდილებით ვიცოდით, რამდენად იზრდება ეს ორი კვირა, თვე, რომლითაც ჩვეულებრივ ამშვიდებენ داპატიმრებულის ახლობლებს პირველ ხანებში. მაგრამ ამჯერად საქმე მოულოდნელად შეტრიალდა. ვალოდია 2-3 კვირის შემდეგ გაათავისუფლეს და ჩამოვიდა ჩვენთან პოდოლსკში, ამასთან საზღვარგარეთული პას-

პორტიც კი ედო ჯიბეში. აღმოჩნდა, რომ მამხილებელი რამ ვერ ეპოვათ: ერთად დაპატიმრებული ვლადიმერ ილიჩი და ცედერბაუმი მხოლოდ იმაში ცნეს დამნაშავედ, რომ უნებართვოდ ჩავიდნენ პეტერბურგს.

ძმა გვიამბობდა, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს. ისინი ორივენი ლიტერატურით დატვირთული კალათით გაემგზავრნენ პიტერს და, შეიძლება მშვიდობითაც ჩასულიყვნენ, მეტისმეტი გულმოდგინება რომ არ გამოეჩინათ კონსპირაციაში. სახელდობრ, კვალის ასარევად მათ გადაუწყვეტიათ რკინიგზის მეორე ხაზზე გადამსხდარიყვნენ, ის კი მხედველობიდან გაუშვიათ, რომ იმ ხაზზე გადავიდნენ, რომელსაც ცარსკოე სელოზე უნდა გაევლო, სადაც მეფე ცხოვრობდა და ამიტომ მეთვალყურეობა ბევრად უფრო მკაცრი იყო. პოლიციამ დასცინა მათ ამ კონსპირაციის გამო. მაგრამ მაინც ეს საეჭვო მგზავრები მაშინვე არ დაუპატიმრებიათ. პეტერბურგს ჩასვლის შემდეგ მათ მოახერხეს დანიშნულებისამებრ გადაეცათ კალათი და ზოგიერთის მონახულებაც მოასწრეს ისე, რომ ჯაშუშები არ ადევნებიათ. ღამის გასათევად სადღაც კაზაკთა შესახვევში მოეწყვნენ. მაგრამ როგორც კი დილით ქუჩაში გამოვიდნენ, ჯაშუშებმა მათ ხელი სტაცეს. ვლადიმერ ილიჩი გვიამბობდა: პირდაპირ ორივე მკლავში ჩამავლეს ხელი ისე, რომ არავითარი საშუალება არა მქონდა ჯიბიდან რამე გადამეგდო; ეტლშიც მთელი გზა მკლავები გაკავებული მქონდა; ასევე სტაცეს ხელი ცედერბაუმსაც, რომელიც მეორე ეტლით წამოიყვანესო.

ვლადიმერ ილიჩი უმთავრესად პლეხანოვისათვის გასაგზავნ ქიმიური ბარათის გამო სწუხდა, რომელიც საფოსტო ფურცელზე მოთავსებულ რაღაც ანგარიშის სტრიქონებს შორის იყო ჩაწერილი. ამ ბარათით ის პლეხანოვს ატყობინებდა საერთო რუსეთის გაზეთის გეგმას. ასეთი წერილი მას უეჭველად ამხილებდა. მთელი სამი კვირა მან არ იცოდა, გაამეღავნეს თუ არა ბარათი. ყველაზე მეტად მას ის აწუხებდა,

რომ ქიმიური მელნით ნაწერი რამდენიმე ხნის შემდეგ ზოგჯერ თავისთავად დააჩნდებოდა ხოლმე ქაღალდს. მაგრამ ამ მხრივ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა: ფურცელი უყურადღებოდ დატოვეს და იმავე სახით დაუბრუნეს ძმას. ვლადიმერ ილიჩი პოდოლსკში ჩვენთან სახეგაბრწყინებული ჩამოვიდა. საზღვარგარეთ გამგზავრება და, მაშასადამე, საერთო რუსეთის გაზეთის გეგმა, ორთავესათვის კვლავ ძალაში რჩებოდა.

პოდოლსკში მაშინ ადრე გაზაფხულზე გადავედით. აქ აგარაკის ნაცვლად დავიქირავეთ ბინა კედროვას სახლში ქალაქის ბოლოს, მდინარე პახრის ნაპირას. ვალოდიამ ჩვენთან თუ მეტი არა, ერთი კვირა დაჰყო. ერთად ვსეირნობდით, ნავითაც დავცურავდით პოდოლსკის ლამაზ მიდამოებში; იგი გატაცებით თამაშობდა ეზოში კროკეტს. აქ მასთან ჩამოვიდა ლეპეშინსკი, აგრეთვე შესტერნინი და მისი მეუღლე სოფიო პავლეს ასული. უკანასკნელებმა ღამე ჩვენსას გაათიეს; მახსოვს, რა სასტიკად ეკვეთა ვალოდია „რაბოჩეე დელოს“ საზღვარგარეთული ჯგუფის პოზიციას, რომელსაც შესტერნინები იცავდნენ. ჩამოვიდა კიდევ ვიღაც. ვლადიმერ ილიჩი ყველას უთანხმებდა შიფრის საქმეს, არწმუნებდა, რომ საჭიროა სწორი კორესპონდენციების მიწოდება დასახული საერთო რუსეთის გაზეთისათვის, რომლის შესახებაც მხოლოდ ყველაზე მახლობლებთან ლაპარაკობდა.

ვალოდიას სურდა საზღვარგარეთ წასვლამდე უფას ჩასულიყო, მოენახულებია მეუღლე, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, რომელსაც 1901 წლის მარტამდე აშკარა ზედამხედველობის ვადა უნდა მოეხადა.

ამ შეღავათის მოსახერხებლად პეტერბურგს დედა გაეგზავნა. ჩვენდა გასაოცრად, ეს საქმეც მოგვარდა. დედამ პოლიციის დეპარტამენტში განაცხადა, რომ ვაჟიშვილს თან გაჰყვებოდა. ჩვენ სამნი რკინიგზით გავემგზავრეთ ნიჟნი ნოე-

გოროდს იმ ვარაუდით, რომ იქიდან გზა გემით გაგვეგრძელებინა.

ეს მოგზაურობა კარგად მახსოვს. ივნისი იდგა. მდინარე მოდიდებული იყო და გემით მოგზაურობა — ჯერ ვოლგაზე, შემდეგ კამაზე და, ბოლოს, ბელაიაზე საოცრად კარგი იყო. მთელ დღეს გემბანზე ვატარებდით. ვალოდია მეტად მხიარულ გუნებაზე იყო და სიამოვნებით ისუნთქავდა მდინარიდან და ირგვლივ მდებარე ტყეებიდან მონაბერ საუცხოო ჰაერს. მახსოვს, პატარა ხომალდი მიცურავდა კამასა და ბელაიაზე, ჩვენ ვიდექით მის უკაცრიელ ზემო გემბანზე და გვიან ღამემდე ვსაუბრობდით. დაღლილი დედა კაიუტაში ჩადიოდა, თითო-ოროლა მგზავრიც უფრო ადრე მიდიოდა: გემბანი ჩვენ ორს გვრჩებოდა; კონსპირაციული საუბარი მეტად მოსახერხებელი იყო მთვლემარე ნაპირებს შორის მიყუჩებულ მდინარეზე. ვლადიმერ ილიჩი დაწვრილებით, გატაცებით მიყვებოდა საერთო რუსეთის გაზეთის გეგმას, გაზეთისა, რომელსაც უნდა შეესრულებინა ხარაჩოს როლი პარტიის ასაგებად. ილიჩი აღნიშნავდა, რომ გამუდმებული ჩავარდნების გამო სრულიად შეუძლებელია რუსეთში ყრილობათა მოწყობა. სწორედ იმ წლის აპრილში მოხდა დიდი ჩავარდნები მთელ სამხრეთში, რამაც კინაღამ ძირიანად ამოგლიჯა რამდენიმე ორგანიზაცია, სხვათა შორის „იუჟნი რაბოჩის“ რედაქციაც ეკატერინოსლავში. იქ დააპატიმრეს ვლადიმერ ილიჩის სამარელი მეგობარი — ი. ხ. ლალაიანციც; იგი ვალოდიასთან ჩამოვიდა თებერვალში — როცა ფსკოვში მიმავალი ძმა რამდენიმე დღეს გაჩერდა ჩვენთან მოსკოვში, — სწორედ იმის გამო, რომ მოლაპარაკებოდა მას პარტიის II ყრილობის შესახებ, რომელიც მზადდებოდა.

„თუ მარტოოდენ ყრილობისათვის სამზადისი იწვევს ამდენ კრახს, ამდენ მსხვერპლს, მაშინ უგუნურებაა მისი რუსეთში მოწყობა; მხოლოდ საზღვარგარეთ გამომავალ ორგანოს შეუძლია ხანგრძლივად ებრძოლოს ისეთ მიმართულე-

ბას, როგორიც „ეკონომიზმია“, შეუძლია შეამჭიდროს პარტია სოციალ-დემოკრატიის სწორად გაგებული იდეების გარშემო. სხვანაირად ყრილობა კიდევაც რომ შეიკრიბოს, მის შემდეგ ისევ ყველაფერი დაიშლება, როგორც ეს მოხდა I ყრილობის შემდეგ“.

მე, რა თქმა უნდა, არ ძალმიძს აღვადგინო ამდენი წლის წინანდელი ჩვენი საუბრები, მაგრამ საერთო შინაარსი ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ბევრს ვლაპარაკობდით „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის და „რაბოჩეე დელოს“ პოზიციებზე და კოლიზიებზე მათ შორის. ვლადიმერ ილიჩი „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის და გ. ვ. პლეხანოვის მგზნებარე რაინდი იყო; იგი იცავდა პლეხანოვს, რომელსაც არა ამხანაგურობასა და ქედმაღლობას აბრალებდნენ, იცავდა ჯგუფს, რომელსაც ინერტიულობას სწამებდნენ. მე ვეუბნებოდი მას, ისევე როგორც შესტერნინი და სხვა პრაქტიკოსი მუშაკები, რომ ჩვენ არ უნდა გავწყვიტოთ კავშირი „რაბოჩეე დელოსთან“, რადგან ერთადერთი მხოლოდ ის გვაძლევს პოპულარულ ლიტერატურას, ბეჭდავს ჩვენს კორესპონდენციებს, ასრულებს შეკვეთებს, — მაგალითად, მოსკოვის კომიტეტმა მას გაუგზავნა დასაბეჭდად 1900 წლის საპირველმაისო ფურცელი, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი კი არც მატყლს იძლევა და არც რძეს, — წერილის პასუხსაც ვერ ეღირსები. ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ, რასაკვირველია, ისინი მოხუცები, ავადმყოფები არიან და პრაქტიკულ სამუშაოს ვერ შეასრულებენ, — ამაში ახალგაზრდები უნდა დაეხმარონ, მაგრამ ისე კი არა, რომ ცალკე ჯგუფად გამოეყონ, არამედ ისე, რომ მთლიანად აღიარონ მათი საესებით მართებული და მტკიცე თეორიული ხელმძღვანელობა. ვლადიმერ ილიჩი სწორედ ასე ფიქრობდა საზღვარგარეთ ამხანაგებთან ერთად მუშაობას.

ჩვენ ვსაუბრობდით „კრედოსა“ და „ანტიკრედოზე“, ბერნშტეინსა და კაუცკიზე — ყველა მაშინდელ მწვავე სა-

კითხზე. ვალოდია კარგ გუნებაზე იყო და განსაკუთრებით წარმტაცად საუბრობდა; მასთან ერთად ეს მგზავრობა ერთ-ერთ საუკეთესო მოგონებად დამრჩა.

უფაში ვლადიმერ ილიჩი შეხვდა ადგილობრივ ამხანაგებს, — მათგან მახსოვს კროხმალი, რომელსაც შიფრის საქმეზე შეუთანხმდა; ვიცი, რომ ზოგიერთი მაზრიდან ჩამოვიდნენ გადასახლებულები მის სანახავად. მე და დედა 3 დღის შემდეგ წამოვედით; ის კი უფრო მეტ ხანს დარჩა და უკან რკინიგზით დაბრუნდა, ამასთან სამარაში ერთ ხანს შეჩერდა. ამხანაგებს ის ყველგან უთანხმდებოდა კორესპონდენციებისა და შიფრის საქმეზე. პოდოლსკში დაბრუნების მერე ვლადიმერ ილიჩი მალე გაემგზავრა საზღვარგარეთ. გავიდა ორიოდე კვირა და მეც იქით გავეშურე..

ლ.ი. ულიანოვი და მ.ი.ულიანოვა

ლენინის
შესახებ

ნაწყვეტები
მოგონებებიდან

გიმნაზიაში

დ. ულიანოვი

*

I



ლადიმერ ილიჩი გიმნაზიაში მშვენივრად სწავლობდა, კლასიდან კლასში სულ ხუთიანებითა და პირველი ჯილდოთი გადადიოდა; გიმნაზია 17 წლისამ დაამთავრა ოქროს მედალზე.

როდესაც საშინაო დავალებად თხზულების დაწერას მისცემდნენ, იგი არასდროს არ წერდა მას ჩაბარების წინადღეს, ნაჩქარევად, არ უჯდა მას მთელი ღამე, როგორც მისი გიმნაზიელი ამხანაგების უმრავლესობა შვრებოდა ხოლმე. პირიქით, როგორც კი გამოუცხადებდნენ თემას და დასაწერად დაუნიშნავდნენ ვადას, ჩვეულებრივ ორ კვირას, ვლადიმერ ილიჩი მაშინვე ხელს მოჰკიდებდა სამუშაოს. იგი ქაღალდის პატარა ფურცელზე შეადგენდა თხზულების გეგმას, მის შესავალსა და დასკვნას. შემდეგ აიღებდა ქაღალდის ფურცელს, სიგრძივ შუაზე გაკეცდა და ქაღალდის მარცხენა მხარეზე წერდა შავს, თან შედგენილი გეგმის თანახმად დაუსვამდა ხოლმე ასოებსა და ციფრებს. ფურცლის მარჯვენა მხარეები

ანუ ფართო კიდეები სუფთა რჩებოდა. ამ მხარეზე შემდგომ დღეებში მას შეჰქონდა დამატებანი, განმარტებანი, შესწორებანი, აგრეთვე ლიტერატურის მითითება, — იხილე აქა და აქ, გვერდი ესა და ესო.

თანდათანობით, ყოველდღიურად, პირველადი შავის ფურცლის მარჯვენა მხარეები ჭრელდებოდა აღნიშვნებით, შესწორებებით, მითითებებით და სხვ.. შემდეგ, თხზულების ჩაბარებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ის იღებდა ქაღალდის სუფთა ფურცლებს და წერდა მთელ თხზულებას შავად, ამასთან თავისი შენიშვნებით მიმართავდა სხვადასხვა წიგნებს, რომლებიც უკვე თავიდანვე მომარაგებული ჰქონდა. ამის შემდეგ ისღა რჩებოდა, რომ აეღო სუფთა რვეული და მელნით გადაეთეთრებინა სავსებით დამუშავებული და გამზადებული თხზულება.

სხვათა შორის, ვლადიმერ ილიჩი შავებს არასოდეს (გიმნაზიაში) მელნით არ წერდა, მხოლოდ და მხოლოდ ფანქრით. ამასთან ფანქარს მეტისმეტად წვრილად, რაღაც განსაკუთრებული სიყვარულით წაუთლიდა წვერს, ისე რომ ასოები წმინდა ძაფივით გამოუდიოდა. როგორც კი ფანქარი დაბლაგვდებოდა ან წატყდებოდა, ილიჩი დიდი გულმოდგინებით ისევ წათლიდა წვერს და იდეალურად აფაქიზებდა.

მე, 12 — 13 წლის ბიჭს, ძალიან მომწონდა იმის ყურება, თუ როგორ წერდა თხზულებას ვლადიმერ ილიჩი. როცა ის არ იყო, მე მალულად ავიღებდი ხოლმე პირველ ფურცელს და მიკვირდა, რა მალე ივსებოდა ფურცლის პირველი ნახევარი ახალი და ახალი სტრიქონებით.

ვლადიმერ ილიჩის სიტყვიერების მასწავლებელი და მისი თხზულებების უახლოესი შემფასებელი იყო სიმბირსკის გიმნაზიის მაშინდელი დირექტორი თევდორე მიხეილის ძე კერენსკი. ცნობილი ესერის მამა. იგი აღტაცებაში მოჰყავდა ვლადიმერ ილიჩის თხზულებებს და ძალიან ხშირად უწერდა არამცთუ ხუთს, არამედ ხუთს პლუსით. მას არაერთხელ

უთქვამს დედაჩემისთვის: ვლადიმერ ილიჩის თხზულებაში განსაკუთრებით მომწონს მოფიქრებული სისტემა და აზრთა სიუხვე, თანაც თხრობა სხარტი, ნათელი და მარტივი აქვსო.

დედა დიდხანს ინახავდა ვლადიმერ ილიჩის ზოგიერთ თხზულებას, დაწერილს გიმნაზიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ყველა დაიკარგა, ქალაქიდან ქალაქში მრავალჯერ გადასვლის, ყანდარმულ ჩხრეკისა და სხვათა გამო.

ვლადიმერ ილიჩი მოწაფეობის თხზულებებში (უკვე მაშინ) წინაპართა კარგ წესს მისდევდა, რომ აზრებს გასაქანი ჰქონოდა, სიტყვები კი მოკლე ყოფილიყო.

მ. ულიანოვა

*

II

ვლადიმერ ილიჩი გიმნაზიის უფროს კლასებში სწავლის დროს ყოველ საღამოს წიგნებს უჯდა, ემზადებოდა იმ რევოლუციური მუშაობისათვის, რომლითაც სავსე იყო მთელი მისი შემდგომი ცხოვრება. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ის დრო, როცა მას გიმნაზია უკვე დამთავრებული ჰქონდა, ის წლები, რომლებიც პეტერბურგს წასვლამდე გაატარა ჩვენთან ყაზანსა და სამარაში.

1887 წლის გაზაფხულზე (იმ წელს, როცა ვლადიმერ ილიჩმა გიმნაზია დაამთავრა) ჩვენ მივიღეთ უფროსი ძმის სიკვდილით დასჯის ცნობა. მას შემდეგ ათეულმა წლებმა განვლო, მაგრამ ახლაც კარგად ვხედავ ვლადიმერ ილიჩის სახის გამომეტყველებას იმ წუთს და მესმის მისი ხმა: „არა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ. ამ გზით არ უნდა ვიაროთ“. და მან დაიწყო მზადება იმ გზისა, რომელსაც, მისი აზრით, უნდა მივეყვანეთ და კიდევაც მიგვიყვანა გამარჯვებამდე.

როცა ჩვენ სამარის გუბერნიის ერთ-ერთ სოფელში

ვცხოვრობდით, ვლადიმერ ილიჩი ყოველ დილას ჩაის შემდეგ, წიგნებით, ლექსიკონებით და რვეულებით დატვირთული, მიდიოდა ბაღის მყუდრო ადგილისაკენ, სადაც მაგიდა და სკამი იდგა. ვლადიმერ ილიჩი დღის მეტ ნაწილს იქ ატარებდა მეცნიერულ შრომაში. იგი მარტოოდენ კი არ კითხულობდა წიგნებს, არამედ ეცნობოდა ავტორებს, სწავლობდა მათ, აკეთებდა შენიშვნებსა და ამონაწერებს წიგნებიდან. იმ ადგილას მეც დავდიოდი, რომ ენებში მემეცადინა მასთან, და ჯერ კიდევ მთლად ბავშვს მაოცებდა გულმოდგინება და აკურატობა, რომლითაც ვლადიმერ ილიჩი აკეთებდა იმ საქმეს, რასაც ხელს მოჰკიდებდა. იგი თავის მიმართ ისეთ გრძნობას გინერგავდათ, რომ გინდოდათ ხალისით გაგეკეთებინათ ყველაფერი, ოღონდ ის ყოფილიყო კმაყოფილი შენით, ოღონდ მისი მოწონება დაგემსახურებინა.

ვლადიმერ ილიჩი მთელი დღე წიგნებს უჯდა და კითხვას მხოლოდ იმისათვის შეწყვეტდა, რომ გაესეირნა ან ეკამათა იმ მცირეოდენ ამხანაგებთან, რომლებიც, ისევე როგორც თვითონ ილიჩი, ემზადებოდნენ რევოლუციური მუშაობისათვის. მუშაობის ეს უნარი, ეს შეუპოვრობა მას მთელი სიცოცხლე გაჰყვა. გადასახლებაშიაც და საზღვარგარეთაც იგი ყოველ თავისუფალ საათს იყენებდა ბიბლიოთეკაში წასასვლელად. დაცულია ვლადიმერ ილიჩის აუარებელი რვეული და ამონაწერი და მათი მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა უამრავი ლიტერატურა შეისწავლა მან ცოდნის ყველა დარგში. მთელ თავის სიცოცხლეში სწავლობდა, სწავლობდა დიდ მოაზროვნეებსა და ცოცხალ ცხოვრებას, თეორიასა და პრაქტიკას, ფაქტებსა და ციფრებს. გიმნაზია მხოლოდ დასაწყისი იყო.

მიუხედავად მთელი თავისი ბუნებრივი ნიჭისა, ვლადიმერ ილიჩი ვერ იქნებოდა ის, რაც იყო, რომ ასე ბეჯითად არ ემუშავნა თავის თავზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დაწყებული გიმნაზიის წლებიდან.

სამარის ალაკაევკის პერიოდიდან (1889—1893 წწ.)

ხოფლად და ძალაძად

მ. ულიანოვა

*

I

1889 წლის მაისში ყაზანიდან სამარაში გადავედით. სიმბირსკის სახლი რომ გაყიდა, დედამ გადაწყვიტა აღებული ფულით ეყიდნა პატარა აგარაკი. ამაში მას დაეხმარა მ. ტ. ელიზაროვი, შემდეგში ჩემი უფროსი დის ქმარი. აგარაკი შეძენილ იქნა სამარიდან 50 ვერსის დაშორებით ვინმე კ. მ. სიბირიაკოვისაგან. ეს იყო მდიდარი ციმბირელი ოქროსმრეწველი, რომელმაც 70-იანი წლების შუა ხანებში გაღარიბებული სამარელი მემამულეებისაგან დიდძალი მიწები შეისყიდა მსხვილი, ტექნიკურად რაციონალური მეურნეობის მოწყობის მიზნით. სიბირიაკოვი მემარცხენე ლიბერალური მიმართულების კაცი იყო, შესაძლოა, კიდევ უფრო მემარცხენე მიმართულებისა; ჩანს, მას მხედველობაში ჰქონდა რევოლუციური პროპაგანდაც ხალხში. ყოველ შემთხვევაში, რაღაც კავშირი პოლიტიკურებთან მას ჰქონდა.

ის დიდ დახმარებას უწევდა ნაროდნიკებს, რომლებიც ჯერ კიდევ 70-იანი წლების დამლევიდან განუწყვეტელ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ ალაკაევკის მიდამოებში

(ასე უწოდებდნენ ჩვენს აგარაკს მოსაზღვრე სოფლის სახელის მიხედვით). 70-იანი წლების მეორე ნახევარში სიბირიაკოვის ერთ-ერთ სოფელში — სკოლკოვოში, მის რეზიდენციაში ცხოვრობდა გლებ უსპენსკი მეუღლითურთ; უსპენსკის მეუღლეს მასწავლებლის ადგილი ეკავა სიბირიაკოვის მიერ აგებულ დაწყებით სკოლაში. უსპენსკიმ აქ დაწერა თავისი ცნობილი მოთხრობა „სამი სოფელი", რომელშიც აღწერილია სოფლები — სკოლკოვო, ზაგლიადინო და გვარდეიცი და ამ სოფლების ნამდვილი მცხოვრებნი. ამავე მიდამოებში ნაროდნიკებმა რამდენჯერმე ზედიზედ სცადეს მოეწყოთ სამიწათმოქმედო ახალშენები (კავკასიელები[1], ორლოვის ჯგუფი; ორლოვი შემდგომ ესერი გახდა. მან ასეთივე ახალშენი მოაწყო კავკასიაში, იმავე სიბირიაკოვის მიწაზე, და ა. ა. პრეობრაჟენსკის ახალშენი, რომელიც მოწყობილ იქნა შარნელის აგარაკზე, ალაკაევკიდან სამი ვერსის მოშორებით, და რომელიც ჩვენს დროსაც არსებობდა).

სიბირიაკოვის მიერ ფართო მასშტაბით მოფიქრებულმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ ვერ იხეირა, თუმცა მის მოწყობაზე დიდი თანხები დაიხარჯა. საზღვარგარეთ მან შეისყიდა გაუმჯობესებული სამიწათმოქმედო იარაღები, — ორი ორთქლის გუთანიც კი იყიდა, — აგარაკებთან ააგო უზარმაზარი აგურისა და ბზენარევი თიხის ნაგებობანი პირუტყვისა და სამიწათმოქმედო იარაღებისათვის და ა. შ. მაგრამ მეურნეობას მარტოოდენ ზარალი მოჰქონდა. სიბირიაკოვი იძულებული შეიქნა ხელი აეღო თავის განზრახვაზე. სამიწათმოქმედო იარაღები ჩალის ფასად მიჰყიდა რომელიღაც გერმანელს, რომელსაც სამარაში ჰქონდა წვრილი საზეინკლო ინსტრუმენტებისა და სამიწათმოქმედო იარაღების სავაჭრო. სიბირიაკოვმა ხელი მიჰყო მიწების გაყიდვასაც და დაიტოვა მხოლოდ მცირე ნაწილი მიწისა სასოფლო-სამეურ-

[1] ეს ახალშენი აღწერილი აქვს კარონინს (პეტროპავლოვსკის) თავის მოთხრობაში „ბორსკის კოლონია". — მ. უ.

ნეო სკოლისათვის, რომლის მოწყობაც მან გადაწყვიტა. კონსტანტინოვოს აგარაკზე, ალაკაევკიდან ორი ვერსის მანძილზე, აგებულ იქნა შენობა ამ სკოლისათვის, უკვე წარმოებდა მასწავლებელთა კადრის შერჩევაც. მათ შორის იყო ტოლსტოველი ალექსეევი, ვინც წინათ იასნაია პოლიანაში ცხოვრობდა ლევ ტოლსტოისთან, ზუბრილინი, რომელმაც დაამთავრა პეტროვსკო-რაზუმოვსკოეს აკადემია და სხვ. მაგრამ სკოლის გახსნის ნება არ დართეს. ამ აკრძალვაში, უეჭველია, გარკვეული როლი ითამაშა სიბირიაკოვის კავშირმა პოლიტიკურებთან, თუმცა სამარის მაშინდელი გუბერნატორი სვერბეევი საერთოდაც არ იყო ასეთი კულტურული წამოწყების მომხრე. ასე თუ ისე სიბირიაკოვმა ყველაფერს ლიკვიდაცია უყო და გადავიდა პეტერბურგში (თუმცა, წინათაც იგი მხოლოდ დრო და დრო ეწვეოდა ხოლმე სამარის გუბერნიას).

ბედმა სწორედ ამ მხარეში გადმოგვისროლა.

ამ მამულს რომ ყიდულობდა, დედას იმედი ჰქონდა, რომ ვლადიმერ ილიჩი დაინტერესდებოდა სოფლის მეურნეობით. მაგრამ საამისო მიდრეკილება ვლადიმერ ილიჩს არ აღმოაჩნდა. უფრო გვიან, როგორც ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გადმოგვცემს, ილიჩმა ერთ-ერთ საუბარში უთხრა მას: „დედა მოწადინებული იყო, რომ სოფელში მეურნეობისათვის მომეკიდნა ხელი. მე თითქოს კიდეც დავიწყე, მაგრამ ვხედავ, რომ შეუძლებელია, გლეხებთან ურთიერთობა არანორმალური ხდება“.

მაგრამ თუ მეურნეობამ ვერ იხეირა და მალე მასზე ხელი ავიღეთ, სამაგიეროდ, ალაკაევკა, როგორც აგარაკი, ძალიან კარგი იყო და ჩვენც ყოველ ზაფხულს იქ ვატარებდით. განსაკუთრებით კარგი იყო იქ სტეპების ჰაერი და ირგვლივ გამეფებული სიმყუდროე.

ძველი ერთსართულიანი სახლიდან რამდენიმე ათეული საჟენის მოშორებით იყო ძველი მოუვლელი ბაღი; ბაღის ხრამიანი კიდე ეშვებოდა პატარა მდინარისაკენ. თვითეულ

ჩვენგანს ბაღში თავისი საყვარელი კუთხე ჰქონდა. „ოლას ნეკერჩხალი“,— ვამბობდით ხოლმე. და მართლაც, ჩემს მეორე დას ყველაზე ხშირად იქ ვნახულობდით ხოლმე; წიგნით ხელში ის იჯდა მაღალი ბებერი ნეკერჩხლის ქვეშ. ანა ილიას ასულს ყველაზე უფრო არყის ხეების პატარა ხეივანი უყვარდა. ყველაზე უკეთ დაცულ ცაცხვების ძველ ხეივანში ძალიან ბევრი ჩრდილი იყო: ხეთა კენწეროები თითქმის ერთმანეთს უერთდებოდნენ და გუმბათივით სახურავს ქმნიდნენ. ამ ხეივანში ვისხედით ან ვსეირნობდით მეტწილად საღამოობით. სახლიდან ათი წუთის სავალზე იყო გუბურა, სადაც დავდიოდით საბანაოდ. ირგვლივ კი გაშლილი სივრცე იყო: ველები, ბორცვები, ტყეები! მახლობლად მოჩანდა ეგრეთწოდებული მურაველის ტყე, სადაც ბლომად იყო ტყის ჟოლო. ჩვენ ხშირად მივდიოდით მის მოსაკრეფად. ჩვენთან ერთად იქ ვლადიმერ ილიჩიც დადიოდა. მას ძლიერ უყვარდა ბუნება, მისთვის მუდამ დიდ სიამოვნებას და საუკეთესო დასვენებას წარმოადგენდა ყრუ, უკაცრიელ ადგილებში სიარული, „ნამდვილ ბუნებასთან“ ახლოს ყოფნა, როგორც ის იტყოდა ხოლმე, როცა აგვიწერდა საზღვარგარეთ თავის სეირნობის ამბავს.

ჩვენ სახლს ტერასა არ ჰქონდა, სამაგიეროდ ჰქონდა საკმაოდ დიდი გადახურული პარმაღი, სადაც მთელი ჩვენი ოჯახი თავსდებოდა სამოვრის გარშემო. საღამოობით, ოთახებში რომ კოღოები არ შეფრენილიყვნენ, ამ პარმაღში ვანთებდით ლამპას და მთელი ახალგაზრდობა წიგნებით სავსე მაგიდას მივუჯდებოდით ხოლმე.

უფროსი და, ანა ილიას ასული, ასე აგვიწერს ამას ერთ თავის ლექსში, რომელიც მან საცდელად დაწერა:

ბნელ ღამეში სდუმს გარშემო
მიდამო ვრცელი,
ტყე-ველივით თვლემს წყვდიადში
მთელი სოფელი.
შავი ღრუბლის მოსასხამში
მთვარე გაეხვა.

ვარსკვლავთაგან მხოლოდ ერთი
ბეუტავს ხანდისხან.
ბნელ ხუტორშიც, მარტო ერთგან
შუქი ანათებს,
შეკრებილა წრე, კითხვაში
ღამეს გაათევს.
სხედან წიგნში თავჩარგულნი,
ყველა მკაცრად სდუმს,
თუმც მანიას დაღლილ თვალებს
ძილი ძლიერ სურს.
თუმც დაფრინავს გარეშემო
ქინქლა მრავალი,
ფარეანები და პეპლები
ფრენენ ფრთამალნი.
ბნელი ღამის წყვდიადიდან
ელტვიან ნათელს,
თრთიან შუქის გარეშემო,
ეკვრიან სანთელს.
ფრთხიალობენ, დაფრინავენ
შუქით გამთბარნი,
თუ ჰგონიათ სითბო დადგა,
გაქრა ზამთარი....

საღამოობით ამავე პარმაღში ვვახშმობდით. ამ ვახშამს წარმოადგენდა სარდაფიდან ბალაკირით (ქოთნით) მოტანილი რძე და ხორბლის მოშავო პური.

მარჯვნივ მცირე წინა ოთახიდან, რომელსაც პარმაღი ეკვროდა, იყო ვლადიმერ ილიჩის პატარა ოთახი. ამ ოთახში, სხვათა შორის, ის მხოლოდ ღამეს ათევდა. დილით ჩაის დალევდა თუ არა, აიღებდა წიგნებს, რვეულებს, ლექსიკონებს და სამეცადინოდ წავიდოდა ბაღში. ოთახში კი ამ დროს ყველა ფანჯარას ჩამოაფარებდნენ მუქ-ლურჯ ფარდებს ან საბნებს „ბუზებისაგან დასაცავად"; ვლადიმერ ილიჩი ბუზებს განუწყვეტლივ სპობდა.

ვლადიმერ ილიჩს ბაღში თავისი კუთხე ჰქონდა. იქ მან ცაცხვების ჩრდილში დადგა თავისთვის ხის მაგიდა, სკამი

და ცოტა მოშორებით ტრაპეცია. ვლადიმერ ილიჩი მთელ დროს სადილობამდე ამ კუთხეში ატარებდა, სერიოზულ მუშაობაში გართული. ვლადიმერ ილიჩს შეეძლო ემუშავნა, ემუშავნა სისტემატურად და თავაუღებლად. წიგნებს იგი კი არ კითხულობდა მხოლოდ, არამედ სწავლობდა, ამუშავებდა. მას წიგნის კითხვის გარკვეული გეგმა ჰქონდა. მახსოვს, შემდგომ წლებში ის ამბობდა, რომ სხვადასხვა წიგნის მარტოოდენ კითხვას აზრი არა აქვს. ციმბირიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ თავის წერილში ის გვეკითხებოდა ჩვენი ძმის დიმიტრის შესახებ, რომელიც იმ დროს ციხეში იჯდა, მუშაობს თუ არაო, და შემდეგ წერდა: „უმჯობესი იყო მას რაიმე რეგულარული მუშაობა ეწარმოებინა, თორემ ისე საერთოდ „კითხვა“ უსარგებლოა“.

ვლადიმერ ილიჩს მიაჩნდა, რომ საჭიროა აირჩიო რომელიმე საკითხი და ამ საკითხზე იმუშაო სისტემატურადო. ყოველთვის ასეთი სისტემატური ხასიათი ჰქონდა მის მუშაობას. დილიდან, ცინცხალი გონებით, ის მუშაობდა უფრო სერიოზულ საგნებზე. არა მარტო კითხულობდა, არამედ აკეთებდა შენიშვნებს და ამონაწერებს. ზოგჯერ თავს ანებებდა წიგნებს და ბოლთასა სცემდა ხეივანში მაგიდის ახლო, ალბათ უფიქრდებოდა წაკითხულს. მერე დაჯდებოდა და კვლავ გატაცებით კითხულობდა.

დილაობით მეც მივირბენდი ბაღის ამ კუთხეში ვლადიმერ ილიჩთან უცხო ენებში სამეცადინოდ. მე ვკითხულობდი და ვუთარგმნიდი მას ფრანგულ ან გერმანულ წიგნს, ამასთან ილიჩი ყოველთვის დაჟინებით მოითხოვდა, რათა, რაც შეიძლება, უფრო დამოუკიდებლად მემუშავნა, რომ თვითონ ჩავწდომოდი წაკითხულის აზრს, და მხოლოდ მაშინ მიმემართნა მისი დახმარებისათვის, როცა განსაკუთრებით ძნელ ადგილებს წავაწყდებოდი. უცნობ სიტყვებს არ ვიწერდი ცალკე რვეულში, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ, მაგრამ ამ სიტყვების მნიშვნელობას გამომკითხავდა ხოლმე

მეორე დღეს და ჩემს ყურადღებას მიაქცევდა მათ შემდგომი წაკითხვის დროსაც, როცა ისინი ტექსტში შემხვდებოდა.

ვლადიმერ ილიჩი ზოგჯერ სადილობის შემდეგაც იჯდა თავის საყვარელ კუთხეში, მაგრამ ახლა უკვე უფრო იოლად საკითხავ წიგნებს კითხულობდა. ხანდახან მას ოლგაც შეუერთდებოდა, და ისინი ერთად კითხულობდნენ (იმ წიგნებიდან, რომლებსაც ისინი ერთად კითხულობდნენ, დამამახსოვრდა გლებ უსპენსკი). ასაკით ოლგა ყველაზე მეტად უახლოვდებოდა ვლადიმერ ილიჩს, და იმ დროს ისინი საერთო ინტერესებით ცხოვრობდნენ.

საღამოობით ზოგჯერ ალაკაევკის პატარა სახლში გაისმოდა სიმღერა — მღეროდა ვლადიმერ ილიჩი ოლგა ილიას ასულის აკომპანემენტით. ვლადიმერ ილიჩს ძლიერ უყვარდა მუსიკა და სიმღერა, თვითონ ხალისით მღეროდა და ასევე ხალისით ისმენდა სხვების სიმღერას: მ. ტ. ელიზაროვისას ან გუნდურ სიმღერას. მახსოვს მისი სიმღერის ჩვეულებრივი ფინალი, როცა ის წამოიწყებდა რომანსს „მომხიბლავია შენი თვალები". მაღალ ნოტებზე —„მე მათგან სრული დაღუპვა მელის" ის იცინოდა, ხელს აქნევდა და ამბობდა: „დავიღუპე, დავიღუპე".

ვლადიმერ ილიჩი ციმბირიდან სთხოვდა გ. მ. კრჟიჟანოვსკის გაეგზავნა მისთვის სიმღერის ნოტები და სწერდა: „მანიას, შეკითხვაზე: როგორი ხმა აქვს გლებს?...— ჰმ! ჰმ! ბარიტონი უნდა ჰქონდეს! ისიც ხომ იმასვე მღერის, რასაც ჩვენ, ზოგჯერ, მარკთან ერთად „ვყვიროდით" (როგორც ძიძა იტყოდა ხოლმე)".

ოლგა ილიას ასულმა მხოლოდ ორი ზაფხული დაჰყო ჩვენთან ალაკაევკაში. ეს იყო უდიდესი შრომის უნარით და უჩვეულო ნიჭით დაჯილდოებული ქალიშვილი. გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა. ის ძალიან ბევრსა და გულმოდგინედ მუშაობდა თავის თვითგანვითარებაზე: სწავლობდა ინგლისურ ენას, სერიოზულად მეცადინეობდა მუსიკაში,

ბევრს კითხულობდა. ესწრაფოდა მედიცინის შესწავლას და გადაწყვიტა წასულიყო ჰელსინგფორსში, რადგან ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი პეტერბურგში იმ დროს დახურული იყო; ამიტომ იგი შეუდგა შვედური ენის შესწავლას. ეს ენა მან საფუძვლიანად შეითვისა, თარგმნიდა კიდეც შვედურიდან, მაგრამ ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში მაინც ვერ მოხვდა, რადგან გამოირკვა, რომ, გარდა შვედური ენისა, საჭირო იყო ფინური ენაც. მის შესწავლაზე დრო რომ არ დაეკარგა, ის პეტერბურგში შევიდა ბესტუჟევის უმაღლესი კურსების ფიზიკა-მათემატიკის განყოფილებაზე. 1890—91 წლის ზამთარი მან დაძაბულ მუშაობაში გაატარა, გაზაფხულზე კი ოლგა ილიას ასული ავად გახდა მუცლის ტიფით, რასაც ზედ დაერთო წითელი ქარი და 8 მაისს ოლგა ილიას ასული გარდაიცვალა.

ვლადიმერ ილიჩი, ისე როგორც ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, მორცხვი იყო, და როცა ჩვენთან, ძალიან იშვიათ შემთხვევაში, ვინმე შორეული ნაცნობთაგანი მოვიდოდა, ის ან თავის ოთახიდან არ გამოდიოდა, ან ფანჯრიდან ბაღში გაიპარებოდა. ასე იქცეოდა ის აგრეთვე მისთვის ნაკლებ საინტერესო ადამიანების მოსვლისას. ალაკაევკაში ჩვენ განმარტოებით ვცხოვრობდით. ნაცნობები ცოტანი იყვნენ. მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ვლადიმერ ილიჩს ზოგ ვინმესთან ნაცნობობა ჰქონდა.

ალაკაევკიდან სამ ვერსზე, როგორც უკვე აღვნიშნე, იყო „კაპკაზელთა“ ახალშენი, როგორც მას გლეხები უწოდებდნენ. რამდენიმე ნაროდნიკმა შეღავათიან პირობებში იყიდა სიბირიაკოვისაგან მიწა და დასახლდა იმ მიზნით, რომ შეექმნათ სანიმუშო სამიწათმოქმედო კომუნა. მაგრამ საქმე კარგად ვერ წავიდა და მალე, ა. ა. პრეობრაჟენსკის გარდა, ყველანი დაიქსაქსნენ. პრეობრაჟენსკის კი ვლადიმერ ილიჩი ხშირად ხვდებოდა; ისინი ზოგჯერ გვიან ღამემდე დასეირნობდნენ ჩვენი აგარაკიდან შარნელის აგარაკამდე და ცხარედ კამათობდნენ.

იმავე პრეობრაჟენსკიმ გააცნო ვლადიმერ ილიჩს ზოგიერთი ადგილობრივი მეტად საინტერესო და ფრიად ნიჭიერი გლეხი.

ვლადიმერ ილიჩი ხშირად ნახულობდა დ. ა. გონჩაროვსაც, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, რომელიც გამორიცხულ იქნა 1887 წელს ყაზანის უნივერსიტეტიდან დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო. ის ფერშლად მსახურობდა ტროსტიანკაში, 8 — 10 ვერსის დაშორებით ალაკაევკიდან. იმ დროს გონჩაროვი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ მეტად რადიკალურად იყო განწყობილი. ვლადიმერ ილიჩს იგი უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა.

ზამთრობით ჩვენ მივდიოდით სამარაში, სადაც ჩვენს გათხოვილ დასთან და მის ქმართან — მ. ტ. ელიზაროვთან ერთად ვცხოვრობდით. მე მაშინ გიმნაზიაში ვსწავლობდი და ვლადიმერ ილიჩი ხშირად მეხმარებოდა გაკვეთილების სწავლის დროს. საღამოობით თუ სადმე წასვლას დააპირებდა, ამის შესახებ ის ჩვეულებრივ წინასწარ მაფრთხილებდა და მეტყოდა მივსულიყავი უფრო ადრე, სანამ შინ იყო. ამ მეცადინეობასთან დაკავშირებით დამამახსოვრდა, თუ რაოდენ არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით ეპყრობოდა იგი ყოველ საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებდა; ცდილობდა ჩემთვისაც ესწავლებინა ეს კეთილსინდისიერება. მახსოვს, ერთხელ გეოგრაფიაში საშინაო დავალებად მომცეს ევროპის რუკის დახაზვა. ბევრი ვიცოდვილე და შემდგომ ჩემი ნახაზი ვუჩვენე ვლადიმერ ილიჩს, მაგრამ მან დაიწუნა ჩემი ნაშრომი და წინადადება მომცა გადამეკეთებინა. ამასთან დაწვრილებით განმიმარტა, თუ როგორ უნდა ამეღო ცირკული და აღმენიშნა ქაღალდზე ყველა მანძილი, კი არ მეხატა „თვალდათვალ", როგორც ეს ჩემს პირველ ნაშრომში იყო. დიდი გატაცებით შევუდექი საქმეს და კმაყოფილი დავრჩი, როცა ის ვლადიმერ ილიჩმა მომიწონა. მაგრამ რუკების ხაზვაზე გაცილებით მეტი

მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის ამ ერთობლივი მუშაობით მიღებულ მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა მოეკიდო საერთოდ ყოველ საქმეს, რომელსაც ხელს კიდებ. საქმე უნდა აკეთო არა დაუდევრად, რამენაირად, რათა მალე თავიდან მოიშორო, არამედ მოფიქრებულად, გეგმაშეწონილად, ფაქიზად და გულმოდგინედ, სანამ მართლაც კარგად არ დამთავრდება, სანამ შესრულებული სამუშაო კმაყოფილებას არ მოგანიჭებს.

ვლადიმერ ილიჩის პუნქტუალობა და სიფაქიზე ზოგჯერ წვრილმანებშიაც იჩენდა თავს. ერთხელ, როცა სამეცადინოდ რვეულს ვაკეთებდი, ავიღე ის კოჭი, რომელიც პირველად მომყვა ხელში, და დავიწყე რვეულის კერვა შავი ძაფით. იქვე მყოფმა ილიჩმა შემაჩერა და მითხრა, ეს ლამაზი არ არის, თეთრი ძაფი უნდა მონახოო.

სამარაში ჩვენს ბინაზე მომსვლელთაგან, გარდა ა. პ. სკლიარენკოსი, ი. ხ. ლალაიანცისა, ვ. ვ. ვოდოვოზოვისა, რომელიც მეტწილად უფროს დასთან მოდიოდა (ისინი ერთად კითხულობდნენ იტალიურს), — მ. ი. ლებედევასი და მ. პ. გოლუბევასი, მე მახსოვს კიდევ ვ. ა. იონოვი და ა. ი. ერამასოვი. ამ უკანასკნელს სიზრანიდან იცნობდნენ მ. ტ. ელიზაროვი და იონოვი, და სწორედ მათ მოიყვანეს იგი ჩვენთან. აი როგორ აგვიწერს ა. ი. ერამასოვი თავის პირველ მოსვლას ჩვენს ოჯახში:

„მე რაღაც განსაკუთრებული გრძნობით ვიყავი შეპყრობილი, როცა პირველად მივედი ულიანოვების ოჯახში, რომელმაც ესოდენ მძიმე მწუხარება გადაიტანა... იმ დროს ელიზაროვები ფოსტისა და სოკოლნიჩის ქუჩების რაიონში ცხოვრობდნენ, ე. ი. ერთი გუბერნატორის, ვგონებ ბრიანჩანინოვის, გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „გადასახლებულთა“ რაიონის მახლობლად, ე. ი. იმ რაიონის მახლობლად, სადაც ჩვეულებრივ რევოლუციური ინტელიგენცია სახლდებოდა. მახსოვს, ერთ საღამოს მივედით და პირდაპირ ჩაიზე მოვხვდით.

მთელი ოჯახი უკვე სასადილოში შეკრებილიყო. აქ გავიცანი მ. ა., ა. ი., მ. ი. და ვ. ი. გარდა ამისა, მაგიდასთან იჯდა დისწული მ. ტ., რომელიც ბიძასთან ცხოვრობდა და გიმნაზიაში სწავლობდა.

ლაპარაკობდნენ იმ დროისათვის ჩვეულებრივ თემებზე: ნაროდნიკობაზე, კაპიტალიზმის ბედზე, ვ. ვ.-ზე და ნიკოლოზზე და სხვ. ვლადიმერ ილიჩი გამოირჩეოდა არა მარტო ლიტერატურის ცოდნით, არამედ აგრეთვე განსაკუთრებული უნარით გამოენახა სუსტი ადგილები ნაროდნიკებისათვის, მიხაილოვსკის ყაიდის სუბიექტივისტებისათვის და სხვ. ჩაის შემდეგ ვლადიმერ ილიჩის ოთახში გადავედით და საუბარი განვაგრძეთ. საუბარში მონაწილეობას ღებულობდა ჩემი მეგობარი იონოვიც, რომელიც ბევრს მუშაობდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისა და გლეხობის დიფერენციაციის საკითხზე; ამ საკითხებზე ის აგროვებდა მასალებს, როგორც სტატისტიკური კრებულებიდან, ისე გლეხობის მდგომარეობის პირადი შესწავლის საფუძველზე. მ. ტ. გვიზიარებდა თავის მუდმივ დაკვირვებებს გლეხთა ცხოვრებაზე სამარის გუბერნიაში, სადაც უკვე მკვეთრად ისახებოდა გლეხობის დიფერენციაცია. მახსოვს, საუბარში მონაწილეობდა აგრეთვე ანა ილიას ასული.

ოთახის მთელი მოწყობილობიდან დღემდე მეხსიერებაში ჩამრჩა „რუსკიე ვედომოსტის“ კომპლექტი, რომელიც ეკიდა კედელზე პატარა მაგიდის წინ. ვლადიმერ ილიჩი ინახავდა ყველა წაკითხულ გაზეთს და ნიშნავდა იმ ნომრებს, რომლებიც რაიმეთი დააინტერესებდა მას.

ამ პირველი ნახვის შემდეგ ა. ი. ერამასოვი სხვა დროსაც შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან, როდესაც სამარაში ჩამოდიოდა.

სამარაში ცხოვრების ამ პერიოდის შესახებ თავის მოგონებებში ა. ი. ერამასოვი იხსენებს „კომუნისტური მანიფესტის“ თარგმანს, რომელიც შესრულებულ იქნა ვლადიმერ ილიჩის მიერ.

„იმ დროს ვლადიმერ ილიჩმა შეასრულა კ. მარქსის და ფ. ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ შესანიშნავი თარგმანი, — წერს ის, — ეს თარგმანი ხელიდან ხელში გადადიოდა ხელნაწერის სახით, ჩვენ ის სიზრანშიც მივიტანეთ. აქ რვეული გადავეცი ნაცნობ მასწავლებელს, რომელიც უფროსების თვალში არაკეთილსაიმედოდ ითვლებოდა. რომელიღაც საქმეზე ეს მასწავლებელი გაიწვიეს სიმბირსკში სახალხო სკოლების დირექტორთან. მასწავლებლის დედას შეეშინდა, გასაჩხრეკად მოვლენო, და მოსპო რვეული. ასეთია ილიჩის ამ თარგმანის ბედი. მე ახლა მრცხვენია ამის მოგონება, რადგან ნაწილობრივ მეც მიმიძღვის დანაშაული ამ შესანიშნავი თარგმანის დაღუპვაში“.

თუმცა ა. ი. ერამასოვი იშვიათად გვნახულობდა სამარაში, — ის მუდმივ სიზრანში ცხოვრობდა, — მაგრამ ჩვენ შორის მტკიცე კავშირი დამყარდა, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეწყვეტილა. უშუალო მონაწილეობას რევოლუციურ მუშაობაში ის არ ღებულობდა, მაგრამ არალეგალური ბრძოლის მთელი დროის განმავლობაში ეხმარებოდა პარტიას თავისი სახსრებით — იმ დროს ის საკმაოდ მდიდარი იყო, — და როცა გაგვიჭირდებოდა, ყოველთვის მივმართავდით დახმარებისათვის ამ „ბერს“, როგორც მას ილიჩმა უწოდა.

რევოლუციის შემდეგ ა. ი. ერამასოვი ერთ ხანს პარტიაში იყო, მაგრამ გამოვიდა პარტიიდან ავადმყოფობის გამო (ფილტვებისა და თირკმელების ტუბერკულოზი), მცირე ხანს სახალხო განათლების მუზეუმში მუშაობდა, მაგრამ იძულებული შეიქნა იმავე მიზეზით თავი გაენებებინა სამსახურისათვის. ხელფასის უქონლობის გამო შეტად შეავიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ამის შესახებ თვითონ არც ერთხელ არ მიუწერია არც ვლადიმერ ილიჩისათვის, არც ჩვენი ოჯახის რომელიმე სხვა წევრისათვის, — ამდენად დიდი იყო მისი მოკრძალება, — სანამ ჩვენ თვითონ არ მოვძებნეთ და არ მოვუხერხეთ პენსია. ამის შემდეგ ა. ი.-ს

დიდხანს არ უცოცხლია და 1927 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა სიზრანში.

სამარაში ვლადიმერ ილიჩი ბევრს მუშაობდა გამოცდებისათვის, რომლებიც მან ექსტერნად ჩააბარა პეტერბურგში 1891 წელს. გამოცდების ჩაბარების შემდეგ ის დაბრუნდა სამარაში და ცოტა ხანს იურიდიულ პრაქტიკას ეწეოდა (დანიშვნით), ნაფიცი ვექილის თანაშემწედ მუშაობდა ა. ნ. ხარდინთან.

სამარაში ყოფნის დროს ჩვენს ოჯახში დიდ მოწონებაში იყო ჭადრაკის თამაში. კარგად თამაშობდა ვლადიმერ ილიჩიც, უმცროსი ძმა — დიმიტრი ილიას-ძეც და მარკ ტიმოთეს-ძეც. ძლიერი პარტნიორი იპოვეს მათ ა. ნ. ხარდინის სახით, რომელიც პირველხარისხოვანი მოჭადრაკე იყო. ჩვენს ბინაზე ხშირად იმართებოდა ჭადრაკის საღამოები. უფრო გვიან, ვლადიმერ ილიჩი ჭადრაკს ძალიან იშვიათად თამაშობდა, შემდეგ კი სავსებით თავი გაანება.

1893 წლის შემოდგომაზე, ვლადიმერ ილიჩი პეტერბურგში გადაიყიდა. ხოლო ჩვენი ოჯახის დანარჩენი წევრები — მოსკოვში, სადაც ძმა დიმიტრი შევიდა უნივერსიტეტში. იძულებული ვიყავით გაგვეყიდა ალაკაევკა, რადგან იგი აგარაკობას ვეღარ გაგვიწევდა. ის შეისყიდა ადგილობრივმა ვაჭარმა დანილინმა, რომელსაც მარტოოდენ მიწა და წისქვილი აინტერესებდა; სახლისა და ბაღისაგან მალე მოგონებაღა დარჩა: სახლი დანილინმა გადაიტანა ნეიალოვკაში, ხოლო ბაღი გაჩეხეს. 1905 თუ 1906 წელს დანილინი გლეხებმა მოკლეს.

* *
*

1927 წელს მე მომიხდა ალაკაევკაში ჩასვლა, სადაც ადგილობრივმა გლეხებმა გულითადად მიმიღეს. ისინი ხარბად მეკითხებოდნენ ვლადიმერ ილიჩზე, თან დასძენდნენ: „საჭწუხაროდ, მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, თუ ვინ ცხოვრობდა ჩვენ შორისო“. მეკითხებოდნენ აგრეთვე ანა ილიას ასულის შესა-

ხებ, რომელმაც 1892 წელს, როცა სამარის გუბერნიაში ხოლერა მძვინვარებდა, ცოტა შრომა როდი გასწია, რომ წამლებით და მითითებებით დახმარებოდა ავადმყოფებს.

სოფელ ალაკაევკაში ამჟამად დაარსებულია კოლმეურნეობა „ლენინის კუთხე" და ილიჩის სახსოვრად ყოველივე ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული, რომ იგი საჩვენებელ კოლმეურნეობად გადაიქცეს. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არის „ძია კოსტა"—კონსტანტინე დიმიტრის-ძე ფილიპოვი, რომელიც ესწრებოდა დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ ყრილობას 1933 წელს მოსკოვში. „ძია კოსტა" აღარ არის ახალგაზრდა, მაგრამ ის ნამდვილად დამკვრელურად მუშაობს; კოლმეურნეობაც თავის მიღწევების მნიშვნელოვან ნაწილს მის მეცადინეობას უნდა უმადლოდეს. „ლენინის კუთხის" კოლმეურნეთა ინიციატივით იმ ხის სახლის ნაცვლად, სადაც ლენინი ცხოვრობდა ზაფხულობით და სადაც იგი რევოლუციური მუშაობისათვის ემზადებოდა, ახლა მისი სახელობის სკოლაა აგებული.

Д. УЛИАНОВ

*

II

ალაკაევკაში ჩვენ ვცხოვრობდით პატარა ხის სახლში, რომელსაც გარს ეკვროდა ხშირი მცენარეულით დაბურული, მოუვლელი ბაღი, რომელიც მინდორ-ველს ხრამით ესაზღვრებოდა. ბაღის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო „ვალოდიას" კუთხე — მიწაში ჩარგული ხის პატარა მაგიდა და სკამი; ეს კუთხე მთლად მწვანით იყო დაბურული, ისე რომ მზის სხივებიც ძნელად აღწევდა. მაგიდის ახლო 10 — 15 ნაბიჯზე ვალოდიამ სულ მალე გათელა ბილიკი, რომელზეც ბოლთასა

სცემდა წაკითხულზე ფიქრით გართული. ჩვეულებრივ დილის 9 საათზე მოდიოდა აქ თავისი წიგნებითა და რვეულებით; მუშაობდა განუწყვეტლივ 2 საათამდე. ხუთი წლის განმავლობაში, 1889 წლიდან 1893 წლამდე, ეს იყო ილიჩის ნამდვილი ს ა მ უ შ ა ო კ ა ბ ი ნ ე ტ ი. მის მეცადინეობას იმდენად სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომ ძნელად თუ მომაგონდება ისეთი დილა, როცა ის იქ არ მუშაობდა. მაგიდიდან თხუთმეტ ნაბიჯზე მოაწყო მან თავისთვის სატანვარჯიშო, როგორც ის უწოდებდა — „რეკი". ეს იყო რაღაც ტრაპეციის მსგავსი, მხოლოდ უბაწროდ, მრგვალი, ორ ბოძზე უძრავად დამაგრებული ჯოხი. ვლადიმერ ილიჩს იმ წლებში უყვარდა ვარჯიში „რეკზე"; იგი მას აკეთებდა კარგად გარანდული ნეკერჩხლის ჯოხისაგან და ამაგრებდა დაახლოებით ერთი საჟენის სიმაღლეზე, ისე, რომ ფეხის ცერებზე შემდგარი ოდნავ შეხებოდა ჯოხს თითის წვერებით. ცოტათი შეხტებოდა... ჩაავლებდა ხელებს ჯოხს, აიწეოდა კუნთებით, ფეხებს წინ გაისროდა და ჯოხს მუცლით დაეყრდნობოდა. შემდეგ ჩაჯდებოდა და იწყებდა სხვადასხვა ვარჯიშს. დიდხანს ვერ დაეუფლა იგი ერთ ნომერს — „რეკზე" ასვლას არა მუცლით, არამედ ზურგით. უნდა გენახათ, რა დაჟინებით და რა მრავალჯერ, მაგრამ ამაოდ ცდილობდა იგი შეესრულებინა ეს ნომერი! ბოლოს, ერთხელ სახეგაბრწყინვებული და ეშმაკური ღიმილით მოდის ჩემთან და მეუბნება: „წავიდეთ „რეკზე", გუშინ საღამოს და დღეს დილით, როგორც იქნა, გავაკეთე. შეხედე!" ვხედავ, ძნელი ნომერი სავსებით გამოუდის: ვლადიმერ ილიჩი მძიმედ სუნთქავს, მაგრამ კმაყოფილი ზის „რეკზე". ვარჯიში იმაში გამოიხატებოდა, რომ აწევისა და მუხლებზე დაკიდების შემდეგ წინ დაწეულიყო, ჯერ ბარძაყებით, მერე ზურგით; არ დაეკარგა წონასწორობა და მერე დამჯდარიყო ზედ. მე ეს ნომერი ვერ გავაკეთე, თუმცა არც ისე ხშირად მივარჯიშნია მის „რეკზე".

ალაკაევკა მდებარეობს ორმოცდაათი ვერსის მანძილზე

სამარის აღმოსავლეთით. საერთოდ აქ სტეპებია, მაგრამ თვით ალაკაევკის მახლობლად იმ დროს ტყეები იყო: გლეხების ტყე „მურაველნის“ სახელწოდებით და ყოფილი საუფლისწულო უწყების ტყე, — „გრემიაჩი“. ქალაქიდან სოფლამდე გზის ნაწილი რკინიგზით გავიარეთ სამარა-ზლატოუსტის რკინიგზის სადგურ სმიშლიაევკამდე, მეორე ნაწილი კი, ოცდაათი ვერსი,— ცხენით, ჩვენი ბულანკით. მე საკმაოდ ხშირად ჩამოვდიოდი სადგურზე. როცა ვალოდია მიგვყავდა, ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით: ის საათს ინიშნავდა და მოითხოვდა მშრალ ამინდში სწრაფად გვეევლო. ამისათვის ზარმაცი ბულანკა მათრახით უნდა შეგვეხურებინა და მუდამ თვალყური გვედევნებინა. თვითონ ვალოდიას ცხენის წაყვანა არ უყვარდა, საერთოდ მას ცხენები არასდროს არ იტაცებდა. მთელი გზა სტეპებზე და მინდვრებზე გადიოდა, მხოლოდ ალაკაევკის ახლო იწყებოდა ტყე. რა საუცხოო ჰაერი იყო იქ, განსაკუთრებით მტვრიან სამარას შემდეგ!

ალაკაევკას მდინარე არ ჩაუდიოდა, მაგრამ სახლთან ახლო იყო დიდი გუბურა, სულ დაბურული წყლის მცენარეებით, განსაკუთრებით ნაპირებზე. აქ ჩვენ დავდიოდით დღეში ორჯერ საბანაოდ, რისთვისაც სუფთა ადგილას ფიცრებისაგან მოწყობილი გვქონდა გასახდელი. ვალოდიამ ცურვა კარგად იცოდა, არტისტულად გაწვებოდა ხოლმე წყლის ზედაპირზე უძრავად და ხელებს თავქვეშ ამოიდებდა. მე დავდიოდი გუბურაზე კარჩხანების დასაჭერად და იხვებზე სანადიროდ. ილიჩს თევზაობა არ უყვარდა, ხოლო ნადირობა მოსწონდა მაშინ, როდესაც იგი კარგ გასეირნებასთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ალაკაევკაში ყოფნის დროს სანადიროდ მეზობელ ტყეებში დავდიოდით, უმთავრესად როჭოებზე.

მაგრამ ვალოდია უფრო ხშირად უთოფოდ დადიოდა სასეირნოდ, დადიოდა მარტო, ან რომელიმე ჩვენგანთან,— დებთან, დედასთან ან მარკ ელიზაროვთან ერთად, როცა ეს უკანასკნელი ალაკაევკაში ცხოვრობდა.

ჩვეულებრივ საღამოობით ვლადიმერ ილიჩი და ჩვენ ყველანი პარმაღზე დავსხდებოდით დიდი ლამპის გარშემო, რომლის ახლოს უამრავი ღამის პეპლები და ბუზანკალი ირეოდა. ვინ კითხულობდა, ვინ ჭადრაკს თამაშობდა. აქ მე ვალოდიას დავუნახე რიკარდო ინგლისურ ენაზე, რომელსაც ის ლექსიკონის დახმარებით კითხულობდა; მერე დავუნახე რუსული თარგმანი გიზოს ნაწარმოებისა „ცივილიზაციის ისტორია საფრანგეთში“ მრავალტომიანი შრომა, რომელიც მას, ეგონებ, სამარის საქალაქო ბიბლიოთეკიდან ჰქონდა გამოტანილი.

იმ წლებში სამარაში ცხოვრობდა ვ. ვ. ვოდოვოზოვი, შვილი ცნობილი მწერალი ქალის — ე. ნ. ვოდოვოზოვა'ი, წიგნის — „ევროპის ხალხთა ცხოვრება“ — ავტორისა. სამარაზე წინ ვოდოვოზოვი ადმინისტრაციულ გადასახლებაში იყო შენკურსკში, არხანგელსკის გუბერნიაში. სამარაში ჩვენი ცხოვრების პირველ ხანებში ის ხშირად შემოდიოდა ჩვენთან, მაგრამ შემდგომ თითქმის შეწყვიტა სიარული. ვლადიმერ ილიჩს რაღაც არ უყვარდა იგი. ამ ვოდოვოზოვს ჰქონდა დიდი ბიბლიოთეკა, ასე რომ მთელი მისი ოთახი დახერგილი იყო წიგნის კარადებით, ყოველი წიგნი იყო სუფთა, ახალ ყდაში ჩასმული. ის დიდად აფასებდა თავის ბიბლიოთეკას, და გეგონებოდათ, რომ წიგნები უფრო უყვარდა, ვიდრე ცოცხალი ადამიანები. თავისი ნაკითხობით ის, ალბათ, პირველი იყო მთელ ქალაქში, მაგრამ ეს ნაკითხობა, ეტყობოდა, იმდენად ამძიმებდა მის ტვინს, რომ თვითონ ის არაფერს ორიგინალურს არ წარმოადგენდა. ის არც მარქსისტი იყო, არც ნაროდნიკი, არამედ იყო, რაღაც მოარული ენციკლოპედია. თუ ვინმე მასთან მივიდოდა, მის სანახავად კი არა, არამედ მისი წიგნების გულისთვის. მე გადმომცეს, რომ როცა უფროსი ძმა ალექსანდრე ილიას-ძე დააპატიმრეს იმის გამო, რომ ბრალად სდებდნენ მეფის მკვლელობის ცდას, ვოდოვოზოვის პირველი სიტყვები ყოფილა: „ჰო, რა სამწუხაროა, მან ჩემგან ისეთი ძვირფასი წიგნი წაიღო; ეს წიგნი ახლა, ალბათ დაიკარგება...“

90-იანი წლების დასაწყისში როგორღაც სამსახურიდან დაითხოვეს გუბერნატორი (ვგონებ, სარატოვისა) ვინმე კოსიჩი; მის შესახებ ამბობდნენ, რომ ის იყო დიდი ლიბერალი და ძლიერ სწყალობდა პოლიტიკურ გადასახლებულებს. კერძოდ, ამის შესახებ გვიამბობდა ვოდოვოზოვი; სწორედ ამ ვოდოვოზოვმა და მისმა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, რომ ხსენებულ კოსიჩს გაგზავნოდა ადრესი პოლიტიკურებისა და საერთოდ მემარცხენე ელემენტებისაგან. ამ წინადადებამ დიდი დავა გამოიწვია სამარაში. ხოლო როდესაც ეს გაიგო ილიჩმა, კატეგორიულად და ძალიან მკაცრად გაილაშქრა ასეთი წინადადების წინააღმდეგ. ამრიგად, ადრესი, ვგონებ, აღარ მიურთმევიათ.

ძმის ამხანაგებიდან, რომლებიც ჩვენს დროს სამარაში ცხოვრობდნენ, კარგად მახსოვს სკლიარენკო ალექსი პავლეს-ძე, ლალაიანცი ისაკ ქრისტეფორეს-ძე, რომელსაც მარკ ტიმოთეს-ძე ელიზაროვმა „კოლუმბი" უწოდა,— ეს მეტსახელი მას შერჩა რევოლუციური მუშაობის შემდგომ წლებშიც, იონოვი ვადიმ ანდრიას-ძე, რომელიც ადრე გარდაიცვალა. მახსოვს აგრეთვე მარიამ პეტრეს ასული გოლუბევა, რომელიც ხშირად დადიოდა ჩვენთან და ცხოველ მონაწილეობას იღებდა კამათში პოლიტიკურ თემებზე.

უფროსკლასელი გიმნაზიელები და სემინარიელები სკლიარენკოსგან ღებულობდნენ ნახევრადლეგალურ ლიტერატურას: პისარევის, ჩერნიშევსკის და სხვ. ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, სკლიარენკო რაღაც განსაკუთრებული საიდუმლოებით იყო გარემოცული. თავისი გარეგნობითაც იგი პატივისცემის გრძნობას იწვევდა ჩვენში: იგი მაღალი და ძლიერი იყო, ხელში მუდამ ეჭირა როკიანი ჯოხი, ხოლო თვალებზე შავი პენსნე ეკეთა.

ვლადიმერ ილიჩი იმ წლებში ბევრს მუშაობდა გლეხური მეურნეობის სტატისტიკაზე. სტატისტიკური მონაცემები (გლეხური მეურნეობის დანაწილება ჯგუფებად მუშა პირუტ-

ყვის რაოდენობის, ნათესების, მიწის იჯარის მოცულობის და სხვ. მიხედვით) მოწმობდა გლეხობაში ეკონომიური უთანასწორობის ზრდას, გლეხობის დაყოფას შეძლებულ, ეკონომიურად მტკიცე ჯგუფად და ღარიბ გლეხებად, სოფლის ბურჟუაზიად და გლეხთა პროლეტარულ ან ნახევრადპროლეტარულ მასად. ეს დასკვნები ამსხვრეევდა ნაროდნიკულ უტოპიას გლეხობის ერთგვარობის შესახებ და თვალსაჩინოდ ამტკიცებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ფაქტს. ეს დასკვნები ადასტურებდა მარქსისტული ხაზის სისწორეს რუს რევოლუციონერთა პოლიტიკაში.

ილიჩის ამხანაგებიც — სკლიარენკო, ლალაიანცი და იონოვი,— აგრეთვე ეწეოდნენ მაშინ სტატისტიკური მასალების დამუშავებას იმავე საკითხებზე, რომლებზედაც მუშაობდა ვლადიმერ ილიჩი. შემონახული მაქვს ამხ. სკლიარენკოს მცირე ხელნაწერი, გადაწერილი ჩემს მიერ 1893 წელს; ეს ხელნაწერი ვლადიმერ ილიჩის ჯგუფის მუშაობის საინტერესო ნიმუშია.

მახსოვს იმავე 1893 წელს გავეცანი ამხ. ფედოსეევის სტატიას „ბატონყმობის დამხობის მიზეზები რუსეთში", რომელიც ხელნაწერის სახით ხელიდან ხელში გადადიოდა სამარელ მარქსისტთა შორის. სახელდობრ ვინ მომცა იგი, არ მახსოვს, მაგრამ მისი გადაწერა, სამწუხაროდ, არ შემეძლო, რადგან საკმაოდ დიდი იყო, და ისიც ძალიან მოკლე ვადით მათხოვეს. ამ მეტად საინტერესო სტატიაში ფედოსეევი ამტკიცებდა, რომ 1861 წლის რეფორმა, ცხადია, ყველაზე ნაკლებ გამოწვეული იყო ზედაფენების ლიბერალური განწყობილებით და არა იმდენად პოლიტიკური მოსაზრებით, რომ, თითქოს, უმჯობესია გლეხების ზემოდან „განთავისუფლება", ვიდრე იმის მოლოდინი, თუ როდის დაიწყებოდა განთავისუფლება ქვემოდან, რამდენადაც წმინდა ეკონომიური მიზეზებით. „განთავისუფლებას" იცავდნენ ყველაზე მსხვილ და კულტურულ მემამულეთა

მეურნეობები, რომელთათვის უფრო ხელსაყრელი იყო ნებით დაქირავებაზე გადასვლა. ბატონყმური ურთიერთობა აფერხებდა და ზღუდავდა უფრო ინტენსიური რაციონალური სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. იმ დროს, ორმოცი წლის წინათ, როცა ჯერ კიდევ მაგრად იყო ფეხმოკიდებული, განსაკუთრებით ლიბერალურ საზოგადოებაში და ნაწილობრივ ხალხში, უაზრო ცრურწმენა მეფისა და მისი უახლოესი თანაშემწეების თავისუფლებისმოყვარეობისა, ახალგაზრდა მარქსისტისათვის, როგორიც იყო ფედოსეევი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშრომელ მასებში ფეხმოკიდებულ ამ მავნე ცრურწმენის, გლეხთა „განთავისუფლების“ შესახებ ამ ტყუილის გაფანტვას და იმის დამტკიცებას, რომ რეფორმა გაბატონებული კლასის სასარგებლო იყო, თუ მთელი კლასისა არა, ყოველ შემთხვევაში მისი ყველაზე მდიდარი, ეკონომიურად ძლიერი ნაწილისათვის. სკრებიცკის მრავალტომიანი შრომის — „გლეხთა საქმე ალექსანდრე II მეფობის დროს“ საფუძველზე ფედოსეევი ამტკიცებდა, რომ ყველაზე მსხვილი მემამულეები, კერძოდ ბალტიისპირელი მემამულეები, რომლითაც უფრო მაღალი ტიპის მეურნეობანი (ინტენსიფიკაციისა და რაციონალიზაციის მხრივ) ჰქონდათ, „განთავისუფლება“, ე. ი. დამონების ახალი, მათთვის უფრო სულ ერთთავად „განთავისუფლების“ მომხრენი იყვნენ, ე. ი. მომხრენი იყვნენ დამონების ახალი, მათთვის უფრო ხელსაყრელი კაპიტალისტური ფორმისა. ჩამორჩენილ, წვრილ, დავალიანებულ მემამულეთა მეურნეობები რეფორმის წინააღმდეგი იყვნენ.

ამჟამად ეს ნათელია ყოველი, მცოდნე მარქსისტისათვის, მაშინ — ორმოცი წლის წინათ კი — ეს უნდა ემტკიცებინათ. ტყუილად კი არ იყო, რომ ვლადიმერ ილიჩი დიდად აფასებდა ფედოსეევის ნაშრომებს და, როგორც ცნობილია, მოწადინებული იყო მის გაცნობას.

დ. ულიანოვი

*

III. ჭადრაკი

ვლადიმერ ილიჩი რვა-ცხრა წლისა იქნებოდა ჭადრაკის თამაში რომ დაიწყო. თამაშობდა მამასთან, რომელიც მისი პირველი მასწავლებელი იყო, უფროს ძმასთან ალექსანდრე ილიას-ძესთან, მერე ჩვენთან — უმცროსებთან — დასთან ოლგასთან და ჩემთან. ის იყო ჩემი მასწავლებელი, თანაც მეტად მკაცრი, ამიტომ მე თამაში მერჩივნა მამასთან, რომელიც ლმობიერად მაძლევდა ნებას დამებრუნებინა სვლები.

ვლადიმერ ილიჩს ჰქონდა შესანიშნავი წესი, რომელსაც თვითონ ყოველთვის იცავდა და მტკიცედ მოითხოვდა თავის პარტნიორისაგანაც: არავითარ შემთხვევაში არ დაებრუნებინა სვლები, — რაკი ფიგურას ხელი მოჰკიდე, სვლა იმ ფიგურით უნდა გააკეთო. ჭადრაკის მოყვარულთა შორის ძალიან ხშირად არღვევენ ამ წესს, სვლებს უკან იბრუნებენ, იწყებენ გათამაშებას. ეს ცუდი ჩვეულება საშინლად აფუჭებს როგორც თამაშს, ისე მოთამაშესაც. იმის ნაცვლად, რომ ფიგურას ხელი არ ახლონ და ისე მოიფიქრონ გულდასმით სხვადასხვა კომბინაცია, რაც საინტერესოს ხდის თამაშს და მოთამაშეს აჩვევს რამდენიმე სვლის წინასწარ გათვალისწინებას, მოუფიქრებლად ხელს სტაცებენ ფიგურებს, ჩქარობენ, რითაც ნერვიულობასა და აზარტს იწვევენ თამაშში.

როგორც ანეგდოტი, ისე მაგონდება ერთი შემთხვევა ჭადრაკის საღამოზე სამარაში. თამაშობდნენ რამდენიმე დაფაზე. ზოგი თვალყურს ადევნებდა თამაშს. ერთ დაფასთან იჯდა ორი ჩასუქებული კაცი; ისინი სვლებს იბრუნებდნენ, დავობდნენ, ცხარობდნენ, ხმაურობდნენ. ერთმა უცაბედად დააყენა თავისი ლაზიერი საფრთხის ქვეშ, მეორემ თვალის დახამხამებაში დაავლო მას ხელი და მუჭში ჩაიბღუჯა. ატყდა ერთი აურზაური და ყვირილი, ორთავენი წამოხტნენ მაგიდი-

დან; დაზარალებული ცდილობდა წაერთმია თავისი ფიგურა. საერთო ხარხარი ატყდა, როდესაც ვლადიმერ ილიჩმა დაიძახა: „დამალეთ ფიგურა ჯიბეში!“.

ჩვეულებრივ ის სერიოზულად თამაშობდა და ეგრეთწოდებული „მსუბუქი“ პარტიები არ უყვარდა. სუსტ მოთამაშეს იგი წინასწარ აძლევდა ამა თუ იმ ფიგურას, რომ ძალები გაეთანაბრებინა, ხოლო როცა პარტნიორი თავმოყვარეობის გამო უარს აცხადებდა, ვლადიმერ ილიჩი ჩვეულებრივ ამბობდა: „რა ინტერესი აქვს ჩემთვის თანაბარი ძალით თამაშს, როცა არ მჭირდება ფიქრი, ბრძოლა, თავის დაძვრენა რთული მდგომარეობიდან“. ილიჩი ამჯობინებდა უფრო სუსტიც კი ყოფილიყო იმაზე, ვისაც იგი წინასწარ აძლევდა ფიგურას. ეტლი რომ მომცა წინასწარ, მე მას რამდენჯერმე მოვუგე, ამიტომ ვთხოვე, გადავიდეთ მხედარზე-მეთქი. მან წამოაყენა პირობა: „ზედიზედ სამი პარტია მომიგე და შემდეგ გადავიდეთო“.

ჩვეულებრივ პირიქით ხდება ხოლმე — ბევრს აინტერესებს მოიგოს, თუნდაც ისე, რომ ფიქრი და შრომა არ დასჭირდეს. ვლადიმერ ილიჩი თამაშს სხვანაირად უყურებდა: მისთვის მთავარ ინტერესს შეადგენდა შეუპოვარი ბრძოლა, რომ გაეკეთებინა საუკეთესო სვლა, გამოენახა გამოსავალი ძნელი, ზოგჯერ თითქმის უიმედო მდგომარეობიდან; თავისთავად მოგება ან წაგება მას ნაკლებად აინტერესებდა. მას სიამოვნებას გვრიდა მოწინააღმდეგის კარგი და არა სუსტი სვლები. ხდებოდა ხოლმე, უაზრო სვლას გავაკეთებდი და იგი პარტიას ადვილად იგებდა. ამაზე ილიჩი სიცილით იტყოდა: „ეს მე კი არ მოვიგე, არამედ შენ წააგეო“.

თხუთმეტი წლის ვლადიმერ ილიჩი უკვე უგებდა მამას ჭადრაკს. მახსოვს, ერთხელ ილია ნიკოლოზის-ძე (1885—1886 წ.) სასადილო ოთახში შემოვიდა და თქვა: „ვალოდია, შენ უკვე მამარცხებ ჭადრაკის თამაშში, ამიტომ საჭიროა გაეცნო NN-ს და მასთან ითამაშო“-ო (მახსოვს, ვინმე ილინი,

რომელიც საუკეთესო მოჭადრაკედ ითვლებოდა სიმბირსკში, ჩვენთან ის არ დადიოდა).

1886 წლის ზაფხულში ვლადიმერ ილიჩსა და უფროს ძმას— ალექსანდრეს დიდი ბრძოლა ჰქონდათ გამართული ჭადრაკში. მათ გამოაცხადეს მატჩი ურთიერთშორის. როგორი იყო მატჩის პირობები და მისი შედეგები, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ბრძოლას გააფთრებული ხასიათი ჰქონდა, ორივე ჩუმად იჯდა და საათობით თვალს არ აცილებდა ჭადრაკის დაფას. ჩემთვის მაშინ სრულიად გაუგებარი და მეტად ძნელი იყო მათი თამაში; ამასთან თამაშის დროს არ ყოფილა არც დავა, არც აზარტი, რასაც შეეძლო ოდნავი ყურადღება მიექცია, არც რაიმე ლაპარაკი.

მათი თამაშის სიძლიერეზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ შემდეგი ფაქტის მიხედვით. ამავე ზაფხულში ალექსანდრე ილიას-ძე, ცხოვრობდა რა კუკუშკინოში, ყაზანის გუბერნიაში, წარმატებით თამაშობდა „დაფაზე დაუხედავად“, ისეთ მოთამაშესთან, რომელსაც მაშინდელი პირველი კატეგორია ყაზანში წინასწარ ეტლს აძლევდა. საინტერესოა, რომ ამ „დაუხედავად“ წარმოებულ საჭადრაკო პარტიასთან ერთად ალექსანდრე ილიას-ძე თამაშობდა ბილიარდზე და ითვლიდა თავის ქულებს.

შეჯიბრების დროს ძმები მხოლოდ საღამოობით თამაშობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხდებოდა არღადეგების დროს, როცა ისინი ორთავე თავისუფალი იყო, მე არც ერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ მათ ჭადრაკი სადილობამდე ეთამაშნოთ. დილის საათებს სერიოზულ მეცადინეობას ანდომებდნენ. ჩემის აზრით, ეს ფაქტი მათთვის, ორივეესთვის უაღრესად დამახასიათებელია. განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, რომ უფროსი 20 წლისა იყო, ხოლო ვლადიმერ ილიჩი 16 წლის.

მამის სიკვდილის შემდეგ ამ პირველ ზაფხულში ჩვენ გვეკავა ნახევარი ჩვენი სახლისა (მოსკოვის ქუჩაზე), ის, რომე-

ლიც სვიაგისკენ იყო მიქცეული, მეორე ნახევარი კი, რომელიც ქალაქის ცენტრისკენ იყურებოდა, მობინადრეებზე ქირავდებოდა. ჩვეულებრივ სწორედ იქ, ქვემოთ, ეზოს მხარეზე მდებარე პატარა ოთახში წარმოებდა ორი უფროსი ძმის შეჯიბრება ჭადრაკში.

სხვათა შორის მაგონდება ასეთი შემთხვევა: ისინი მდუმარედ უსხდნენ ჭადრაკის დაფას ამ ოთახში, რომელიც ლამპით იყო განათებული. ფანჯარა ღია იყო, მაგრამ მას აკრული ჰქონდა მავთულის ბადე. ჩვენ, ბავშვები, ეზოში ვთამაშობდით და განათებულ ფანჯარაში ვხედავდით მოჭადრაკეთა უძრავ და მდუმარე ფიგურებს. ერთმა გოგონამ, დაახლოებით თორმეტი წლისამ, მიირბინა ფანჯარასთან და შესძახა: „სხვედან კატორღელებივით რკინის ბადეს იქითო“... ძმები მყისვე ფანჯრისკენ მობრუნდნენ და დინჯად გააყოლეს თვალი ცელქ გოგონას, რომელიც ამ დროს გარბოდა. მათ ჯერ არ იცოდნენ ნამდვილი რკინის ბადე, მაგრამ, შესაძლოა, ისინი უკვე გრძნობდნენ მას, როგორც რაღაც აუცილებელსა და საკვებით გარდუვალს იმ დროში.

1888—1889 წლის ზამთარში ვლადიმერ ილიჩი ხშირად თამაშობდა ჭადრაკს და ერთ-ერთ ბიძაშვილთან ერთად დადიოდა კლუბში. ჩვენ მაშინ ყაზანში ვცხოვრობდით „პერვაია გორაზე“ ორლოვის სახლში. იმ ხანებში ერთხელ ვლადიმერ ილიჩმა სცადა ეთამაშნა დაფაზე დაუხედავად. მან შემოხმო თავის ოთახში და მითხრა, არავითარ ფიგურას წინასწარ არ მოგცემ, მხოლოდ დაფაზე დაუხედავად გეთამაშებიო. ასეთი თამაში არასოდეს მენახა და ვფიქრობდი, რომ ეს მეტად ძნელი რამ იყო. ამიტომ მე სრული რწმენით მივუჯექი ჭადრაკს იმ გადაწყვეტილებით, რომ უჩვეულო სვლებითა და სხვადასხვა „მაქინაციით“ გზა-კვალს ავურევდი მას ისე, რომ შეიძლება ვერც მიმხვდარიყო. ის ჩამოჯდა საწოლზე და დაიწყო თავისი სვლების კარნახი. მიუხედავად ჩემი „მაქინაციებისა“, მან ძალიან მალე სასტიკად დამამარცხა. საერ-

თოდ კი ვლადიმერ ილიჩს არ უყვარდა დაუხედავად თამაში, და შემდგომ, რამდენადაც მახსოვს, ასეთი პარტიები აღარ განმეორებულა. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ თამაშის ეს ხერხი, მიუხედავად თავისი ეფექტისა, უაღრესად მავნებელია, თამაშის ხარისხი უთუოდ ეცემა და იმავე დროს საჭიროა ტვინის დიდი დაძაბულობა.

იმავე ზამთარში მარკ ტიმოთეს-ძე ელიზაროვმა მოაწყო ჭადრაკის თამაში მიწერ-მოწერით ვლადიმერ ილიჩსა და სამარის უძლიერეს მოჭადრაკე ა. ნ. ხარდინს შორის. სვლებს გადასცემდნენ ფოსტით, ჩვეულებრივ ღია ბარათებით. თავისი ერთ-ერთი სვლის შემდეგ ვლადიმერ ილიჩმა საპასუხო წერილის მოლოდინში, რამდენჯერმე დაალაგა ჭადრაკი და თქვა: „საინტერესოა, რას იზამს ახლა, როგორ დაიძვრენს თავს ასეთი მდგომარეობიდან, ყოველ შემთხვევაში, მე დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ ვპოულობ“... დიდი ლოდინის შემდეგ პასუხიც მოვიდა. ჭადრაკი დაუყოვნებლივ იქნა განლაგებული. მათი თამაშით უკვე დაინტერესებულს, ხარდინის სვლა უაზროდ მეჩვენებოდა. დასაწყისში ვლადიმერ ილიჩი საგონებელში იყო, მაგრამ შემდეგ ძალიან მალე მოიფიქრა მდგომარეობა და თქვა: „ოო, ეს რაღაც საოცარი ძალის მოთამაშეა!“. უნდა ითქვას, რომ ხარდინი მართლაც მეტად ძლიერი მოჭადრაკე იყო. 80-იან წლებში მან დაამარცხა საუკეთესო მოსკოველი მოთამაშეები, შემდეგ კი დიდი წარმატებით შეეჯიბრა ჩიგორინს. თუმცა ხარდინი დიდ ტურნირებში არც გამოსულა, ჩიგორინს იგი ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკედ მიაჩნდა რუსეთში (იხ. მაგალითად, დიუფრენის თარგმანი, ჩიგორინის შენიშვნა). ვლადიმერ ილიჩმა მიწერ-მოწერითი პარტია წააგო; შემდეგ, როცა ყაზანიდან სამარაში გადავიდა (1889 წლის გაზაფხული), პირადად გაეცნო ხარდინს, რომელიც პირველ ხანებში წინასწარ აძლევდა მას მხედარს. ერთი-ორი წლის შემდეგ ვლადიმერ ილიჩი ამ პირობებში უკვე ამარცხებდა მას. ამიტომ ახლა ხარდინი მას წი-

ნასწარ აძლევდა პაიკსა და ერთ სელას, მაგრამ ასეთი თანაფარდობის დროს ვლადიმერ ილიჩი ხშირად აგებდა.

ანდრია ნიკოლოზის-ძე ხარდინი იყო ნაფიცი ვექილი. მას გაგიჟებით უყვარდა ჭადრაკი. ხარდინს გამოწერილი ჰქონდა უამრავი უცხოური ლიტერატურა ჭადრაკის შესახებ და მთელი საათობით შეეძლო მარტო მჯდარიყო ჭადრაკის დაფასთან. როგორც თვითონ ამბობდა, ჭადრაკის თამაში მან კარგად ისწავლა იმის მეოხებით, რომ მოხვდა ერთ-ერთ მივარდნილ ადგილას, სადაც არაფერი აწუხებდა, თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და მთელი დღეები კითხულობდა ლიტერატურას ჭადრაკის შესახებ და სწავლობდა ამ თამაშის თეორიას. დაახლოებით ერთი წლის თუ მეტი ხნის განმავლობაში ის არავისთან არ თამაშობდა. ამის შემდეგ კი როცა ჩიგორინს შეხვდა, თავი გამოიჩინა, როგორც პირველხარისხოვანმა მოთამაშემ.

1889—1890 წლის ზამთარში მთელი ოჯახი ვცხოვრობდით სამარაში ზავადსკის ქუჩაზე კატკოვის სახლში, პირდაპირ ვოლგის პირას; ვლადიმერ ილიჩი არასოდეს ისე გატაცებული არ მინახავს ჭადრაკის თამაშით, როგორც ამ დროს. ის უმთავრესად ხარდინთან თამაშობდა, მაგრამ თამაშობდა აგრეთვე სხვა სამარელ მოჭადრაკეებთანაც. მოწყობილ იქნა ტურნირი 8—10 კაცის მონაწილეობით. თამაშობდნენ რამდენიმე ფიგურის წინასწარ დათმობით, ვინაიდან მონაწილენი არათანაბარი ძალისა იყვნენ. პირველი კატეგორიისა (თანრიგისა) იყო მარტო ხარდინი, მეორესი ვლადიმერ ილიჩი და კიდევ ერთი მოთამაშე, დანარჩენნი მესამე და მეოთხე თანრიგოსანი იყვნენ. ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა ვლადიმერ ილიჩი. პირველი ჯილდო დაახლოებით 15 მანეთი იყო. არავითარი ნივთი მათ არ უყიდიათ, ერთ-ერთმა მონაწილემ ეს ფული გამარჯვებულს მოუტანა. ვლადიმერ ილიჩმა კატეგორიული უარი თქვა ფულის მიღებაზე და მისი წინადადებით ფული რაღაცას შეესწირეს.

ვლადიმერ ილიჩს უყვარდა ხარდინთან ყოფნა, — პირველ ხანებში ჭადრაკის გამო, შემდეგ კი, როცა მან ჩაბარა გამოცდა იურიდიულ ფაკულტეტზე და ხარდინთან ნაფიცი ვექილის თანაშემწედ ჩაეწერა, ისინი სასამართლო სასიათის საერთო საქმეებშიც დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ჭადრაკის თამაშში უკეთეს პარტნიორს, ვიდრე ხარდინი იყო, ის ვერც ისურვებდა. ვლადიმერ ილიჩს, ცხადია, შეეძლო მალე დასწეოდა მას და გაესწრო კიდეც, სერიოზულად რომ მოეკიდა ხელი საჭადრაკო ლიტერატურისათვის, მაგალითად, ზაფხულის თვეები, რომლებსაც ის ამ წლებში სოფელ ალაკაევკაში ატარებდა, ჭადრაკის თამაშისა და მისი თეორიის შესწავლისათვის რომ მოენდომებინა. სისტემატურობისადმი თავისი მიდრეკილებით, თავისი გულმოდგინებითა და გონებრივი ძალების მეოხებით, ეპვს გარეშეა, რამდენიმე წლის განმავლობაში მას შეეძლო უდიდესი მოჭადრაკე გამხდარიყო. მაგრამ ვლადიმერ ილიჩი ჭადრაკს ყოველთვის უყურებდა როგორც გასართობს, როგორც თამაშს. მაგონდება გიმნაზიაში ლათინური და ბერძნული ენის იდიოტური ზუთხვით თავგაბეზრებულმა, ჭადრაკის თამაშის დროს ილიჩს ვუთხარი, უფრო კარგი იქნებოდა, რომ ამ ძველი ენების ნაცვლად გიმნაზიაში ჭადრაკს შემოიღებდნენ ტვინის გასავარჯიშებლად-მეთქი. — „მაშინ ისე დაგემართება, როგორც იტყვიან, ვაის გავეყარე, უის შევეყარეო; არ უნდა დაივიწყო, რომ ჭადრაკი, რაც უნდა იყოს, მაინც თ ა მ ა შ ო ბ ა ა და არა ს ა ქ მ ე“. ვლადიმერ ილიჩი, როგორც ცნობილია, ხელს არ ჰკიდებდა მეტად ვრცელ საჭადრაკო ლიტერატურას, თუ არ ჩავთვლით პარტიების დაბოლოებებს, რომლებიც მან კარგად იცოდა, და ზოგიერთ იმ დროს გავრცელებულ დებიუტს. ყოველ შემთხვევაში, მას არასოდეს არ უსინჯავს სისტემატურად შეესწავლა ჭადრაკის თეორია, რაც სავსებით აუცილებელია ყოველი დიდი მოთამაშისათვის.

ეს მოწმობს, რომ ვლადიმერ ილიჩი ისეთივე შეფასებას აძლევდა ჭადრაკს, როგორც კარლ მარქსი და ვილჰელმ ლიბ-კნეხტი, რომლებიც თავის დროზე აგრეთვე გატაცებული იყვნენ ამ თამაშით. მოგონებებში მარქსის შესახებ ვ. ლიბ-კნეხტი, ცნობილი კარლ ლიბკნეხტის მამა, წერდა: „საერთოდ ჭადრაკის თამაში ჩვენთან უკანა რიგში მოექცა, რადგან ჩვენ კვლავ შევუდექით წესიერ მეცადინეობას. თვითონ მე, რომელიც მოჭადრაკის სახელით ესარგებლობდი ჩვენს პატარა წრეში, დავრწმუნდი, რაოდენ სწორი იყო ლესინგის განაჩენი ჭადრაკის თამაშის მიმართ: „ჭადრაკში ერთობ ბევრია თამაშისათვის შეუფერებელი სერიოზულობა და სერიოზულობისათვის შეუფერებელი თამაში“. ცნობილმა მოთამაშეებმა მიმიწვიეს შეჯიბრებაზე; მათ საზოგადოებაში, სპეციალისტთა საზოგადოებაში, მალე გავიგე, რომ ჩემ მიერ აღმოჩენილი სვლები, რომლითაც ვამაყობდი, ჩემამდე ასეული წლების წინათ ცნობილი იყო; მე აღმოვჩნდი იმ პირენეელი გლეხის მდგომარეობაში, რომელმაც ლუდოვიკო-ფილიპეს დროს კვლავ გამოიგონა უკვე 4 საუკუნის წინათ გამოგონებული კოშკის საათი. გავიგე, რომ არსებობს დიდი ლიტერატურა ჭადრაკის შესახებ, და თუ მსურს რაიმე წარმატებას მივაღწიო ჭადრაკის თამაშში, უნდა შევისწავლო ეს ლიტერატურა და მთელი დრო ჭადრაკს მოვანდომო. მაგრამ მე არ შემეძლო ჭადრაკი გამეხადა ცხოვრების მიზნად“.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ შეჯიბრების დროს ვლადიმერ ილიჩი და ალექსანდრე ილიას-ძე დილის საათებში ჭადრაკს არ თამაშობდნენ, ამ დროს ორივენი წიგნებსა და რეფერატებს უსხდნენ. ჭადრაკს დათმობილი ჰქონდა ნასადილევის — და ნაწილობრივ საღამოს საათები. ასე იყო ბოლო ხანებშიც, როცა ვლადიმერ ილიჩი ალაკაევკაში ცხოვრობდა, დილას დაკავებული იყო უფრო სერიოზული მუშაობით,

ძველ, თავმინებებულ ბაღში, ხშირფოთლოვან მცენარეთა შორის მას ედგა ხეკამი და მაგიდა, რომელზეც უკვე დილა-ადრიან განლაგებული ჰქონდა წიგნები; იქვე იყო 10—15 ნაბიჯის სიგრძის დატკეპნილი ბილიკი, რომელზეც ის მიმოდიოდა და უფიქრდებოდა წაკითხულს. არავითარ ჭადრაკზე, არავითარ გართობაზე აქ არ შეიძლებოდა ლაპარაკი. აქ საჭირო იყო მუშაობა, სწავლა, მომზადება არა ჭადრაკის სათამაშოდ, არამედ სხვა, უფრო სერიოზული ბრძოლისათვის. მთელი იმ ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც ჩვენ ალაკაევკაში გავატარეთ, ძლივს ვიგონებ სამ-ოთხ დღეს, როცა ვლადიმერ ილიჩმა დაარღვია თავისი დღის წესრიგი და მოშორდა წიგნებიან მაგიდას და გატკეპნილ ბილიკს ბაღში.

1893 წლიდან დაწყებული ვლადიმერ ილიჩი სულ უფრო იშვიათად თამაშობს ჭადრაკს. მისი თამაშის შესახებ იმ დროს, როდესაც ციმბირში იყო გადასახლებული (კრჟიჟანოვსკი, სტარკოვი, ლეპეშინსკი), შეიძლება წავიკითხოთ ამხ. ლეპეშინსკის სტატიაში.

უკანასკნელად ვლადიმერ ილიჩთან ვითამაშე 1903 წელს, ჟენევაში. სახლში მას ჭადრაკი არ აღმოაჩნდა, ჩვენ რომელიღაც ყავახანაში შევედით ჭადრაკის სათამაშოდ. ვლადიმერ ილიჩი შემეკითხა, თუ რას დავლევდი: მე მიუნხენის ლუდი ვარჩიე. მან დაუძახა მსახურ ქალს და შეუკვეთა ერთი ტოლჩა ლუდი და ერთი ჭიქა შავი ყავა. „ლუდი რატომღაც არ მინდა“, — თქვა მან და ეშმაკურად გაიღიმა... ოთხ საათზე მეტს ვთამაშობდით ერთ პარტიას, ამასთან ისეთი დაძაბული ყურადღებით, რომ გარშემომყოფნი ბოლოს ხშირად იხედებოდნენ ჩვენკენ და იცინოდნენ.

რევოლუციის შემდეგ ვლადიმერ ილიჩს თითქმის სულ აღარ უთამაშნია ჭადრაკი; ამბობდა, ჭადრაკი მეტად დამქანცავიაო. თავისუფალ დროს ის ამჯობინებდა გავლა-გასეირნებას, ნადირობას.

*

IV. შემთხვევა ვაჭარ არეფიევთან

90-იანი წლების დასაწყისში მთელი ოჯახი დედასთან ერთად სამარაში ვცხოვრობდით. ვლადიმერ ილიჩი ნაფიცი ვექილის თანაშემწედ იყო. მე და მარიამ ილიას ასული გიმნაზიაში ვსწავლობდით. ჩვენთან ცხოვრობდნენ აგრეთვე ანა ილიას ასული და მისი მეუღლე მარკ ტიმოთეს ძე ელიზაროვი, რომელსაც, როგორც მახსოვს, რომელიღაც მცირე ადგილი ეკავა სახაზინო პალატაში.

1892 წლის ზაფხულში ვლადიმერ ილიჩი ელიზაროვთან ერთად იყო სიზრანში. იქიდან მათ დააპირეს რამდენიმე დღით წასულიყვნენ სოფელ ბესტუჟევკაში, სადაც მარკ ელიზაროვის ძმა ცხოვრობდა როგორც ერთ-ერთი გლეხი. ამისათვის ძინი უნდა გადასულიყვნენ ვოლგის მარცხენა ნაპირზე.

სიზრანში იმ დროს ვოლგაზე გადაყვან-გადმოყვანის საქმე მონოპოლიურად იჯარით აღებული ჰქონდა მდიდარ ვაჭარს არეფიევს. მის მფლობელობაში იყო მცირე გემი კარჭაპით, რომლითაც გადაჰყავდათ როგორც ადამიანები, ისე ცხენები და ეტლებიც. ვაჭარი მენავეებს უკრძალავდა მგზავრების გადაყვანას და თავგამოდებით იცავდა თავის მონოპოლიურ უფლებებს. ამიტომ ყოველთვის, როცა მენავე თავს მოუყრიდა მგზავრებს და დაიძვრებოდა, მის ნავს, არეფიევის განკარგულებით, წამოეწეოდა პატარა გემი და ყველას უკანვე აბრუნებდა.

ვლადიმერ ილიჩს არ სურდა დალოდებოდა გემს და დაეთანხმა მარკ ელიზაროვი წასულიყვნენ ნავით. მენავეები ვაჭრის შიშით უარს ამბობდნენ გადაყვანაზე, ისინი აცხადებდნენ, სულ ერთია იგი უკანვე გამოგვაბრუნებსო. მაგრამ ვლადიმერ ილიჩმა ერთი მათგანი მაინც დაითანხმა; ილიჩი

დაბეჯითებით უმტკიცებდა მენავეს, რომ თუ არეფიევი ნავს დააბრუნებდა, თვითნებობისათვის იგი სასამართლო პასუხისგებაში მიეცემოდა.

ჩასხდნენ ნავში და მიაშურეს გადასასვლელს. არეფიევმა ისინი დაინახა ნავსადგურიდან, სადაც ამ დროს თავის სახლის აივანზე იჯდა და ჩაის შეექცეოდა. მან გადასძახა მარკს, რომელსაც იცნობდა როგორც თანამემამულე:

— მარკ ტიმოთეს-ძევ, თავი გაანებეთ მაგ საქმეს. თქვენ ხომ იცით, რომ გადაყვანაზე მე იჯარას ვიხდი და მენავეებს ნებას არ ვაძლევ გადაიყვანონ ვინმე იქითა მხარეზე. უმჯობესია, თქვენ და თქვენი ნაცნობი აქ მოხვიდეთ და ერთად დავლიოთ ჩაი. სულერთია, თუ წახვალთ, მე ვუბრძანებ, რომ უკან დაგაბრუნონ.

ვლადიმერ ილიჩი ახლა უფრო დაჟინებით და გადაჭრით მოითხოვდა განეგრძოთ გზა, ყური არ ეგდოთ იმ ობროდისათვის. მენავე ნაღვლიანად ამბობდა:

— სულერთია, დაგვაბრუნებს, ტყუილად მივდივართ, ახლავე გემი დაგვეწევა, ბარჯებით ქიმთან მიგვიყვანენ, და თქვენ ყველას გემში ჩაგსვამენ.

— გამიგონეთ, — თქვა ვლადიმერ ილიჩმა, — რომ მას უფლება არა აქვს ასე მოიქცეს. თუ ის ნავს დააკავებს და ძალით გვაიძულებს უკან დავბრუნდეთ, თვითნებობის გამო სასტიმროში ჩაჯდება.

— რამდენჯერ ასე მოქცეულა და არასოდეს სასამართლო არ ყოფილა. ანდა ვინ გაასამართლებს მას: მან დიდი ძალა მოიპოვა სიზრანში, მოსამართლენიც, როგორც ჩანს, ყველა მისი კაცია. გაიგეთ, რომ მან ვოლგა შეისყიდა ქალაქისაგან, იჯარას იხდის, ჩვენ კი, თუგინდ თავი ქვას ვახალოთ.

ვლადიმერ ილიჩის დაჟინებითი მოთხოვნით ნავი თავის გზას განაგრძობდა მარცხენა ნაპირისაკენ, თუმცა საკმაოდ ცხადი იყო, რომ არეფიევი თავის მუქარას სისრულეში მოიყვანდა. ის იყო ნავმა მდინარის შუაგულს მიაღწია, რომ მო-

ისმა სტვენა პატარა გემიდან, რომელმაც მოიხსნა კარჭაპი და სწრაფად დაედევნა ნავს.

— ესეც თქვენი გადასვლა მეორე ნაპირზე, — წარმოთქვა მენავემ. — ახლავე უკან წახვალთ და ვერავითარი სასამართლო ვერაფერს გახდება, ის ყოველთვის მართალი გამოვა.

გემი დაეწია ნავს და გააჩერა მანქანა. ორმა-სამმა მეზღვაურმა მათთვის ჩვეული ოსტატობით აამუშავეს ბარჯები, ნავი ქიმისაკენ მიიზიდეს და მგზავრებს წინადადება მისცეს გემზე გადასულიყვნენ.

ვლადიმერ ილიჩი განუმარტავდა მოსამსახურეებს, რომ მათ უფლება არა აქვთ დააკავონ მგზავრები, რომ თვითნებობის გამო მიეცემიან პასუხისგებაში, რასაც შედეგად საპყრობილე მოსდევს.

— არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, — უმტკიცებდა ის, — რომ არეფიევს იჯარით აქვს აღებული მდინარეზე გადაყვანის საქმე, ეს მისი საქმეა და არა ჩვენი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში უფლებას არ აძლევს არც მას, არც თქვენ, რომ თვითნებურად იმოქმედოთ ვოლგაზე და ძალით დააკავოთ ადამიანები.

ამაზე კაპიტანმა უპასუხა:

— ჩვენ არაფერი არ ვიცით: ჩვენ გვიბრძანა გემის პატრონმა და ვალდებულნი ვართ გავუგონოთ და შევასრულოთ მისი განკარგულებანი. გადმოსხედით, გეთაყვა, გზას ვერ განაგრძობთ, ამის ნებას არ მოგცემთ.

იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ. მაგრამ ვლადიმერ ილიჩმა მყისვე ჩაიწერა სახელი და გვარი ყველა მოსამსახურისა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ნავის დაკავებაში, აგრეთვე მენავისა და სხვა მოწმეებისა.

ერთხანს სიზრანის ნაპირზე მოუხდათ მგზავრებს ცდა; კვლავ ისმოდა, როგორ განაგრძობდა არეფიევი გამარჯვებულის სახით მსჯელობას იმის შესახებ, რომ ის იჯარას იხდის,

რომ მენავეებს უფლება არა აქვთ გადაიყვანონ მგზავრები ან გადაზიდონ რამე მეორე ნაპირზე; ამიტომ აკავებს იგი ნავებს და ყველას უკან აბრუნებს.

ცხადია, იყვნენ ადამიანები, რომელთაც არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ ვაჭარი უკანონოდ მოქმედებდა, მაგრამ ვერ ბედავდნენ ან არ უნდოდათ ეწარმოებინათ მასთან დავა სასამართლოებში. ზოგისათვის ეს მატერიალურად არ იყო ხელსაყრელი, სხვები კი ითვალისწინებდნენ მთელ იმ დავიდარაბას, რაც მოჰყვებოდა სასამართლოში საქმის გარჩევას, და თავიანთი ინერტიულობისა და „რუსული“ სიზანტის გამო უარს ამბობდნენ ბრძოლაზე.

საკმაო იყო სულ რამდენიმე საათით წაწყდომოდა ამ დამყაყებულ ობივატელურ ჭაობს, რომ ვლადიმერ ილიჩს საფუძვლიანად შეერყია იგი, დაესაჯა მთავარი დამნაშავე და ესწავლებინა მენავეებისათვის, თუ როგორ ებრძოლათ თავიანთი უფლებებისათვის.

სამარაში რომ დაბრუნდა, ვლადიმერ ილიჩმა რამდენიმე დღის შემდეგ შეიტანა საჩივარი არეფიევზე, რომელსაც ბრალად სდებდა თვითნებობას. საქმის არსი ცხადზე უცხადესი იყო, არც ერთ იურისტს არ შეეძლო განეხილა მისი მოქმედება სხვანაირად, თუ არა როგორც თვითნებობა, ხოლო თვითნებობისათვის იმდროინდელი კანონები უსჯიდა პატიმრობას, რომლის შეცვლაც ჯარიმით არ შეიძლებოდა.

მაგრამ ამ საქმის გამო ვლადიმერ ილიჩს კიდევ ბევრი დავიდარაბა დასჭირდა. საქმე ირჩეოდა ერობის უფროსთან, სადღაც სიზრანის ახლოს, სამარიდან ასი ვერსის დაშორებით, სადაც უნდა გამგზავრებულიყო ვლადიმერ ილიჩი, როგორც ბრალმდებელი. მიუხედავად იმისა, რომ საქმე სავსებით ნათელი იყო, ერობის უფროსმა რაღაც საბაბით საქმის გარჩევა გადადო. მეორედ, უკვე ცივ შემოდგომაზე, საქმე კვლავ დაინიშნა გასარჩევად. ვლადიმერ ილიჩი ისევ გაემგზავრა,

მაგრამ ამჯერადაც, სხვადასხვა ფორმალური საბაბით, ერობის უფროსმა საქმე გადადო.

ცხადია, არეფიევმა იცოდა თავისი მდგომარეობის უიმედობა და მოსალოდნელი სასჯელი, რომ მან მთელი თავისი ნაცნობობა აამოქმედა, რათა საქმე რაც შეიძლება დიდიხნით გადაედო. მას და მის დამცველს ეგონათ, რომ ეს მოუსვენარი კაცი, ბოლოს და ბოლოს, თავს გაანებებდა, მათი თვალსაზრისით, მისთვის ამ არახელსაყრელ, ყოვლად უსარგებლო მგზავრობას ასეულ ვერსზე. მათ არ იცოდნენ, რომ ამ კაცს ვერ მიუყენებდნენ ჩვეულებრივ, მათთვის გასაგებ საზომა, რომ რაც უფრო მეტ დაბრკოლებას აწყდებოდა ილიჩი თავის გზაზე, მით უფრო მტკიცე და შეურყეველი ხდებოდა მისი გადაწყვეტილება.

საქმის განხილვის მესამედ დანიშვნის შესახებ ვლადიმერ ილიჩმა უწყება უკვე ზამთარში, 1892 წლის დამლევს მიიღო. ის შეუდგა სამგზავრო სამზადისს. მატარებელი გადიოდა როგორღაც ძალიან ადრე დილით თუ ღამითაც კი; მოსალოდნელი იყო უძილობა, მეტად მოსაწყენი ლოდინი ერობის უფროსის კამერაში, ვაგზლებში და ა. შ. კარგად მახსოვს, რომ დედა ყოველნაირად ურჩევდა ჩემს ძმას არ წასულიყო.

— თავი დაანებე იმ ვაჭარს, ისინი კვლავ გადადებენ საქმეს, შენც ტყუილუბრალოდ მოგიხდება ჩასვლა, მხოლოდ გაწვალდები. გარდა ამისა, გახსოვდეს, რომ ისინი ძალზე გაჯავრებული არიან შენზე.

— არა, რაკი დავიწყე საქმე, ბოლომდე უნდა მოვიყვანო. ამჯერად ვეღარ შეძლებენ საქმის გაჭიანურებას.

მან დაუწყო დედას დამშვიდება.

მართლაც, მესამეჯერ ერობის უფროსმა ვერ მოახერხა საქმის გადადება: ისა და არეფიევის დამცველი სერიოზულ მოწინააღმდეგეს წააწყდნენ ვლადიმერ ილიჩის სახით, რომელიც კარგად მომზადებული იყო მომავალი ბრძოლისათვის.

ერობის უფროსი იძულებული იყო, თანახმად კანონისა, გამოეტანა განაჩენი: ერთი თვის პატიმრობა.

ამ ისტორიიდან ორი წლის შემდეგ სიზრანთან ახლოს გავიარე მატარებლით და ვაგონში შემთხვევით შეეხვდი მარკ ელიზაროვის ერთ-ერთ სიზრანელ ნაცნობს. საუბრის დროს მან გამომკითხა მარკ ელიზაროვისა და მისი ოჯახის შესახებ და მეტისმეტად დაინტერესებული იყო ვლადიმერ ილიჩით.

— არეფიევი ერთი თვე იჯდა მაშინ საპატიმრო სახლში. რამდენი არ ეცადა, მაგრამ თავი ვერ დაიძვრინა. სირცხვილი მისი, მთელმა ქალაქმა იცოდა, ხოლო ნავსადგურში რამდენს ლაპარაკობდნენ. დღემდე არ ავიწყდება.

დ. ულიანოვი

•

მუსიკის სიყვარული

ვლადიმერ ილიჩი ბავშვობაში სწავლობდა როიალის დაკვრას. როგორც დედა ამბობდა, მას შესანიშნავი სმენა ჰქონდა, და მუსიკას ადვილად ითვისებდა. რვა წლის იყო, როცა ის თამამად უკრავდა ბევრ საბავშვო პიესას, მონაწილეობდა უფროსებთან ერთად ოთხი ხელით დაკვრაში. მაგრამ გიმნაზიაში შესვლის შემდეგ მუსიკას თავი გაანება. რატომ? ყოველ შემთხვევაში, არა იმის გამო, რომ გიმნაზიაში მეცადინეობით იყო გადატვირთული.

ვალოდია ძლიერ ნიჭიერი იყო და სწავლა სრულიად არ უძნელდებოდა. უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, ვალოდიამ თავი დაანება როიალის დაკვრას იმის გამო, რომ შეითვისა იმ დროს გავრცელებული შეხედულება, თითქოს ვაჟებისათვის მუსიკის სწავლა შეუფერებელი რამ იყო. მაგრამ მუსიკის სიყვარული მთელ სიცოცხლეში შერჩა, მუსიკა მას ზედმიწევნით ესმოდა.

1888 წლის ზამთარში, ყაზანში, ვლადიმერ ილიჩთან ერთად ვიყავი ოპერაში. ადგილები სადღაც მაღლა, ქანდარაზე

გვეკავა. ჩემს მეხსიერებაში ეს სალამო მეტად მკაფიოდ აღიბეჭდა. მახსოვს, ფეხით დავბრუნდით თეატრიდან, შინ ვივაახშმეთ, ვახშმად რძე და პური გვქონდა. ვალოდია სულ ისევ მოსმენილი მუსიკის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და ჩუმად, რადგან ყველას ეძინა, მღეროდა არიებს, რომლებიც ოპერაში მოეწონა. ძალიან კარგ გუნებაზე იყო: მიყრუებული სოფლიდან, კოკუშკინოდან, სადაც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იყო, საოპერო თეატრში მოხვდა...

დედაჩვენს მარიამ ალექსანდრეს ასულს, ძალიან უყვარდა როიალი. ის უკრავდა და ამღერებდა მრავალ ძველ სიმღერასა და რომანსს. მაგრამ განსაკუთრებული ხალისით ასრულებდა ნაწყვეტებს ოპერიდან „ასკოლდის საფლავი". მას ჰქონდა ამ ოპერის ძველი, დროთა ვითარებაში გაყვითლებული ნოტები. ჩვენ ყველას ძლიერ გვიყვარდა მისი მუსიკა და სიმღერა; ვლადიმერ ილიჩიც ხშირად მღეროდა ზოგიერთ მოტივს ოპერიდან „ასკოლდის საფლავი".

1888—1890 წლებში ვლადიმერ ილიჩი ოლგა ილიას ასულთან ერთად ხშირად მღეროდა როიალთან. ოლგას შესახებ ბევრი რამ ცნობილი არ არის, მაშინ როდესაც ის იყო ვალოდიას ყველაზე მახლობელი, საუკეთესო ამხანაგი ბავშვობისა და სიყრმის წლებში. ის ძმაზე უმცროსი იყო, მაგრამ განვითარებით მას არ ჩამორჩებოდა. თვრამეტი წლისა ის უკვე ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და შვედურ ენებს. ოლგა ილიას ასულის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ მაშინ არ მუშაობდა, როცა ეძინა. 1891 წლის მაისში ის მუცლის ტიფით გარდაიცვალა.

ვლადიმერ ილიჩი აღტაცებული იყო მისი შრომისმოყვარეობითა და ნიჭით.

ისინი მღეროდნენ დუეტით იაზიკოვის სიმღერას „მოცურავე" — „კაცთმოუკარებელია ჩვენი ზღვა", და მე მახსოვს შთაბეჭდილება, მიღებული უკანასკნელი ტაეპით:

„მაგრამ მხოლოდ სულით მძლავრებს
გაიტანენ იქ ტალღები!..
მედგრად, ძმებო!
ქარბუქს არღვევს
ჩვენი მტკიცე იალქნები“.

ვალოდიას უყვარდა დორგომიჟსკის „ქორწილიც“:

„ჩვენ საუდარში ჯვარს არ გვწერდნენ
გვირგვინებით და სანთლებით,
ჩვენ არც ჰიმნებს გვიგალობდნენ
საზეიმო აღმაფრენით!“

ვალოდია ჰაინეს ლირიკულ სიმღერებსაც მღეროდა. მუსიკალურ ფრაზაში „...მე მთლად ვიღუპები, ძვირფასო მეგობარო...“ ძლიერ მაღალი ნოტის აღება იყო საჭირო, ისიც აუწევდა ხმას და სიცილით ამბობდა: „უკვე დავიღუპე, მთლად დავიღუპე“...

ვლადიმერ ილიჩის სიმღერაში თითქმის არ მახსოვს მინორი, ნაღველი; მის სიმღერებში ყოველთვის მხნეობა, სიმამაცე, შემართება და მოწოდება ჟღერდა.

ის აგრეთვე მღეროდა ვალენტინის არიას „ფაუსტიდან“: „ღმერთი ყოვლად ძლიერი, ღმერთი სიყვარულისა...“ — ის მღეროდა იმას, რაც ნოტების მიხედვით უნდა ემღერა, წარმოთქვამდა სიტყვებს, რომელთა ამოღება სიმღერიდან შეუძლებელი იყო, მაგრამ ერთ ადგილს ამ არიიდან უფრო მოხდენილად და ლამაზად მღეროდა იმიტომ, რომ მასში უნებლიეთ თავისი მებრძოლი სულისკვეთება შეჰქონდა:

„იქ, უმკაცრეს ბრძოლაში,
სისხლის წვიმებში,
ვფიცავ, ვიყო ყოველთვის
პირველ რიგებში...“

მუდამ, როცა გუნოს მუსიკას ვისმენ, მაგონდება შორეული დრო და მესმის, როგორ მღეროდა ვლადიმერ ილიჩი ამ არიას.

1889 წლის ზაფხულში პირველად გავიგონე „ინტერნაციონალი“, რომელიც მაშინ რუსეთში, შეიძლება ითქვას, არავინ იცოდა. ეს იყო ალაკაევკის აგარაკზე, სამარის გუბერნიაში. ოლგა ილიას ასული უკრავდა როიალს და თავისი მუსიკა „მარსელიოზით“ დაამთავრა. მე მივირბინე როიალთან და ვთხოვე მისი განმეორება. უცებ მოულოდნელად, რადგან ეს იყო დილით, როცა ვლადიმერ ილიჩი ჩვეულებრივ წიგნებიდან თავს არ იღებდა, იგი მოგვიახლოვდა და გვითხრა, ვიმღეროთ „ინტერნაციონალიო“. მათ ერთად ააწყვეს როიალზე ახალი სიმღერა, შემდეგ კი წყნარად დაამღერეს ფრანგულად.

მარიამ ილიას ასულმა შემდეგში მითხრა, რომ ვლადიმერ ილიჩი ძლიერ ნანობდა, რომ როიალის ან ვიოლინოს დაკვრა არ ისწავლა.

„პრავდა“ № 21,
1941 წლის 21 იანვარი.

დ. ულიანოვი

*

გადასახლებიდან დაბრუნება

შემთხვევა სამაზრო პოლიციის უფროს პერფილიევთან

ოცი წლის წინათ, 1900 წლის დასაწყისში, ვლადიმერ ილიჩი ციმბირიდან ბრუნდებოდა სამი წლით გადასახლების შემდეგ; გადასახლება მან გაატარა ენისეის გუბერნიის, მინუსინსკის მაზრის, სოფელ შუშენსკოეში. ბრუნდებოდა მარტო, არ ახლდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, რომელსაც გადასახლების ვადა ჯერ კიდევ არ დამთავრებოდა. ის ვლადიმერ ილიჩთან ერთად უფამდე მოვიდა და დარჩა იქ პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის მოსახდელად.

ვლადიმერ ილიჩის გამომგზავრების დრო რომ შემატყობინეს, მე მას დავხვდი მოსკოვიდან 50 ვერსზე, პოდოლსკში, სადაც მაშინ ვცხოვრობდი. ილიჩი ვნახე შორეული მატარებლის III კლასის ვაგონში: ყველაფრით ჩანდა, რომ ხალხი მოდიოდა ცივი ქვეყნებიდან — ბეწვის ქურქები, დოხები, ციმბირის ქუდები ყურსაფარებით, თექის ჩექმები, ნაბდები და ა. შ. ეყარა მთელ ვაგონში. ვლადიმერ ილიჩი ჯანსაღად გამოიყურებოდა, ცხადია, არა ისე, როგორც წინასწარი პატიმრობის შემდეგ. უწინარეს ყოვლისა, მან გამომკითხა ოჯახის წევრების ამბავი, დედის ჯანმრთელობა; მეკითხებოდა ახალ ამბებს,

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ჩემზე გაცილებით უკეთ იცოდა ახალი ამბები, მიუხედავად იმისა, რომ ის გადასახლებიდან ბრუნდებოდა, ხოლო მე მოსკოვის ახლოს ვცხოვრობდი.

მერე საუბარი შეეხო გერმანელ სოციალ-დემოკრატის — ე. ბერნშტაინის, იმ დროს ყველაზე გულახდილი და მოურიდებელი რევიზიონისტისა და ოპორტუნისტის წიგნს, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვლადიმერ ილიჩი, ცხადია, სასტიკად აკრიტიკებდა და ლანძღავდა ამ ბერნშტაინს, ამბობდა, რომ ეს ძლიერ საშიში დამახინჯებაა მარქსისა, და ამიტომ საჭიროა მასთან ყველაზე გადამწყვეტი და ულმობელი ბრძოლაო. გზადაგზა ის სცხებდა ჩვენს რუს ოპორტუნისტებსაც, ეგრეთწოდებულ „ეკონომიზმს“, ამ მიმართულების ორგანოებს: „რაბოჩეე დელოს“ და „რაბოჩაია მისლს“.

როცა მოსკოვში ჩასვლისას ვლადიმერ ილიჩთან ერთად ეტლით ჩვენებთან მივდიოდით, ბახმეტიევის ქუჩაზე, მე თავს ბედნიერად და ამაყად ვგრძნობდი იმით, რომ საათნახევრით სხვებზე ადრე შევხვდი მას და რომ მე „მივიყვანდი“ ჩვენებთან.

ვლადიმერ ილიჩს უფლება ჰქონდა საცხოვრებლად აერჩია ყოველი ქალაქი, გარდა სატახტო ქალაქისა, საუნივერსიტეტო ქალაქებისა და, ვგონებ, საფაბრიკო-საქარხნო ცენტრებისა. მისი არჩევანი ფსკოვზე შეჩერდა. ფსკოვი, სადაც იგი არასდროს არ ყოფილა და იქ არც არავინ ჰყოლია, აირჩია, როგორც ჩანს, მხოლოდ მისი სიახლოვის გამო პეტერბურგთან, რომელიც იმ დროს, ცხადია, ილიჩის მთავარ ყურადღებას იპყრობდა. ფსკოვიდან უფრო ადვილი იყო პიტერში ჩასვლა, მუშათა მოძრაობისადმი თვალყურის დევნება, კავშირის დაჭერა უშუალოდ მომუშავე ამხანაგებთან და მოძრაობაზე ზემოქმედება. ერთხელ თუ ორჯერ ვლადიმერ ილიჩმა კიდეევაც მოახერხა მშვიდობიანად ჩასულიყო პეტერბურგში, ენახა ვინც მას სურდა. მაგრამ უკანასკნელი ჩასვლის დროს ის კვლავ პოლიციის ხელში ჩავარდა.

ვლადიმერ ილიჩი და მარტოვი, რომელიც იმ დროს მისი თანამოაზრე იყო, პიტერს გაემგზავრნენ. ვარშავის ვაგზალში ჩასვლა, ე. ი. პირდაპირი მგზავრობა, მათ სახიფათოდ მიიჩნიეს. გადაწყვიტეს კვალის დასაბნევად ქალაქში მეორე ვაგზლიდან შესულიყვნენ, სადაც ჯაშუშები არ მიელოდნენ. ფსკოვიდან გატჩინოში ჩავიდნენ, იქიდან შეუხვიეს ყოფილ ცარსკოე სელოში, სადაც კვლავ სხვა მატარებელში გადასხდნენ, და თითქოს მშვიდობით ჩავიდნენ პიტერში. მეორე დღეს დილით, როცა ვლადიმერ ილიჩი იმ ბინიდან გამოვიდა, სადაც მან ღამე გაათია, მას უეცრად ხელი სტაცეს,— როგორც ის შემდეგში გვიამბობდა, — „ხელებში მწვდნენ, ერთი — მარჯვნივ, მეორე — მარცხნივ, ისე რომ ვერ გაინძრეოდი... რაიმეს გადაყლაპვა რომ მდომოდა, ვერ შეეძლებდი“. ჩასვეს ეტლში და მიიყვანეს ქალაქის უფროსის სამმართველოში; იქ, ცხადია, გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს. იქვე საკანში შეიყვანეს. გამოიძახეს დაკითხვაზე: „რისთვის მოხვედით? თქვენ ხომ იცით, რომ აკრძალული გაქვთ სატახტო ქალაქში შესვლა?“ შემდეგ: „თქმა არ უნდა, გზაც კარგი აგირჩევიათ! ცარსკოე სელოზე გავლით! განა არ იცით, რომ იქ თვითეულ ბუჩქს თვალს ვადევნებთ?“.

ქალაქის უფროსის სამმართველოში ჯდომა მეტისმეტად ცუდი იყო, შედარებაც არ შეიძლება წინასწარპატიმრობის სახლთან. „ინსექტები არც დღისით, არც ღამით მოსვენებას არ გაძლევენ,— გვიამბობდა. ვლადიმერ ილიჩი,— საერთოდ ჭუჭყი და სიბინძურე — აუტანელი, ხოლო ღამით ხმაურობა, ლანძღვა-გინება; ყოველ ღამით სწორედ საკანთან ჩამოსხდებიან ბანქოს სათამაშოდ პოლიციელები, ჯაშუშები და სხვ.“...

კიდევ კარგი, რომ აქ ჯდომა მხოლოდ ორ კვირას გაგრძელდა. ვლადიმერ ილიჩს ძალიან აფიქრებდა, რომ მისთვის არ ჩამოერთმიათ საზღვარგარეთის პასპორტი, რომელიც უკვე ჯიბეში ჰქონდა, ამ პასპორტთან დაკავშირებული იყო მისი

შემდგომი მოქმედების გეგმა: საზღვარგარეთ წასვლა და დიდი პოლიტიკური გაზეთის გამოცემის დაწყება — მომავალი „ისკრისა“, რომელიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანოდ უნდა გადაქცეულიყო,—„ეკონომიზმისა“ და სხვათა საწინააღმდეგოდ მჭიდროდ დაკავშირებოდა ადგილებს და პროლეტარიატის პარტიის თავმოყრისა და ორგანიზაციის ცენტრი გამხდარიყო.

განთავისუფლების შემდეგ ვლადიმერ ილიჩი ჩამოვიდა პოდოლსკში, სადაც ჩვენ დედასთან ერთად ვცხოვრობდით. ქალაქის უფროსის სამმართველოდან მას თან ახლდა პოლიციის მოხელე, რომელმაც ვლადიმერ ილიჩი დანიშნულებისამებრ პირდაპირ პოდოლსკის მაზრის პოლიციის უფროსთან მიიყვანა. სამაზრო პოლიციის უფროსმა, ვინმე პერფილიევმა, დახავსებულმა მოხელემ, რომელიც, თუ შემთხვევა მიეცემოდა, ცეცხლებს ჰყრიდა; არსებითად კი მხდალი იყო, ვლადიმერ ილიჩს მოსთხოვა დოკუმენტები. ილიჩმა თავისი საზღვარგარეთული პასპორტი წარუდგინა. გადაფურცვლის და გადასინჯვის შემდეგ სამაზრო პოლიციის უფროსმა დოკუმენტი თავისი საწერი მაგიდის ყუთში ჩადო და უთხრა: „ახლა თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ, პასპორტი კი ჩემთან დარჩება“. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა ვლადიმერ ილიჩს: ჩამოართვეს საზღვარგარეთის პასპორტი. და მერე ვინ? ვილაც სამაზრო პოლიციის უფროსმა! „დოკუმენტი ჩემთვის საჭიროა,— უთხრა ვლადიმერ ილიჩმა,—დამიბრუნეთ იგი“. სამაზრო პოლიციის უფროსმა თავმომწონედ უპასუხა: „თქვენ ხომ გაიგეთ: დოკუმენტი ჩემთან დარჩება, თქვენ კი შეგიძლიათ წახვიდეთ“. ვლადიმერ ილიჩი პროტესტს აცხადებდა და ეუბნებოდა, არ წავალ სანამ პასპორტს არ დამიბრუნებთო. უფროსი თავისაზე იდგა. მაშინ ვლადიმერ ილიჩი კარისკენ შემობრუნდა და განაცხადა: „ასეთ შემთხვევაში იძულებული ვარ ვიჩივლო თქვენი უკანონო მოქმედების შესახებ პოლიციის დეპარტამენტშიო“ და გამოვიდა. სამაზრო პოლიციის უფროსი

შეშინდა, უკანასკნელმა ფრაზამ იმოქმედა. მან წამოიძახა: „გამიგონეთ, ბ. ულიანოვ, დაბრუნდით! აი თქვენი პასპორტი, წაიღეთ“.

ვლადიმერ ილიჩს შინ მოუთმენლად ელოდნენ. შემოდგა თუ არა ფეხი, თან მოიტანა ხალისი და მხიარულება. გვიამბო თავის უკანასკნელ თავგადასავლისა და, უწინარეს ყოვლისა, იმ „გაიძვერა და ბრიყვი“— სამაზრო პოლიციის უფროსის შესახებ. ის ჯერ კიდევ აღელვებული იყო ამ ჩხუბის შემდეგ: „ამ ძველ ყეყეჩს უნდოდა ჩამოერთმია ჩემთვის საზღვარგარეთის პასპორტი, მაგრამ ისე შევაშინე პოლიციის დეპარტამენტით...“ და ვლადიმერ ილიჩმა გულიანად გადიხარხარა.



მ. ულიანოვა

•

ლენინი ნათესავებისადმი მიწერილ წერილებში[1]

ბევრ გვაქვს ლენინის თხზულებათა სრული კრებული და საკმაოდ დიდი ლიტერატურა ლენინიზმის შესახებ (როგორც მეცნიერულ-კვლევითი., ისე პოპულარული), ხოლო ლენინი როგორც ადამიანი, მისი მკაფიო, მრავალმხრივი ინდივიდუალობა, დღემდე მეტად არასაკმაოდ ან თითქმის სრულიად არ არის დახატული.

ვლადიმერ ილიჩის წერილები თავისიანებისადმი — დედის მარიამ ალექსანდრეს ასულ ულიანოვასადმი და დის მარიამ ილიას ასულისადმი[2], — რომლებიც მოიცავენ პერიოდს 1894-დან 1917 წლამდე, ე. ი. ვლადიმერ ილიჩის რევოლუ-

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი. 1894 — 1919, ლ., პარტგამომცემლობა, 1934, 484 გვ. (საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტი). — რ ე დ.

[2] წერილები ჩვეულებრივ განკუთვნილი იყო არა მხოლოდ ადრესატებისათვის, არამედ ოჯახის ყველა სხვა წევრისათვისაც, ყოველ შემთხვევაში მათთვის, ვინც კი იმ დროს ერთად ცხოვრობდა, რომ „ერთი და იგივე არ ეწერა". — მ. უ.

ციური მოღვაწეობის პირველი წლებიდან მის დაბრუნებამდე რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ნაწილობრივ ავსებენ ამ ხარვეზს. მათი მიხედვით შეიძლება რამდენადმე ვიქონიოთ წარმოდგენა ვლადიმერ ილიჩის ცხოვრების წესის, მისი ჩვევების, მიდრეკილებების, ადამიანებთან დამოკიდებულების შესახებ და ა. შ. რამდენადმე ავსებს,— ვამბობთ ჩვენ,—ვინაიდან, უწინარეს ყოვლისა, ეს სრულიადაც არ არის ნათესავებისადმი მის მიერ მიწერილი წერილების სრული კრებული აღნიშნული პერიოდისა. ქალაქიდან ქალაქში ხშირი გადასვლის გამო, იმის გამო, რომ ჩვენი ოჯახის ხანერთი, ხან მეორე წევრი მრავალგზის გაჩხრიკეს და დააპატიმრეს, რომლის დროსაც მიმოწერა ჟანდარმერიამ წაიღო, ვლადიმერ ილიჩის ბევრი წერილი დაიღუპა. ხშირი იყო აგრეთვე ფოსტით გამოგზავნილ ზოგიერთ წერილების დაკარგვის შემთხვევა, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის დროს. ამიტომ არის, რომ ერთი და იგივე საკითხი მეორდება ზედიზედ რამდენიმე წერილში. გარდა ამისა, ამ წერილებს ცარიზმის პოლიციური პირობების დაღი აზის. მართალია, იმ ხანებში ჩვენ მთელ საქმიან მიმოწერას (მთელ ცნობებს რევოლუციური ამბების, პარტიის ცხოვრებისა და სხვ. შესახებ) ვაწარმოებდით კონსპირაციულად, ქიმიით, ჩვეულებრივ წიგნებსა და ჟურნალებში და ვგზავნიდით სხვის, „წმინდა" მისამართებზე[1], მაგრამ პირადი ცხოვრება და რევოლუციური მუშაობა იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული, რომ პირად ლეგალურ მიმოწერას დიდად ვკვეცავდით პოლიციური პირობების გამო. ერთ-ერთ თავის წერილში დისადმი — მარიას ილიას ასულისადმი ვოლოგდაში, სადაც მარიამი იმ დროს გადასახლებაში იყო, ვლადიმერ ილიჩი წერდა: „მეტად ძნელია

[1] მათი რუსეთში შენახვა, ცხადია, შეუძლებელი იყო, და მხოლოდ მათი ნაწილი გადარჩა ასლებში, რომლებსაც საზღვარგარეთ იღებდნენ. — მ. უ.

ჩვენს (როგორც შენს, ისე განსაკუთრებით ჩემს) მდგომარეობაში აწარმოო მიმოწერა ისე, როგორც გსურს".

ეს შეეხებოდა არა მარტო მარიამ ილიას ასულს, არამედ ჩვენი ოჯახის ყველა წევრს, რადგან ვლადიმერ ილიჩი მათი ნათესავი იყო არა მხოლოდ სისხლით, არამედ შეხედულებებითაც და რწმენითაც. ყველანი (ანა ილიას ასულის მეუღლეც — მ. ტ. ელიზაროვი) იმ დროს სოციალ-დემოკრატები იყვნენ, პარტიის რევოლუციურ ფრთას ემხრობოდნენ და მეტნაკლებად მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მუშაობაში. დედაჩვენიც კი, რომელიც 90-იანი წლების დამლევს, როცა ჩხრეკა და დაპატიმრება ჩვენს ოჯახში განსაკუთრებით ხშირი შეიქნა, 60 წელს გადაშორებული იყო, მაგრამ იდეურად ჩვენთან იყო.

რევოლუციონერთა მთელ ლეგალურ მიმოწერას ხსნიდნენ და სინჯავდნენ და ამიტომ ჩვენ გვიხდებოდა მიგვემართნა სხვადასხვა გადაკრული სიტყვებისათვის, პირობითი ნიშნებისათვის და ა. შ., რათა შევხებოდით ასე თუ ისე ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, გვეცნობებინა ამა თუ იმ არალეგალური წერილის მიღება, გაგვეგო ნაცნობთა მდგომარეობა და სხვ.

ვლადიმერ ილიჩის წერილები, რომლებიც უშუალოდ დედის, დის ან ძმის მისამართით იგზავნებოდა, თითქმის არ შეიცავს სახელებსა და გვარებს, — ამას შეეძლო დიდი უსიამოვნება გამოეწვია იმისათვის, ვისი გვარიც მოხსენებული იქნებოდა ასეთ წერილში. ცხადია, არ გვინდოდა, რომ ჩვენი მიზეზით ვინმეს რაიმე უსიამოვნება შემთხვეოდა. ვლადიმერ ილიჩის წერილებში ვხვდებით მხოლოდ იმ ამხანაგებისა და ნაცნობების სახელებს და იშვიათად გვარებს, რომლებთანაც ჩვენი ნაცნობობა, სულერთია, დადგენილი იყო პოლიციის მიერ სხვადასხვა გარემოების მიხედვით (ერთად გადასახლება ერთსა და იმავე საქმეზე, სწავლა ერთსა და იმავე სასწავლებელში და ა. შ.), ანდა ემყარებოდა წმინდა საქმიან ურთიერთობას

(გამომცემელთა, წიგნის გამყიდველთა და სხვ. გვარები). რომელიმე იმ ცოტად თუ ბევრად ლეგალური ნაცნობთაგანის გვარის მოხსენიებისათვის რომ გვერდი აევლო, რომლის შესახებაც ვლადიმერ ილიჩს სურდა რაიმე ეცნობებინა, მოკითხვა გადაეცა და სხვ., ამ წერილებში წამდაუწუმ იყენებდა მეტსახელებსა და ისეთ მითითებებს, რომელთაც კავშირი ჰქონდა ჩვენთვის ამა თუ იმ ცნობილ ფაქტთან ან მოვლენასთან. მაგალითად, ვლადიმერ ილიჩი „ისტორიკოსს“ უწოდებს (მხედველობაში აქვს რა მისი ისტორიული ნაშრომები) ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს, რომელთანაც მას ერთ დროს — ა. ი. და მ. ი.-ს მეშვეობით — გაცხოველებული მიმოწერა ჰქონდა. უთვლის რა მოკითხვას ვ. ვ. ვოროვსკის, რომელიც მარიამ ილიას ასულთან ერთად გადასახლებაში იყო ვოლოგდაში, ვლადიმერ ილიჩი წერს: „ჩემი სალამი პოლონელ მეგობრებს და სურვილი, რომ ყოველნაირად გვეხმარებოდნენ“. „ჩინელი მოგზაური“ იგულისხმება ა. პ. სკლიარენკო, რომელიც მაშინ მანჯურიის რკინიგზაზე მსახურობდა; „ბატონი, რომელთანაც შარშან ნავით ვისეირნეთ“ — ნიშნავდა ვ. ა. ლევიცკის და ა. შ.

ქარაგმულად გვიხდებოდა წერა აგრეთვე არალეგალური გამოცემების, კონსპირაციული კორესპონდენციების, ქიმიური წერილების შემცველი წიგნების გადაგზავნის შესახებ და ა. შ.

1900 წლის დეკემბრის დამლევს ამ სტრიქონების დამწერმა გაუგზავნა ვლადიმერ ილიჩს საზღვარგარეთ იქ მიმავალი გ. ბ. კრასინის ხელით „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მანიფესტი“, რაღაც ფოტოგრაფიულ სურათებთან ერთად ალბომში ჩართული. ამ ამანათმა ძლიერ გაახარა ვლადიმერ ილიჩი, და 1901 წლის 16 იანვრის თარიღით ის წერს: „დიდად გმადლობ გამოგზავნილი წიგნებისათვის და განსაკუთრებით ბიძაშვილის მიერ ვენიდან გამოგზავნილი მეტად ლამაზი და საინტერესო ფოტოგრაფიებისათვის; ჩემი სურვილი იქნებოდა ხშირ-ხშირად მიმეღო ასეთი საჩუქრები“.

„ისკრა“ და სხვა არალეგალური გამოცემები იგზავნებოდა რუსეთში, სხვათა შორის, კონვერტებში „წმინდა“, ლეგალურ მისამართებზე. ვლადიმერ ილიჩი თავის წერილებში ზოგჯერ იტყობინებოდა ასეთი ამანათის შესახებ, რათა შესაძლებლობა გვქონოდა დროულად გაგვეგო ეს ადრესატისაგან. როგორც ჩანს, ასეთ ცნობას შეიცავდა ვლადიმერ ილიჩის შემდეგი სიტყვებიც (წერილი 1900 წლის 14 დეკემბრის თარიღით). „რამდენადაც მახსოვს, ცხრაში გამოგიგზავნე ის მცირე ნივთი, შენ რომ გაინტერესებდა“. „ვალოდია დიდად გახარებული იყო შენი ვრცელი წერილის მიღებით,— წერს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული წერილში 1916 წლის 8 თებერვლის თარიღით.—იქნებ, როგორმე კიდევ მოიწერო“. რადგან ჩვენი ლეგალური მიმოწერა ვრცელი არასდროს არ იყო, ხოლო იმპერიალისტური ომის დროს, როცა ეს წერილი დაიწერა, უმთავრესად, ღია დაზღვეული წერილებით ვეწეოდით მიმოწერას, ვინაიდან ბევრი წერილი იკარგებოდა. როგორც ჩანს, მოყვანილი სიტყვები გულისხმობს წიგნით გაგზავნილ არალეგალურ წერილს.

საზღვარგარეთ ვლადიმერ ილიჩის ყოფნის პირველ ხანებში, 1900 წელს, როცა მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რამდენად მტკიცედ მოიკიდებდა იქ ფეხს, იგი, კონსპირაციის მიზნით, არ გვაძლევდა თავის პირად მისამართს მიმოწერისათვის, როცა ის შვეიცარიაში ან მიუნხენში ცხოვრობდა. ჩვენ მას პარიზის ან პრაღის მისამართით ვწერდით. მაგალითად, 1901 წლის 2 მარტის წერილში ის გვატყობინებს თავის ახალ მისამართს და დასძენს, რომ „გადავედი ჩემი ბინის პატრონთან ერთად“. ფრანც მოდრაჩეკი, რომლის მისამართითაც მიდიოდა ჩვენი წერილები, მართლაც ახალ ბინაზე გადავიდა მაშინ, მაგრამ ვლადიმერ ილიჩი მიუნხენში ისევ ძველ ბინაზე ცხოვრობდა.

* *
*

ვლადიმერ ილიჩის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო დიდი სიფაქიზე და პუნქტუალობა, აგრეთვე სასტიკი მომ-ჭირნეობა ხახსრების ხარჯვაში, კერძოდ პირადად თავისთვის. ეჭვს გარეშეა, ეს თვისებები ვლადიმერ ილიჩს მემკვიდრეობით გადმოეცა დედისგან, რომელსაც ის თავისი ხასიათის მრავალი თვისებით ჰგავდა.

თუ რამდენად მომჭირნე და ეკონომიური იყო ვლადიმერ ილიჩი ხარჯებში პირადად თავისთვის, ეს ჩანს მისი 1895 წლის 5 ოქტომბრის წერილში.

„დღეს პირველად ს.-პეტერბურგში ვაწარმოე შემოსავალ-გასავლის წიგნი, რათა დამენახა, სინამდვილეში რამდენს ვხარჯავ. აღმოჩნდა, რომ ერთი თვის განმავლობაში, 28 აგვისტოდან 27 სექტემბრამდე, სულ 54 მან. 30 კაპ. დამიხარჯავს, თუ არ ჩავთვლით ნივთებისათვის გაღებულ ფულს (დაახლოებით 10 მან.) და ხარჯებს ერთ სასამართლო საქმეზე (ისიც დაახლოებით 10 მან.), რომელიც, შეიძლება, ვაწარმოო. მართალია, ამ 54 მანეთიდან გასავლის ნაწილი ისეთია, რომელიც ყოველ თვე როდი განმეორდება (კალოშები, ტანსაცმელი, წიგნები, საანგარიშე და ასე შემდეგ), მაგრამ მისი გამოკლებითაც (16 მან.) გასავალი მეტისმეტია — 38 მან. თვეში. ეტყობა, უყაირათოდ მიცხოვრია: მარტო „კონკაზე", მაგალითად, თვეში 1 მან. 36 კაპ. დამიხარჯავს. ალბათ თანდათან შევეჩვევი ცხოვრების პირობებს და უფრო მომჭირნე ვიქნები".

ის მართლაც მომჭირნეობდა, განსაკუთრებით, როცა საკუთარი ხელფასი არა ჰქონდა და უხდებოდა მიემართნა „შემწეობისათვის", როგორც ის უწოდებდა დედის მხრივ ფულად დახმარებას. მისი მომჭირნეობა იქამდე მიდიოდა, რომ „რუსსკიე ვედომოსტი" [1]-საც კი არ იწერდა, როცა პეტერბურგში ცხოვ-

---

[1] „რუსსკიე ვედომოსტი" იმ დროს ყველაზე წესიერი და საინტერესო გაზეთი იყო ბურჟუაზიულ გაზეთებს შორის. — მ. უ.

რობდა 1895 წელს, არამედ ამ გაზეთს საჯარო ბიბლიოთეკაში კითხულობდა „2 კვირის დაგვიანებით“, „შეიძლება გამოვიწერო ის, როცა აქ სამუშაოს ვიშოვნი“. — წერდა ის დას.

ეს თვისება მთელი სიცოცხლის მანძილზე შერჩა ვლადიმერ ილიჩს და მკაფიოდ ვლინდებოდა ხოლმე არა მარტო იმ ხანებში, როცა ემიგრაციაში ვერ შოულობდა თავისი ლიტერატურული შრომების გამომცემელს (საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ „აგრარული საკითხი“ მხოლოდ 10 წლია შემდეგ, 1917 წელს გამოქვეყნდა) და ზოგჯერ პირდაპირ კრიტიკულ მდგომარეობას განიცდიდა, არამედ მაშინაც, როცა მისი მატერიალური მდგომარეობა სავსებით უზრუნველყოფილი იყო, ე. ი. 1917 წლის რევოლუციის შემდეგაც.

მაგრამ მომჭირნეობაც არის და მომჭირნეობაც; ვლადიმერ ილიჩისათვის ძნელი იყო გაეწია მომჭირნეობა წიგნებზე. წიგნები მას სჭირდებოდა თავისი შრომებისათვის, რათა ყოფილიყო უცხოეთისა და რუსეთის პოლიტიკისა და ეკონომიკის კურსში და სხვ.

„ჩემდა საუბედუროდ,— სწერს იგი დედას 1895 წლის 29 აგვისტოს თარიღით დაწერილ წერილში ბერლინიდან,— ვხედავ, რომ ფინანსების მხრივ კვლავ „სიძნელეებს“ განვიცდი: წიგნების ყიდვის „ცთუნება“ და სხვ. იმდენად დიდია, რომ ეშმაკმა უწყის, ფული სად მიდის“. მაგრამ ის ამ მხრივაც ცდილობდა შეეკავებინა თავი და სამუშაოდ ბიბლიოთეკებში დადიოდა; ეს საშუალებას აძლევდა უფრო დამშვიდებით ემუშავნა, მორიდებოდა იმ მოუსვენრობასა და დაუსრულებელ დამქანცავ საუბრებს, რასაც ჩვეულნი იყვნენ ემიგრანტები, რომლებიც მათთვის უცხო პირობებში ყოფნის გამო მოწყენილობას განიცდიდნენ, ხოლო ასეთ საუბრებს გულს აყოლებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ვლადიმერ ილიჩი ბიბლიოთეკით არა მარტო საზღვარგარეთ სარგებლობდა, არამედ მაშინაც. როცა რუსეთში ცხოვრობდა. დედისადმი პეტერბურგიდან გაგზავნილ წერილში ის წერს, რომ კმაყოფილია თავისი ახალი ოთახით, რომელიც „ცენტრიდან შორს არ არის (მაგ., სულ 15 წუთის

სავალზეა ბიბლიოთეკამდე)". გადასახლებაში მიმავალმა ილიჩ-მა, ის რამდენიმე დღეც კი, რაც მოსკოვში დაჰყო, რუმიანცევის მუზეუმში სამუშაოდ გამოიყენა. ხოლო როცა კრასნოიარსკში ცხოვრობდა და ნავიგაციის გახსნას უცდიდა მინუსინსკის მაზრაში წასასვლელად, იუდინის ბიბლიოთეკაში მეცადინეობდა, თუმცა ამისათვის ყოველდღიურად დაახლოებით 5 ვერსის გავლა უხდებოდა.

გადასახლებაში, სადაც ბიბლიოთეკებზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ამ ხარვეზის შევსებას ვლადიმერ ილიჩი ცდილობდა იმით, რომ გვთხოვდა მოგვეწყო მისთვის ბიბლიოთეკის წიგნების გზავნა ფოსტით. ამ მხრივ რამდენიმე ცდა მოვახდინეთ, მაგრამ გადაგზავნაზე ძალიან დიდი დრო მიდიოდა (დაახლოებით ერთი თვე იქით-აქეთ), ხოლო წიგნებს ბიბლიოთეკიდან განსაზღვრული ვადით იძლეოდნენ.

ზოგჯერ ასეთ ღონისძიებას ვლადიმერ ილიჩი უფრო მოგვიანებითაც მიმართავდა. მაგალითად, წერილში — ანა ილიას ასულისადმი 1914 წლის 31 იანვრის თარიღით — ის წერს: „რაც შეეხება სტატისტიკურ ცნობათა კრებულს 1905—1908 წლების სისხლის სამართლის საქმეებზე, გთხოვთ არ იყიდოთ ისინი (არ ღირს, ძვირია), არამედ გამოიტანოთ ბიბლიოთეკიდან (ან ნაფიც ვექილთა საბჭოს, ან სახელმწიფო სათათბიროს ბიბლიოთეკიდან) და გამომიგზავნოთ ერთი თვით".

საზღვარგარეთ ცხოვრების დროს ვლადიმერ ილიჩი მუდამ ბიბლიოთეკებით სარგებლობდა. ბერლინში საიმპერატორო ბიბლიოთეკაში მეცადინეობდა. ჟენევაში ამორჩეული ჰქონდა „კლუბი" (Société de Lecture), რომელშიც უნდა ჩაწერილიყავი და შეგეტანა განსაზღვრული საწევრო შესატანი, მართალია, ძალიან მცირე, იმისთვის, რომ შესაძლებლობა გქონოდა გემუშავნა ამ „კლუბის" ბიბლიოთეკაში. პარიზში ის მუშაობდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თუმცა ჩიოდა, რომ ეს ბიბლიოთეკა „მოუწყობელია"; ლონდონში მხოლოდ ბრიტანეთის მუზეუმში მუშაობდა, მიუნხენში ცხოვრებისას სწუხდა, რომ „აქ ბიბლიოთეკა არ არისო", კრაკოვშიც ნაკლებად სარგებლობდა

ბიბლიოთეკით. წერილში მ. ი. ულიანოვასადმი 1914 წლის 22 აპრილის თარიღით ის წერს, რომ „აქ (კრაკოვში.—მ. უ.)... ბიბლიოთეკა ცუდი და ყოვლად მოუხერხებელია, მ გრამ იქ ყოფნა თითქმის არ მიხდება...“ გაზეთში („პრავდაში“) მუშაობა, ყოველგვარი ურთიერთობა ამხანაგებთან, რომლებიც მიდიოდნენ ვლადიმერ ილიჩთან კრაკოვში გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე წინათ საფრანგეთსა ან შვეიცარიაში, სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის მუშაობის ხელმძღვანელობა, პარტიული კონფერენციები და თათბირები და სსვ. საშუალებას არ აძლევდა ილიჩს ბევრი დრო დაეთმო მეცნიერული მუშაობისათვის. „არაერთხელ ვიგონებდით, — წერს ვლადიმერ ილიჩი, — ჟენევას, სადაც მუშაობის მეტი ხალისი იყო, ბიბლიოთეკაც უფრო მოხერხებული, ცხოვრებაც ნაკლებად ნერვიული და ნაკლებად ულიმღამო იყო“.

იმპერიალისტური ომის დასაწყისში, როცა ვლადიმერ ილიჩი დააპატიმრეს გალიციაში და კვლავ შვეიცარიაში მოხვდა, ის წერს: „აქ კარგი ბიბლიოთეკებია, მეც წიგნების სარგებლობის მხრივ კარგად მოვეწყვე. ყოველდღიური საგაზეთო მუშაობის პერიოდის შემდეგ ერთხანს კითხვაც სასიამოვნოა“. შემდეგ კი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ის მიდის ბერნიდან ციურიხში, რათა, სხვათა შორის, „წაიმეცადინოს აქაურ ბიბლიოთეკებში“ (თუმცა ამავე დროს განაგრძობს ინტენსიურ პოლიტიკურ პარტიულ მუშაობას, რასაც ნათლად გვიჩვენებს, სხვათა შორის, XI „ლენინის კრებულში“ გამოქვეყნებული მისი მიმოწერა ამხ. კარპინსკისთან, რაც ეკუთვნის ამ პერიოდს), რომლებიც, მისი სიტყვებით, „ბერნის ბიბლიოთეკებზე ბევრად უმჯობესია“.

მაგრამ თუ საზღვარგარეთ ვლადიმერ ილიჩი უკეთეს პირობებში იყო იმ მხრივ, რომ შესაძლებლობა ჰქონდა ეკითხა უცხოური წიგნები, იქაური ჟურნალ-გაზეთები, დადიოდა რა ამ მიზნით ბიბლიოთეკებში, რუსული წიგნების ნაკლებობას ყოველთვის მწვავედ განიცდიდა. „გერმანულ წიგნებს აქ ადვი-

ლად ვიშოვნი, — წერს იგი 1902 წლის 2 აპრილს დაწერილ წერილში, — მათი ნაკლებობა არ არის. რუსული წიგნები კი ნაკლებად არის".

ეპვს გარეშეა, როცა ვლადიმერ ილიჩი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, ამა თუ იმ საჭირო რუსული წიგნის უქონლობა ხშირად აფერხებდა მის მუშაობას. ამიტომ ნათესავებისადმი მიწერილ წერილებში ვლადიმერ ილიჩი მუდამ თხოულობს გაუგზავნონ ესა თუ ის წიგნები, რომლებიც სჭირდება სამუშაოდ (სტატისტიკა, წიგნები აგრარულ საკითხზე, ფილოსოფია და სხვ.), აგრეთვე ახალი გამოცემები, ჟურნალები, ბელეტრისტიკა. ამგვარად, ამ წერილების მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა იმაზე, თუ ცოდნის რომელი დარგის ლიტერატურა აინტერესებდა ვლადიმერ ილიჩს დროის ამა თუ იმ მონაკვეთში და რა და რა შრომისათვის იყენებდა მას.

ამ წიგნებს შორის დიდი ყურადღება ექცევა სხვადასხვა სტატისტიკურ კრებულებს.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვლადიმერ ილიჩი სტატისტიკას, „ზუსტ ფაქტებს, უდავო ფაქტებს", ეს თვალნათლივ ჩანს მისი შრომებიდან, მისი ჩანაწერებიდან, ამონაწერებიდან და იმ გამოთელებიდან, რომლებიც წინ უძღოდა ამ შრომებს. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი დაუმთავრებელი და ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნაშრომიც — „სტატისტიკა და სოციოლოგია"[1] — პ. პირუჩევი (ახალი ფსევდონიმი, რომელიც ვლადიმერ ილიჩმა აირჩია თავისთვის ამ ნაშრომის გამოცემის გასაადვილებლად); ეს შრომა ეხება „ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობისა და როლის საკითხს, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობის საკითხს".

ამ ნაშრომში ჩვენ ვხვდებით შემდეგ ადგილს:

„საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში, — წერს ვლადიმერ ილიჩი, — არ არსებობს იმაზე უფრო გავრცელებული და უფრო უსაფუძვლო ხერხი, როგორიცაა ცალკეული

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 358 — 367.—რედ.

ფაქტების ამოგლეჯა, მაგალითებით თამაში. მაგალითების შერჩევა საზოგადოდ ძალიან ადვილია, მაგრამ ამას არც არავითარი მნიშვნელობა აქვს, ანდა ის წმინდა უარყოფითი ხასიათისა იქნება, ვინაიდან მთელი საქმე ცალკეულ შემთხვევათა ისტორიულ კონკრეტულ ვითარებაში მდგომარეობს. ფაქტები, თუ მათ ავიღებთ მათს მთლიანობაში, მათს კავშირში, არათუ „ჯიუტი“ რამ, არამედ უსათუოდ დამამტკიცებელი საბუთიც არის. წვრილმანი ფაქტები, თუ ისინი აღებულია მთლიანის გარეშე, კავშირის გარეშე, თუ ისინი ნაწყვეტ-ნაწყვეტი და მოგონილია, სწორედ რომ მხოლოდ სათამაშოს ან კიდევ რაღაც უარეს რამეს წარმოადგენენ... უნდა ვცადოთ ზუსტი და უდავო ფაქტების მიხედვით შევქმნათ ისეთი საფუძველი, რომელსაც შეიძლებოდა დაეყრდნობოდით, რომლისთვისაც შეიძლებოდა დაგვეპირისპირებინა ყოველი მსჯელობა იმ „ზოგად“ თუ „სამაგალითო“ მსჯელობათაგან, რომელთაც ასე უზომოდ ბოროტად იყენებენ ზოგიერთ ქვეყანაში ამჟამად. ეს რომ ნამდვილად საფუძველი იყოს, საჭიროა ავიღოთ არა ცალკეული ფაქტები, არამედ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული ფაქტების მთელი ერთობლიობა, სრულიად გამოუკლებლივ, რადგან თუ ასე არ მოვიქეცით, უსათუოდ დაიბადება ეჭვი, და საესებით კანონიერი ეჭვიც, რომ ფაქტები ამორჩეული ან განზრახ შერჩეულია თვითნებურად, რომ მთლიანი სახით წარმოდგენილი ისტორიული მოვლენების ობიექტური კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულობის ნაცვლად გვთავაზობენ „სუბიექტურ“ შენათითხნს, იქნებ, ბინძური საქმის გასამართლებლად. ეს ხომ... უფრო ხშირად ხდება ხოლმე, ვიდრე ჩვენ გვგონია“[1].

1902 წელს ვლადიმერ ილიჩმა გვთხოვა იმ წიგნებიდან, რომლებიც მას ციმბირში ჰქონდა, გაგვეგზავნა მისთვის სა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 23, გვ. 359 — 360. — რედ.

ხლვარგარეთ „მ თ ე ლ ი სტატისტიკა“[1], რაც (როგორც ის თავის 1902 წლის 2 აპრილის წერილში წერს) „ცოტა არ იყოს, მესაკლისება...“ უფრო გვიან, რათა სხვადასხვა ქალაქიდან რეგულარულად მიეღო სტატისტიკური მასალა, ვლადიმერ ილიჩმა სპეციალური განცხადება-თხოვნაც კი[2] დაწერა მოსკოვში 1908—1909 წლის ზამთარში შემდგარ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობის სტატისტიკოსებისადმი (ამ ყრილობაზე იყო სტატისტიკოსთა ქვესექცია). ამ განცხადებას გამოეხმაურა მრავალი პროვინციელი სტატისტიკოსი. 1910 წლის 2 იანვრის წერილში ვლადიმერ ილიჩი წერს: „მივიღე კიდევ წერილი სტატისტიკის შესახებ რიაზანიდან — ეს შესანიშნავია, რომ დახმარება, როგორც ჩანს, ბევრისაგან მექნება“.

1908 წელს, როცა ვლადიმერ ილიჩი „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმზე“ მუშაობდა, მან გამოიწერა პროფ. ჩელპანოვის წიგნი ავენარიუსისა და მისი სკოლის შესახებ, წიგნი „იმანენტური ფილოსოფიის“ შესახებ და სხვ. ამ თავის ნაშრომზე ილიჩი წერს დას: „მახისტებზე მე ბევრი ვიმუშავე და ვფიქრობ, რომ ცხადეყავი ყველა მათი (და აგრეთვე „ემპირიომონიზმის“) ენით გამოუთქმელი უხამსობა“.

ვლადიმერ ილიჩს აინტერესებს გაიგოს, მიღებულია თუ არა ხელნაწერი უახლესი კაპიტალიზმის შესახებ („იმპერიალიზმი როგორც უმაღლესი სტადია კაპიტალიზმისა“) და წერს: „ამ ეკონომიურ ნაშრომს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას

---

[1] ეს სტატისტიკა, რომელიც ელადიმერ ილიჩმა გამოიყენა თავისი წიგნისათვის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, მიღებულია ლენინის ინსტიტუტის მიერ 1929 წელს საზღვარგარეთიდან ვლადიმერ ილიჩის სხვა წიგნებთან ერთად, და იმ ამონაწერებისა და შენიშვნების მიხედვით, რომლებიც ამ წიგნებზეა, კიდევ შეიძლება გაკეთებულ იქნეს მთელი რიგი ძვირფასი დასკვნები ილიჩის მუშაობის შესახებ. — მ. უ.

[2] მისი გამოქვეყნების შესაძლებლობას უნდა ვუმადლოდეთ მოსკოვის ჟანდარმერიას, რომელმაც შეინახა ის თავის საქმეებში. — მ. უ.

ვანიკენ და განსაკუთრებით მოწადინებული ვარ რაც შეიძ-ლება მალე ვიხილო იგი სრულად დაბეჭდილი“ (წერილი 1916 წლის 22 ოქტომბრის თარიღით). როგორც ცნობილია, მისი ეს სურვილი შესრულებული არ იქნა (თუმცა ვლადიმერ ილი-ჩი „მთელი ძალებით ეგუებოდა „სისასტიკეებს“, როგორც ის წერს წერილში მ. ნ. პოკროვსკისადმი 1916 წლის 2 ივლისს[1]): ვლადიმერ ილიჩის ნაშრომმა მთელი რიგი ცვლილებანი განი-ცადა და შეკვეცილიც იქნა; მხოლოდ ათი წლის შემდეგ გამო-ქვეყნდა იგი თავისი პირვანდელი სახით.

ვლადიმერ ილიჩის წერილებიდან ნათესავებისადმი ვგე-ბულობთ, თუ რასთან დაკავშირებით იქნა წამოწყებული ვლადიმერ ილიჩის მიერ (ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი) ნა-შრომი: „თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობა“[2]. წერილში 1916 წლის 22 ოქტომბრის თარიღით ის სწერს დას: „შენ იწერები, რომ „აგრარული საკითხი“ გამომ-ცემელს უნდა გამოუშვას წიგნად და არა ბროშურად. მე ეს ასე მესმის, რომ უნდა გამოვგზავნო გაგრძელება (ე. ი. ამე-რიკის შესახებ დაწერილის დამატებით დაპირებისამებრ დავ-წერო გერმანიის შესახებ). ამ სამუშაოს მე ჩავუჯდები, რო-გორც კი დავამთავრებ იმას, რაც უნდა დავწერო ძველი გამო-მცემლისაგან მიღებული ავანსის დასაფარავად“. აღნიშნული ნაშრომის ხელნაწერი, რომელიც ინსტიტუტში ინახება,—და-უმთავრებელია. მის დამთავრებაში ვლადიმერ ილიჩს, რო-გორც ჩანს, „ხელი შეუშალა“ რევოლუციამ.

ვლადიმერ ილიჩის წერილები, რომლებიც ცნობილია მკი-თხველთათვის, იძლევა ერთგვარ სურათს როგორც მისი ლი-ტერატურული მუშაობისა, ისე იმ ვაივაგლახისას, რასთანაც დაკავშირებული იყო ამ მუშაობის შედეგების გამოქვეყნება. მხედველობაში გვაქვს მისი ლეგალური ნაშრომები. ამ აზრით

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 230. — რ ე დ.

[2] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 16, გვ. 529 — 559.— რ ე დ.

ვლადიმერ ილიჩი რევოლუციის მთელი წინადროინდელი პერიოდის განმავლობაში (პირველი რევოლუციის პერიოდიაა და „ზვეზდისა“ და „პრავდის“ ეპოქის 1912 — 1914 წ. წ. გამოკლებით, როცა შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავნა ლეგალური გაზეთებისათვის, როცა პარტიას თავისი ლეგალური გამომცემლობებიც ჰქონდა, თუმცა ხანმოკლედ) არახელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა არა მარტო იმიტომ, რომ საზღვარგარეთ ხშირად მუშაობისათვის საჭირო რუსული წიგნებისა და სხვა მასალების დიდ ნაკლებობას განიცდიდა.

ცენზურის პირობებიც დიდ სიძნელეებს ქმნიდა: ვლადიმერ ილიჩის სტატიებს კვეცდნენ და ამახინჯებდნენ (როგორც, მაგალითად, სტატიას „არაკრიტიკული კრიტიკა“), წიგნებს კონფისკაციას უშვრებოდნენ („აგრარული საკითხი“, II ტომი) და სხვ. მაგრამ, გარდა ამისა, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა რუსეთისაგან მოწყვეტაც და ამის გამო გამომცემლობებთან უშუალო კავშირის დამყარების შეუძლებლობა. დამახასიათებელია, მაგალითად, მისი მრავალგზისი ცდა მიეღო სამუშაო გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის. „კარგი იქნებოდა მქონოდა სამუშაო ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის,— სწერს ილიჩი დას 1914 წლის 22 დეკემბერს,—მაგრამ, მართლაც ამის მოწყობა ადვილი როდია, თუ არ მოგეცა შემთხვევა რედაქციის მდივნის გაცნობისა“. ასეთი ნაცნობობა არ იყო და როცა ვლადიმერ ილიჩი უშუალოდ მიმართავდა გრანატის რედაქციას, ზოგჯერ პასუხსაც ვერ ღებულობდა თავის წერილებზე. „შესაძლებელია თუ არა კიდევ მექნეს სამუშაო ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის, — სწერს იგი დას 1915 წლის თებერვალში. — ამის შესახებ მიმწერე მდივანს, მაგრამ ის პასუხს არ მაძლევს“[1].—„სამწუხაროდ, ახლა მე აქ სავ-

[1] რაც შეეხება პასუხს ვლადიმერ ილიჩის წერილებზე, იმ ხანებში არც სხვა გამომცემელთა მხრივ იყო უკეთესი მდგომარეობა. იხ. ამის შესახებ ლენინის წერილი 3 (1901 წლის 27 სექტემბრის თარიღით) დ. ი. აქსელროდისადმი („ლენინის კრებული“, XI, გვ. 326). — მ. უ.

სებით მოწყვეტილი ვარ გამომცემლობებთან კავშირს", — წერს იგი 1912 წელს.

ის დიდი დახმარება რომ არ ყოფილიყო, რასაც ვლადიმერ ილიჩს უწევდნენ ამხანაგები და ნათესავები, გამომცემელთა გამოძებნაში, მისი ნაშრომების კორექტირებაში და სხვ., — ამ ნაშრომების გამოქვეყნება კიდევ უფრო გაძნელდებოდა. მაგრამ დებსა და ძმას ყოველთვის როდი შეეძლოთ დახმარებოდნენ ვლადიმერ ილიჩს, განსაკუთრებით როცა ისინი პატიმრობაში ან გადასახლებაში იყვნენ. 1904 წელს, მაგალითად, ილიჩი სთხოვს დედას მიაწოდოს მას მარკ ტიმოთეს-ძის მისამართი, მასთან „ლიტერატურული საქმე" მაქვსო (წერილი 1904 წლის 20 იანვრის თარიღით).

ვლადიმერ ილიჩს შეეძლო არა მარტო სისტემატური, ბეჯითი და უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა, არამედ მან იცოდა დასვენებაც, როცა ამის შესაძლებლობა ეძლეოდა. მისთვის საუკეთესო დასვენება იყო ბუნებასთან სიახლოვე და მარტოობა. „აქ (სტირსუდენში, ფინეთში, სადაც ის ისვენებდა, V პარტიული ყრილობიდან დაბრუნებული, „საშინლად დაღლილი". — მ. უ.) დასვენება საუცხოოა, ბანაობა, სეირნობა, მარტოობა, უსაქმობა. მარტოობა და უსაქმობა ყველაზე კარგია ჩემთვის". დასვენება იქ, სადაც იგი გარემოცული იყო ლიდია მიხეილის ასულ კნიპოვიჩის განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით, მართლაც შესანიშნავი იყო. უფრო გვიან ის იგონებდა ამ დასვენებას მარიამ ილიას ასულისადმი გაგზავნილ წერილში. მაშინ მარიამ ილიას ასულმა გადაიტანა მძიმე ავადმყოფობა — მუცლის ტიფი. ილიჩი სწერდა მას: „აი ახლაა კარგი შენი ყოფნა სტირსუდენში".

ვლადიმერ ილიჩს ძლიერ უყვარდა ბუნება და სადაც უნდა ყოფილიყო ბედისაგან გადატყორცნილი, მის წერილებში მუდამ ვხვდებით ბუნების სილამაზის აღწერას. „აქ მშვენიერი ბუნებაა, — შვეიცარიაში მიმავალი სწერს იგი დედას 1895 წელს. — სულ მუდამ მისი მზერით ვტკბები. იმ გერმანული

სადგურიდანვე, საიდანაც წერილი გამოგიგზავნე, დაიწყო ალპები, მათ მოჰყვა ტბები, ასე რომ ვაგონის სარკმელს ვერ ვცილდებოდი". „დავსეირნობ — ახლა ცუდი არ არის აქ სეირნობა, — სწერს იგი მარიამ ალექსანდრეს ასულს, — ფსკოვშიც (აგრეთვე მის მიდამოებშიც), როგორც ჩანს, ცოტა როდია ლამაზი ადგილები"... „ამ დღეებში... ვისეირნე.. ერთ მეტად ლამაზ ტბაზე და კარგ ამინდში ვტკბებოდი საუცხოო სანახაობით...", — იტყობინება ის საზღვარგარეთიდან. „ამ დღეებში ჩვენ ნადიასთან და ერთ მეგობართან ერთად შესანიშნავი გასეირნება მოვაწყვეთ სალევზე. დაბლა ჟენევაში ნისლი დგას, მოღრუბლულია, მთაში კი (დაახლოებით 1200 მეტრზე ზღვის დონიდან) დიდებული მზე ანათებს, თოვლი ძევს, ციგები, საკვებით რუსული კარგი ზამთრის დღეა. დაბლა კი, მთის ძირას,—„la mer du brouillard",— ნამდვილი ზღვაა ნისლის ღრუბლების, რომლებს იქითაც არაფერი ჩანს, მხოლოდ მთები ისახებიან, და ისიც ძალიან მაღალი მთები. მცირე სალევიც კი (900 მეტრი) მთლად ნისლშია გახვეული". — „ჩვენ ნადიასთან ერთად უკვე შემოვიარეთ საკმაოდ ბევრი სხვადასხვა მიდამო და არემარე, ვნახეთ საუცხოო ადგილებიც", — ვკითხულობთ 1902 წლის 27 სექტემბრის თარიღით დაწერილ წერილში. ალბათ მართალი იყო ვლადიმერ ილიჩი, როცა წერდა: „მთელ აქაურ ამხანაგთაგან ერთადერთნი, რომლებიცა ვსწავლობთ ქალაქის ყველა გარე-მიდამოს, — ეს ჩვენა ვართ. ვნახულობთ სხვადასხვა „სასოფლო" ბილიკებს, ვიცნობთ მახლობელ ადგილებს და უფრო შორს გასასეირნებლადაც ვემზადებით".

თუ ზაფხულში არ ხერხდებოდა ქალაქგარეთ გასვლა, სადაც უმალვე „სოფლის ცხოვრება" მყარდებოდა („ადრე ადგომა და თითქმის ქათმების დაბუდრებისას დაწოლა"), ვლადიმერ ილიჩი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ზოგჯერ ფეხით გაემგზავრებოდნენ მთაში, როცა შვეიცარიაში ცხოვრობდნენ. ერთი ასეთი მგზავრობის აღწერას ჩვენ ვხვდებით ნადეჟდა

კონსტანტინეს ასულის წერილში მარიამ ალექსანდრეს ასულისადმი 1904 წლის 2 ივლისის თარიღით. „უკვე ერთი კვირაა, რაც თავი დავაღწიეთ ჟენევას, — ვკითხულობთ იქ, — და ვისვენებთ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საზრუნავი და საქმეები ჟენევაში დავტოვეთ, აქ კი დღეღამეში 10 საათი გვძინავს, ვბანაობთ, ვსეირნობთ — ვალოდია გაზეთსაც კი არ კითხულობს ხეირიანად, საერთოდ ჩვენ წამოვიღეთ მინიმუმი წიგნებისა, მათაც კი წაუკითხავად ვგზავნით ხვალ ჟენევაში, ხოლო თვითონ ჩვენ დილის 4 საათზე ავიკრავთ გუდანაბადს და 2 კვირით წავალთ მთაში. გავივლით ინტერლაკენთან, იქიდან ლუცერნთან, ვკითხულობთ ბედეკკერს და გულდასმით ვგეგმავთ ჩვენს მოგზაურობას... მე და ვალოდიამ პირობა დავდეთ — არავითარ საქმეზე არ ვილაპარაკოთ, ვამბობთ, საქმე ხომ დათვი არ არის, რომ ტყეში გაიქცეს, არ ვილაპარაკოთ და, შეძლებისამებრ, არ ვიფიქროთ“.

მაგრამ ასეთი მოგზაურობა ძალიან იშვიათი იყო და მხოლოდ მაშინ ეწყობოდა, როცა მუშაობა და ფრაქციული წეწვა-გლეჯა უკვე ერთობ ცუდად მოქმედებდა ჯანმრთელობასა და ნერვებზე, როგორც ეს იყო 1903—1904 წლის ზამთრის შემდეგ, რომელიც მოჰყვა პარტიის II ყრილობას და პარტიის გათიშვას. ჩვეულებრივ კი, თუ ვლადიმერ ილიჩი საზაფხულოდ სოფლად წავიდოდა, რამდენიმე დღის სრული დასვენების შემდეგ, როცა ეს მოუხერხდებოდა, იქაც განაგრძობდა მუშაობას. უკეთუ სოფლად წასვლა შეუძლებელი იყო ანდა ასეთი მგზავრობა ხანმოკლე აღმოჩნდებოდა, აწყობდნენ გასეირნებას ქალაქგარეთ, ზოგჯერ მთებში, ფეხით ან ველოსიპედით, ჩვეულებრივ კვირა დღეს. „როგორღაც უნებლიეთ აზღვარგარეთულად გამოდის, რომ სწორედ კვირა დღეს ვსეირნობთ, თუმცა ეს უხერხულია, ვინაიდან ყველგან უამრავი ხალხია“, — სწერდა ვლადიმერ ილიჩი დედას 1903 წლის 29 მარტს. როცა ასეთ გასეირნებას აწყობდნენ, სადილის ნაცვლად ჩვეულებრივ თან მიჰქონდათ ბუტერბროდები და

მთელი დღით მიდიოდნენ. გასაკვირველი არ არის, რომ ვლადიმერ ილიჩი და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული „მოსეირნეთა“ (გასეირნების მოყვარულთა) პარტიაში მოხვდნენ, მაშინ როდესაც სხვა ამხანაგები „სინემისტთა“ („სინემაში“[1] სიარულის მოყვარულთა) პარტიაში იყვნენ, როგორც ისინი ურთიერთშორის ხუმრობდნენ.

ვლადიმერ ილიჩს ნაკლებად უყვარდა სხვადასხვა გასართობი, რაშიც სხვა ამხანაგები დასვენებას პოულობდნენ დაძაბული მუშაობის შემდეგ. ილიჩი, ვგონებ, არც ერთხელ კინემატოგრაფში არ წასულა საზღვარგარეთ ცხოვრების დროს, იშვიათად დადიოდა თეატრებშიც. საზღვარგარეთ პირველად ჩასვლის დროს ბერლინში დაესწრო „ფეიქრებს“, დადიოდა თეატრში მაშინაც, როდესაც ემიგრაციაში ცხოვრობდა „საკმაოდ მარტო“ (ე. ი. უოჯახოდ, ანდა, როცა დაძაბული მუშაობის შემდეგ ახერხებდა რაიმე საქმისათვის დიდ ქალაქში მოხვედრას; ამ მგზავრობას იყენებდა იმისათვის, რომ რამდენადმე „გადახალისებულიყო“. მაგრამ ვლადიმერ ილიჩს საზღვარგარეთის თეატრები ნაკლებად აკმაყოფილებდა თავისი დადგმებით), ზოგჯერ ის და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული თეატრიდან პირველი მოქმედებიდანვე მიდიოდნენ, რის გამო ამხანაგები ხუმრობით საყვედურობდნენ მათ ფულის უნაყოფოდ ხარჯვას, უფრო გვიან, ვგონებ, მხოლოდ „ცოცხალი ლეშის“ დადგმამ მოახდინა ილიჩზე შთაბეჭდილება. მაგრამ მას ძალიან მოეწონა სამხატვრო თეატრი, რომელშიც ის ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს იყო, ემიგრაციამდე, ლალაიანცთან („კოლუმბთან“) ერთად. 1901 წლის თებერვალში დედისადმი გაგზავნილ წერილში ის წერს, რომ „დღემდე სიამოვნებით იგონებს“ თავის ამ ყოფნას თეატრში. „მინდოდა ვყოფილიყავ რუსულ სამხატვრო თეატრში, მენახა „ფსკერზე“, — ვკითხულობთ მის წერილში 1903 წლის

[1] „სინემა“ — კინემატოგრაფი. — ᲒᲐ. Უ.

4 თებერვლის თარიღით. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შეძლო მან ენახა „ფსკერზე“, როცა მოსკოვში ცხოვრობდა რევოლუციის შემდეგ.

შედარებით იშვიათად ესწრებოდა ვლადიმერ ილიჩი კონცერტებსაც, თუმცა მას მუსიკა უყვარდა. „ამას წინათ, პირველად ამ ზამთრის განმავლობაში, ვიყავით კარგ კონცერტზე, — ვკითხულობთ იმავე წერილში, — და ძალიან კმაყოფილი დავრჩით, განსაკუთრებით ჩაიკოვსკის უკანასკნელი სიმფონიით (Sumphonie pathétique“). „ამ დღეებში ოპერაში ვიყავი, დიდი სიამოვნებით მოვისმინე „რახილი“. მე ის ერთხელ ყაზანში მოვისმინე (როცა მღეროდა ზაკრევსკი), ვგონებ, 13 წლის წინათ, — წერს იგი დედას 1901 წლის 9 თებერვალს, — მაგრამ ზოგიერთი მოტივი ჩამრჩა ხსოვნაშიო“. შემდეგ ილიჩი ხშირად უსტვენდა ამ მოტივებს (კბილებშუა სტვენის თავისი განსაკუთრებული მანერით). უფრო გვიან „საზღვარგარეთ, ვლადიმერ ილიჩი იშვიათად დადიოდა ოპერაში და კონცერტებზე. მუსიკა ძლიერ მოქმედებდა მის ნერვებზე, და როცა ნერვები საკმაოდ აწეწილი ჰქონდა, რაც ხშირი იყო ემიგრანტული ცხოვრების მოუსვენრობისა და დაძაბულობის გამო, ცუდად იტანდა მუსიკას. ვლადიმერ ილიჩის განმარტოებულ ცხოვრებას (გართობის აზრით) იწვევდა მისი დიდი მოუცლელობაც და მცირე ბიუჯეტიც.

შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ვლადიმერ ილიჩი სხვადასხვა ღირსშესანიშნაობასაც: „საერთოდ საკმაოდ გულგრილად ვუყურებ მათ, — წერს იგი წერილში ბერლინიდან 1895 წელს, — და მეტწილად შემთხვევით თუ მოვხვდები ასეთ რამეზე. მე საერთოდ სხვადასხვა სახალხო საღამოგასართობზე ხეტიალი უფრო მიზიდავს, ვიდრე მუზეუმების, თეატრების, პასაჟების და სხვათა ნახვა“. სხვადასხვა ადგილზე „ხეტიალისათვის“ ვლადიმერ ილიჩი ჩვეულებრივ საღამოებს იყენებდა, როცა ბერლინში ცხოვრობდა 1895 წელს; ეს შესაძლებლობას აძლევდა „შეესწავლა ბერლინის ზნე-ჩვე-

ულებანი და ყური მიეპყრო გერმანული მეტყველებისათვის". მაგრამ მარტო მაშინ როდი სწავლობდა იგი ზნე-ჩვეულებას, როცა პირველად იყო საზღვარგარეთ ბერლინში, — მის წერილებში ახლობლებისადმი ბევრია ისეთი ადგილები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ პარიზში ცხოვრების დროსაც ან როცა იქ გავლით იყო, ის სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს იქაურ ცხოვრებას და აღნიშნავდა, თუ რა თავისუფლად და ძალდაუტანებლად უჭირავთ თავი პარიზელებს ქუჩებსა და ბულვარებში. „თუ ხელმოკლედ ხარ, პარიზი ცხოვრებისათვის მეტად მოუხერხებელი ქალაქია და ძალიან დამღლელიც", — წერდა ვლადიმერ ილიჩი პარიზში რამდენიმე დღით მგზავრობის შემდეგ. — „მაგრამ ცოტა ხნით სამყოფად, სანახავად, გასასეირნებლად — უკეთესი და უფრო მხიარული ქალაქი არ არსებობს". ვლადიმერ ილიჩი აკვირდება ჩეხიის ცხოვრებასაც, როცა ის გავლით იყო ჩეხოსლოვაკიაში. ნანობს, რომ ჩეხური ენა არ შეისწავლა; ლამაზი ფერებით აღწერს გალიციელი გლეხების ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებას, რისი დაკვირვების შესაძლებლობაც მას ჰქონდა, როცა გალიციაში ცხოვრობდა. ილიჩს ცხოვრება უყვარდა ყველა მის გამოვლინებაში და იშვიათად თუ ვინმეს შეეძლო ისე ფართოდ დაკვირვებოდა და შეესწავლა ცხოვრება, როგორც მას.

ვლადიმერ ილიჩის წერილების მიხედვით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მის დამოკიდებულებაზე თავისიანებისადმი და, რამდენადმე, საერთოდ ადამიანებისადმი. რაოდენი ყურადღება და მზრუნველობაა მათდამი ამ წერილებში! ვლადიმერ ილიჩს დიდი სიყვარული ჰქონდა თავისიანებისადმი, განსაკუთრებით დედისადმი; ზრუნვა იმაზე, რომ დედას უკეთესი, უფრო დამშვიდებული და გუნებიერი ცხოვრება ჰქონოდა, გამოკრთის ყველა წერილში როგორც უშუალოდ მისდამი, ისე ჩვენი ოჯახის სხვა წევრებისადმი. მისი წერილები სავსეა კითხვებით ჯანმრთელობაზე, იმაზე, თუ „როგორ მოეწყვნენ ბინის მხრივ, ცივი ბინა ხომ არ არის".

„მაწუხებს, — სწერს ის დედას 1909 წელს, — რომ თქვენ ცივი ბინა გაქვთ... ნეტავ, არ გაცივდებოდე... ნუთუ შეუძლებელია რაიმე ზომების მიღება, შეიძლება დაიდგას პატარა რკინის ღუმელი?...“ ამ წერილებში ბევრი რჩევა-დარიგებაა: „ზაფხულში კარგად დაისვენე“, „ნაკლები იარე, მეტი დაისვენე და ჯანმრთელი იქნები“ და ა. შ.

განსაკუთრებული ძალით იჩენდა თავს ვლადიმერ ილიჩის უურადღება დედისადმი, როცა დედას თავს დაატყდებოდა რაიმე უბედურება, ხოლო ცხოვრებაში მას ბევრი უბედურება სწვევია. ჩვენი ოჯახის ხან ერთი, ხან მეორე წევრი დაპატიმრებული ან გადასახლებული იყო, ზოგჯერ კი რამდენიმე ერთბაშად, და უკვე ხანში შესულს დედას უხდებოდა ხშირი სიარული საპატიმროებში შეხვედრაზე, ამანათების გადაცემა, მთელი საათობით ჯდომა ჟანდარმთა და საიდუმლო პოლიციის აგენტთა მისაღებ ოთახებში, დარდი და მწუხარება თავისუფლებასმოკლებულ შვილების გამო; ზოგჯერ დედა სრულ მარტოობას განიცდიდა. თუ როგორ სწუხდა ვლადიმერ ილიჩი დედის გამო მისი ცხოვრების ამ პერიოდებში ღა რარიგ უმძიმდა მისგან შორს ყოფნა, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს მის წერილში დედისადმი 1901 წლის 1 სექტემბრის თარიღით. მარიამ ილიას ასული და მარკ ტიმოთეს-ძე მაშინ საპატიმროში ისხდნენ, ანა ილიას ასული საზღვარგარეთ იყო და არ შეეძლო რუსეთში დაბრუნება, რადგან ამას მოჰყვებოდა მისი დაპატიმრება იმავე საქმეზე, ხოლო დიმიტრი ილიას-ძეს აგრეთვე არ შეეძლო დარჩენილიყო დედასთან, იმიტომ, რომ უნივერსიტეტი უნდა დაემთავრებინა იურიევში. ასევე მარტოობაში დარჩა დედა უცხო ქალაქში, როცა 1904 წელს კიევში პარტიის ცენტრალური და კიევის კომიტეტის საქმეზე დააპატიმრეს დიმიტრი ილიას-ძე, ანა ილიას ასული და მარიამ ილიას ასული.

ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის მოწადინებული იყო, რომ დედას მასთან ერთად ეცხოვრა, და არაერთხელ მიუწვევია

თავისთან. მაგრამ ამის განხორციელება ძნელი იყო, სხვათა შორის, იმის გამო, რომ დედა ყოველთვის იმ შვილებთან იყო, ვისაც განსაკუთრებით სჭირდებოდა მისი დახმარება, რუსეთში კი ასეთი დახმარება თითქმის ყოველთვის იმას სჭირდებოდა, ვისაც პოლიციის სასჯელი ატყდებოდა თავს. ამიტომ (ვლადიმერ ილიჩის პირველ და მეორე ემიგრაციაში) დედას მხოლოდ თითოჯერ მოუხდა ყოფილიყო მოკლე ხნით საზღვარგარეთ და ენახა ის. 1902 წელს მან დაახლოებით ერთი თვე დაჰყო ვლადიმერ ილიჩთან და ანა ილიას ასულთან Loguivy-ში ჩრდილოეთ საფრანგეთში. მეორეჯერ, და უკვე უკანასკნელად, მან შეძლო მოენახულებინა ვლადიმერ ილიჩი სტოკჰოლმში, სადაც ამ მიზნით მარია ილიას ასულთან ერთად იმოგზაურა 1910 წელს. ასეთი მოგზაურობისას ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის აძლევდა მას ზუსტ მარშრუტებს, ურჩევდა ვაჩერებულიყო ღამის გასათევად სასტუმროებში, „რომ მგზავრობას ძალიან არ დაექანცა“. სტოკჰოლმშივე მ. ა. ულიანოვას შემთხვევა მიეცა პირველად და უკანასკნელად მოესმინა ვლადიმერ ილიჩის გამოსვლა ემიგრანტ მუშების კრებაზე. წამოსვლისას ვლადიმერ ილიჩმა გამოგვაცილა ნავსადგურამდე — გემზე მას არ შეეძლო შემოსვლა, რადგან ეს გემი რუსეთის კომპანიას ეკუთვნოდა და შეეძლოთ იქ დაეპატიმრებინათ ვლადიმერ ილიჩი; მე დღემდე მახსოვს მისი სახის გამომეტყველება, როცა იდგა და დედას უმზერდა. რაოდენ გულისტკივილს გამოხატავდა მაშინ მისი სახე! თითქოს ის წინასწარ გრძნობდა, რომ ეს იყო დედის უკანასკნელად ნახვა. ასეც მოხდა. რუსეთში ჩამოსვლამდე, რაც მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოხდა, ვლადიმერ ილიჩმა მეტად ვერ შესძლო ენახა თავისიანები, ხოლო დედა გარდაიცვალა რევოლუციის წინა ხანებში, 1916 წლის ივლისში. ჩვენამდე სრულიად არ მოუღწევია ვლადიმერ ილიჩის პირველ წერილს, რომელიც მან გამოგზავნა მას შემდეგ, რაც მიიღო ცნობა ამ

სიკვდილის შესახებ. არ არის შემონახული მისი შემდგომი წერილიც, მაგრამ მე ის კარგად მახსოვს; მძიმე იყო მისთვის ეს დანაკლისი, ის მტკივნეულად განიცდიდა ამას და დიდ გულითადობას იჩენდა ჩვენდამი, რომლებიც ისევე დამწუხრებული ვიყავით დედის გარდაცვალების გამო.

ვლადიმერ ილიჩი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა თავის დებსა და ძმას, აგრეთვე მ. ტ. ელიზაროვს; მუდამ აინტერესებდა, თუ როგორ ცხოვრობენ ისინი, თავს როგორ გრძნობენ, აქვთ თუ არა ხელფასი, კარგად ისვენებენ თუ არა და ა. შ. ის ცდილობდა გაეჩინა ჩვენთვის სათარგმნი, რისთვისაც ზოგჯერ გვიგზავნიდა უცხოურ წიგნებს; მას აინტერესებდა, თუ რას ვკითხულობდით, რას ვმეცადინეობდით ჩვენ, გვეპატიჟებოდა, რომ რამდენიმე ხნით „ჩავსულიყავით მასთან და სხვ. დიდ ყურადღებას იჩენდა ვლადიმერ ილიჩი ამხანაგების მიმართაც, გვეკითხებოდა მათი ცხოვრების შესახებ და ყოველნაირად ეხმარებოდა მათ. მაგალითად, ის წერდა წინასიტყვაობას ამა თუ იმ ამხანაგის მიერ შესრულებული თარგმანისათვის, რათა გაეადვილებინა ამ თარგმანის გამოცემა და, მაშასადამე, გასამრჯელოს მიღება.

იმ ამხანაგებს, რომლებისთვისაც უცნობია ემიგრანტული ცხოვრებისა და ცარიზმის დროის ლეგალური მიმოწერის პირობები, შესაძლოა უცნაურად და გაუგებრადაც კი ეჩვენოთ ის, რომ ვლადიმერ ილიჩის წერილებში არაიშვიათად არის მოხსენიებული, რომ იგი „ძალიან წყნარად“, „წყნარად, მშვიდობიანად“ ცხოვრობს ისეთ პერიოდებში, როგორც, მაგალითად, იმპერიალისტური ომის პერიოდია, როდესაც ლიტერატურიდან და არალეგალური მიმოწერიდან ჩანს, რომ ილიჩი საოცარ ენერგიას იჩენდა შოვინიზმთან ბრძოლაში, რომლის გავლენის ქვეშ ს.-დ. პარტიების უმრავლესობაც მოჰყვა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვლადიმერ ილიჩს შეეძლო გამოსულიყო მაშინ მხოლოდ იმ პრესაში — იმ ორგანოში, რომელიც რამდენიმე კვირის, ზოგჯერ რამდენიმე თვის განმავლობაში ერთხელ

გამოდიოდა და რომლის გადაგზავნაც, ისე როგორც ბროშურებისა, უაღრესად გაძნელებული იყო; შეეძლო გამოსულიყო აგრეთვე, ემიგრანტთა მცირე კრებებზე ან უცხოელ მუშათა წრეებში. გასაგებია, რომ ვლადიმერ ილიჩისათვის ეს შესაძლებლობანი მეტად უმნიშვნელო იყო. როგორც ნ. კ. კრუპსკაია მოგვითხრობს, თუ რუსეთის რევოლუციის დასაწყისში ილიჩი იმ ლომის შთაბეჭდილებას ახდენდა, რომელიც გალიის გაგლეჯას ლამობდა, ხომ არ იყო ილიჩისათვის ემიგრანტობა და რუსეთისგან მოწყვეტა წინათაც, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის პერიოდში, ის გალია, რომელიც გასაქანს უსპობდა მას როგორც ბელადს, როგორც სახალხო ტრიბუნს? ის მოწყურებული იყო ნამდვილ მუშაობას, მიისწრაფოდა მუშათა მასებისაკენ. ამის ნაცვლად კი იძულებული იყო გამოეწვრთნა და მოემზადებინა ორი-სამი ამხანაგი, რათა მათი მეშვეობით მოეხდინა ზეგავლენა უფრო ფართო წრეებზე. და განა ვლადიმერ ილიჩისათვის ასეთი მოღვაწეობა, ისე როგორც „მთვლემარე ბერნში" არსებული საერთო მდგომარეობა, არ იყო მართლაც მეტად „წუნარი", მეტად „მშვიდობიანი"?...

ლეგალურ მიმოწერაში მხოლოდ იშვიათად იჩენს თავს ილიჩის გააფთრება „ყოვლად მავნე ტიპის საზიზღარ ოპორტუნისტთა" წინააღმდეგ, „კრედიტებისათვის ხმის მიცემის არქიუმსგავსოებათა" წინააღმდეგ და ა. შ. აქ.იგი შეხუთული იყო ცენზურის ჩარჩოებით; საკმარისია ჩავუკვირდეთ, მისი წერილების თუ რომელი ფრაზები „იქცევდნენ საიდუმლო პოლიციის აგენტებისა და ჟანდარმების ყურადღებას" და „ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთებად" იქცეოდნენ, რომ გავიგოთ, რომ როგორც ის, ისე მისი ახლობლები იმ დროს ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, როცა „მეტისმეტად ძნელია რაც გსურს, ის მისწერო".

როგორც დასაწყისში ითქვა, ვლადიმერ ილიჩის წერილები ნათესავებისადმი მნიშვნელოვანი და საინტერესოა უმთავრესად

მისი — როგორც ადამიანის დახასიათებისათვის (ცხადია, არასრული და, მიმოწერის პირობების გამო, რამდენადმე ცალმხრივი დახასიათებისათვის). ამ გაგებით, ჩვენი აზრით, ამ წერილებს შეაქვთ ძვირფასი წვლილი ლიტერატურაში ვლადიმერ ილიჩის შესახებ, და სამწუხაროა, რომ ბევრი მისი წერილი როგორც ნათესავებისადმი, ისე ამხანაგებისადმი დაიკარგა. ლენინზე კი როგორც ბელადზე, პოლიტიკურ მოღვაწეზე და მეცნიერზე მეტყველებენ სხვა დოკუმენტები და, უწინარეს ყოვლისა, მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ვლადიმერ ილიჩისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო მეორე ემიგრაცია. პეტერბურგში და მის ახლოს ცხოვრების შემდეგ, ჟენევაში რომ მოხვდა, მან ძლიერ მწვავედ განიცადა ძველ ნასახლარზე დაბრუნება. „უკვე რამდენიმე დღეა, რაც ამ წყეულ ჟენევაში ვიმყოფებით,— წერს იგი წერილში მ. ი.-სადმი 1908 წლის 14 იანვრის თარიღით.— საძაგელი ჯურღმულია, მაგრამ რას იზამ. შევეგუებით“. ვლადიმერ ილიჩი ჩვეული შეუპოვრობითა და ენერგიით იწყებს მუშაობას, ვინაიდან მას შეუძლია „შეეგუოს“ ყოველგვარ პირობებს. „არასასიამოვნო იყო მხოლოდ გადმობარგების თავდაპირველი მომენტი, როგორც უკეთესიდან უარესში გადასვლა. მაგრამ ეს გარდუვალი იყო“,— წერს იგი შემდგომ წერილში დედას. და ისევე, როგორც უკეთესიდან უარესში გადასვლა, მისთვის განსაკუთრებით საგრძნობი იყო ამ დროს მუშაობისათვის საჭირო ლიტერატურული მასალების, ახალი გამოცემებისა და გაზეთების უქონლობა, ვინაიდან პეტერბურგში მას შესაძლებლობა ჰქონდა ეკითხა ყველა გაზეთი და ჟურნალი, თვალყური ედევნებინა ახალი გამოცემებისათვის. იგი გვთხოვს „ვუშრვოთ... III სათათბიროს ოქმები (სტენოგრაფიული ანგარიშების ოფიციალური გამოცემა, აგრეთვე სათათბიროში შეტანილი განცხადებები, შეკითხვები და კანონპროექტები)“ და გავუგზავნოთ „ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, უკლებლივ“. მას აინტერესებს

აგრეთვე „ოქტიაბრისტების, მემარჯვენეების, კაზაკთა ჯგუფის და სხვათა პროგრამები, ანონსები და ფურცლები“. ის მოკლებულია ამ საჭირო მასალებს, მაშინ როდესაც „სათათბიროში მთელი ეს „ქაღალდები“ ალბათ იატაკზე ჰყრია და ხელს არავინ ჰკიდებს“. გვთხოვს აგრეთვე გავუგზავნოთ „მენშევიკთა ყველა ახალი გამოცემა“, პროფესიული ჟურნალები, რომლებიც გადაურჩა დარბევას დ ა. შ.

მაგრამ ემიგრაციაში როცა ცხოვრობდა, ვლადიმერ ილიჩი არა მარტო წიგნების ნაკლებობას განიცდიდა,— თუმცა ჩვენ ძალიან ვცდილობდით მოგვემარაგებინა იგი, თუნდაც ყველაზე საინტერესო გამოცემით, რაც კი წიგნის ბაზარზე გაჩნდებოდა,—არამედ რუსული გაზეთების ნაკლებობასაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა იყო იმპერიალისტური ომის დროს, როცა დროდადრო ვლადიმერ ილიჩი სულ მოკლებული იყო რუსულ გაზეთებს. „კვირაში ერთხელ გამომიგზავნეთ წაკითხული რუსული გაზეთები, თორემ ა რ ა ვ ი თ ა რ ი ასეთი გაზეთი არა მაქვს“,— წერს 1916 წლის 20 სექტემბრის წერილში.

შემოსავლის მხრივაც დიდი გაჭირვება ჰქონდა ვლადიმერ ილიჩს, განსაკუთრებით ემიგრაციის უკანასკნელ წლებში. „არსებობის ძველი წყაროები მალე შეგვიწყდება და შემოსავლის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგება“ (1915 წლის 14 დეკემბერი). ეს საკითხი კი „მას ძალზე აწუხებს“,—წერს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, რადგან ვლადიმერ ილიჩი მეტად მორიდებული იყო, როცა საქმე ფულს ეხებოდა; ის გაურბოდა დახმარებას, ვისი მხრივაც უნდა ყოფილიყო. „აუცილებლად ჩავუჯდები წერას,—წერს იგი 1916 წლის 20 სექტემბერს,— რადგან ჯოჯოხეთური სიძვირეა, ცხოვრება საშინლად გაჭირდა“.

სულ რამდენიმე თვით ადრე თებერვლის რევოლუციამდე, 1916 წლის შემოდგომაზე, ვლადიმერ ილიჩს უხდება ეძებოს სათარგმნი წიგნები, იქონიოს მიმოწერა გამომცემელთან მათი

გამოცემის შესახებ. რარიგ უნაყოფო იყო ებოლდა მისი შრომა, მას რომ მართლაც თარგმნაზე დაებარჯა თავისი ღრი, ,ერამ ამასაც რევოლუციამ „შეუშალა ხელი“.

ასეთი იყო მისი ცხოვრების პირობები ემიგრ ციაში , ,ეირ ხნის წინ რევოლუციამდე. ლენინს აწუხებდა რუ ეთ აგან, მუშათა მასებისაგან მოწყვეტა, რომლებთანაც უშუალო კავშირს ილიჩი ყოველთვის ესწრაფოდა, სტ ნკავდა ემიგრ.ცი ში ცხოვრების მძიმე პირობები,—თუმცა ენერგიასა და ხასიათის სიმტკიცეს არასოდეს არ უღალატნია ვლადიმერ ილიჩისათვის,— და რა გასაკვირია, თუ მას „ნერვები დაუავადმყოფდა“ და მთელი ორგანიზმი მნიშვნელოვნად შეერყა.

მწარე გრძნობით გადმოსცემს იგი თავის 1917 წლის 15 თებერვლის წერილში ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის გახუმრებას, რაც გამოწვეული იყო რუსეთიდან ფულის მიღებით: „შენ (ვლადიმერ ილიჩ.—მ. უ.) „უკვე პენსიას იღებო“.

ხოლო ამ წერილს, სადაც ხუმრობაში ესოდენ მკაფიოდ ჩანს მძიმე პირობები, რომლებშიც უხდებოდა ცხოვრება ვლადიმერ ილიჩს რევოლუციის წინ, მოჰყვა მოკლე სასიხარულო ცნობა ტელეგრაფით: „ჩამოვალთ ორშაბათს ღამის 11. აცნობეთ „პრავდას“. ულიანოვი“.

დასრულდა მისი ემიგრაციაში ყოფნა. დასრულდა ნათესავებთან მიმოწერაც.

მხოლოდ ორი პატარა ბარათი მივიღე კიდევ ვლადიმერ ილიჩისაგან, მოკლე, როგორც მოკლე იყო მისი არალეგალურად ყოფნა ფინეთში კერენსკისა და კორნილოვის დროს, დიდი ოქტომბრის გამარჯვების წინადღეს.

ვ. ულიანოვა

*

ჩამოსვლა

16 აპრილს სრულდება 20 წელი მას შემდეგ, რაც ვ. ი. ლენინი პეტროგრადში ჩამოვიდა. თებერვლის რევოლუციამ ბოლო მოუღო მრავალი წლის მის გადახვეწილობას. თითქმის თხუთმეტი წელი (რუსეთის პირველი 1905 წლის რევოლუციის დროს მისი პეტერბურგში ყოფნის გამოკლებით),— თავისი ცხოვრების საუკეთესო თხუთმეტი წელი ვლადიმერ ილიჩმა დაჰყო ემიგრაციაში, ისეთ გარემოში, სადაც „ბევრი რამ სამძიმოა",— როგორც ის წერდა,—სადაც „მეტისმეტად, საშინლად დიდია პროცენტი ადამიანებისა, რომელთა მთელი არსება ნერვების ერთ ავადმყოფურ კვანძს წარმოადგენს..."[1]. განსაკუთრებით მძიმე იყო ემიგრაცია, ვინაიდან ილიჩს უხდებოდა ეცხოვრა შორს რუს მუშათა მასებისაგან, რომლებთან უშუალო კავშირს იგი მუდამ ასე ესწრაფოდა. თუმცაღა ილიჩის ცხოვრება ემიგრაციაში ძლიერ გამოირჩეოდა ემიგრანტთა უმრავლესობის ცხოვრებისაგან:

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 384. — რედ.

„იმათგან, ვინც რუსეთში რჩებოდა,— ამბობდა ამხანაგ სტალინი თავის საუბარში ემილ ლუდვიგთან,— ძალიან ცოტა იყო ისე მჭიდროდ დაკავშირებული რუსეთის სინამდვილესთან, მუშათა მოძრაობასთან ქვეყნის შიგნით, როგორც ლენინი, თუმცა ის დიდხანს იმყოფებოდა უცხოეთში. ყოველთვის, როცა მასთან ჩავდიოდი უცხოეთში—1906, 1907, 1912, 1913 წლებში, მე ვნახულობდი მთელ დასტა წერილებს, რომლებიც მას მოსდიოდა რუსეთში მომუშავე პრაქტიკოსებისაგან, და ლენინმა ყოველთვის მეტი იცოდა, ვიდრე იმათ, ვინც რუსეთში რჩებოდა“.

და მაინც:

„მას ყოველთვის აწუხებდა ის გარემოება, რომ უცხოეთში უხდებოდა ყოფნა“[1].

მით უფრო აუტანელი გახდა ეს ტვირთი, როცა რუსეთში იფეთქა თებერვლის რევოლუციამ:

„შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა წამებაა ყველა ჩვენგანისათვის აქ ჯდომა ასეთ დროს“[2],— სწერდა ვლადიმერ ილიჩი ამხ. განეცკის.

ლენინი მოუთმენლად მოისწრაფოდა რუსეთისაკენ, რათა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობაში, შესაძლებლობა ჰქონოდა თავის დროზე მოეხდინა გავლენა პოლიტიკურ ამბებზე. მაგრამ რუსეთში ჩამოსვლა ადვილი საქმე როდი იყო. ამ აზრით ანტანტის დახმარების იმედი შეექმლოთ ჰქონოდათ მხოლოდ სოციალ-შოვინისტებს. პლეხანოვმა და მისმა მომხრეებმა დაუბრკოლებლად იმგზავრეს კრეისერით, რომელსაც თან ახლდა ნაღმოსნები. რუსეთში ობორონცების მოღვაწეობით ანტანტა მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობას მოელოდა თავის იმპერიალისტურ პოლიტიკაში. ასე როდი იყო

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 126 — 127. — რ ე დ.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 326. — რ ე დ.

ინტერნაციონალისტების მიმართ, რომლებიც შეტანილი იყვნენ „შავ სიებში“. მათთვის ანტანტის ქვეყნებზე გავლა დაკავშირებული იყო ინტერნირების, დაპატიმრების ან გემის ჩაძირვის რისკთან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კიდეც ზოგიერთების მიმართ, რომელთაც ასეთი გზა აირჩიეს რუსეთში წამოსასვლელად. ილიჩს მშვენივრად ესმოდა ეს:

„ინგლისი არაფრის გულისათვის არ გაგვიშვებს არც მე, არც საერთოდ ინტერნაციონალისტებს..., — სწერდა ის განეცკის 1917 წლის 30 მარტს.— ცხადია, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური კაპიტალის ნოქარს და რუს იმპერიალისტს მილიუკოვს (და კომპანიას) შეუძლია მიმართოს ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს, მოტყუებას, გამცემლობას, ყველაფერს, ყველაფერს, რომ ხელი შეუშალოს ინტერნაციონალისტებს დაბრუნდნენ რუსეთში. ოდნავი მიმნდობლობა ამ მხრივ მილიუკოვისა და კერენსკისადმი (ფუჭი მოლაყბისადმი, რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტისადმი თავისი ობიექტური როლის მიხედვით) პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა მუშათა მოძრაობისა და ჩვენი პარტიისათვის, თითქმის იგივე იქნებოდა, რაც ინტერნაციონალიზმისადმი ღალატი“[1].

მაგრამ სხვა რა გზა უნდა აერჩიათ? ვლადიმერ ილიჩი იგონებდა სხვადასხვა ფანტასტიკურ გეგმებს, მაგრამ მათი განხორციელება შეუძლებელი იყო. იგი ღამეებს ათევდა იმის ფიქრში, თუ როგორ დაეღწია თავი შვეიცარიიდან, გადაწყვეტა როგორღაც თავი ყრუმუნჯად მოეჩვენებინა და შვედის პასპორტით გადასულიყო შვეციაში. განეცკის უნდა გამოენახა ისეთი შვედი, რომელიც ემსგავსებოდა ილიჩს და გამოერთმია მისთვის პასპორტი. წერილს, რომელშიც გადმოცემული იყო ეს გეგმა, დართული ჰქონდა ვლადიმერ ილიჩის ფოტოსურათი. „ბარათი რომ წავიკითხე, ვიგრძენი, რარიგ იტანჯებოდა ვლადიმერ ილიჩი,— გვიამბობს განეცკი,— მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ბევრი ვიცინე ამ ფანტასტიკური გეგმის გამო...

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 35, გვ. 325. — რ ე დ.

მაინც გამოგზავნილი ფოტოსურათი (ვლადიმერ ილიჩისა,— მ. უ.) დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული. ორი დღის შემდეგ იგი ამშვენებდა მემარცხენე შვედ სოციალ-დემოკრატთა ყოველდღიურ გაზეთ „პოლიტიკენს", ხოლო მის ქვეშ მოთავსებული იყო მოწინავე, დაწერილი ვოროვსკის მიერ: „რუსეთის რევოლუციის ბელადი".

მალე ვლადიმერ ილიჩმა იმის იმედიც დაკარგა, რომ რუს პოლიტიკურ ემიგრანტთა რუსეთში დაბრუნების საქმეთა კომიტეტის ცდა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, ე. ი. მუშათა დეპუტატების საბჭოს მეშვეობით მილიუკოვს დაიხმარდნენ და გამოითხოვდნენ გერმანიაზე გავლის უფლებას გერმანელ ტყვეებზე გაცვლით. მილიუკოვი ასეთ გეგმას ვერ მიიწონებდა. ერთადერთი რეალური შესაძლებლობა იყო მიეღოთ გერმანიის მთავრობისაგან გერმანიაზე გავლის ნებართვა, რაც მიღებულ იქნა კიდევაც ნეიტრალურ შვეიცარიელ სოციალისტთა მეშვეობით.

ცხადია, ეს იყო სარისკო ნაბიჯი, რადგან ნათლად ჩ ნდა, რომ რუსეთის ბურჟუაზია და სოციალ-შოვინისტები შეეცდებოდნენ გერმანიაზე ბოლშევიკების გავლა გამოეყენებინათ კოლისწამებისა და ინსინუაციებისათვის მათ წინააღმდეგ. ამის გამო მგზავრობა ისე უნდა მოეწყოთ, რომ აღკვეთილიყო გერმანიის მთავრობასთან და გერმანელ სოციალ-შოვინისტებთან შეთანხმებაში ბრალის დადების ყოველგვარი შესაძლებლობა. ვლადიმერ ილიჩმა დაავალა შვეიცარიელ კომუნისტს — ფრიც პლატენს წარედგინა გერმანელ ხელისუფალთათვის მგზავრობის პირობები. ეს პირობები ძირითადად შეიცავდა ვაგონის ექსტერიტორიალობის მოთხოვნას, მგზავრებს არ უნდა წარედგინათ თავიანთი პასპორტები, არავის, გარდა ამხ. პლატენისა, რომელიც აცილებდა ვლადიმერ ილიჩს და მის ამხანაგებს სტოკჰოლმამდე (პეტროგრადში ის არ შეუშვა მთავრობამ) უფლება არ ჰქონდა გამოსულიყო ვაგონიდან ან ეწარმოებინა მგზავრობის დროს ვინმესთან რაიმე საუბარი. ამის გამო შემდეგში მათ ვაგონს „დაპლომბილი" ვაგონი ეწოდა.

9 აპრილს (ახ. სტ.) ვლადიმერ ილიჩი ციურიხიდან გამოვიდა. მასთან ერთად მოდიოდა ემიგრანტთა მცირე ნაწილი, უმთავრესად ბოლშევიკები. სხვებმა ამ გზით წამოსვლა „პოლიტიკურ შეცდომად“ მიიჩნიეს და მატარებლის გამოსვლისას მტრული დემონსტრაციაც კი მოუწყვეს ჩვენს ამხანაგებს. მაგრამ, ბოლოს, ისინი იძულებული შეიქნენ იგივე გზა აერჩიათ, როცა დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელი იყო სხვა გზით რუსეთში ჩამოსვლა.

თუმცა სულ მოლოდინში ვიყავით, მაგრამ ვლადიმერ ილიჩის პეტროგრადში ჩამოსვლა მაინც მოულოდნელი იყო. მხოლოდ 16 აპრილს დღისით ტორნეოდან მოვიდა მისი დეპეშები, სადაც იუწყებოდა ჩამოსვლას. ეს იყო უქმე დღე. ქარხნები არ მუშაობდა, გაზეთები არ იყო, მაგრამ მუშათა რაიონებში ერთბაშად გავრცელდა სასიხარულო ცნობა, საღამოს ჩამოვა ბოლშევიკთა ბელადიო. მუშები შეუდგნენ თავის აღიარებულ, საყვარელ ბელადთან და მასწავლებელთან ზეიმით შეხვედრის სამზადისს.

შეხვედრა დაიწყო ბელოოსტროვიდან. ვლადიმერ ილიჩის უახლოესი ამხანაგებისა და ნათესავების გარდა, აქ მოვიდნენ სესტრორეცკელი მუშებიც დროშებით. ვაგონიდან ილიჩი ხელში ატაცებული გამოიყვანეს. ვაგზალზე მან სიტყვით მიმართა მუშებს. ილაპარაკა თებერვლის რევოლუციის მნიშვნელობაზე, რომელიც მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის „საფეხური“ უნდა იყოსო.

ამ შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვლადიმერ ილიჩზე. მთელი სახე უბრწყინავდა, ძალიან ღელავდა. კითხვებს კითხვებზე აძლევდა ამხანაგებს საქმის ვითარების შესახებ და ამავე დროს გამოთქვამდა შიშს, პეტროგრადში, ალბათ, დამპატიმრებენო. მაგრამ დაპატიმრების ნაცვლად ფინეთის ვაგზალზე მას კიდევ უფრო საზეიმო შეხვედრა ელოდა. შეხვედრამ ყველაზე, ვინც მას დაესწრო, წარუშლელი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა.

ჩამოდგა თუ არა იქ მატარებელი, მთელი მოედანი და მის მახლობლად მდებარე ქუჩები ხალხით გაიჭედა. აქ შეიკრიბა ათეულ ათასობით მუშა დროშებით. პერონზე ჩამწკრივებული იყო ფლოტის ეკიპაჟის მეზღვაურთა, ტყვიამფრქვეველთა რაზმის, მოსკოვისა და პრეობრაჟენსკის პოლკების ჯარისკაცთა საპატიო ყარაული. გამოჩნდა თუ არა ვლადიმერ ილიჩი, ჯარისკაცები და მეზღვაურები მისალმების სმენაზე დადგნენ, ხოლო სამხედრო ორკესტრმა „მარსელიოზა“ დაუკრა. პატაკი რომ მოისმინა, ვლადიმერ ილიჩმა საპატიო ყარაულს მიმართა ლოზუნგით: „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას!“ მერე იგი წაიყვანეს „საზეიმო დარბაზში“, სადაც მას მოუხდა მოესმინა ჩხეიძის ჩაშაქრულ-ნაძალადევი მისალმება; ჩხეიძე გამოგზავნილი იყო მის შესახვედრად მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომისაგან. ილიჩმა თავის საპასუხო სიტყვაში იგივე ლოზუნგი წარმოთქვა, რამაც ჩხეიძე უეჭველად ძალზე დააღონა.

მოედანზე რომ გამოვიდა, ვლადიმერ ილიჩი ის იყო ჩაჯდა მისთვის გამზადებულ მსუბუქ მანქანაში, მაგრამ მუშათა დელეგაციებმა, რომლებიც მას ხმამაღლა მიესალმნენ, მოითხოვეს, რომ მანქანიდან გამოსულიყო და ჯავშნოსანზე ასულიყო. პროჟექტორით განათებული ჯავშნოსანი დაიძრა კშესინსკაიას სახლისაკენ, ხოლო ილიჩი ხან ერთი, ხან მეორე მხრისაკენ მიბრუნდებოდა და სალამს აძლევდა გარშემორტყმულ მუშებსა და გლეხებს, რომლებმაც რუსეთი გაათავისუფლეს თვითმპყრობელობისაგან. „გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას! — იძახდა ილიჩი. მუშათა მასა ნელა მიჰყვებოდა ჯავშნოსანს. მუშებს წინ მიუძღოდა ქარხნისა და რაიონის შეიარაღებული მილიცია, აქეთ-იქით მუშებმა თავიანთი მწკრივებით ჯაჭვი შექმნეს.

კშესინსკაიას სასახლეში თავი მოეყარათ პარტიულ ამხანაგებს. ყოველი მხრიდან ისმოდა მისალმებები, მაგრამ ვლადიმერ ილიჩმა ძალიან მალე გადაიტანა საუბარი საქმიან

თემებზე. მან მიმართა შეკრებილთ სიტყვით, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისი პარტიის წინაშე მდგომ უახლოეს ამოცანებზე შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მან გამოთქვა ის დებულებანი, რომლებიც მეორე დღეს ჩამოაყალიბა პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს ფრაქციაზე და რომლებმაც გამოხატულება პოვეს მის ცნობილ აპრილის თეზისებში.

აპრილის თეზისებმა გამოიწვია ბურჟუაზიის გაცოფება, მენშევიკებისა და ესერების ველური ღრიანცელი. მათ ფართოდ გამოიყენეს „დაპლომბილი“ ვაგონი, გერმანიაზე გავლა იმ მიზნით, რომ ცილი დაეწამებინათ პარტიის ბელადის—ვ. ი. ლენინისათვის, ჩამოეშორებინათ ბოლშევიკებისაგან მუშათა და ჯარისკაცთა ის შეუგნებელი ფენა, რომელიც წვრილბურჟუაზიული ილუზიების ტყვეობაში იმყოფებოდა. მხოლოდ მუშათა უმცირესობას ესმოდა მაშინ ლენინის პოზიცია, რომლის სისწორეც ასე ბრწყინვალედ დადასტურდა რამდენიმე თვის შემდეგ და რომელმაც უზრუნველყო დიდი ოქტომბრის რევოლუციის წარმატება და გამარჯვება.

20 წელი გავიდა ლენინის ემიგრაციიდან ჩამოსვლის დღიდან — 1917 წლის აპრილიდან. ამ მნიშვნელოვან დღეს მის მიერ მუშათა მასებში გადასროლილი ლოზუნგი განხორციელებულია. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ, რომელმაც აღგავა თავისი გზიდან საძულველი რესტავრატორები კაპიტალიზმისა, კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები და მემარჯვენეები, მიაღწია სოციალიზმის აშენებას და ამხანაგ სტალინის ნაცადი წინამძღოლობით მტკიცე ნაბიჯით მიდის ახალი წარმატებებისაკენ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„იზვესტია“ № 91,
1937 წლის 16 აპრილი.

ვ. ულიანოვა

*

ლენინისადმი მიწერილი წერილებიდან



ველ ქაღალდებსა და ხელნაწერებს შორის, რომლებიც რევოლუციის პირველ წლებს მიეკუთვნება, მე წავაწყდი წერილების დასტას; ნაწილი ამ წერილებისა დაწერილია უშუალოდ ვლადიმერ ილიჩის მისამართით, ნაწილი „პრავდის“ რედაქციის ან ჩემს სახელზე მისთვის გადასაცემად. ეს იყო პირველი წერილები ვლადიმერ ილიჩისადმი მშრომელებისაგან, უმთავრესად ფრონტელი ჯარისკაცებისაგან, რომლებიც „პრავდის“ სტატიების მიხედვით პირველად ეცნობოდნენ ვლადიმერ ილიჩის სიტყვებს, აზრებსა და შეხედულებებს; ეს შეხედულებები წარმოადგენდა, როგორც ერთი ფრონტელი წერს, „ახლანდელი და რევოლუციამდელი დროის სხვა გაზეთების სტატიების სრულ კონტრასტს“. ამ შეხედულებებმა იმ დროს, თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში, მოიპოვა სანგრებში მყოფ, იმპერიალისტური ომისაგან განაწამებ ჯარისკაცთა დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა; ჯარისკაცები ისწრაფოდნენ წერილებში გამოეხატათ თავიანთი მადლობა „ძვირფასი ქომაგისადმი, ბატონ ლენინისადმი“.

მაგრამ მათთვის ეს შეხედულებები იმდენად ახალია და იმდენად ბევრი რამაა ამ შეხედულებებში ჯერ კიდევ გაუგებარი, რომ საჭიროა მათი კარგად გააზრება და გარკვევა. ამიტომაც განუწყვეტლივ მოდიოდა წერილები, რომლებშიც ეკითხებოდნენ, „როგორ უნდა დავამთავროთ ომიო“, სთხოვდნენ გაეგზავნა მათთვის „პროგრამა ახსნა-განმარტებით“ და სხვ.

ბურჟუაზიული გაზეთები და ბურჟუაზიის მსახურნი, მენშევიკები და ესერები, ყოველნაირად ცდილობენ სახელი გაუტეხონ ლენინს ჯარისკაცთა მასების თვალში, ისინი მას ხატავენ გერმანელ ჯაშუშად, სამშობლოს მტრად და სხვ. მაგრამ ჯარისკაცთა უმრავლესობას არ სჯერა ეს ცილისწამება, ისინი ალღოთი გრძნობენ, თუ რით არის გამოწვეული ის.

„ამხანაგო ჯარისკაცებო და მუშებო, — წერს ერთი მეზღვაური, — არ დაუჯეროთ ბურჟუაზიულ გაზეთებსა და მათ პროვოკატორებს, რომლებიც მთელი ძალღონით ცდილობენ ჩირქი მოსცხონ ხალხის თვალში ჩვენს მებრძოლს თავისუფლებისა და თანასწორობისათვის. თვითონ განსაჯეთ, ამხანაგებო, განა მოეწონებათ მათ, კაპიტალისტებს, რომ უკანასკნელი იმედი წაართვან...“

სხვადასხვა ქვეითი პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფისაგან გამოგზავნილ წერილში, რომელიც შეიცავს „მადლობის გამოთქმას ბატონ ლენინისადმი“, ვკითხულობთ: „თქვენი სიტყვებიდან, რომლებიც თქვენ წარმოთქვით თქვენს გამოსვლაში, ჩვენ ვასკვნით, ჩანს, რომ მხოლოდ თქვენ თანაუგრძნობთ ნამდვილ თავისუფლებას და თანაუგრძნობთ გაწამებულ ჯარისკაცებს. ბატონო ლენინ, თქვენი სიტყვები, წარმოთქმული თქვენს გამოსვლაში, საესებით შეესაბამება სისწორეს. თუმცა თქვენს წინააღმდეგ ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ვინ უგდებს მათ ყურს?“

მტკიცე რწმენა ბევრს მაინც არა აქვს, საჭიროა ყველაფრის ზედმიწევნით გარკვევა. ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი წერილი:

„ამხანაგ-მოქალაქეს, ბატონ ლენინს.

ამხანაგო ლენინ! ისე როგორც მოქმედი არმიის ბევრ სხვა ჯარისკაცს, მე მუდამ მესმის ლაპარაკი თქვენსა და თქვენი მოქმედების შესახებ, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლისა და პროლეტარიატის ჭეშმარიტი მეგობრისა. მაგრამ ამავე დროს ჯარისკაცები სურთ დაარწმუნონ იმაში, რომ თქვენ პროლეტარიატის მტერი ხართ, და გვაჩეჩებენ გაზეთებს, რომელთა ფურცლები აჭრელებულია თავდასხმებით თქვენს წინააღმდეგ. და განუწყვეტლივ ჩაგვბზუიან ყურში, რომ თქვენ ხალხისა და რუსეთის მტერი ხართ და ა. შ. მაგრამ ჯარისკაცები ყოველივე ამას არ უჯერიან და თანაგიგრძნობენ თქვენ. და აი ჯარისკაცებმა იმისათვის, რომ გამორკვეულ იქნეს გაუგებრობა, მთხოვეს მომეწერა თქვენთვის წერილი და მეთხოვა აცნობოთ მათ თქვენი შეხედულება აგრარულ საკითხზე და ფრონტის საქმეთა მდგომარეობაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ ფიქრობთ, რა უმჯობესია: წავიდეთ შეტევაზე თუ ველოდოთ ზავს. ამხანაგო ლენინ, ამხანაგების სახელით გთხოვთ შეასრულოთ ჩემი თხოვნა“.

მართლაც, ჯერ კიდევ ბევრი რამის განმარტებაა საჭირო, იმიტომ, რომ შეხედულებანი, რომლებსაც ვლადიმერ ილიჩი ქადაგებს, და რომლებსაც ჯარისკაცები ხშირად კადეტთა გაზეთების საშუალებით ეცნობიან ფრონტზე, ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არაა, ბევრი გაუგებრობაა.

„ომს ჩვენ არ უარვყოფთ, როგორც ბ-ნი ლენინი ამბობს,— წერს ჯარისკაცთა ჯგუფი, — ჩვენ არ გვინდა ხიშტები მიწაში ჩავარჭოთ, მაგრამ მაინც უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება მალე დავამთავროთ ომი. ბ-ნი ლენინის აზრით. ბოდიშს ვიხდით, ბატონო ლენინ, ჩვენ ვართ, ასე ვთქვათ, ნაკლებად განათლებული ხალხი, ამიტომ ეშინოდა ძველ მთავრობას აეხილა ჩვენთვის თვალი, ასე რომ გთხოვთ გეთაყვა, არაფრის წინაშე არ შეჩერდეთ, განსაკუთრებით ამ ბოლშევიკების წინააღმდეგ“. ისინი ლენინს სრული თანაგრძნობით ეპყრობიან, მათ სჯერათ მისი,

სურთ მისთვის „ყოველივე კარგი, წარმატება თქვენს დაწყებულ საქმეში, ბ-ნო ლენინ“, ხოლო აი „ეს ბოლშევიკები“ — სხვა საქმეა, ტყუილად კი არ ლანძღავენ მათ ჯარისკაცებთან.

მაგრამ ზოგიერთს არავითარი ეპვი, არავითარი ყოყმანი არ ახასიათებს:

„ამხანაგო, მეგობარო ლენინ. გახსოვდეს, რომ ჩვენ ჯარისკაცები (ამა და ამ პოლკის) ყველანი ერთსულოვნად მზად ვართ გამოგყვეთ ყველგან და რომ შენი იდეა მართლა გლეხთა და მუშათა ნების გამოხატულებაა“.

„ჩემსა და ჩემს მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩემი ამხანაგების პატიოსან სიტყვას გაძლევთ, — სწერს ერთი სანგრებიდან, — ხელს ვაწერთ იმ დებულებას, რომ იარაღს ჩვენ არ დავყრით, თუმცა შინაც წავალთ და კიდევ უფრო ძლიერადაც შევიარაღდებით“. და დასძენს: „დედანთან სწორია, ხელს ვაწერ (ესა და ეს)“.

მართალია, სოლიდარობის გამომხატველი წერილების გვერდით ზოგიერთ წერილში უნდობლობასაც ვხვდებით.

„ამხანაგო ლენინ, — წერს პოზიციიდან ჩამოსული ჯარისკაცი, — თქვენ ყველგან ქადაგებთ ძირს ომიო, და თქვენი მიმდევრებიც ამასვე ქადაგებენ. მე ბევრი რამ გამიგონია ამის შესახებ და როცა ვეკითხები, როგორ დავამთავროთ ომი-მეთქი, მათ არ ძალუძთ მიპასუხონ“.

ზოგიერთი წერილი სავსეა აღშფოთებით „არმიის რიგებში უთანხმოებისა და დეზორგანიზაციის შეტანის გამო“ და ლანძღვა-გინებითაც, მაგრამ ასეთები ცოტაა, განსაკუთრებით გულწრფელი წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ნამდვილად ფრონტიდან და არა რევოლუციის ძველისძველი მტრებისგან, რომლებიც ცდილობენ ისე მოგვაჩვენონ თავი, თითქოს მოწინავე პოზიციებიდან სწერენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა, ომი დამთავრებულია, და წერილები ვლადიმერ ილიჩისადმი, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, უკვე სხვა თემებს ეხება. ისევე ბევრია შე-

კითხვა და თხოვნა განმარტებისა, მაგრამ უკვე მშენებლობის, სხვა პარტიებთან დამოკიდებულების საკითხებზე, გლეხთა საქმეებზე, მითითებანი სხვადასხვა სახის უწესრიგობაზე და სხვ. ბევრ წერილში ლაპარაკია სხვადასხვა საქმეზეც: დახმარების, სამუშაოზე მოწყობის და სხვათა შესახებ. პირველ ხანებში ვლადიმერ ილიჩი ცდილობს პირადად განიხილოს მისადმი მიმართული წერილები, მაგრამ მალე იძულებული ხდება უარი თქვას ამაზე. მახსოვს, მან მიამბო, რომ ერთი წერილის კითხვისას, რომელიც რამდენიმე გვერდს შეიცავდა, ბოლოს და ბოლოს გაიგო, რომ მთელი წერილი წარმოადგენდა თხოვნას — მეშოვნა ავტორისათვის საწერი მანქანა. ვლადიმერ ილიჩმა გადაჭრით უარი თქვა შემდეგი მსგავსი წერილების კითხვაზე და დაავალა სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოში მომუშავე განსაკუთრებულ ამხანაგებს წერილების განხილვა და თხოვნების შეძლებისამებრ შესრულება, აგრეთვე პასუხის შედგენა.

გასაგებია, რომ პირადად ვლადიმერ ილიჩის ნაცნობი პარტიული ამხანაგების ყველა საქმიანი წერილი უშუალოდ ილიჩთან მიდიოდა, მრავალი სხვა წერილის შინაარსს მას აცნობდნენ, და ის იძლეოდა მითითებებს, თუ როგორ უნდა ეპასუხნათ. ის წერილები კი, რომლებითაც რსფსრ-ს მშრომელები მიესალმებოდნენ ვლადიმერ ილიჩს, მოიკითხავდნენ მის ჯანმრთელობას და სხვ. ჩვეულებრივ ჩემი მეშვეობით გადაეცემოდა მას. ძველი წერილების დასტაში, რაზედაც ლაპარაკი მქონდა ამ შენიშვნის დასაწყისში, დაცულია რამდენიმე ასეთი წერილი.

ისინი მეტყველებენ იმ ღრმა სიყვარულზე, იმ განსაკუთრებულ პატივისცემაზე, რომლითაც სარგებლობდა ვლადიმერ ილიჩი მშრომელთა ფართო მასებს შორის. განსაკუთრებით დიდი იყო ასეთი წერილების მოზღვავება ვლადიმერ ილიჩის დაჭრისა და ავადმყოფობის დროს, აგრეთვე მისი დაბადების 50 წლისთავზე. აი, წერილი სურსათის საქმეთა საგანგებო კომისრის ექსპედიციის თანამშრომლისა:

„ვუგზავნი ჩემს გულითად სურვილს, როგორც ბელადს მრავალი წლით განაწამები პროლეტარიატისა—ამხანაგ ლენინს მშრომელი პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ვეფხის მეუფებისაგან, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში თავის კლანჭებში ეპყრა, გაყრილი ჰქონდა ბასრი და გრძელი ბრჭყალები ღარიბი კლასის მუშათა და გლეხთა სხეულში. წყევლა-კრულვა მათ, ვინც აღმართა მუხანათი ხელი როგორც რევოლუციის ბელადის სიცოცხლეზე ხელსაყოფად. სახელი და დიდება მუშაკებს პროლეტარული მუშათა ხელისუფლებისა, რომელიც დგას მსოფლიოს მუშათა და გლეხთა პროლეტარიატის სათავეში“.

ხოლო ამ წერილს ასეთი შინაარსის მინაწერი აქვს: „ამასთანავე ვუგზავნი, როგორც დაავადებულს მუხანათი ხელისაგან სიცოცხლეზე ხელსაყოფად, ამხანაგ ლენინს 50 ცალ კვერცხს“.

ასეთი „დანართები“ იშვიათი არ იყო და მათ ზოგჯერ ამაღელვებელი ხასიათი ჰქონდა. ერთხელ ჯარისკაცმა-გლეხმა ვლადიმერ ილიჩს მოუტანა პურის ყუა — „რა ვუყოთ, შეიძლება მას არა აქვსო“ — და ითხოვა ნებართვა მხოლოდ ერთი წუთით დამჯდარიყო და შეეხედა ვლადიმერ ილიჩისათვის. როცა ილიჩი ჭრილობებისაგან გამომჯობინდა, ერთმა ამხანაგმა მას ციმბირიდან გამოუგზავნა ამანათი, რომელშიაც იყო შინაური ნამცხვარი. „უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩემი მოსაკითხი, — წერს ის, — ეს მოსაკითხი ჩემმა მეუღლემ ულიანა მარკელის ასულმა თავისი ხელით დაამზადა. უმორჩილესად გთხოვთ, ძვირფასო მეგობარო, მიირთვათ სოფლური ორცხობილა“. მოდიოდა ხოლმე უფრო დიდი ამანათებიც, პაგრამ ვლადიმერ ილიჩი ჩვეულებრივ მათ გზავნიდა საავადმყოფოებში, საბავშვო სახლებში და სხვ.

წერილები მარტო მუშებისაგან როდი მოდიოდა. მოდიოდა გლეხებისგანაც, სოფლებიდან. აი ერთი მათგანი:

„სოფელ პრავიე ლამკის ლევო-ლამკის თემის (ტამბოვის გუბერნიის) მოქალაქეთაგან. ვკადნიერდებით თქვენს ნება-

დაურთველად მოგილოცოთ თქვენ, ე. ი. რუსეთის მუშა გლეხობის დიდ ბელადს ვლადიმერ ილიჩ ულიანოვ-ლენინს თქვენი დაბადების დღე 22 აპრილი, როცა შეგისრულდათ 52 წლისთავი. თქვენი ჯანმრთელობისათვის ჩვენ ხმამაღლა ვიმღერეთ მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალი"... „გისურვებთ იყოთ ჯანმრთელად სამუდამოდ და იყოთ მოწინავე ბელადი რუსეთის მუშა გლეხობისა. ჩვენ მზად ვართ ყოველ წამში კედლად აღვიმართოთ დიდი ბელადის ვლადიმერ ილიჩ ულიანოვ-ლენინის დასახმარებლად, თუ ვინმე გაბედავს წინააღმდეგობას ჩვენი ბელადის და მუშათა კლასის მიმართ... ბოდიშს ვიხდით, — ვკითხულობთ შემდგომ წერილში, — და პატიებას ვითხოვთ, რომ შეგაწუხეთ, შესაძლოა, გაწყენინეთ კიდეც ჩვენი წერილით, ჩვენ მოხარული ვიქნებოდით, თუ თქვენ თუნდაც ერთ სტრიქონს მოგვწერდით, ე. ი. გვაცნობებდით, რომ ჩვენი წერილი თქვენ მიიღეთ... წერილი დაწერა ყველა უპარტიომ, ყველა მცირეწიგნიერმა, თუ ისე არ არის დაწერილი, გვაპატიეთ, ჩვენ თუმცა უპარტიოები ვართ, მაგრამ გული ჩვენი და სული ჩვენი კომუნისტურია, ჩვენ გავიგეთ, რომ მოცემულ მომენტში, მართლაც, მშრომელთა ხელისუფლებაა".

საინტერესოა ვიცოდეთ, სად არის ახლა ამ წერილის ავტორი, რამდენად გაიზარდა იგი პოლიტიკურად იმ დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა მას შემდეგ, როცა ის ამ წერილს წერდა, შესაძლოა, უკვე დიდ სამუშაოს ასრულებს ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში, ჩვენი პარტიის წევრი გახდა არა მხოლოდ „გულით", არამედ ფორმალურადაც.

მახსოვს, როგორ გაუბრწყინდა სახე ვლადიმერ ილიჩს, როცა ამ წერილს კითხულობდა.

მან დამავალა აუცილებლად შემეხსენებინა მისთვის, რომ ეპასუხნა და, მართლაც, უპასუხა.

„ჩვენში ყველა გლეხს ესმის, რომ მხოლოდ ჩვენს მამას ლენინს შეუძლია იხსნას რუსეთი, თუ ჩვენ ყველანი მასთან

ვიქნებით და მის კანონს მივყვებით“, — ეკითხულობთ 1917 წლის მაისში სოფლიდან გამოგზავნილ წერილში.

„თქვენ და საერთოდ ყველას, ვინც თქვენი მიმდევარია,— სწერენ ვიატკის გუბერნიის მიყრუებული კუთხიდან, — ბოლშევიკებს გიწოდებენ. თავდაპირველად არ გამეგებოდა, რას ნიშნავს ბოლშევიკები და მენშევიკები, ბევრს მივმართე განმარტებისათვის, მაგრამ განმარტება ვერ მივიღე. ამის მიზეზი, ადვილი შესაძლებელია, სწორი პასუხისაგან თავის არიდება იყო ან სინამდვილეში ვერგაგება პარტიებისა. ვგონებ, სხვის დაუხმარებლად მივედი ასეთ დასკვნამდე, რომ სოციალ-დემოკრატების პარტიას აქვს ორი პროგრამა: პროგრამა მინიმუმი, რომელსაც თუნდაც ზოგადად მაინც ვიცნობ. მაგრამ მე არ ვიცნობ პროგრამა „მაქსიმუმს“, რომლის წარმომადგენელიც ან, ვიტყვი უფრო მეტს, მამა ამ პროგრამისა, როგორც მე გამეგება, ხართ თქვენ, მთელ რუსეთში სახელგანთქმული ლენინი“.

შემდეგ წერილის ავტორი თხოვს ილიჩს გაუგზავნოს მას „საფუძვლიანი პროგრამა „მაქსიმუმი“, რომ შესაძლებლობა ექნეს გამოვიდეს საჯაროდ ლენინის შეხედულებათა დასაცავად“, „თქვენსა და აგრეთვე ჩემს მოწინააღმდეგეებთან საკამათოდ“.

ერთხელ მოვიდა ღია წერილი იტალიელი მუშებისაგანაც, რომლებიც სალამს უთვლიდნენ ლენინს: „ვერონის მუშები გისურვებენ მრავალ წელს ბედნიერებას შენ და მთელ საბჭოთა მთავრობას“, — სწერდნენ ისინი.

„თვალყურს ვადევნებ რა პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს, — ეკითხულობთ ერთ წერილში, — რსფსრ-ს პროლეტარიატის დიდი ბელადის, ვლადიმერ ილიჩ ულიანოვ-ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ლენინისა, რომლის ავადმყოფობის არა კეთილად დამთავრების შემთხვევაში რუსეთის პროლეტარიატს მიადგება უდიდესი დანაკლისი, ეკადნიერდებით წმინდა პროლეტარული გულით შე-

მოგთავაზოთ რსფსრ-ს სრულიად საკავშირო ცაკ-ის პრეზიდიუმის განსახილველად ერთი ნაკლებად ცნობილი სამედიცინო საშუალება, რომელსაც, ჩემი ღრმა რწმენით, შეუძლია ხელი შეუწყოს დიდი მასწავლებლის ამხანაგ ლენინის ჯანმრთელობის აღდგენას და კვლავ დაუბრუნოს იგი პროლეტარიატის რიგებს საყოველთაო სახალხო სარგებლობისათვის“.

წერილების რამდენი ავტორი გვთავაზობდა დონორობას, რომ თავისი სისხლი გადაესხათ ავადმყოფი ილიჩისათვის!

მ. ულიანოვა

*

იატაკქვეშეთი „თავისუფალ“ რუსეთში

ილიჩის ძებნა 1917 წლის ივლისის პირველ დღეებში

ივლისს ღამით დარბეულ იქნა „პრავდა“. იუნკრებმა კინაღამ მიუსწრეს იქ ილიჩს, რომელმაც მათ თავდასხმამდე სულ ნახევარი საათის წინ შეიარა იქ რაღაც სარედაქციო საქმისათვის. დარბევის შესახებ მეორე დღემდე არაფერი ვიცოდით. დილით, როცა ჩვენ ის იყო ვდგებოდით, ჩვენთან მოვიდა ი. მ. სვერდლოვი, რომელმაც გვიამბო იმის შესახებ, რაც მოხდა ღამით. იგი დაჟინებით მოითხოვდა ილიჩის დაუყოვნებლივ გადამალვას. სავსებით ცხადი იყო, რომ რედაქციის დარბევით საქმე არ დამთავრდებოდა და რომ ილიჩს ემუქრებოდა იუნკერთა კლანჭებში მოხვედრის საფრთხე. იაკობ მიხეილის-ძემ ილიჩს მოახურა თავისი ულტობი პალტო და ისინი იმწამსვე სრულიად შეუმჩნევლად წავიდნენ სახლიდან. ჩვენ კი შევუდექით მზადებას დაუპატიჟებელი სტუმრების ვიზიტისათვის, რაშიაც ოდნავი ეჭვი არ გვეპარებოდა. ღამით ასეთ სტუმრობას ჩვენ საკმაოდ შევეჩვიეთ ცარიზმის დროს, მაგრამ რარიგ უცნაური

და შეურაცხმყოფელი იყო ის, რომ ასეთივე ჩხრეკა უნდა განგვეცადა „თავისუფალ“ რუსეთში!

გვიან ღამით ჩვენს წყნარ უკაცრიელ ქუჩაზე (ჩვენ ვცხოვრობდით პეტროგრადის მხრის ქუჩა შიროკაიას ბოლოში) გაისმა ვეებერთელა საბარგო მანქანის რახრახი; მანქანა ჩვენი სახლის ახლოს გაჩერდა. „ჩვენთან არიან, ისინი არიან!“ — წამოვიძახე მე. და მართლაც, ფანჯარასთან მივედით და დავინახეთ, რომ მანქანა გაჩერდა სახლთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით; ჯარისკაცები უკვე შემოსავლელ კარებისაკენ გამოემართნენ. ჩვენ ფანჯრებიდან გვესმოდა მათი ხმამაღალი ლაპარაკი; გვესმოდა, როგორ გამოელაპარაკნენ მეეზოვეს თუ მეკარეს; რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაისმა ზარის ხმა და ძლიერი კაკუნი კარზე.

ჩვენ იმ წამსვე გავუღეთ კარი, რადგან დასამალავი არაფერი გვქონდა, და მთელი ჩვენი ბინა აივსო გამძვინვარებული თოფიანი იუნკრებითა და ჯარისკაცებით. მათ წარმოგვიდგინეს გაჩხრეკის ორდერი და უმალვე შეუდგნენ იმის ძებნას, ვისთვისაც მოვიდნენ. დაზვერვის უფროსის თანაშემწემ ორი თუ სამი ოფიცრის და ჯარისკაცების თანხლებით მიაშურა იმ ოთახს, სადაც ცხოვრობდა ილიჩი, დანარჩენებმა ყველა სხვა ოთახი დაიკავეს.

თუმცა ჩვენ ვუთხარით, რომ ილიჩი შინ არ არის-თქო, მათ მაინც დაიწყეს მისი ძებნა ყველგან, სადაც კი ადამიანს შეეძლო დამალულიყო: საწოლქვეშ, კარადებში, ფანჯრის ფარდებს უკან და ა. შ. მოითხოვეს გასაღები და როცა მე ამა თუ იმ კალათს ან ზანდუკს თავს ავხდიდი, შიგ ნივთებს ხიშტებს უყრიდნენ. ამასთან, ეტყობოდა, ისიც ვერ მოესაზრებინათ, რომ ზოგჯერ ეს იყო ისეთი მოცულობის კალათი, რომელშიც მოზრდილი ადამიანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოთავსდებოდა. ამა თუ იმ ნივთის გასინჯვის შემდეგ მე კვლავ ვკეტავდი კალათს, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ეს უფრო აღიზიანებდა მათ. „რაკი კეტავს, სწორედ ის აქ არის“, —

ალბათ, ფიქრობდნენ ისინი და მყისვე მოცვივდებოდნენ ჯარისკაცები კალათთან და კვლავ მაიძულებდნენ გამეღო იგი, ჩხრეკდნენ, ჩხვლეტდნენ ხიშტებით. თუ რა იდო კალათაში, არ აინტერესებდათ, ნივთებს არ ათვალიერებდნენ: მათ მხოლოდ უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ იქ არ იმალებოდა ის „გერმანელი ჯაშუში“, რომლის საძებრადაც ისინი მოვიდნენ.

ვლადიმერ ილიჩის ოთახში, სადაც კონტრდაზვერვის უფროსის თანაშემწე და ორი-სამი ოფიცერი იყვნენ, ჩხრეკას უფრო თავშეკავებულად აწარმოებდნენ. გადაქექეს ყველაფერი, თავი მოუყარეს ქაღალდების წასაღებ ნაწილს, თანაც გზადაგზა ცდილობდნენ ჩვენთვის დაეცდინათ რაიმე, ორი ჯარისკაცი კი მაგიდას უჯდა და ფურცლავდა ილიჩის ზოგიერთ წერილს. იქ ბლომად იყო ფრონტელი ჯარისკაცებისაგან გამოგზავნილი წერილი, რომელთა უმრავლესობა სავსე იყო აღტაცებითა და მადლობის გრძნობით ვლადიმერ ილიჩისადმი, ვინც უჩვენებდა მათ წყეული ომის დამთავრების გზას. მე ვიცნობდი ამ წერილებს და ახლა იმ ჯარისკაცთა სახეებზე, რომლებიც მათ კითხულობდნენ, გაკვირვებას ვხედავდი. როგორ! გერმანელ ჯაშუშს, სამშობლოს ინტერესების გამცემს, ვისთვისაც ისინი მოვიდნენ, რომ შეიპყრონ როგორც თავისი უბოროტესი მტერი, მათი თანამებრძოლი ამხანაგები, ჯარისკაცები სანგრებიდან, ასეთ წერილებს სწერენ!

ერთი ოფიცერთაგანიც რაღაც საგონებელში იყო ჩავარდნილი. ის განუწყვეტლივ გვაძლევდა კითხვებს, თუ სად ცხოვრობდა წინათ ვლადიმერ ილიჩი, რას აკეთებდა, რა და რა წიგნები დაწერა. „არ შეიძლება ვნახოთ ეს წიგნები?“— იკითხა მან ბოლოს. „რა თქმა უნდა, შეიძლება, — ვუპასუხე მე, — ხომ არ გსურთ წაიკითხოთ ისინი? — „შეიძლება მათი წაღება?“ — იკითხა მიამიტმა ოფიცერმა, მაგრამ ამხანაგებმა რაღაც ანიშნეს, თან წასჩურჩულეს, ალბათ ასეთი რამ უხერხულიაო, და დარცხვენილმა ოფიცერმა ხმა გაკმინდა.

იმის გაგება ჩვენგან, თუ სად იმყოფებოდა ვლადიმერ ილიჩი, ოფიცრებმა, ცხადია, ვერ შეძლეს. ერთმა მათგანმა განსაკუთრებული დაჟინებით დაუწყო გამოკითხვა ამის შესახებ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს. „მეფის ძველი კანონების მიხედვითაც ხომ ცოლი ვალდებული არ იყო გაეცა თავისი ქმარი“, — გავაწყვეტინე მე მას. ის გაჩუმდა. მაგრამ მაინც მოახერხა გაეგო, რომ ამაზე ცოტა ხნის წინ ვლადიმერ ილიჩი იყო ფინეთში ბონჩ-ბრუევიჩთან. ამან თავისი შედეგი მოიტანა.

როცა ვერაფერი ნახეს, ოფიცრები და ჯარისკაცები წავიღნენ და თან წაიყვანეს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, მ. ტ. ელიზაროვი, რომელიც ვიღაცამ ვლადიმერ ილიჩს მიამსგავსა, და ჩვენი შინამოსამსახურე. უკანასკნელმა ვერ მოახერხა ეთქვა, რა ჰქვია „ბატონს“, რომელთანაც ის მსახურობს, კონტრდაზვერვამ კი ეჭვი შეიტანა, რომ ის რაღაცას მალავს. მაგრამ ისინი დიდხანს არ დაუკავებიათ და იმავე ღამით გამოუშვეს, მას შემდეგ რაც ერთობ გულმოდგინე კონტრმზვერავებმა სასტიკი საყვედური მიიღეს უფროსებისაგან იმის გამო, რომ მიიყვანეს არა ის, ვისაც ეძებდნენ.

გავიდა რამდენიმე დღე. საღამოს ხუთი საათი იყო, როცა ჩვენი ქუჩა ისევ აივსო ჯარისკაცებით; მალე მათ კვლავ იწყეს ჩხრეკა ჩვენს ბინაში. ამჯერად მათმა ვიზიტმა, რადგან ეს იყო დღისით, დიდძალი ცნობისმოყვარე ხალხი მოიზიდა, რომელიც ყოველი მხრიდან შემოერტყა სახლს. გასაჩხრეკად მოსულ რაზმს მეთაურობდა ახალგაზრდა ოფიცერი. ის პირველი ჩხრეკის დროსაც იყო, მაგრამ მაშინ უფრო თავაზიანად ეპირა თავი. ახლა კი ის თავს უფროსად გრძნობდა და ეტყობოდა უკიდურესად გაბოროტებულიც იყო იმის გამო, რომ ძებნას სასურველი შედეგები არ მოჰქონდა. მან უაღრესად მკვახედ მოგვმართა და მოგვთხოვა გვეთქვა, სად იმყოფებოდა ვლადიმერ ილიჩი. კონტრდაზვერვამ იცის, რომ ის აქ მოვიდაო. „ის აქ არ არის, დაძებნეთ, და რომ ეს ასეა, თქვენ

თვითონ ნახავთ“, — ვუპასუხეთ მას. ის შეუდგა ძებნას, სამზარეულოშიც შეირბინა. ჩვენი მოსამსახურე საკმაოდ მოუსაზრებელი გლეხი ქალი იყო. როცა მას ჰკითხეს, ხომ არავინ მოსულა ბინაშიო, მან გულმოსულად რაღაც წაიბუზღუნა და მალე ამის შემდეგ უკანა კარით კიბისკენ გაირბინა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მას სწორედ ამ დროს მოაგონდა, რომ რაღაც უნდა ეყიდა და გაიქცა დუქანში. ის ძალიან მალე დააბრუნეს, მაგრამ ოფიცერს არასგზით არ უნდოდა დაეჯერებია, რომ ის დუქანში შიდიოდა. ოფიცერი დარწმუნებული იყო, რომ ამავე სახლის რომელიღაც სხვა ბინაში გაგზავნეს, რათა გაეფრთხილებინა ვლადიმერ ილიჩი, რომელმაც, ალბათ, ადრევე მოასწრო დამალვა. ოფიცერმა ერთი ყოფა დააწია მოსამსახურეს, მაგრამ როცა უკანასკნელი საკმაოდ მარჯვედ დახვდა, — „რას ჩამაცივდით, მე არაფერი არ ვიციო“, — მან განაცხადა: იძულებული ვიქნები მთელი სახლი გავჩხრიკოო. „მერე გაქვთ თქვენ საამისო ნებართვა?“ — ჰკითხა მას მ. ტ. ელიზაროვმა. ოფიცერი წუთით დაფიქრდა და შემდგომ, უთუოდ, მიიჩნია რა სწორ შენიშვნად, რომ უნებართვოდ მთელი სახლის გაჩხრეკვა არ შეიძლება, — გაიქცა ქვემოთ, რომ ტელეფონით დალაპარაკებოდა კონტრდაზვერვას. იმავე დროს მან განკარგულება გასცა გარსშემორტყმოდნენ მთელ სახლს, არავინ გაეშვათ და დაეჩხრიკათ უშენი ადგილი, სახლს რომ ეკვროდა. ამ უშენ ადგილზე იმდენი ძელი, შეშა და ნამტვრევები ეყარა, რომ ყოველივე ამის გაჩხრეკა არცთუ ადვილი საქმე იყო. ჯარისკაცები განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ აქეთიქით, ძელებს თოფის კონდახებით სწევდნენ, ჩადიოდნენ სახლის სარდაფში, ყველა ხვრელში იპვრიტებოდნენ, მაგრამ მათ ძებნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ოფიცერი კი ცოფებს ჰყრიდა. ის ხომ ფინეთშიც იყო ბონჩ-ბრუევიჩის აგარაკზე და იქ ვიღაცამ აცნობა, ლენინი პეტერბურგში თავის ბინაზე უნდა იყოსო.

კონტრდაზვერვიდან მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი ბინის გაჩხრეკის ნებართვა. ეს ბინა ერთი სართულით ქვემოთ მდე-

ბარეობდა და იქ იმ დროს ამხანაგი ალექსი (პუშასი) ცხოვრობდა. ჩხრეკა იქ არ მოუხდენიათ, მაგრამ ყველა ოთახი დათვალიერეს, შეამოწმეს იქ მყოფთა დოკუმენტები და დარწმუნდნენ, რომ ვლადიმერ ილიჩი იქ არ იყო.

ამასობაში გავიდა რამდენიმე ხანი. ჩვენს ბინაში დატოვეს ორი ჯარისკაცი. ჩვენ მათ გავუმასპინძლდით ჩაითა და ბუტერბროდით, გავაბით მათთან საუბარი. ბუტერბროდებს ისინი ხალისით შეექცეოდნენ. ჩიოდნენ მიწა არ გვყოფნის, ცოტა გვაქვსო, ომიც მოგვბეზრდაო, მაგრამ ჩვენს სიტყვებს ვლადიმერ ილიჩის შესახებ: ვინ არის და რისთვის იბრძვის ის, ისინი უნდობლად ისმენდნენ. ძალიან მაგრად ჰქონდათ თავში ჩაქედილი, რომ ესაა გერმანელი ჯაშუში; ამ შეუგნებელ ადამიანებს ძალიან აოცებდათ ომის დროს მისი გერმანიაზე გამოვლის ფაქტი. რატომ სხვებს არ უშვებდნენ და ის კი გამოუშვესო?

ჩხრეკის დროს ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ფურმე ვიბორგის რაიონიდან ბრუნდებოდა, სადაც ის მუშაობდა. იგი სულ ახლოს მოსულა სახლთან, მაგრამ დაუნახავს რა აურზაური იყო იქ და უკანვე გაბრუნებულა.

კონტრდაზვერვამ მესამეჯერაც მოგვაკითხა. მაშინ უკვე სხვა ბინაში ვცხოვრობდით. მარკ ტიმოთეს-ძეს ეწვია მისი ძმისშვილი, რომელსაც სახლში არავინ იცნობდა. ვიღაცამ იგი ვლადიმერ ილიჩს მიამსგავსა და ეს თავისი ეპეები აცნობა. სადაც ჯერ არს. ამას მოჰყვა ღამის ვიზიტი და მთელი ბინის გადაქოთება, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

ე. ულიანოვა

ვ. ი. ლენინის მკვლელობის პირველი ცდა

1918 წ. 1 (14) იანვარს, საღამო ხანს, ვლადიმერ ილიჩი სიტყვით გამოდიოდა მიხაილოვის მანეჟში სოციალისტური არმიის პირველი რაზმის წინაშე, რომელიც ფრონტზე მიემგზავრებოდა.

მიტინგზე მას თან ახლდნენ შვეიცარიელი ამხანაგი პლატენი და ამ სტრიქონების დამწერი. მიტინგის შემდეგ მანეჟიდან რომ გამოვედით, ჩავსხედით დახურულ ავტომობილში და წავედით სმოლნში. მაგრამ რამდენიმე ათეული საჟენიც არ გამრბეველო, რომ უკანიდან ავტომობილის ძარას ხოშკაკალიით მოაყარეს თოფის ტყვიები. „გვესვრიან“, — ვთქვი მე. ეს დაადასტურა პლატენმაც, რომელმაც პირველ ყოვლისა ხელი სტაცა ვლადიმერ ილიჩის თავს (ისინი უკან ისხდნენ) და გვერდზე გადასწია, მაგრამ ილიჩი გვარწმუნებდა, რომ ჩვენ ვცდებით და რომ ის სრულიადაც არ ფიქრობს, რომ ეს იყო სროლა. სროლის შემდეგ შოფერმა სვლას უმატა, შემდგომ მოუხვია კუთხეში და გაჩერდა; გამოალო ავტომობილის კარი და იკითხა: „ყველანი ცოცხალი ხართ?“ — „ნუთუ მართლა გვესროლეს?“ — ჰკითხა მას ილიჩმა. „აბა როგორ, — უპასუხა შოფერმა, — მე ვიფიქრე, — უკვე არც ერთი ცოცხალი აღარ

ხართ. ბედნიერად გადავრჩით. სალტეში რომ მოერტყათ, ვეღარც წამოვიდოდით. ამასთან ძალიან ჩქარა სვლაც შეუძლებელი იყო, — ნისლი დგას, ისედაც ალალბედზე მოვდიოდით“.

ირგვლივ მართლაც პიტერის ხშირი თეთრი ნისლი იდგა.

სმოლნში რომ ჩამოვედით, დავუწყეთ სინჯვა მანქანას. გამოირკვა, რომ ძარა რამდენიმე ადგილას გახვრეტილი იყო ტყვიებით, ზოგ მათგანს გაევლო და წინა შუშა გაემტვრია. აქვე აღმოვაჩინეთ, რომ ამხ. პლატენს ხელიდან სისხლი სდიოდა. ტყვიას გაეკრა მისთვის, როგორც ჩანს, როცა ვლადიმერ ილიჩის თავს განზე ეწეოდა და თითზე კანი აეგლიჯა.

„მართლა ბედნიერად გადავრჩით“, — ვეუბნებოდით ერთმანეთს, როცა კიბეზე ავდიოდით ილიჩის კაბინეტში.

მ. ულიანოვა

*

დასვენება

1918 წლის ზაფხულის დამდეგს, როცა უნდა გადაგვეწყვიტა, თუ სად გაგვეტარებინა დასვენების დღეები, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა შესთავაზა ვლადიმერ ილიჩს — სწვეოდა მას აგარაკზე ტარასოვკაში. იქ მას მეორე სართულზე ორი პატარა თავისუფალი ოთახი ჰქონდა სააგარაკო სახლში, რომელიც იმ სახლის გვერდით იდგა, სადაც ვლადიმერ დიმიტრის-ძის ოჯახი ცხოვრობდა. საჭმელ-სასმელზე მასთან უნდა ვყოფილიყავით.

ლენინის ინსტიტუტში შემონახულია ბარათი, დაწერილი, როგორც ჩანს რომელიღაც სხდომაზე; — ვლადიმერ ილიჩი ჩვეულებრივ მიმართავდა ხოლმე ამ ხერხს, სხდომებზე ის არავითარ ხმაურობასა და გადალაპარაკებას არ უშვებდა; ეს ბარათი შემდეგი შინაარსისაა:

1) როგორაა საქმე აგარაკზე?

2) შემდეგ კვირას შეიძლება წავიდეთ?

3) ორნი თუ სამნი?

4) შეიძლება თუ არა იქ ავტოს მოვაცდევინოთ?

ვლადიმერ დიმიტრის-ძემ დადებითად უპასუხა ამ კითხვებზე და თან აღნიშნა, რომ უკვე გასცა განკარგულება თეთრეულისა და სხვათა გაგზავნის შესახებ.

„კარტოფილი ვიყიდე, — დასძენდა იგი. — რძე და ხაჭო საუცხოოა, არის სხვა პროდუქტიც“.

ამრიგად, აგარაკის საქმე გაჩარხული იყო. მაგრამ ჩვენ იქ ორჯერ-სამჯერ თუ ვიყავით, მეტად არა, მიუხედავად ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის სტუმართმოყვარეობისა. საქმე ისაა, რომ ვლადიმერ ილიჩს სრულიად განმარტოებით უყვარდა დასვენება.

„აქ დასვენება საუცხოოა, — სწერდა ის დედას სტირსუდენიდან (ფინეთი), სადაც 1907 წლის ზაფხულში ცხოვრობდა, — ბანაობა, სეირნობა, უკაცრიელობა, უსაქმობა. უკაცრიელობა და უსაქმობა ყველაზე უმჯობესია ჩემთვის“.

ტარასოვკაში კი დიდძალი ხალხი იყო. მართალია, ჩვეულებრივ ჩვენ დილიდანვე მარტო მივდიოდით სასეირნოდ ტყეში და რაც შეიძლებოდა შორს მივიწევდით, რათა თავიდან აგვეცილებინა ნაცნობებთან შეხვედრა და მათთან ძალაუნებური საუბარი, რაც ქალაქშიც დამღლელი იყო ვლადიმერ ილიჩისათვის. მაგრამ ამ შეხვედრების აცილება მაინც შეუძლებელი იყო — სადილზე, ჩაიზე და ა. შ. ამრიგად, ნამდვილი დასვენება ვლადიმერ ილიჩისათვის არ ხერხდებოდა. მაგრამ ყველაზე დიდი ბოროტება ტარასოვკის აგარაკზე—ეს იყო კოღოები, რომლებსაც ვლადიმერ ილიჩი სრულიად ვერ იტანდა, ფანჯრებს ბადეები არ ჰქონდა და კოღოებიც დაუბრკოლებლად ავსებდნენ ჩვენი „მონრეპოს“ ოთახებს თავიანთი ზუზუნით. ერთხელ, როცა ვლადიმერ ილიჩმა ამაოდ სცადა ღამით დაძინება, გამთენიას იგი წამოხტა და ქალაქში გაიქცა. მას შემდეგ ტარასოვკაში აღარ წავსულვართ.

სხვა აგარაკი არ გვქონდა და თავისუფალ დღეს, სუფთა ჰაერი რომ გვესუნთქა, წესად შემოვიღეთ თუნდაც რამდე-

ნიმე საათით გავსულიყავით ქალაქგარეთ; სადილის ნაცვლად თან მიგვქონდა ბუტერბროდები. დავდიოდით სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ მალე ვლადიმერ ილიჩის საყვარელ ადგილად გადაიქცა პატარა ტყე მდინარე მოსკოვის ნაპირას ბარვიხის ახლოს. ჩვენ ავირჩიეთ განმარტოებული ადგილი გორაკზე, საიდანაც იშლებოდა მდინარისა და ირგვლივ მდებარე მინდვრების ფართო ხედი; იქ ვატარებდით დროს საღამომდე. ვლადიმერ ილიჩის შოფერი, ამხანაგი გილი, თავისი ავტოთი იქვე მახლობლად ჩერდებოდა, ვლადიმერ ილიჩს იმ დროს დაცვა არ ჰყავდა. ეს დაბა ჩვენ კარგად შევისწავლეთ და უკვე ვიცოდით, თუ ჩვენს „მონრეპო"-სთან მომავალი სასოფლო გზის რომელი ბოგირი გაუძლებდა მანქანას.

ეს ვიცოდით, მართალია, ერთგვარი სავალალო გამოცდილებით, — ერთი პატარა ბოგირი ძალიან დაზიანდა მძიმე მანქანის გავლისას. მაგრამ ვლადიმერ ილიჩმა იმწამსვე მოითხოვა გაეჩერებინათ მანქანა და ბოგირი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, წესრიგზე მოეყვანათ.

ზოგჯერ ჩვენს მანქანას, როცა სოფელზე მივდიოდით, სირბილით აედევნებოდა თეთრთავიანი გლეხი. ბავშვების მთელი გროვა. ისინი გვთხოვდნენ „გასეირნებას". ვლადიმერ ილიჩი, რომელსაც ბავშვები ძალიან უყვარდა, სთხოვდა გილს გაჩერებულიყო; მანქანა მყისვე აივსებოდა მოკიჟინე, მოზეიმე ბავშვებით. ერთი-ერთნახევარი კილომეტრის გავლის შემდეგ ბავშვები მანქანიდან ჩამოხტებოდნენ და მხიარული ყივილ-ხივილით გარბოდნენ უკან სოფლის მიმართულებით.

რარიგ პრიმიტიულიც უნდა ყოფილიყო ასეთი დასვენება —იმ დროს ძნელი იყო სხვანაირ დასვენებაზე ფიქრი, — ყველა ჩვენგანში ის ძლიერ კარგ მოგონებას ტოვებდა; ჩვენ შინ ვბრუნდებოდით გამოცოცხლებულნი და კმაყოფილნი.

ნ. კ. კრუპსკაია

მოგონებებიდან ვ.ი. ლენინის შესახებ

ილიჩის ბავშვობა და ადრეული სიჭაბუკე

ვლადიმერ ილიჩის ბავშვობაზე მე დავწერ უმთავრესად იმას, რაც თვითონ მისგან მსმენია ჩვენი ერთად ცხოვრების განმავლობაში. მართალია, ილიჩი, რომელიც მთელი არსებით რევოლუციური მოღვაწეობით იყო გატაცებული, ნაკლებად ეძლეოდა მოგონებებს, — ისე, შემთხვევის გამო თუ მიამბობდა რამეს. მაგრამ ჩვენ ერთი თაობის ადამიანები ვიყავით (მე ერთი წლით უფროსი ვარ), დაახლოებით ერთსა და იმავე წრეში ვიზრდებოდით, ეგრეთწოდებული „რაზნოჩინცული ინტელიგენციის“ წრეში. ამიტომაც მისი, თუნდაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოგონებები ბევრ რამეს მეუბნებოდა.

ვლადიმერ ილიჩი დაიბადა 1870 წლის 22 აპრილს ვოლგისპირა პატარა ქალაქ სიმბირსკში და 17 წლამდე იქ დაჰყო. ეს იყო საგუბერნიო ქალაქი, მაგრამ ახლა რომ უმზერ იმდროინდელი სიმბირსკის ქუჩების, სახლების, მიდამოების ჩანახატებს, — გრძნობ, რა მყუდრო კუთხე უნდა ყოფილიყო ეს მაშინ. არ იყო იქ არც ფაბრიკები, არც ქარხნები, არც რკინიგზა და, ცხადია, არც ტელეფონი და რადიო.

ილიჩის ნამდვილი გვარი იყო ულიანოვი. მხოლოდ ბევრად უფრო გვიან, როცა რევოლუციონერი გახდა, კონსპირაციული მოსაზრებით, მან იწყო წერა მოგონილი გვარით ლენინ,— მას

შემდეგ ასეც უწოდებენ მას. ახლა სიმბირსკი ილიჩის ხსოვნის ნიშნად ულიანოვსკის სახელს ატარებს. ამჟამად ულიანოვსკი უმთავრესად სასწავლო ქალაქია, იქ ბევრია მოსწავლე ახალგაზრდობა, იქ არის ლენინის მუზეუმის ფილიალი.

ვლადიმერ ილიჩის მამა, ილია ნიკოლოზის-ძე უბრალო წოდებისა იყო, ასტრახანელი მოქალაქეების წრიდან გამოსული ის ცხოვრობდა მძიმე პირობებში, ეკუთვნოდა ეგრეთწოდებულ მოხარკე წოდებას, რომელსაც განათლების გზა დახშული ჰქონდა. ის 7 წლისა დაობლდა, და მხოლოდ უფროსი ძმის დახმარების წყალობით, ძმისა, რომელიც უკანასკნელ გროშებს მის განათლებას ახმარდა, აგრეთვე ჩვეულებრივი ნიჭისა და გულმოდგინე შრომის მეოხებით ილია ნიკოლოზის-ძემ შეძლო „კაცი გამხდარიყო“, დაემთავრებინა გიმნაზია და შემდეგ ყაზანის უნივერსიტეტი 1854 წელს. ის პედაგოგი გახდა, თავდაპირველად ასწავლიდა ფიზიკას და მათემატიკას პენზის სათავადაზნაურო ინსტიტუტის უფროს კლასებში, შემდეგ იყო მასწავლებლად ნიჟნი ნოვგოროდის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, ამის შემდეგ სიმბირსკის სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორი და, ბოლოს, ამ სასწავლებლების დირექტორი. ილია ნიკოლოზის-ძემ ყაზანის უნივერსიტეტი დაამთავრა იმ დროს, როცა ყირიმის ომი იყო გაჩაღებული. ამ ომმა განსაკუთრებული ძალით გამოააშკარავა ბატონყმობის სრული სიდამპლე, ცხადყო ნიკოლოზის რეჟიმის მთელი სიველურე. ეს იყო დრო, როცა მძაფრად აკრიტიკებდნენ ბატონყმობის ეპოქას, ბატონყმურ წყობას, მაგრამ რევოლუციური მოძრაობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო.

ბოლომდე რომ გავიგოთ, ვინ იყო ილია ნიკოლოზის-ძე, უნდა გადავიკითხოთ „სოვრემენიკი“, რომელიც ნეკრასოვისა და პანაევის რედაქციით გამოდიოდა და რომელშიაც თანამშრომლობდნენ ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი. როგორც ვლადიმერ ილიჩის უფროსი და — ანა ილიას ასული, ისე თვითონ ვლადიმერ ილიჩი იგონებდნენ ხოლმე, როგორ უყვარდა

ილია ნიკოლოზის-ძეს ნეკრასოვის ლექსები. როგორც პედაგოგი, ილია ნიკოლოზის-ძე განსაკუთრებით გულმოდგინედ კითხულობდა დობროლუბოვს. პედაგოგიური ფრონტი იმ დროს ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი იყო. ჯერ კიდევ 1856 წელს დალი —„ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ავტორი მკაცრად ილაშქრებდა გლეხთა წიგნიერობის წინააღმდეგ. სკოლაში გამეფებული იყო ნამდვილი ბურსის რეჟიმი; გიმნაზიებშიაც კი, სადაც მხოლოდ თავადაზნაურთა და მოსამსახურეთა ბავშვებს ღებულობდნენ, შემოღებული იყო გაწკეპლვა.

ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა დობროლუბოვი ბატონყმური სკოლის წინააღმდეგ. ის გარდაიცვალა 1861 წელს, როცა 25 წლის ჭაბუკი იყო. 1857 წელს დაიბეჭდა მისი სტატია „ავტორიტეტის მნიშვნელობის შესახებ აღზრდაში“, რომელიც მან მიუძღვნა მასწავლებლის ავტორიტეტის საკითხს. ამ სტატიაში დობროლუბოვი სკოლის მონური, ბატონყმური წყობის დროინდელ ავტორიტეტს უპირისპირებდა იმ ავტორიტეტს, რომელსაც მასწავლებელი, პედაგოგი იხვეჭს მოწაფეთა პატივისცემის წყალობით. დობროლუბოვს მოჰყავდა ციტატები პიროგოვიდან და წერდა რწმენის როლის შესახებ: „...რწმენა ადვილად არ მოიპოვება: „მხოლოდ მას შეუძლია ჰქონდეს ის, ვინც ადრიდანვე შეჩვეულია ღრმად ჩაწვდეს თავის თავს, ვინც შეჩვეულია სიცოცხლის პირველი წლებიდანვე გულწრფელად უყვარდეს სიმართლე, გამოესარჩლოს მას და იყოს ძალდაუტანებლად გულახდილი, როგორც დამრიგებლებთან, ისე ტოლმეგობრებთანაც“. შემდეგ განაგრძობს: „ხშირად ხდება, რომ ბავშვს მსხვერპლად სწირავენ პედაგოგიურ მოსაზრებებს. დადგება რა თავისი ზნეობრივი შეხედულების პოზიციაზე, აღმზრდელი მოსწავლეს ისე უყურებს, როგორც თავის საკუთრებას, ნივთს, რომლის მიმართ შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მას სურს“, ამას-

თან „მხედველობიდან უშვებს ერთ დიდმნიშვნელოვან გარემოებას — ბავშვთა, და საერთოდ აღსაზრდელთა, ნამდვილ ცხოვრებასა და ბუნებას...“ ამ სტატიაში დობროლუბოვი მწვავედ, მგზნებარედ ილაშქრებს ბრმა, მონური, უთუო მორჩილების წინააღმდეგ. „განა საჭიროა ლაპარაკი იმ დამღუპველი გავლენის შესახებ, რომელსაც უ თ უ ო მორჩილებისადმი შეჩვევა ახდენს ნებისყოფის განვითარებაზე?“ — წერდა იგი.

ამავე სტატიაში დობროლუბოვი აღნიშნავდა, რომ ბავშვის უთუო მორჩილებისას საჭიროა აღმზრდელის უთუო შეუმცდარობაც, და წერდა: „მაგრამ კიდევაც რომ დავუშვათ, რომ აღმზრდელს ყოველთვის შეუძლია მოსწავლის პიროვნებაზე მაღლა იდგეს (რაც ხდება, თუმცა, ცხადია, ყოველთვის არა, არა და არა). — ყოველ შემთხვევაში მას არ შეუძლია მთელ თაობაზე მაღლა იდგეს. ბავშვი ახალ სფეროში ცხოვრებისთვის ემზადება, მისი ცხოვრების პირობები უკვე ისეთი აღარ იქნება, როგორიც იყო 20—30 წლის წინათ, როცა მისმა აღმზრდელმა მიიღო განათლება. ჩვეულებრივ აღმზრდელი არამცთუ წინასწარ ვერ სჭვრეტს ახალი დროის მოთხოვნებს, არამედ პირდაპირ არც კი ესმის ეს მოთხოვნები და უაზრობად მიიჩნევს მათ“.

ამ სტატიაში დობროლუბოვი გამოყოფდა პროფესორ-ქირურგის, პედაგოგ პიროგოვის სწორ აზრებს, მაგრამ როცა პიროგოვი რეაქციის გზას გაჰყვა და „კანონიერების გრძნობის ჩანერგვის“ მიზნით სასჯელთა სისტემა წამოაყენა, მათ შორის გაწკეპლვაც და სკოლიდან გარიცხვაც, — დობროლუბოვმა მთელი მგზნებარებით დაგმო იგი.

ნეკრასოვი, რომელიც ეგზომ უყვარდა ლენინის მამას — ილია ნიკოლოზის-ძეს, ლექსში „დობროლუბოვის ხსოვნას“ წერდა მის შესახებ:

...ეყავი წმინდა, ჭაბუკი გული
არ გაალაღე, არ მიეც შვება!
სამშობლო როგორც სატრფო გიყვარდა,
დიდების გვირგვინს მას უმზადებდი,

შრომას, სიცოცხლეს აძლევდი მსხვერპლად,
და განთიადის კარებს აღებდი!
მაგრამ უდროოდ მოგეღო ბოლო,
მძლავრი კალამი გაეშვა ხელსა...
ო, რა კანდელი ჩაქრა უდროოდ
და ან რა გულმა საფლავს ჩაკენესა?

დობროლუბოვმა ილია ნიკოლოზის-ძის მართალი გულიც დაატყვევა, და ამან განსაზღვრა ილია ნიკოლოზის-ძის როგორც სიმბირსკის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა დირექტორის და როგორც თავისი შვილის — ლენინის — და სხვა თავისი შვილების აღმზრდელის მუშაობა, შვილებისა, რომელნიც ყველანი რევოლუციონერები გახდნენ.

სანამ ილია ნიკოლოზის-ძე სიმბირსკის გუბერნიაში დაიწყებდა მუშაობას, ამ გუბერნიის გლეხობა თითქმის მთლიანად უწიგნური იყო. ილია ნიკოლოზის-ძის ღონისძიებათა მეოხებით გუბერნიაში სკოლების რიცხვი 450-მდე გაიზარდა; დიდი მუშაობა გასწია მან მასწავლებლებთან. სკოლების გახსნა მარტო ბრძანებით როდი ხდებოდა: უხდებოდათ ადგილზე მისვლა ფორანში ნჯღრევა-ჯაგჯაგი, სასტუმრო ბაკებში ღამის გათევა, სოფლის პოლიციელებთან ჩხუბი, გლეხთა კრებების მოწვევა. ილიჩი ხარბად ისმენდა მამის მოთხრობას სოფლის შესახებ. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პატარა ბიჭი იყო, ბევრი რამ სმენია მას სოფლის შესახებ ძიძისაგან, რომელიც ძალიან უყვარდა, აგრეთვე დედისგან, ვინც აგრეთვე სოფელში გაიზარდა.

ამან შეაჩვია ილიჩი ბავშვობიდანვე დაკვირვებოდა სოფლის ცხოვრებას, ამან დაასვა ბეჭედი მას, როგორც რევოლუციონერის, მთელ მოღვაწეობას, ამან მისცა შესაძლებლობა მარქსიზმის შესწავლის შემდეგ გაეგო, რომ სოციალიზმს შეუძლია გაიმარჯვოს ჩვენს ჩამორჩენილ რუსეთშიც, სადაც აბის მრავალრიცხოვანი დაქსაქსული გლეხობა. ამან მისცა მას შესაძლებლობა დაესახა ბრძოლის სწორი გზა, რომელმაც გამარჯვებამდე მიიყვანა ჩვენი დიდი სამშობლო.

ილია ნიკოლოზის-ძე ასტრახანში იზრდებოდა; იგი როდი ‹ყო ცხოვრებისაგან კედლით გამიჯნული. როგორც სახალხო სასწავლებელთა დირექტორი, ილია ნიკოლოზის-ძე თავის მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმას, რომ შეეიარაღებინა ცოდნით მრავალრიცხოვანი ადგილობრივი ‹ბკვიდრნი —„ინოროდცები“, როგორც იმ დროს უწოდებდნენ სხვა ერის ადამიანებს, რომლებიც სიმბირსკის გუბერნიაშიც ცხოვრობდნენ.

1937 წელს მე მივიღე წერილი ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკის, ‹ბატირევის რაიონის, პოლევოსუნდირის არასრული საშუალო სკოლის ჩუვაშ მასწავლებლის — ივანე იაკობის-ძე ზაიცევისაგან. იგი 77 წლისაა. უკვე 55 წელია, რაც მასწავლებლობს ჩუვაშთა სკოლებში. აქვს „შრომის გმირის“ და „განათლების წარჩინებული მუშაკის“ წოდება. აქტიური საზოგადოებრივი მუშაკია. ეწეოდა მუშაობას წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის დარგში, იყო განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე, სოფლის საბჭოს წევრი, ადგილკომის წევრი და სხვ. მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის დარგში, იყო ინსტრუქტორი ყველა სახალხო აღწერაში, ეწეოდა მუშაობას მეტეოროლოგიურ სადგურში და ა. შ.

ივანე იაკობის-ძე მოჯამაგირის შვილია. 8-დან 13 წლამდე ბატებს მწყემსავდა. მას ძლიერ სწყუროდა სწავლა, ამიტომ მამას სახლიდან გაეპარა იმ მიზნით, რომ შესულიყო სკოლაში. ორი დღე მოუნდა სიმბირსკში ჩასვლას და, თუმცა მეცადინეობის დაწყებას ვერ მიუსწრო, მაინც იქნა მიღებული სკოლაში ილია ნიკოლოზის-ძის წყალობით, რომელსაც შეეცოდა ბიჭუნა. ივანე იაკობის-ძე ზაიცევი გვიამბობს, როგორ იყო, რომ ერთხელ, სკოლაში მისი ყოფნის პირველ წელს, არითმეტიკის გაკვეთილზე მივიდა ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვი. ილია ნიკოლოზის-ძემ გაიძახა იგი დაფასთან; ზაიცევმა კარგად გადასწყვიტა და ამოხსნა ამოცანა. ილია ნიკოლოზის-ძემ უთხრა: „კარგია, წადი შენს ადგილზე!“

ნასადილევს, — გვიამბობს თავის წერილში ივანე იაკობის-ძე,—მოწაფეებს მოგვცეს დამოუკიდებელი წერითი სამუშაო— თხზულება. მასწავლებელმა მოგვცა თემა „დღევანდელი დღის შთაბეჭდილება“. ამასთან მან გამოგვიცხადა, რომ შეგვიძლია დავწეროთ ყოველგვარ შემთხვევაზე ჩვენი სკოლის ცხოვრებიდან, რომელიც კი თვითონ ჩვენ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ერთი სიტყვით, შეგვეძლო დაგვეწერა, რაზედაც გვსურდა.

ყველა მოწაფე რამდენიმე წუთს დაფიქრდა შესაფერი თემის ძებნაში. ზოგიერთს გაახსენდა საკმაოდ სასაცილო შემთხვევები სკოლის ცხოვრებიდან, სხვები კი ცდილობდნენ გამოეგონებიათ რამე. მე დიდხანს როდი შომიხდა თემის ძებნა, რადგან თავში მქონდა ჩარჩენილი დირექტორის — ილია ნიკოლოზის-ძის დასწრება მათემატიკის გაკვეთილზე და მის მიერ ამოცანის გადაწყვეტის გეგმის ახსნა. მეც გადავწყვიტე დამეწერა ამის შესახებ.

დავწერე. „დღეს, დილის 9 საათზე მათემატიკის გაკვეთილის დროს, ჩვენთან მოვიდა ბ-ნი დირექტორი, ილია ნიკოლოზის-ძე. გამიწვიეს საკლასო დაფასთან და მომცეს ამოცანა, რომელშიც რამდენჯერმე განმეორებული იყო სიტყვა „გრიეენნიკ“[1]. მე დავწერე ამოცანა, წავიკითხე იგი და შევუდექი გადაწყვეტის მსვლელობის დაგეგმვას. ბ-მა დირექტორმა, ილია ნიკოლოზის-ძემ, მომცა მისახვედრი კითხვები, და აქ მე შევამჩნიე, რომ ილია ნიკოლოზის-ძე ოდნავ ენას უქცევდა და სიტყვას „გრიეენნიკ“-ს გამოთქვამდა — „გგიეენნიკ“. ეს ჩამრჩა თავში და ამან მაფიქრებინა: „მე მოწაფე ვარ და მე შემიძლია სწორად გამოვთქვა ბგერა „რ“, მას კი, დირექტორს, ასეთ დიდ და სწავლულ კაცს, არ შეუძლია გამოთქვას ბგერა „რ“ და ამბობს „გგ“-ს.

---

[1] უზალთუნი, ორშაურიანი. — რ ე დ.

შემდგომ დავწერე რაღაც წვრილმანზე და ამით დავამთავრე თხზულება. მოგვიგემ შეაგროვა რვეულები და გადასცა მასწავლებელ ვ. ა. კალაშნიკოვს.

ორი დღის შემდეგ, ნასადილევს, გაკვეთილზე უნდა გადმოგვეცა წაკითხული სტატიის შინაარსი. დაგვირიგეს ჩვენი რვეულები. ყველა მოუთმენლად ეძებდა დასმულ ნიშანს. ზოგნი გახარებული იყვნენ, ზოგნი არც სიხარულს გამოხატავდნენ, არც წყენას.

მასწავლებელმა კალაშნიკოვმა განზრახ დაიტოვა ჩემი რვეული. შემდეგ მან რვეული სახეში მომახალა და აღშფოთებით მითხრა: „ღორო!“.

მე ავიღე რვეული, გადავშალე და ვნახე, რომ ჩემი თხზულება გადახაზულია ჯვარედინი წითელი ხაზით, ხოლო ბოლოში დასმულია ნიშანი „0“ — ნოლი. შემდეგ ხელმოწერა. კინაღამ ვიტირე. თვალებზე ცრემლები მომადგა. მე ბუნებით უბრალო, გულუბრყვილო, შთაბეჭდილებიანი და სიმართლის მოყვარული ვიყავი. ასეთი დავრჩი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

წერითი მუშაობის დროს საკლასო ოთახში შემოვიდა ილია ნიკოლოზის-ძე. მივესალმეთ და განვაგრძეთ მუშაობა. ილია ნიკოლოზის-ძე მერხებს შორის დადიოდა. თვალყურს ადევნებდა მუშაობას და ზოგან ჩერდებოდა. მოვიდა ჩემამდეც. დაინახა რა ჩემს წინა ნაწერზე წითელი ირიბი ჯვარი და ნიშანი ნოლი, ცალი ხელი მხარზე დამადო, მეორეთი კი აიღო ჩემი რვეული და დაიწყო კითხვა. კითხულობს და იღიმება. შემდეგ დაუძახა მასწავლებელს და ჰკითხა: „ვასილ ანდრიას-ძევ, რისთვის დააჯილდოვეთ ეს ყმაწვილი წითელი ჯვრის ორდენითა და ვეებერთელა კარტოფილით? თხზულება დაწერილია გრამატიკულად სწორად, თანმიმდევრულად; აქ არაფერი მოგონილი და ხელოვნური არაა. რაც მთავარია— დაწერილია გულწრფელად და სრულიად შეესაბამება თქვენს მიერ მიცემულ თემას“.

მასწავლებელი დაიბნა და თქვა, რომ თხზულებაში არის უფროსებისათვის შეუფერებელი ადგილები, რომ თითქოს მან... დირექტორმა ი. ნ. ულიანოვმა სიტყვა შეაწყვეტინა და უთხრა: „ეს თხზულება — ერთი საუკეთესოთაგანია. წაიკითხეთ თქვენ მიერ მიცემული თემა: „დღევანდელი დღის შთაბეჭდილებანი". მოსწავლემ დაწერა სწორედ ის, რამაც მასზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა წარსული გაკვეთილების დროს. თხზულება ჩინებულია". შემდეგ ვან აიღო ჩემი კალმისტარი და თხზულების ბოლოს დაწერა „ფრიადი", ხელიც მოაწერა: „ულიანოვი".

ეს შემთხვევა არასოდეს დამავიწყდება: მისი დავიწყება შეუძლებელია. ილია ნიკოლოზის-ძემ დაამტკიცა, რამდენად კეთილი, უბრალო და სამართლიანი იყო".

ილიჩი მამის გზით მიდიოდა. გიმნაზიის უფროს კლასში იგი მთელ წელიწადს ამაცადინებდა რუსულ ენაში ჩამორჩენილ ჩუვაშ ამხანაგს, რომ უნივერსიტეტში შესასვლელად მოემზადებინა და მოამზადა კიდევაც.

მაგრამ ილიჩის მთელ რევოლუციურ მოღვაწეობაზეც კი მოახდინა გავლენა ილია ნიკოლოზის-ძის ამ დამოკიდებულებამ პატარა ერების წარმომადგენლებისადმი: ყველამ იცის, რა დიდი მუშაობა გასწია ლენინმა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის საფუძვლის ჩასაყრელად.

მტკიცე ნებისყოფაზე წერდა დობროლუბოვი. დობროლუბოვის მეთოდებით ზრდიდა ილიჩს მამამისი. ცხრა-ნახევარი წლის იყო ვლადიმერ ილიჩი გიმნაზიაში რომ შევიდა, ყოველთვის ფრიადზე სწავლობდა, დაამთავრა ოქროს მედალზე. ამას არც ისე იოლად აღწევდა იგი, როგორც ბევრი ფიქრობს. ილიჩი მეტად მკვირცხლი იყო. უყვარდა სიარული, შორს გავლა, უყვარდა ვოლგა, სვიაგა, უყვარდა ბანაობა, ცურვა, ციგურაობა. ერთხელ ილიჩმა მიამბო: „ძალიან მიყვარდა ციგურაობა, მაგრამ შევატყვე, რომ სწავლაში ხელს მიშლიდა, — მივატოვე". ილიჩს ძალიან უყვარდა კითხვა,

წიგნები მას იტაცებდა, იპყრობდა, ესაუბრებოდა ცხოვრებაზე, ადამიანებზე. ფართო ჰორიზონტს უშლიდა, ხოლო გიმნაზიაში სწავლა მოსაწყენი და სიცოცხლეს მოკლებული იყო. საჭირო ხდებოდა ნებისყოფის დაძაბვა, რომ ესწავლა ყოველგვარი უსარგებლო რამ. მაგრამ მას შემოღებული ჰქონდა ასეთი წესი: ჯერ გაკვეთილებს ისწავლიდა, შემდეგ შეუდგებოდა კითხვას. თავდაჭერილი იყო. დროს ზოგავდა. ყოველთვის დიდი გულისყურით კითხულობდა და ამიტომ ძალიან სწრაფად კითხულობდა. წიგნებიდან ამონაწერებს აკეთებდა, ცდილობდა ჩაწერაზე მცირე დრო დაეხარჯა. ვისაც ილიჩის ხელნაწერი უნახავს, იცის, თუ როგორ თავისებურად ამოკლებდა სიტყვებს. ამის გამო შეეძლო ძალიან ჩქარა ჩაეწერა ის, რაც სურდა.

მან ძლიერი ნებისყოფა გამოიმუშავა. რასაც იტყოდა,— გაკეთებდა კიდეც. მის სიტყვაზე დანდობა შეიძლებოდა. ერთხელ, ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, მან სცადა თამბაქოს მოწევა. როგორღაც დედამ, მარია ალექსანდრეს ასულმა, შეამჩნია, რომ იგი თამბაქოს ეწეოდა, ძალიან ეწყინა და სთხოვა: „ვალოდია, გაანებე თავი თამბაქოს წევას“. ილიჩი შეპირდა და იმის შემდეგ ერთხელაც არ შიჰკარებია პაპიროსს.

ილია ნიკოლოზის-ძე ყურადღებას აქცევდა იმას, რომ ვლადიმერ ილიჩს კარგად და ბეჯითად ესწავლა, ამავე დროს ცდილობდა აღეზარდა მასში, როგორც ამას დობროლუბოვი მოითხოვდა, შეგნებული დამოკიდებულება იმისადმი, რასაც სკოლაში ასწავლიდნენ. მასწავლებელი ქალი კაშკადამოვა, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა ილია ნიკოლოზის-ძეს, რომლის ხელმძღვანელობითაც იგი მუშაობდა, გვიამბობდა, თუ როგორ უყვარდა ილია ნიკოლოზის-ძეს ვალოდიას გაღიზიანება და როგორ ლანძღავდა ხუმრობით გიმნაზიას, გიმნაზიის სწავლებას, მოსწრებულად დასცინოდა მასწავლებლებს. ვალოდია ყოველთვის მოხერხებულად იგერებდა მამის იერიშებს და თავის მხრივ იწყებდა ლაპარაკს და-

წყებითი სკოლების ნაკლოვანებებზე ი'ეე, რომ ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაშიც კი აყენებდა მამას.

ვ. ვ. კაშკადამოვას ნაამბობიდან ჩანს, როგორ ასწავლიდა ილია ნიკოლოზის-ძე ილიჩს ცხოვრებაში ჩახედვას. მაგრამ ამავე დროს, როცა ილიჩი ზოგჯერ კლასში დასცინებდა ხოლმე მასწავლებელს, მაგალითად, ფრანგული ენის მასწავლებელ პორის, ილია ნიკოლოზის-ძე აფრთხილებდა და ეუბნებოდა, რომ მასწავლებლებისადმი უხეში დამოკიდებულება დაუშვებელია, თუნდაც მათ სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდეთ სწავლებაში. ვლადიმერ ილიჩიც თავს იკავებდა.

ბავშვებისადმი დობროლუბოვისებურმა დამოკიდებულებამ კიდევ ერთი თვისება აღზარდა ილიჩში: ეს იყო თავისი თავისადმი, თავისი მოღვაწეობისადმი საქმის ინტერესის თვალსაზრისით მიდგომა. სწორედ ამის გამო იყო ილიჩი თავისუფალი ყოველგვარი წვრილმანი თავმოყვარეობისაგან.

თავისი თავისადმი მკაცრი დამოკიდებულების გარდა, ილია ნიკოლოზის-ძე, როგორც ეს ზაიცევის. მოგონებებიდანაც ჩანს, ბავშვებში განსაკუთრებით აფასებდა გულწრფელობას და ცდილობდა ჩაენერგა მათთვის ეს თვისება. გულწრფელობის აღზრდის დიდი მნიშვნელობის შესახებ წერდა დობროლუბოვი. ილიჩის ერთ-ერთი განსაკუთრებით დამახასიათებელი თვისება იყო გულწრფელობა.

ილიჩი რომ 14 — 15 წლისა იყო, იგი ბევრს და გატაცებით კითხულობდა ტურგენევს. ილიჩი მიამბობდა, რომ მაშინ ძალიან მოსწონდა ტურგენევის მოთხრობა „ანდრია კოლოსოვი", სადაც დასმულია სიყვარულის გულწრფელობის საკითხი. მეც ამ წლებში ძალიან მომწონდა „ანდრია კოლოსოვი". რა თქმა უნდა, საკითხი ისე მარტივად არ წყდება, როგორც იქაა აღწერილი, და საქმე არც მარტო გულწრფელობაა, საჭიროა ზრუნვაც ადამიანზე და მისდამი ყურადღება. მაგრამ ჩვენ, მოზარდებს, რომლებიც მაშინდელ მეშჩანურ ყოფა-ცხოვრებაში ვხედავდით ჯერ კიდევ დიდად გავრცელებულ ანგარე-

ბიან ქორწინებას, დიდ არაგულწრფელობას, — მოგვწონდა „ანდრია კოლოსოვი“. ჩვენ ძლიერ მოგვწონდა აგრეთვე ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?“ ილიჩმა იგი პირველად წაიკითხა გიმნაზიის წლებში. მახსოვს, როცა ჩვენ ციმბირში დავიწყეთ ლაპარაკი ამ თემებზე, ძალიან გამაკვირვა იმან, თუ რა დაწვრილებით იცოდა ილიჩმა ჩერნიშევსკის ეს რომანი. ამ რომანით დაიწყო მისი გატაცება ჩერნიშევსკით.

ილია ნიკოლოზის-ძე იყო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, რომელიც თავდადებული იბრძოდა ხალხის გაუნათლებლობის წინააღმდეგ, მონობის ნაშთების წინააღმდეგ, მაგრამ იგი იყო შვილი თავისი ეპოქისა და მას ნაკლებად აღელვებდა ის, რაც აღელვებდა მის შვილებს — ალექსანდრესა და ვლადიმერს,—ის, რის შესახებაც ლაპარაკობდა ჩერნიშევსკი— ხასიათი 1861 წლის რეფორმისა,—რომელიც განხორციელდა ისე, როგორც ეს სურდათ მემამულეებს: გამოსასყიდის გადახდა, გლეხებისათვის საუკეთესო მიწების ჩამოჭრა და სხვ. ილია ნიკოლოზის-ძისათვის მეფე ალექსანდრე II რჩებოდა მეფე-განმათავისუფლებლად. ილიჩი იგონებდა, როგორ ღელავდა ილია ნიკოლოზის-ძე, როცა ალექსანდრე II მოკვლის ამბავი მოვიდა, ჩაიცვა მუნდირი და წავიდა საკრებულო ტაძარში პანაშვიდზე. ილიჩი მაშინ მხოლოდ 11 წლისა იყო, მაგრამ ისეთ მოვლენებს, როგორიც იყო ალექსანდრე II მკვლელობა, რამაც ყველა აალაპარაკა, რის გარშემოც ყველა მსჯელობდა, შეუძლებელი იყო მოზარდებიც არ აეღელვებია. ილიჩი, მისი თქმით, ამის შემდეგ ყურადღებით უსმენდა ყოველგვარ პოლიტიკურ საუბარს.

ილიჩი კითხულობდა ყველა საბავშვო ჟურნალსა და წიგნს, რომლებსაც უგზავნიდნენ მამას, მათ შორის „დეტსკოე ჩტენიე“-საც. მაშინდელ საბავშვო ჟურნალებში კიდევ ბევრი იწერებოდა ამერიკის შესახებ (როგორც ცნობილია, 1861 — 1865 წლებში მიმდინარეობდა ჩრდილოეთ შტატების ბრძოლა სამხრეთ შტატებთან, სამხრეთ შტატებში ზანგების

მონობის მოსასპობად; ბრძოლა მიმდინარეობდა კაპიტალიზმის უფრო სწრაფი განვითარებისათვის საჭირო ნიადაგის მომზადების მიზნით, მაგრამ იგი თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშით წარმოებდა), ბევრი იწერებოდა თურქეთთან ომის შესახებ, ბალკანეთის შესახებ. ილიჩი წიგნებს უფროს ძმასაც ართმევდა. ილიჩის თანაკლასელი კუზნეცოვი იგონებს, რომ ილიჩი საკლასო ლიტერატურულ თხზულებას ყოველთვის ძალიან კარგად წერდა. როცა ილიჩი გიმნაზიაში სწავლობდა, იქ დირექტორად იყო თ. მ. კერენსკი (მამა ა. თ. კერენსკისა—ესერის, დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრისა 1917 წელს); ის ლიტერატურასაც ასწავლიდა. ყველა თემაში კერენსკი ილიჩს ყოველთვის ხუთიანებს უწერდა. მაგრამ ერთხელ ილიჩს დაუბრუნა თემა და უკმაყოფილო ტონით უთხრა: „თქვენ აქ რომელ ჩაგრულ კლასებზე სწერთ, ეს აქ რა შუაშია?“ მოწაფეები დაინტერესდნენ, რა ნიშანი დაუწერა კერენსკიმ ულიანოვს თხზულებაშიო. აღმოჩნდა, რომ მაინც ხუთიანი დაეწერა.

დიდი იყო ულიანოვების ოჯახი, აქ იყო ექვსი ბავშვი. ისინი იზრდებოდნენ წყვილ-წყვილად — უფროსები — ანა და ალექსანდრე, შემდეგ ვლადიმერი და ოლგა და, ბოლოს, უმცროსები—დიმიტრი და მარიამი. ილიჩი ძალიან მეგობრობდა ოლგას, ბავშვობაში მასთან ერთად თამაშობდა, უფრო გვიან ისინი ერთად კითხულობდნენ მარქსს. 1890 წელს ოლგა გაემგზავრა პიტერში ქალთა უმაღლეს კურსებზე და გარდაიცვალა იქ ტიფით 1891 წლის გაზაფხულზე.

ალექსანდრე იზრდებოდა რევოლუციონერად და ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ილიჩზე. უფროსები გატაცებული იყვნენ „ისკრის“ პოეტებით — ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს ჩერნიშევსკის მიმდევარი პოეტები (ძმები კუროჩკინები, მინაევი, ჟულიოვი და სხვ.), რომლებიც განსაკუთრებით მწარედ დასცინოდნენ ბატონყმობის ეპოქის ნაშთებს ყოფა-ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებაში, ცდილობდნენ ემხილებინათ „ყოველგვა-

რი უღირსობა, საძაგლობა, ბოროტება“ — ბიუროკრატიზმი, მლიქვნელობა, ფრაზიორობა. „ისკრის“ პოეტების განსაკუთრებით ბევრი ლექსი, ლეგალური და არალეგალური, იცოდა ანა ილიას ასულმა, რომელიც თავადაც წერდა ლექსებს. მთელ თავის სიცოცხლეში ახსოვდა ეს ლექსები. სიცოცხლის უკანასკნელ თვეებშიც, როცა ანა უკვე დამბლადაცემული იყო, სამსახურიდან რომ მოვიდოდი და მასთან ერთად ჩაის დასალევად დავჯდებოდი, ჩამოვაგდებდი ხოლმე საუბარს „ისკრის“ პოეტებზე. იგი ყოველთვის ხალისით ლაპარაკობდა ამის შესახებ, მე მუდამ მანცვიფრებდა მისი კოლოსალური მეხსიერება. მას ახსოვდა იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენციის მთელი რიგი საყვარელი ლექსები. როცა მე. ილიჩთან ერთად გადასახლებაში ვიყავი ციმბირში, მიკვირდა „ისკრის“ პოეტების რაოდენ ბევრი ლექსი იცოდა ილიჩმა!

ობივატელურ ჭორებს, ცარიელ ლაყბობას, რასაც ასე დასცინოდნენ „ისკრის“ პოეტები, ილიჩი ისევე ვერ იტანდა, როგორც მისი უფროსი ძმა — ალექსანდრე. როცა მათთან ოთახში მოვიდოდა რომელიმე ბიძაშვილი მრავალრიცხოვან ბიძაშვილთაგან, მათი საყვარელი ფრაზა იყო: „გაგვაბედნიერეთ თქვენი არყოფნით“. ალექსანდრე ილიას-ძე გატაცებით კითხულობდა პისარევს; იგი იზიდავდა მას თავისი საბუნებისმეტყველო სტატიებით, რომლებშიაც სასტიკად ანადგურებდა რელიგიურ შეხედულებებს. პისარევი მაშინ აკრძალული იყო. პისარევს გატაცებით კითხულობდა ვლადიმერ ილიჩიც, როცა იგი ჯერ კიდევ 14—15 წლისა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ დობროლუბოვმაც კი 1856 წელს ვერ გაწყვიტა საბოლოოდ კავშირი რელიგიასთან, ხოლო ილია ნიკოლოზის-ძე ისევ დარჩა მორწმუნედ სიკვდილამდე, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ფიზიკის მასწავლებელი და მეტეოროლოგი. მას აწუხებდა ის გარემოება, რომ მისი ვაჟები ზურგს აქცევდნენ სარწმუნოებას. ალექსანდრე ილიას-ძემ უმთავრესად პისარევის გავლენის შედეგად შეწყვიტა ეკლე-

სიაში სიარული. ანა ილიას ასული იგონებს, რომ ერთხელ ილია ნიკოლოზის-ძე სადილობისას შეეკითხა საშას: „დღეს შენ მწუხრის ლოცვაზე წახვალ?“, მან მოკლედ და მტკიცედ უპასუხა: „არა“. ამის შემდეგ ასეთი შეკითხვები აღარ განმეორებულა. ილიჩი ჰყვებოდა, რომ, როცა ის 15 წლის იყო, მამას ეწვია რომელიღაც პედაგოგი; ილია ნიკოლოზის-ძე შესჩიოდა მას, ჩემი შვილები ცუდად დადიან ეკლესიაში. ვლადიმერ ილიჩი, რომელიც ამ საუბრის დასაწყისს ესწრებოდა, მამ მ რაღაც დავალების შესასრულებლად გაგზავნა, ხოლო, როცა დავალების შესრულების შემდეგ, ილიჩმა მათ ახლოს გაიარა, სტუმარმა ღიმილით გადმოხედა მას და თქვა: „გაწკეპლვა, გაწკეპლვაა საჭირო“. აღშფოთებულმა ილიჩმა გადაწყვიტა კავშირი გაეწყვიტა რელიგიასთან, საბოლოოდ უკუეგდო იგი; გამოვარდა ეზოში, მოიხსნა ყელზე ჯვარი, რომელსაც იგი ჯერ კიდევ ატარებდა, და ძირს დააგდო.

ალექსანდრე ილიას-ძე გახდა ბუნებისმეტყველი, გაემგზავრა პიტერში, უნივერსიტეტში სასწავლებლად. იქ ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, რასაც ანა ილიას ასულსაც კი უმალავდა; ბოლო ზაფხულს, როცა ის სახლში ჩამოვიდა, ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს. ხოლო ილიჩს დიდი წყურვილი ჰქონდა ესაუბრა ვინმესთან იმ აზრების შესახებ, რომლებიც მას დაებადა. გიმნაზიაში იგი ვერავის ხედავდა ისეთს, რომელთანაც შეიძლებოდა ამ საკითხზე საუბარი. ერთხელ მან მიამბო: მეგონა, რომ ერთი ჩემი თანაკლასელი რევოლუციურად იყო განწყობილი, გადავწყვიტე გავსაუბრებოდი. შევთანხმდით წავსულიყავით სვიაგაზე. მაგრამ საუბარი არ მოხდა. გიმნაზიელმა დაიწყო ლაპარაკი პროფესიის არჩევაზე, ამბობდა, რომ საჭიროა აირჩიო ისეთი პროფესია, რომელიც ცხოვრების უკეთესად მოწყობაში დაგეხმარება, უნდა შეიქმნა კარიერაო. ილიჩმა მითხრა: „ეიფიქრე: კარიერისტია ვიღაც და არა რევოლუციონერი-მუთქი“—და აღარაფერზე არ მილაპარაკნია მასთან.

უკანასკნელ ზაფხულს ძმა ერიდებოდა ვალოდიასთან ლაპარაკს. ის ხედავდა, რომ საშა ემზადებოდა დისერტაციის დასაცავად რგოლოვან ჭიებზე, დგებოდა განთიადისას და დილიდანვე დასტრიალებდა ჭიებს, დაკვირვებებს ახდენდა, უყურებდა მიკროსკოპით, აწარმოებდა ცდებს, ვალოდია კი ფიქრობდა: „არა, არ გამოვა ჩემი ძმისაგან რევოლუციონერი". ილიჩი მალე დარწმუნდა, რომ ცდებოდა: ძმის ბედმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მასზე.

არა მარტო მამამ და ძმამ მოახდინეს დიდი გავლენა ილიჩზე, არამედ მასზე ძლიერი გავლენა ჰქონდა დედასაც. მარიამ ალექსანდრეს ასულის დედა იყო გერმანელი, ხოლო მამა წარმოშობით უკრაინელი; იგი იყო ცნობილი ექიმი-ქირურგი; მან ოცი წელი იმუშავა სამედიცინო ასპარეზზე, მერე იყიდა სახლი ყაზანიდან 40 ვერსზე მდებარე სოფელში, კოკუშკინოში; იქ მკურნალობდა გლეხებს. მამამ მარიამ ალექსანდრეს ასული არცერთ სასწავლებელში არ მიაბარა; იგი სწავლობდა სახლში, იყო მშვენიერი მუსიკოსი, ბევრს კითხულობდა, იცნობდა ცხოვრებას. მამამ მიაჩვია დიდ წესრიგს, იყო კარგი დიასახლისი. მან შემდეგ თავის ქალიშვილებსაც ასწავლა დიასახლისობა. გათხოვების შემდეგ, როცა მისი ოჯახი გაიზარდა, მას დიდი საზრუნავი გაუჩნდა. ილია ნიკოლოზის-ძის ხელფასი ძლივძლივობით ჰყოფნიდათ, საჭირო იყო დიდი გარჯა, რომ შეექმნა ის მყუდროება, ის წესრიგი, რაც ულიანოვების ოჯახში იყო და რაც ბავშვებს მშვიდი, გონივრული სწავლის შესაძლებლობას აძლევდა, ხელს უწყობდა ბავშვებში კულტურული ჩვევების ჩანერგვას.

ბავშვების სწავლას მარიამ ალექსანდრეს ასული, ისევე როგორც ილიჩის მამა, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა; ასწავლიდა მათ გერმანულ ენას; ილიჩი ღიმილით მიამბობდა, თუ როგორ აქებდა მას უმცროს კლასებში გერმანელი მასწავლებელი. ილიჩი შემდეგ გატაცებული იყო ენების შესწავლით, ლათინურითაც კი. მე მგონია, ორგანიზატორის ტალანტი, რომელიც გააჩნდა ილიჩს, მეტწილად დედისაგან ჰქონდა მიღებული მემკვიდრეობად.

გარდა ამისა, დედა თავისი მაგალითით უჩვენებდა უფროსებს, თუ როგორ უნდა ეზრუნათ პატარებზე. იგი აწყობდა ბავშვთა გუნდურ სიმღერას, რაც ბავშვებს ძალიან უყვარდათ, თამაშობდა ბავშვებთან. ილიჩიც ადრიდანვე ზრუნავდა უმცროს ძმასა და დაზე. ამ მხრივ ძალიან ბევრი საინტერესო მოგონება დარჩათ მარიამ ილიას ასულს და დიმიტრი ილიას-ძეს. თამაშში ილიჩს შეჰქონდა მისთვის დამახასიათებელი ორგანიზებულობა; იგი დიდ სიფაქიზესა და ყურადღებას იჩენდა პატარებთან თამაშის დროს.

უმცროსებზე ასეთმა ზრუნვამ ბეჭედი დაასვა მის შემდგომ დამოკიდებულებასაც ბავშვებისადმი. ილიჩს უყვარდა ბავშვებთან თამაში, ხუმრობა, მაგრამ არ მახსოვს, რომ ის გაჯავრებოდა მათ, არც ის უყვარდა, როცა სხვები უჯავრდებოდნენ. არასოდეს მათ ჭკუას არ არიგებდა, როგორც. ზოგჯერ ამას გვიხატავენ სურათებში.

ბავშვებში ილიჩი ხედავდა იმ საქმის განმგრძობთ, რომელსაც მან შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე. იყო შემთხვევა, რომ ებაასებოდა ბავშვებს, კითხვებს არ აძლევდა, მხოლოდ თავის გრძნობას გამოხატავდა და ეუბნებოდა: „ხომ მართალია, შენ გაიზრდები, კომუნისტი გახდები?" ყველამ იცის, რა დიდად ზრუნავდა ილიჩი ბავშვებზე, მათ კვებაზე, მათ სწავლაზე, იმაზე, რომ შეექმნა მათვის ნათელი, ბედნიერი ცხოვრება; როგორ ზრუნავდა იმაზე, რომ ისინი შეიარაღებული ყოფილიყვნენ ცოდნით, რაც აუცილებელი იყო გამარჯვებისათვის, იმის უნარით, რომ ემუშავნათ თავითაც და ხელითაც, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე ტექნიკა.

ილიჩს ყოველთვის ძლიერ უყვარდა დედა, მაგრამ განსაკუთრებით აფასებდა მას დიდი მწუხარების წლებში. 1886 წელს გარდაიცვალა ილია ნიკოლოზის-ძე; ილიჩი მიამბობდა, თუ რა მხნედ გადაიტანა დედამ ქმრის სიკვდილი, რომელიც ძალიან უყვარდა. მაგრამ ილიჩი განსაკუთრებულ

ყურადღებას აქცევდა დედას და უფრო გაიგო და დააფასა იგი ძმის სიკვდილის შემდეგ. ხედავდა რა გლეხობის მძიმე ხვედრს, ყველა იმ სისაძაგლეს, რაც ირგვლივ ხდებოდა, ალექსანდრე ილიას-ძემ გადაწყვიტა, რომ საჭიროა ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ის ოთხი წლით უფროსი იყო ილიჩზე და უკვე სხვაგვარად განიცდიდა 1881 წლის 1 მარტსაც, სხვაგვარი იყო მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

პიტერში ალექსანდრე ილიას-ძე მიემხრო „ნაროდნაია ვოლიას“ პარტიას და აქტიური მონაწილეობა მიიღო ალექსანდრე მესამის მკვლელობის მოწყობაში. მკვლელობა ვერ მოხდა — 1887 წლის 1 მარტს. ის სხვა ამხანაგებთან ერთად დააპატიმრეს. ცნობა ალექსანდრე ილიას-ძის დაპატიმრების შესახებ მიიღო სიმბირსკში მასწავლებელმა ქალმა კაშკადამოვამ, რომელმაც თავის მხრივ აცნობა ილიჩს, როგორც უფროს შვილს ულიანოვების ოჯახში (იგი უკვე 17 წლისა იყო). ანა ილიას ასულიც ამ დროს პიტერში სწავლობდა, ქალთა უმაღლეს კურსებზე, და ისიც დააპატიმრეს. ამ საშინელი ამბის თქმა დედისათვის მოუხდა ილიჩს. იგი ხედავდა მის შეცვლილ სახეს. დედა იმავე დღეს მოემზადა პიტერში გასამგზავრებლად. იმ დროს სიმბირსკში რკინიგზა არ იყო, სიზრანამდე ცხენით უნდა ემგზავრათ, ეს კი მეტად ძვირი ღირდა. ამიტომ ჩვეულებრივ, წამსვლელები ეძებდნენ თანამგზავრებს. ილიჩი გაეშურა დედისათვის თანამგზავრის მოსაძებნად, მაგრამ ალექსანდრე ილიას-ძის დაპატიმრების ამბავი უკვე მთელ სიმბირსკში გავრცელდა, და არავინ ისურვა მგზავრობა ილიჩის დედასთან, რომელსაც მანამდე ყველა აქებ-ადიდებდა, როგორც დირექტორის მეუღლეს და ქვრივს. ულიანოვების ოჯახს ყველა განზე გაუდგა, ვინც წინათ მათთან დადიოდა, მთელი ლიბერალური „საზოგადოება“. დედის მწუხარებამ და ლიბერალური ინტელიგენციის შეშფოთებამ თავზარი დასცა 17 წლის ჭაბუკს. გაემგზავრა

დედა; მოუთმენლად ელოდა ილიჩი პიტერიდან ამბავს, განსაკუთრებით ზრუნავდა უმცროსებზე, გული გაიმაგრა და მეცადინეობა განაგრძო. ამის შემდეგ მან ბევრი რამ მოიფიქრა და გადაიფიქრა. სხვაგვარად აეღერდა მისთვის ჩერნიშევსკი, მარქსთან დაიწყო პასუხის ძებნა; ძმას ჰქონდა „კაპიტალი“, მაგრამ წინათ ძნელი იყო ილიჩისათვის ამ წიგნში გარკვევა, ხოლო ძმის დაღუპვის შემდეგ სხვაგვარად შეუდგა მის შესწავლას. ძმა ჩამოახრჩეს 8 მაისს. ცნობა რომ მიიღო, ვლადიმერ ილიჩმა თქვა: „არა, ჩვენ ამ გზით არ წავალთ! ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ“. მანამდე დედას, რომელმაც იშუამდგომლა ენახვებინათ ვაჟი და ქალიშვილი, მისცეს ვაჟის ნახვის უფლება, ამ შეხვედრამ თავზარი დასცა მას. დედამ დააპირა ერჩია თავისი ვაჟისათვის შეეტანა თხოვნა პატიების შესახებ, მაგრამ, როცა შვილმა უთხრა: „დედა, მე ეს არ შემიძლია, ეს გულწრფელობა არ იქნებოდა, — დედას რჩევა აღარ განუმეორებია და გამოთხოვებისას უთხრა: „გამხნევდი!“; დადიოდა სასამართლოში, მოისმინა შვილის სიტყვა.

ანა ილიას ასული გამოუშვეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. გადაასახლეს სოფელ კოკუშკინოში, ყაზანის ახლოს. გამოიცვალა მარიამ ალექსანდრეს ასული, მისთვის მახლობელი გახდა შვილების რევოლუციური მოღვაწეობა, და განსაკუთრებით მხურვალედ შეიყვარეს იგი შვილებმა.

1899 წელს, როცა იგი ჩამოვიდა პეტერბურგში იმისათვის, რომ ცდილიყო ვლადიმერ ილიჩი ენისეის გუბერნიიდან გადაეყვანათ საზღვარგარეთ ან თუნდაც სადმე პიტერის ახლოს, პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა ზვოლიანსკიმ მკვახედ უთხრა: „შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი შვილებით: ერთი ჩამოახრჩეს, ხოლო მეორეს ასევე ელის თოკი“. მარიამ ალექსანდრეს ასული წამოდგა და თავისი ღირსების სრული შეგნებით უთხრა: „დიახ, მე ვამაყობ ჩემი შვილებით“ (ამის შესახებ წერდა ამ საუბრის დამსწრე მ. ბ. სმირნოვი თავის მოგონებებში გაზეთ „სოვეტსკი იუგში“). ილიჩს

არაერთხელ უთქვამს, თუ რა დიდი ნებისყოფა ჰქონდა მის დედას. ერთხელ მან თქვა: „კიდევ კარგი, რომ მამა ძმის დაპატიმრებამდე გარდაიცვალა; მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო, არ ვიცი რა იქნებოდა“. მერე უკვე თვითონ მე ვხედავდი და ვუკვირდებოდი მარიამ ალექსანდრეს ასულს, ვხვდებოდი მას ილიჩის ავადმყოფობისას 1895 წელს წინასწარი პატიმრობის სახლში, სადაც მოდიოდა ილიჩის სანახავად, და მივხვდი, ასე ძლიერ რატომ უყვარდა იგი ილიჩს. „წერილებში ნათესავებისადმი“, რომლებიც შეაგროვა და გამოსცა მარიამ ილიას ასულმა, მისი წერილის თვითეული სტრიქონი გამსჭვალულია დედისადმი სიყვარულითა და მასთან სიახლოვით.

შეუძლებელია დედის მაგალითს გავლენა არ მოეხდინა ილიჩზედაც, ამიტომ, რა ძნელიც უნდა ყოფილიყო მისთვის, მან მაინც გული გაიმაგრა და ფრიადებზე ჩააბარა გამოცდები, გიმნაზია ოქროს მედალზე დაამთავრა.

ზაფხულში ულიანოვები გადავიდნენ ყაზანში, ილიჩი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში, სადაც ერთ დროს სწავლობდა მამამისი.

„ბოლშევიკი“ № 12, 1938 წლის 15 ივნისი.

საუბარი ილიჩთან

ამას წინათ ჩემთან შემოიარა ერთმა ძველმა მუშამ — რუდაკოვმა, რომელიც საქმეების გამო ჩამოსულიყო კუზბასიდან, პროკოპიევსკიდან. 90-იან წლებში ის მუშაობდა პიტერში ნარვის საყარაულოს იქით, იყო ამხანაგ ბაბუშკინის ახლობელი, ერთ-ერთი შეგნებული, აქტიური მუშა იმ დროისათვის. ის ჩემი მოწაფე იყო საღამოს საკვირაო სკოლაში. ერთმანეთი არ გვენახა 40 წელი. და აი, მოსკოვში რომ ჩამოვიდა, მეწვია. ჩვენ ორივეს გული აგვიჩქროლდა. ის ნაჩქარევად მომიყვა თავისი ცხოვრების შესახებ, როგორ იჯდა საპყრობილეში, იყო გადასახლებაში, როგორ დარჩა ციმბირში 1905 წლის შემდეგ. „ვაჟი — ინჟინერია, ქალიშვილი უმაღლეს სასწავლებელს ამთავრებს, — ამბობდა ის, — ყველანი ჩვენ კომუნისტები ვართ“. ხოლო შემდეგ აღელვებულმა თქვა: „ყველაფერი, რაზედაც ჩვენ მაშინ ვლაპარაკობდით, სრულდება ახლა“. ჩვენ ორივე ისე ვღელავდით, რომ მას დაავიწყდა ეთქვა თავისი მისამართი.

დიახ, ჩვენ, მოხუცები, სხვაგვარად განვიცდით ჩვენს მიღწევებს. ეს განსაკუთრებული გრძნობაა—ნახო ცოცხალ კონკრეტულ ფორმებში განხორციელებული ის, რაზედაც ფიქრობდი, რისთვისაც იბრძოდი მრავალი წლის მანძილზე.

ჩვენი თაობის ადამიანების, ე. ი. იმ ადამიანების სიხარულის გრძნობას, ვინც ძლიერ ახლოს იცნობდა ლენინს, მუშაობდა მასთან, მწვავე სინანულის გრძნობაც უერთდება იმის გამო, რომ აპას ვერ ხედავს ილიჩი, რომ ის ადრე დაიწვა.

არ შეეძლო არ დამწვარიყო. მისი აზრი მუდამ დაძაბულად მუშაობდა. მახსოვს, როცა მოეძალა უკანასკნელი ავადმყოფობა, რომელმაც გადაიყოლა კიდეეაც, ექიმები დაჟინებით მოითხოვდნენ მკაცრ რეჟიმს, დაუნიშნეს ნასადილევს ორი საათით წამოწოლა და მოსვენება. ადრე ილიჩი რეჟიმს იცავდა, მაგრამ ექიმის მოთხოვნას სკეპტიკურად უყურებდა: „ისინი ისეთს ვერაფერს იზამენ, რომ მე აღარ ვიფიქრო“,— თქვა მან ერთხელ. მართლაც, ლოგინში იწვა, სეირნობდა თუ უბრალო საყოფაცხოვრებო თემებზე საუბრობდა, ილიჩი დაუცხრომლად ფიქრობდა იმ საქმეზე, რომელსაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი ძალღონე, ყოველი წუთი თავისი სიცოცხლისა.

სეირნობის დროს ილიჩს უყვარდა ლაპარაკი იმაზე, რაც ამ მომენტში აინტერესებდა, აღელვებდა. ჩვენს ცხოვრებაში როგორღაც ისე მოეწყო, რომ ილიჩის დაბადების დღეებში ერთად მივდიოდით სადმე მოშორებით ტყეში და სეირნობის დროს იგი ლაპარაკობდა იმაზე, რაც განსაკუთრებით აინტერესებდა ამ მომენტში. გაზაფხულის ჰაერი, ტყე, რომელიც ამწვანებას იწყებდა, გამოფეთქილი კვირტები—ყოველივე ეს ქმნიდა იმ განსაკუთრებულ განწყობილებას, როცა აზრი წინ მიილტვის, მომავალში ჩახედვას ლამობს. მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში ერთი ასეთი საუბარი ჩამრჩა მეხსიერებაში.

ყველამ იცის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი მეცნიერებას. ყველას ახსოვს ვლადიმერ ილიჩის სიტყვა სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობაზე, სადაც ის ამბობდა: „წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტუ-

რის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ — გ-ნათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად"[1]. ეს ეხებოდა ჩვენს საბჭოთა ქვეყანას. რაც დრო გადის, კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია მით უფრო მეტად აყენებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს თავისი იმპერიალისტური მიზნების სამსახურში. იგი ცდილობს ყოველი ახალი გამოგონება გამოიყენოს იმისათვის, რომ ახალი მძარცველური ომი, რაზედაც ასე გულდაგულ ოცნებობს, გახადოს უფრო მეტად გამანადგურებელი, ვიდრე უკანასკნელი მსოფლიო იმპერიალისტური ომი იყო, გადააქციოს ეს ომი გამანადგურებელ გრიგალად.

ჩვენი სამშობლო, ჩვენი საბჭოების ქვეყანა რომ დაგვეცვა თავდასხმისაგან, ჩვენ გვიხდებოდა გაძლიერებული მზადება თავდაცვისათვის. თავდაცვის სამსახურში უნდა ჩაგვეყენებინა ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა. ასე იქცეოდა ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ლენინის დროს. სწორედ ასე იქცევა იგი ახლა პარტიისა და მისი ბელადის—სტალინის ხელმძღვანელობით. ჩვენი ქვეყანა მზადაა თავდაცვისათვის. მხოლოდ მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვება მოუღებს ბოლოს ახალ ომზე ოცნებას.

მე მაგონდება ილიჩთან საუბარი ამ თემაზე სეირნობის დროს მისი დაბადების ერთ-ერთ დღეს. ჯერ ის ლაპარაკობდა სხვადასხვა მიმდინარე საქმეზე, მაგრამ როცა ჩვენ შორს შევედით ტყეში, ილიჩი გაჩუმდა, შემდეგ კი ერთ გამოგონებასთან დაკავშირებით დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ახალი გამოგონებები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჩვენი ქვეყნის თავდაცვას ისე გააძლიერებს, რომ შეუძლებელი

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., მე-4 გამოც., ტ. 26, გვ. 563. — რ ე დ.

იქნება ჩვენზე ყოველგვარი თავდასხმა. მერე საუბარი გადავიდა იმ თემაზე, რომ, როცა ხელისუფლება ბურჟუაზიის ხელშია, იგი წარმართავს მას მშრომელთა დასათრგუნავად, ხოლო, როცა ხელისუფლება შეგნებულ, ორგანიზებულ პროლეტარიატს უპყრია, ის მას ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობისაკენ მიმართავს, ბოლოს მოუღებს ყოველგვარ ხოცვა-ჟლეტას. ილიჩი ლაპარაკობდა სულ უფრო და უფრო ჩუმი ხმით, თითქმის ჩურჩულით, რაც მისთვის დამახასიათებელი იყო, როცა ლაპარაკობდა თავის ოცნებებზე, განსაკუთრებით სანუკვარ საქმეზე. მთელი ეს საუბარი შეესაბამებოდა ილიჩის საერთო მოსაზრებებს. ძალიან ვწუხვარ, რომ არა მაქვს სტენოგრაფიული მეხსიერება.

ამ საუბრის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე, ჩვენი პარტიის პოლიტიკის წყალობით, ჩვენი ქვეყანა ტექნიკურად მძლავრ ქვეყნად იქცა.

ჩვენ ვიცით, რაოდენ ბევრი რამ გააკეთა სტალინმა ილიჩის ანდერძის განხორციელებისათვის ბრძოლაში ამ ხაზით.

ჩვენ ვიცით, როგორ იწრთობოდნენ ამ წლების მანძილზე სპეციალისტები, ჩვენი ქვეყნის მშრომელები, იწრთობოდა მათი შეგნებულობა, ბრძოლისუნარიანობა.

ჩვენ ვიცით ილიჩის როლი მთელ იმ თანამედროვე მუშაობაში, რომელიც ახლა მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში. მან მტკიცედ შეგვაიარაღა მრავალი და მრავალი წლისათვის.

„ლენინგრადსკაია პრავდა“ № 27,
1935 წლის 22 აპრილი.

რა მოსწონდა ილიჩს მხატვრული ლიტერატურიდან

ამხანაგმა, ვინც პირველად გამაცნო ვლადიმერ ილიჩი, მითხრა, ილიჩი მეცნიერი კაცია, კითხულობს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულ წიგნებს და მის დღეში არც ერთი რომანი არ წაუკითხავს, ლექსებიც არასოდეს არ წაუკითხავსო. გამიკვირდა. მე თვითონ ახალგაზრდობაში გადავიკითხე ყველა კლასიკოსი, ზეპირად ვიცოდი თითქმის მთელი ლერმონტოვი და სხვები. ისეთი მწერლები, როგორიც იყვნენ ჩერნიშევსკი, ლ. ტოლსტოი და უსპენსკი, ჩემს ცხოვრებაში ორგანულად შემოვიდნენ როგორც მნიშვნელოვანი რამ. უცნაურად მეჩვენა, რომ არის კაცი, რომელსაც ყოველივე ეს სრულიადაც არ აინტერესებს.

შემდეგ მუშაობაში ახლოს გავიცანი ილიჩი, გავიგე, როგორ აფასებდა ადამიანებს, თვალს ვადევნებდი მის ფხიზელ ჩახედვას ცხოვრებაში, ადამიანების გულში, და ცოცხალმა ილიჩმა შეცვალა იმ ადამიანის სახე, ვისაც ვითომ არასოდეს ხელში არ აუღია ისეთი წიგნები, რომლებიც მოგვითხრობენ იმას, თუ რით ცოცხლობენ ადამიანები.

მაგრამ ცხოვრება მაშინ ისე მოეწყო, რომ როგორღაც ვერ მოვიცალეთ გვესაუბრა ამ თემაზე. უკვე შემდეგ, ციმბირში, გავიგე, რომ ილიჩს ჩემზე არანაკლებად წაუკითხავს, კლასიკოსები. არამცთუ წაუკითხავს, არაერთხელ ხელშეი-

—

რედ გადაუყითხავს, მაგალითად, ტურგენევი. ციმბირში მე თან წავიღე პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი. ვლადიმერ ილიჩმა ისინი დააწყო თავისი საწოლის ახლოს, ჰეგელის გვერდით, და ხელმეორედ კითხულობდა მათ საღამოობით. ყველაზე მეტად უყვარდა პუშკინი. მაგრამ მარტო ფორმას როდი აფასებდა. მაგალითად, მას უყვარდა ჩერნიშევსკის რომანი „რა ვაკეთოთ?“, მიუხედავად მისი გულუბრყვილო ნაკლებმხატვრული ფორმისა. გაკვირვებული ვიყავი, რა ყურადღებით კითხულობდა ამ რომანს და რარიგ ძნელად შესამჩნევი შტრიხებიც კი აღნიშნა, რომლებიც ამ რომანშია. სხვათა შორის, მას უყვარდა ჩერნიშევსკი მთელი თავისი არსებით; მის ალბომში, რომელიც ციმბირში ჰქონდა, იყო ამ მწერლის ორი სურათი, ერთზე ილიჩის ხელით დაწერილი იყო ჩერნიშევსკის დაბადებისა და გარდაცვალების წელი. ილიჩის ალბომში იყო აგრეთვე სურათები ემილ ზოლასი, ბოლო რუსი მწერლებიდან — გერცენის და პისარევისა. პისარევს ვლადიმერ ილიჩი თავის დროზე ბევრს კითხულობდა, მას უყვარდა პისარევი. მაგონდება, ციმბირში ჰქონდა აგრეთვე გოეთეს „ფაუსტი“ გერმანულ ენაზე და ჰაინეს ლექსების ტომი.

ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ, მოსკოვში ვლადიმერ ილიჩი ერთხელ იყო თეატრში, ნახა „მეეტლე გენშელი“ და შემდეგ ამბობდა, ძალიან მომეწონაო.

მიუნხენში იმ წიგნებს შორის, რომლებიც ილიჩს მოსწონდა, მახსოვს გერჰარდის „Bei mama“ („დედასთან“) და პოლენცის „Büttner bauer“ („გლეხი“).

შემდგომ, მეორე ემიგრაციის დროს, პარიზში ილიჩი გატაცებით კითხულობდა ვიქტორ ჰიუგოს ლექსებს „Châtiments“, მიძღვნილს 48 წლის რევოლუციისადმი; ამ ლექსებმა თავის დროზე წერდა სამშობლოდან განდევნილი ჰიუგო და საიდუმლოდ შემოჰქონდათ საფრანგეთში. ამ ლექსებში ბევრი რაღაც გულუბრყვილო მაღალფარდოვნობა, მაგრამ მათში

მაინც იგრძნობა რევოლუციის სიო. ხალისით დადიოდა ილიჩი სხვადასხვა ყავახანებსა და გარეუბნის თეატრებში რევოლუციური შანსონეტების მოსასმენად, რომლებიც მუშათა უბნებში მღეროდნენ ყველაფერზე,— იმაზეც, თუ შექეიფიანებული გლეხები როგორ ირჩევენ დეპუტატთა პალატაში გამვლელ აგიტატორს, ბავშვების აღზრდაზეც, უმუშევრობაზეც და ა. შ. ილიჩს განსაკუთრებით მოსწონდა მონტეგიუსი. კომუნარის შვილი, მონტეგიუსი მუშათა განაპირა უბნების საყვარელი მომღერალი იყო. მართალია, მის იმპროვიზებულ სიმღერებში, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდა მკაფიო ყოფაცხოვრებითი ელფერით, არ იყო რაიმე განსაზღვრული იდეოლოგია, მაგრამ ბევრი იყო გულწრფელი გატაცება. ილიჩი ხშირად მღეროდა მის მისალმებას მე-17 პოლკისადმი, რომელმაც უარი განაცხადა ესროლა გაფიცული მუშებისათვის „Salut, Salut à vous, soldats du 17-me" („სალამი, სალამი თქვენ, მე-17 პოლკის ჯარისკაცებო"). ერთხელ რუსულ საღამო-წვეულებაზე ილიჩი გაესაუბრა მონტეგიუსს, და საკვირველია, ეს ორი სულ სხვადასხვა ხასიათის ადამიანი (მონტეგიუსი, როცა ომი ატყდა, შოვინისტების ბანაკში გადაბარგდა) ერთად ოცნებობდა მსოფლიო რევოლუციაზე. ასე ხდება ხანდახან — შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს ვაგონში მცირედ ნაცნობი ადამიანები და ვაგონის თვლების ხმაურში დაიწყებენ საუბარს ყველაზე სანუკვარ საქმეზე, იმაზე, რასაც სხვა დროს არ იტყოდნენ, მერე დაშორდებიან და არასოდეს ცხოვრებაში ერთმანეთს აღარ შესვდებიან. ასევე იყო აქაც. ამასთანავე საუბარი მიმდინარეობდა ფრანგულ ენაზე, — სხვა ენაზე ხალამალა ოცნება უფრო ადვილია, ვიდრე შობლიურ ენაზე. ჩვენთან ორი საათით მოდიოდა ფრანგი დამლაგებელი ქალი. ერთხელ ილიჩმა ყური მოჰკრა, როგორ მღეროდა ის. ეს ელზასური სიმღერაა. ილიჩმა სთხოვა დამლაგებელ ქალს ემღერა და ეთქვა სიტყვები. შემდეგ ხმიოად მღეროდა ამ სიმღერას თვითონ ილიჩი. აიმღერა თავდებოდა ასეთი სიტყვებით:

Vour aver pris l' Alsace et la Jorraine.
Mais malgré vous nous resterons francais,
Vour aver pu germaniser nos plaines,
Mais notre eoeur—vous ne l' aurez Jamais!

(„თქვენ დაიპყარით ელზასი და ლოთარინგია, მაგრამ, თქვენდა სამწუხაროდ, ჩვენ ვრჩებით ისევ ფრანგებად; თქვენ შესძელით ჩვენი ველების გაგერმანელება, მაგრამ ჩვენს გულს — ვერასდროს ვერ დაიპყრობთ!“).

ეს იყო 1909 წ.— რეაქციის პერიოდი, პარტია განადგურებული იყო, მაგრამ მისი რევოლუციური სული არ იყო ჩამქრალი. ეს სიმღერაც ილიჩის განწყობილებას ეხმაურებოდა. უნდა მოგესმინათ, რა ძლევამოსილად ყღერდა მის მიერ დამღერებული სიტყვები:

Mais notre coeur-vous ne lá urer jamais!

ემიგრაციის ამ ყველაზე მძიმე წლებში, რომელთა შესახებ ილიჩი ყოველთვის რაღაც გულნაკლულად ამბობდა (უკვე რუსეთში დაბრუნებულმა, მან როგორღაც ერთხელ კიდევ გაიმეორა, რაც წინათ არაერთხელ უთქვამს: „ნეტავ რისთვის წავედით მაშინ ჟენევიდან პარიზში?“), ამ მძიმე წლებში იგი ყველაზე გატაცებით ოცნებობდა და ოცნებობდა, ესაუბრებოდა მონტეგიუსს, ხალისიანად მღეროდა ელზასურ სიმღერას და უძილო ღამეებში გატაცებით კითხულობდა ვერჰარნს.

შემდეგ, უფრო გვიან, ომის დროს, ვლადიმერ ილიჩი გატაცებული იყო ბარბიუსის წიგნით „Lefeu“ (ცეცხლი“), რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს წიგნი ეხმაურებოდა მის იმდროინდელ განწყობილებას.

თეატრებში იშვიათად დავდიოდით. იყო შემთხვევა, წავიდოდით, მაგრამ პიესის უსუსურობა ან თამაშის სიყალბე ყოველთვის მწვავედ მოქმედებდა ვლადიმერ ილიჩის ნერვებზე. ჩვეულებრივ, წავიდოდით თეატრში და პირველი

მოქმედების შემდეგ ებრუნდებოდით უკან. ამხანაგები დაგვ-ცინოდნენ,— ფულს ტყუილად ხარჯავთო.

მაგრამ ერთხელ ილიჩი ბოლომდე დარჩა; ეს იყო, ვგონებ, 1915 წლის დამლევს; ბერნში იდგმებოდა ლ. ტოლსტოის პიესა „ცოცხალი ლეში“. მართალია, პიესა სრულდებოდა გერმანულ ენაზე, მაგრამ მსახიობი, რომელიც თავადს თამა-შობდა, რუსი იყო. მან შეძლო ლ. ტოლსტოის ჩანაფიქრის განსახიერება. ილიჩი დაძაბულობითა და გატაცებით უყუ-რებდა თამაშს.

ბოლოს, რუსეთში ახალი ხელოვნება ილიჩს მიაჩნდა უცხოდ, გაუგებრად. ერთხელ მიგვიწვიეს კრემლში კონ-ცერტზე, რომელიც მოწყობილი იყო წითელარმიელებისა-თვის. ილიჩი დასვეს პირველ რიგში. მსახიობი გზოვსკაია კითხულობდა მაიაკოვსკის ლექსს: „ჩვენი ღმერთი გაქცევაა, გული ჩვენი დაფდაფი“ და პირდაპირ ილიჩისაკენ მოიწევდა, ხოლო ილიჩი იჯდა ცოტა არ იყოს დაბნეული მოულოდნე-ლობისაგან, საგონებელში ჩავარდნილი, და შვებით ამოი-სუნთქა, როცა გზოვსკაია შეცვალა სხვა მსახიობმა, რომელიც კითხულობდა ჩეხოვის „ბოროტგამზრახველს“.

ერთ საღამოს ილიჩს მოესურვა ენახა, როგორ ცხოვრობდა კომუნის ახალგაზრდობა. გადავწყვიტეთ ვწვეოდით ჩვენს, „ვხუტემასოვკას“ — ვარია არმანდს. ვგონებ, ეს იყო კრო-პოტკინის დაკრძალვის დღეს, 1921 წ. შიმშილობის წელი იყო, მაგრამ ახალგაზრდობაში მაინც დიდი ენთუზიაზმი არსებობ-და. მათ კომუნაში ეძინათ თითქმის ცარიელ ფიცრებზე, პური არ ჰქონდათ, „სამაგიეროდ გვაქვს ბურღული“, მომღიმარე სახით განაცხადა „ვხუტემასოვკის“ კომუნის წევრმა-მორი-გემ. ილიჩისათვის მათ ამ ბურღულისაგან დიდის აბბით მოხარშეს ფაფა, თუმცა ის უმარილო იყო. ილიჩი უმზერდა ახალგაზრდობას, მის ირგვლივ შემოკრებილ- ახალგაზრდა მხატვართა გაბრწყინებულ სახეებს და მის სახეზეც იხატე-ბოდა მათი სიხარული. ისინი ილიჩს უჩვენებდნენ ფავიანთ

გულუბრყვილო ნახატებს, უხსნიდნენ მათ შინაარსს, კითხვას კითხვაზე აძლევდნენ. ილიჩი კი იცინოდა, პასუხს გაურბოდა, კითხვებზე კითხვებით უპასუხებდა: „რას კითხულობთ? პუშკინს კითხულობთ?“-ო. „არა,—წამოიძახა ვიღაცამ,—ის ხომ ბურჟუა იყო. ჩვენ ვკითხულობთ — მაიაკოვსკის“. ილიჩმა გაიღიმა. „ჩემი აზრით,—პუშკინი უკეთესია“. ამის შემდეგ ილიჩი უფრო გულკეთილად უყურებდა მაიაკოვსკის. ამ სახელთან დაკავშირებით მას აგონდებოდა „ვხუტემასოვკის“ ახალგაზრდობა, სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე ახალგაზრდობა, რომელიც მზად იყო მომკვდარიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომელსაც ვერ ეპოვა სიტყვები თანამედროვე ენაზე თავისი არსების გამოსახატავად და რომელიც ამ გამოხატულებას ეძებდა მაიაკოვსკის ნაკლებად გასაგებ ლექსებში. მოგვიანებით ილიჩმა ერთხელ შეაქო მაიაკოვსკი იმ ლექსებისათვის, რომლებითაც იგი დასცინოდა საბჭოთა ბიუროკრატიზმს. თანამედროვე ნაწარმოებებიდან, მახსოვს, ილიჩს მოეწონა ერენბურგის რომანი, რომელიც აღწერდა ომს: „იცი ეს.— ილია ლოხმატია (შერქმეული სახელი ერენბურგისა),— დიდის ამბით ყვებოდა იგი.— კარგად გამოუვიდა“.

ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით სამხატვრო თეატრში. ერთხელ ვნახეთ „წარღვნა“. ილიჩს ძალიან მოეწონა. მეორე დღესაც მოისურვა თეატრში წასვლა. იდგმებოდა გორკის „ფსკერზე“. ალექსი მაქსიმეს-ძე ილიჩს უყვარდა როგორც ადამიანი, რომელთან სიახლოვეც იგრძნო ლონდონის ყრილობაზე, უყვარდა როგორც მხატვარი, თვლიდა, რომ გორკის, როგორც მხატვარს, ნახევარ სიტყვითაც ბევრის მიხვედრა შეუძლია. გორკისთან განსაკუთრებით გულახდილად ლაპარაკობდა. ამიტომ, თავისთავად ცხადია გორკის ნაწარმოების დადგმისადმი ილიჩი განსაკუთრებულ მომთხოვნელობას იჩენდა. ილიჩს აჯავრებდა დადგმის გაღაჭარბებული თეატრალურობა. ამ პიესის („ფსკერზე“) ნახვის შემდეგ, ილიჩმა დიდიხნით მიატოვა თეატრში სიარული. ვიყავით ერთხელ

კიდევ ჩეხოვის „ძია ვანოზე“. მოეწონა. ბოლოს, უკანასკნელად თეატრში ვიყავით უკვე 1922 წელს, დიკენსის პიესის — „ჭრიჭინა ღუმელზე“— სანახავად. უკვე პირველი მოქმედებას შემდეგ ილიჩმა მოიწყინა, ნერვებზე იმოქმედა დიკენსის მეშჩანურმა სენტიმენტალობამ, ხოლო როცა დაიწყო სათამაშოების ძველი გამყიდველის საუბარი თავის ბრმა ქალიშვილთან, ილიჩმა ვეღარ მოითმინა, წავიდა შუა მოქმედებიდან.

ილიჩის სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. მისი მითითებით ვუკითხავდი ბელეტრისტიკას ჩვეულებრივ საღამოობით. ვუკითხავდი შჩედრინს, ვუკითხავდი გორკის „ჩემს უნივერსიტეტებს“. გარდა ამისა უყვარდა ლექსების მოსმენა, განსაკუთრებით დემიან ბედნის ლექსებისა. მაგრამ მოსწონდა უმეტესად დემიანის არა სატირული, არამედ პათოსური ლექსები.

იყო შემთხვევები, ვუკითხავდი ხოლმე ლექსებს, ის კი ჩაფიქრებული შეჰყურებდა ჩამავალ მზეს ფანჯრიდან. მახსენდება ლექსები, რომლებიც მთავრდებოდა სიტყვებით: „არასოდეს, არასოდეს, კომუნარები არ იქცევიან მონებად“.

კითხულობ, თითქოს ფიცს აძლევ ილიჩს,— არასოდეს, არასოდეს არ დავთმობთ რევოლუციის არც ერთ მონაპოვარს...

სიკვდილამდე ორი დღით ადრე ვუკითხავდი ჯეკ ლონდონის მოთხრობას — ის ახლაც დევს მაგიდაზე მის ოთახში — „სიცოცხლის სიყვარული“. ძალიან ძლიერი ნაწარმოებია. თოვლიან უდაბნოში, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, დიდი მდინარის ნავმისადგომისაკენ მიიწევს შიმშილისაგან მომაკვდავი ავადმყოფი ადამიანი. ღონე ერთმევა, ის კი არ მიდის, არამედ მიხოხავს, ხოლო მის გვერდით მიხოხავს აგრეთვე შიმშილისაგან მომაკვდავი მგელი, იმართება მათ შორის ბრძოლა, ადამიანი იმარჯვებს,— ცოცხალმკვდარი, ნახევრად გონდაკარგული აღწევს მიზანს. ილიჩს ეს მოთხრობა უზომოდ მოეწონა. მეორე დღეს მთხოვა გამეგრძელებინა

ლონდონის მოთხრობების კითხვა. მაგრამ ჯეკ ლონდონს ძლიერი მოთხრობების გვერდით აქვს უაღრესად სუსტი მოთხრობები. შემდგომი მოთხრობა იყო სრულიად სხვაგვარი ტიპისა — ბურჟუაზიული მორალით გაჟღენთილი: რომელიღაც კაპიტანი შეპირდა პურით დატვირთული გემის მფლობელს პურის ხელსაყრელად გასაღებას; ის სიცოცხლეს სწირავს, რომ როგორმე შეასრულოს თავისი სიტყვა; ილიჩმა გაიცინა და ხელი ჩაიქნია.

ამის შემდეგ აღარაფერი წამიკითხავს მისთვის...

ნ. კ. კრუპსკაია.
მოგონებანი ლენინზე.
სახელმწიფო გამომცემლობა, 1931.

ლენინის მუშაობა ბიბლიოთეკებში

ენინი ძალიან დიდ დროს ანდომებდა ბიბლიოთეკებში მუშაობას. სამარაში როცა ცხოვრობდა, ბიბლიოთეკიდან ძალიან ბევრი წიგნი გამოჰქონდა. პიტერში რომ ჩამოვიდა, მთელი დღეების განმავლობაში იჯდა საჯარო ბიბლიოთეკაში; წიგნები გამოჰქონდა აგრეთვე თავისუფალი ეკონომიური საზოგადოებისა და მთელი რიგი სხვა ბიბლიოთეკებიდანაც. მაშინაც კი, როცა საპყრობილეში იჯდა, დას ბიბლიოთეკიდან მიჰქონდა მისთვის წიგნები. ამ წიგნებიდან ამონაწერებს აკეთებდა. ლენინის თხზულებათა მეორე გამოცემის III ტომში დადგენილია, რომ თავისი შრომის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ — დასაწერად მან გამოიყენა 583 წიგნი. წიგნში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ დამოწმებულია ყველა ეს წიგნი. შეეძლო განა ლენინს ეყიდა ეს წიგნები? ბევრი მათ შორის არც იყიდებოდა, მაგალითად, ლენინისათვის განსაკუთრებით საჭირო საერობო სტატისტიკური კრებულები. გარდა ამისა, ლენინი მაშინ ცხოვრობდა, როგორც სტუდენტი, პატარა ოთახში, თავის თავზე გროშებს ხარჯავდა. მას არ ჰქონდა შესაძლებლობა დაეხარჯა ამდენი ფული — სულ ცოტა ათასი მანეთი ამ წიგნების შესაძენად; დროც არ ჰქონდა ერბინა წიგნის საავაჭროებში ამ წიგნების

საძებნელად, მაშინ კითხვისათვის აღარ დარჩებოდა დრო; წიგნის საბიბლიოთეკო კატალოგების გარეშეც არ ეცოდინებოდა ამ წიგნების უმრავლესობის არსებობაც კი. ბოლოს, ადგილიც არ ჰქონდა ამ წიგნების შესანახავად. წაიკითხა რა ეს წიგნები, ლენინმა არამცთუ შეძლო ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი წიგნის დაწერა, როგორიცაა „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", არამედ ამავე დროს შესანიშნავად შეისწავლა მუშებისა და გლეხების მაშინდელი ცხოვრებაც. ხოლო უამისოდ არ გვეყოლებოდა ის ლენინი, რომელსაც ყველანი ვიცნობთ. წიგნი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" გამოიცა 1899 წელს.

საზღვარგარეთ ვლადიმერ ილიჩი უფრო გულმოდგინედ შეუდგა ბიბლიოთეკებით სარგებლობას. მან იცოდა უცხო ენები და ამ ენებზე დაწერილი უამრავი წიგნი წაიკითხა. ილიჩი ვერასოდეს ვერ იყიდდა ამ წიგნებს. რადგან ემიგრაციაში ყოველ კაპიკს ვითვლიდით, ვზოგავდით ფულს ტრამვაისათვის, საჭმელზე და სხვ. ხოლო რომ არ წაეკითხა წიგნები, უცხოეთის გაზეთები და ჟურნალები, ილიჩი ვერ შეასრულებდა იმ მუშაობას, რომელსაც ის ეწეოდა, არ ექნებოდა ის ცოდნა, რომლითაც ასე ბრწყინვალედ იყო შეიარაღებული.

თუ გადავხედავთ მის „წერილებს ნათესავებისადმი", დავინახავთ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ბიბლიოთეკებს.

პირველად საზღვარგარეთ ილიჩი გაემგზავრა 1895 წელს; უამრავი ახალი შთაბეჭდილებაა, რამდენიმე კვირა ცხოვრობს ბერლინში, თვალყურს ადევნებს მუშათა ცხოვრებას და ამავე დროს მეცადინეობს ბერლინის საიმპერატორო ბიბლიოთეკაში. 1895 წელს საპყრობილეში მოხვდა და უკვე სამი კვირის შემდეგ მოახერხა ბიბლიოთეკების წიგნებით სარგებლობა. სარგებლობდა არა მარტო საპყრობილის ბიბლიოთეკით, არამედ ზრუნავდა იმაზეც, რომ საპატიმროში მჯდომს, ესარგებლა

სამოქალაქო ბიბლიოთეკებით. დაპატიმრებიდან სამი კვირის შემდეგ ვლადიმერ ილიჩი იწერებოდა:

„...ლიტერატურული მუშაობა პატიმრებისათვის ნებადართულია: მე განზრახ შეეკითხე ეს პროკურორს, თუმცა მანამდეც ვიცოდი (იგი ნებადართულია ციხეში მსხდომთათვისაც კი). მანვე დამიდასტურა, რომ ციხეში გადასაცემი წიგნების რაოდენობა განსაზღვრული არ არის. შემდეგ, წიგნის დაბრუნება შეიძლება, — მაშასადამე, ბიბლიოთეკებით სარგებლობა შეიძლება. ამრიგად, ამ მხრივ საქმე კარგადაა.

უფრო სერიოზულია სხვა დაბრკოლებანი — წიგნების შოვნა. წიგნები ბევრია საჭირო, — მე ქვემოთ ვურთავ სიას იმ წიგნებისას, რომლებიც ახლა მაქვს აღნიშნული, — ასე რომ, მათი შოვნა საკმაო გარჯას მოითხოვს. არც კი ვიცი, შეიძლება ყველას შოვნა თუ არა. ალბათ შეიძლება იმედი ვიქონიო თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების ბიბლიოთეკისა (იქედან უკვე მაქვს გამოტანილი წიგნები, 16 მან. საწინდარიც მაქვს დატოვებული), რომელიც წიგნებს იძლევა სახლში 2 თვის ვადით საწინდრის დატოვებით. მაგრამ იგი მეტად არასრულია. კარგი იქნება, რომ ვისარგებლოთ (რომელიმე მწერლის ან პროფესორის დახმარებით) უნივერსიტეტისა და ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის ბიბლიოთეკებით, — მაშინ წიგნების შოვნის საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვლებოდა...

უკანასკნელი და ყველაზე ძნელი საქმე — წიგნების მოტანაა. ეს უკვე ის კი არაა, რომ მოიტანო თითოოროლა წიგნი: აუცილებელია პერიოდულად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წიგნების მოგროვება ბიბლიოთეკებიდან, მოტანა (მე ეფიქრობ, რომ სრულიად საკმარისი იქნება ორ კვირაში, იქნებ, თვეშიაც ერთხელ, თუ მოტანილი იქნება ბევრი წიგნი ერთად) და წაღება. ეს უკვე არ ვიცი, როგორ შეიძლება მოეწყოს. თუმცა, აი როგორ: მოიძებნოს რომელიმე მეკარე, ან მეეზოვე, ან შიკრიკი, ან ბიჭი, რომელსაც გადავუხდიდი ფულს, და ის

ივლიდა წიგნებისათვის. წიგნების გამოცვლა — მუშაობის პირობებისა და ბიბლიოთეკიდან მათი გაცემის პირობების მიხედვით — მოითხოვს, რა თქმა უნდა, სიზუსტესა და თადარიგიანობას. ასე რომ, აუცილებელია ყოველივე ამის მოგვარება.

„თქმა იოლია... „მე კარგად ვგრძნობ, რომ ეს განზრახვა არცთუ ისე იოლი შესასრულებელია; ჩემი „გეგმა“ შეიძლება აღმოჩნდეს ქიმერა...“[1].

ბიბლიოთეკებიდან წიგნების მიღება და მათი გადაცემა საპატიმროში ვლადიმერ ილიჩისათვის დაივალა ანა ილიას ასულმა.

გადასახლების ადგილას მისვლამდე ლენინი 1897 წლის 4 მარტიდან 30 აპრილამდე გზად გავლით ცხოვრობდა კრასნოიარსკში. ამ დროს იგი დადიოდა ვინმე იუდინის ბიბლიოთეკაში. აი, რას სწერს ლენინი დედას 10 მარტს კრასნოიარსკიდან:

„...გუშინ მაინც მოვხვდი აქაურ ცნობილ იუდინის ბიბლიოთეკაში. იუდინი გულთბილად შემხვდა და მაჩვენა თავისი წიგნსაცავი. მან ნება დამრთო იქ მუშაობისა და მე ვფიქრობ, რომ კარგადაც ვიმუშავებ (დაბრკოლება აქ ორია: ჯერ ერთი, მისი ბიბლიოთეკა ქალაქგარეთაა, მაგრამ მანძილი დიდი არაა, სულ ორი ვერსია, ასე რომ ეს სასიამოვნო გასეირნებაც იქნება. მეორე, ბიბლიოთეკა მთლად მოწყობილი არაა, ასე რომ პატრონის მეტისმეტად შეწუხება მომიხდება ხშირი შეკითხვებით წიგნების შესახებ). ვნახოთ, რა გამოვა. ვფიქრობ, რომ მეორე დაბრკოლებაც დაძლეულ იქნება. ბიბლიოთეკას გავეცანი, მაგრამ მთლიანად ჯერ ვერა, ყოველ შემთხვევაში, ეს არის წიგნების შესანიშნავი კრებული. არის, მაგალითად, ჟურნალების (უმთავრესის) მთლიანი კომპლექტები — მე-18 საუკუნის დამლევიდან დღემდე. ვიმედოვნებ,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 14—15. — რ ე დ.

რომ გამოვიყენებ მათ ცნობებისათვის, რომლებიც ასე საჭიროა ჩემი სამუშაოსათვის...“ [1].

იმავე ბიბლიოთეკის შესახებ წერს იგი 15 მარტის წერილში:

„...ბიბლიოთეკაში დავდივარ ყოველდღიურად. იგი მდებარეობს ქალაქის განაპირა უბნიდან 2 ვერსზე; ამიტომ იქეთაქეთ მიხდება 5 ვერსის გავლა,— დაახლოებით ერთი საათის სავალია. ასეთი გასეირნებით ძალიან კმაყოფილი ვარ და ვსეირნობ სიამოვნებით, თუმცა ხშირად სიარული ძილს მკვრის. ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა გაცილებით ნაკლები წიგნი ჩემი საგნისათვის, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრა მისი საერთო სიდიდის მიხედვით, მაგრამ ჩემთვის მაინც არის ზოგი რამ გამოსადეგი. ძალიან მიხარია, რომ შემიძლია აქ დრო არ დავკარგო უსარგებლოდ. დავდივარ ქალაქის ბიბლიოთეკაშიც, იქ შეიძლება ჟურნალებისა და გაზეთების გადახედვა; ჟურნალ-გაზეთები მოაქვთ მეთერთმეტე დღეს, ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე ასეთ დაგვიანებულ „ახალ ამბებს...“ [2].

როცა გადასახლებული იყო სოფ. შუშენსკოეში, სადაც წერილები და გაზეთები მხოლოდ მეცამეტე დღეს მიდიოდა, ლენინი ციმბირის ამ შორეულ კუთხეშიც ცდილობდა მოეწყო საქმე ისე, რომ მოსკოვის ბიბლიოთეკებით ესარგებლა.

1897 წლის 25 მაისს შუშენსკოედან მოსკოვში ილიჩი სწერს დას, ანა ილიას ასულ ელიზაროვას:

„...მე სულ ვფიქრობ მოსკოვის ბიბლიოთეკით სარგებლობის შესახებ: ამ მხრივ გაკეთდა თუ არა რაიმე თქვენთან, ე. ი. შესძელით თუ არა რომელიმე საზოგადოებრივ ბიბლიოთეკასთან დაკავშირება? საქმე ისაა, შესაძლებელია თუ არა ორი თვის ვადით გამოტანა (როგორც ს.-პეტერბურგში, თავი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 26.—რ ე დ
[2] ი ქ ვ ე. გვ. 27—28.—რ ე დ.

სუფალი ეკონომიური საზოგადოების ბიბლიოთეკაში, მაშინ ბანდეროლით გადმოგზავნა არცთუ ისე ძვირი ეღირებოდა (16 კაპ. გირვანქაზე; 7 კაპ. დაზღვევაზე) (გამოგზავნა შეიძლება 4 გირვანქისა-64 კაპ.) და, შესაძლებელია, ჩემთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა დამეხარჯა ფული გადმოგზავნაზე და მქონოდა მეტი წიგნი, ვიდრე დავხარჯო გაცილებით მეტი ფული ცოტა წიგნების ყიდვაზე. მე მგონია, რომ ეს იქნებოდა გაცილებით მოსახერხებელი ჩემთვის, მხოლოდ საქმე ისაა, შეიძლება თუ არა წიგნების ამ ვადით მიღება (რა თქმა უნდა, საწინდრის დატოვებით) რომელიმე კარგი ბიბლიოთეკიდან: უნივერსიტეტის (მე ვფიქრობ, მიტიას შეუძლია ეს გააკეთოს ან რომელიმე სტუდენტ-იურისტის საშუალებით, ან პირდაპირ მივიდეს პოლიტეკონომიის პროფესორთან და უთხრას, რომ მას სურვილი აქვს იმუშაოს ამ სპეციალობაში და წამოიღოს წიგნები ფუნდამენტური ბიბლიოთეკიდან. მხოლოდ ახლა კი მოგვიხდება შემოდგომამდე გადატანა) ან მოსკოვის იურიდიული საზოგადოების ბიბლიოთეკიდან (საჭიროა შეკრიბო იქ ცნობები, აიღოთ ბიბლიოთეკის კატალოგი, გაიგოთ ახალი წევრების მიღების პირობები და ა. შ.), ან კიდევ რომელიმე ბიბლიოთეკიდან. მოსკოვში ხომ არის რამდენიმე კარგი ბიბლიოთეკა. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება მიაკითხოთ კერძო ბიბლიოთეკებსაც. თუ ვინმე თქვენგანი დარჩა კიდევ მოსკოვში, გთხოვთ, გეთაყვა, გაიგოთ ყოველივე ეს.

თუ საზღვარგარეთ წახვიდე, მაცნობე, დაწვრილებით მოგწერ წიგნების იქედან გამოგზავნის შესახებ. გამომიგზავნე უფრო მეტი ყოველგვარი კატალოგი ბუკინისტებისაგან და ა. შ. (ბიბლიოთეკების, წიგნის მაღაზიების). შენი ვ. უ."[1].

1897 წ. 19 ივლისს დედისადმი და მარია ილიას ასულისადმი გაგზავნილ წერილში ვლადიმერ ილიჩი უპასუხებს რა მარია ილიას ასულის წინადადებაზე მისთვის ამონაწერების

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესაევებისადმი, 1934, გვ. 48.—რ ე დ.

გაკეთების შესახებ, წერს: „ამონაწერები, არც კი ვიცი, დამჭირდება თუ არა. იმედი მაქვს მოვაგვარო საქმე შემოდგომისათვის მოსკოვის რომელიმე ან სპბ.-ის ბიბლიოთეკასთან“ [1].

1897 წლის ზამთარში ილიჩი ნათესავებს სწერს წერილს, საიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთი რამის გაკეთება მოხერხდა, მაგრამ ილიჩი ეძებს სხვა შესაძლებლობებსაც:

„მ ა ნ ი ა შ ა ს

მივიღე შენი (14) 2/XII-ის ღია ბარათი და სემიონოვის 2 წიგნი. Merci ამისთვის. მალე გამოვგზავნი უკან. არა უგვიანეს ერთი კვირისა (ოთხშაბათს (5/I) 24-ს; მეშინია, რომ ჟოსტალიონი სულ აღარ მოვა ჩვენთან).

აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ პირველ ორ ტომში არაფერია საინტერესო. რასაკვირველია, ასეთი ისტორიები გარდაუვალია უცნობ ავტორთა წიგნების გამოწერისას,—და მე ადრევე ვიყავი მზად ამისათვის.

ვიმედოვნებ, რომ ჯარიმას მაინც არ გადავიხდით, გაგვიგრძელებენ ვადას კიდევ ერთი თვით.

ვერ გავიგე შენი ფრაზა: „რომ შეაღწიო იურიდიულ ბიბლიოთეკაში,— მე ვკითხე კაბლუკოვს,— უნდა იყოს იურისტი და წარადგინო იურიდიული საზოგადოების 2 წევრის რეკომენდაცია“? მხოლოდ ეს? საზოგადოების წევრობა საჭირო არ არის? მე ვეცდები პიტერის მეშვეობით ვიშოვო რეკომენდაცია.

საზოგადოების წევრად შესვლა რომ შეუძლია არა იურისტსაც, ეს უეჭველია. გართმევ ხელს ვ. უ.“[2].

მაგრამ ბიბლიოთეკებით რამდენადმე ფართოდ სარგებლობის მოგვარება შუშენსკოეში მაინც ვერ მოხერხდა საფოსტო სასიათის სიძნელეების გამო.

1898 წლის სექტემბერში ვლადიმერ ილიჩმა მიიღო კრასნოიარსკში კბილების სამკურნალოდ წასვლის ნებართვა. ის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 57.—რ ე დ.
[2] ი ქ ვ ე გვ. 77.—რ ე დ.

უსაზღვროდ მოხარული იყო მგზავრობისა და ამ მგზავრობის დროსაც აპირებდა გაეკეთებინა ამონაწერები კრასნოიარსკის ბიბლიოთეკაში[1].

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ლენინი საცხოვრებლად გაჩერდა ფსკოვში. 1900 წლის 15 მარტს ილიჩი სწერს დედას: „ხშირად დავდივარ ბიბლიოთეკაში, ხშირად ვსეირნობ"[2].

ემიგრაციაში ლენინი ბევრს მუშაობდა ბიბლიოთეკებში, მაგრამ ეს საკმაოდ მკრთალად აისახა ნათესავებისადმი გაგზავნილ წერილებში.

1902—1903 წელს, როცა ჩვენ ლონდონში ვცხოვრობდით, ვლადიმერ ილიჩი ნახევარ დროს ატარებდა ბრიტანეთის მუზეუმში, სადაც მოთავსებულია მსოფლიოში უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც საუკეთესოდ არის მოწესრიგებული მომსახურების ტექნიკის მხრივ. ნაგრეთვე ძალიან ფართოდ სარგებლობდა ილიჩი ლონდონის სამკითხველოებით. ეს ჩანს 1902 წლის 27 ოქტომბერს დედისადმი მიწერილ წერილში[3].

ლონდონში მრავალი ერთოთახიანი სამკითხველოა, სადაც შედიან პირდაპირ ქუჩიდან. შიგ არ არის არავითარი დასაჯდომი ადგილი, მხოლოდ და მხოლოდ დგარებია წასაკითხავად და ჯოხებზე მიმაგრებული გაზეთებია; შემსვლელი იღებს ჯოხზე მიმაგრებულ გაზეთს და წაკითხვის შემდეგ ჰკიდებს ისევ თავის ადგილზე. ასეთი სამკითხველოები ძალიან მოხერხებულია და მთელი დღის განმავლობაში ძალიან ბევრი დადის ამ სამკითხველოში.

მეორე ემიგრაციის დროს, როცა გაცხოველდა კამათი ფილოსოფიის საკითხებზე და ვლადიმერ ილიჩი ჩაუჯდა „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" წერას, 1908 წლის მაისში ილიჩი ჟენევიდან გაემგზავრა ლონდონში, სადაც დაჰ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 130. — რ ე დ.

[2] ი ქ ვ ე, გვ 238.—რ ე დ.

[3] ი ქ ვ ე. გვ. 286. — რ ე დ.

ყო თვეზე მეტი სპეციალურად ბრიტანეთის მუზეუმში სამუშაოდ.

ჟენევაში, სადაც ჩვენ ჩამოვედით 1903 წელს, ილიჩი მთელ დღეებს ატარებდა „კითხვის საზოგადოების“ ბიბლიოთეკაში (Société de Iecture), სადაც ვეებერთელა ბიბლიოთეკა და მუშაობის საუკეთესო პირობები იყო. იქ ღებულობდნენ მრავალ გაზეთსა და ჟურნალს ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ამ ბიბლიოთეკაში მეცადინეობა უაღრესად მოსახერხებელი იყო. საზოგადოების წევრები— მეტწილად მოხუცი პროფესორები — იშვიათად დადიოდნენ ამ ბიბლიოთეკაში; ილიჩის განკარგულებაში იყო მთელი კაბინეტი, სადაც შეეძლო ეწერა, ევლო კუთხიდან კუთხეში, მოეფიქრებინა სტატიები, აეღო თაროდან წიგნი, რომელიც კი სურდა.

ილიჩი გულმოდგინედ სარგებლობდა ჟენევაში კუკლინის სახელობის რუსული მდიდარი ბიბლიოთეკითაც, რომელსაც გამგებლობდა ამხ. კარპინსკი. სხვა ქალაქებში ცხოვრებისას ილიჩი შემდეგ ამ ბიბლიოთეკიდან იწერდა წიგნებს.

პარიზში ილიჩი უმთავრესად სარგებლობდა ეროვნული ბიბლიოთეკით (Bibliothèque Nationale).

1907 წლის დეკემბერში ილიჩის დედას ვწერდი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა ილიჩი ბიბლიოთეკაში; „ეს უკვე მეორე კვირაა დგება დილის 8 საათზე და მიდის ბიბლიოთეკაში, საიდანაც ბრუნდება 2 საათზე. პირველ ხანებში უჭირდა ასე ადრე ადგომა, სამაგიეროდ ახლა ძალიან კმაყოფილია და ადრეც იძინებს“[1].

ეროვნული ბიბლიოთეკის გარდა ილიჩმა მოიარა პარიზის მთელი რიგი სხვა ბიბლიოთეკებიც, მაგრამ ისინი ნაკლებად აკმაყოფილებდნენ მას. ეროვნულ ბიბლიოთეკას არ გააჩნდა უფრო მოგვიანო წლების კატალოგები. გარდა ამისა, იქ მეტისმეტად ბიუროკრატიულად აჭიანურებდნენ წიგნების კა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 353. — რ ე დ.

ცემას. საერთოდ, საფრანგეთში საბიბლიოთეკო საქმე არქიბიუროკრატიულად იყო დაყენებული. ქალაქის სარაიონო ბიბლიოთეკები შედგებოდა თითქმის მარტოოდენ ბელეტრისტიკისაგან, მაგრამ ამ ბიბლიოთეკებით სარგებლობის ნებართვის მისაღებადაც საჭირო იყო მოწმობის მიტანა სახლის პატრონისაგან, რომელსაც თავისთავზე უნდა აეღო პასუხისმგებლობა მობინადრის მიერ წიგნების წესიერად დაბრუნებაზე. სახლის პატრონი დიდხანს არ გვაძლევდა ასეთ მოწმობას ჩვენი ღარიბი მოწყობილობის გამო. იმის მიხედვით, თუ რამდენად მოწესრიგებული იყო საბიბლიოთეკო საქმე, ილიჩი განსაზღვრავდა კულტურის დონეს; საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობა მისთვის საერთო კულტურულობის მაჩვენებელი იყო.

აი, რას სწერდა ის დედას 1914 წლის 9 აპრილს კრაკოვიდან:

„...პარიზში მუშაობა მოუხერხებელია, Bibliothèque Nationale დაყენებულია ცუდად, — არა ერთხელ ვიგონებდით ჟენევას, სადაც უკეთესად ვმუშაობდით; იქ იყო მოხერხებული ბიბლიოთეკა, ცხოვრება ნაკლებად ნერვიული და უაზრო. იმ ადგილებიდან, სადაც მივლია, მე ავირჩევდი ლონდონს ან ჟენევას, ორივე ასე შორს რომ არ იყოს. ჟენევა განსაკუთრებით კარგია საერთო კულტურულობით და ცხოვრების მოხერხებული პირობებით. აქ კი, ცხადია, კულტურაზე ლაპარაკიც ზედმეტია — თითქმის რუსეთივითაა — ბიბლიოთეკა ცუდია და არქიმოუწყობელი, მაგრამ მე თითქმის არ მიხდება იქ ყოფნა....“[1]

კრაკოვიდან ბერნში რომ ჩამოვედით, ილიჩი სწერდა მარიამ ილიას ასულს 1914 წლის 9 დეკემბერს:

„... აქ ბიბლიოთეკები კარგია, კარგადაც მოვეწყვე წიგნებით სარგებლობის მხრივ. კითხვა სასიამოვნოა ყოველ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 402—403. — რ ე დ.

დღიური საგაზეთო მუშაობის შემდეგ. ნადიას აქ აქვს პედაგოგიური ბიბლიოთეკა და წერს პედაგოგიურ შრომას...[1].

1926 წლის 7 თებერვალს ვლადიმერ ილიჩი სწერს მარია ილიას ასულს: „ჩვენ — მე და ნადია ძალიან კმაყოფილი ვართ ციურიხით; აქ კარგი ბიბლიოთეკებია“, ხოლო 1916 წლის 28 თებერვალს დედას სწერს: „ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ციურიხში. ჩამოვედით აქაურ ბიბლიოთეკებში სამეცადინოდ. აქ ტბა ჩვენ ძალიან მოგვწონს, ხოლო ბიბლიოთეკები ბევრად უკეთესია ბერნთან შედარებით, ასე რომ დავრჩებით კიდევ, შეიძლება, უფრო დიდხანს, ვიდრე ვფიქრობდით“[2].

შემდეგ კიდევ 9 ოქტომბერს წერილში მარიამ ილიას ასულისადმი იმეორებს: „ციურიხში ბიბლიოთეკები უკეთესია და სამუშაოდაც კეთილმოწყობილი“[3].

შვეიცარიაში საბიბლიოთეკო საქმე ჩინებულადაა დაყენებული. განსაკუთრებით კარგადაა მოგვარებული ბიბლიოთეკებს შორის წიგნების გაცვლის საქმე. გერმანული შვეიცარიის მეცნიერული ბიბლიოთეკები დაკავშირებულია გერმანიის ბიბლიოთეკებთან; ომის პერიოდშიც კი ვლადიმერ ილიჩი ახერხებდა გერმანიიდან საჭირო წიგნების მიღებას ბიბლიოთეკის მეშვეობით.

მეორეც — ესაა მკითხველების საუცხოო მომსახურება, არავითარი ბიუროკრატიზმი, მშვენივრად შედგენილი კატალოგები, ღია თაროები, განსაკუთრებით ყურადღებიანი დამოკიდებულება მკითხველებისადმი.

1915 წლის ზაფხულში ჩვენ ვცხოვრობდით მთებში როტხორნის ძირში, მეტად მიყრუებულ სოფელში და იქ ვღებულობდით წიგნებს ბიბლიოთეკებიდან, რომლებსაც უფასოდ გვიგზავნიდნენ ფოსტით. წიგნები იგზავნებოდა დასაკეცი სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 405. — რ ე დ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 415, 416. — რ ე დ.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 418. — რ ე დ.

ქაღალდით, რომელსაც მიმაგრებული ჰქონდა ბილეთი წარწერით: ერთ მხარეს იმისი მისამართი იყო დაწერილი, ვისაც ეგზავნებოდა წიგნი, მეორე მხარეს ბიბლიოთეკის მისამართი. წიგნის დაბრუნებისას საჭირო იყო მხოლოდ ბილეთის გადაბრუნება წარწერით და ფოსტაში წაღება.

ვლადიმერ ილიჩი ყოველნაირად აქებდა-შვეიცარიის კულტურას და ოცნებობდა იმაზე, როგორ მოწესრიგდება რუსეთში საბიბლიოთეკო საქმე რევოლუციის შემდეგ.

ნ. კ. კრუპსკაია.
რას წერდა და ამბობდა ლენინი
ბიბლიოთეკების შესახებ.
პარტგამომცემლობა, 1934 წ.

ლენინი უცხო ენების შესწავლის შესახებ

ენინმა მრავალი უცხო ენა იცოდა. კარგად იცოდა გერმანული, ფრანგული, ინგლისური, სწავლობდა მათ, თარგმნიდა ამ ენებიდან, კითხულობდა პოლონურად, იტალიურად. „დასვენებისათვის“ მას შეეძლო საათობით ეკითხა რომელიმე ლექსიკონი.

უცხო ენების შესწავლას ბევრი არ უკავშირებს მშობლიური ენის შესწავლას, მაშინ, როდესაც ერთიმეორესთან განუყრელ კავშირშია. უცხო ენების შესწავლა ამდიდრებს მშობლიურ ენას, მას ხდის უფრო ნათელს, მოქნილს, ხატოვანს. ის, ვინც სწავლობდა ლენინის ენას, მან იცის, თუ რა მდიდარი, მგზნებარე, მეტყველი იყო ლენინის ენა. რა ენებს სწავლობდა ლენინი სასკოლო წლებში? ლენინმა დაამთავრა კლასიკური გიმნაზია. კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდნენ ექვს ენას: რუსულს, სლავურს, ლათინურს, ბერძნულს, ფრანგულს, გერმანულს, სამ ცოცხალსა და სამ მკვდარ ენას.

ერთხელ ვლადიმერ ილიჩმა მოიგონა გერმანული ენის მასწავლებელი გიმნაზიის უმცროს კლასებში, რომელიც აქებდა მას გრამატიკის კარგი ცოდნისათვის. ილიჩის დედა კარგად ლაპარაკობდა გერმანულად და ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა ილიჩის მიერ გერმანული ენის ცოდნაზე. ახალგაზრდობაში მას ეგონა, რომ კარგად იცოდა გერმანული ენა; მან

ის იცოდა უკეთესად, ვიდრე მისმა თანაკლასელებმა. მაგრამ, როცა 1895 წლის ზაფხულში ილიჩი მოხვდა ბერლინში, აღმოჩნდა, რომ ძალიან ცუდად ესმოდა სალაპარაკო ენა. დედისადმი გაგზავნილ წერილში ილიჩი წერდა: „...მხოლოდ ენის საკითხში ძალიან ვკოპლობ: სალაპარაკო გერმანული ენა შეუდარებლად ცუდად მესმის, ვიდრე ფრანგული... გერმანელები გამოთქვამენ ისე უჩვეულოდ, რომ მათ საჯაროდ გამოსვლაშიც კი ვერ ვარჩევ სიტყვებს, მაშინ როცა საფრანგეთში მესმოდა თითქმის ყველაფერი ასეთი საუბრების დროს. სამი დღის წინ თეატრში ვიყავი; იდგმებოდა ჰაუპტმანის „Weber"[1], მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენამდე გადავიკითხე მთელი დრამა, რათა თვალყური მედევნებინა თამაშისათვის, — ვერ გავიგე ყველა ფრაზა. თუმცა, გულს არ ვიტეხ და ვნანობ მხოლოდ, რომ ძალიან ცოტა დრო მაქვს ენის საფუძვლიანი შესწავლისათვის"[2].

1896 წლის იანვარში, სანატორიუმში მყოფი ვლადიმერ ილიჩი სთხოვდა თავის დას—ანა ილიას ასულს — გაეგზავნა მისთვის ლექსიკონები: „ახლა ვთარგმნი გერმანულიდან, ასე რომ გთხოვდი გადმოგეცა პავლოვის ლექსიკონი"[3] (ციხეში — ნ. კ.).

გადასახლებაში მყოფმა ვლადიმერ ილიჩმა, როცა ხელი მოჰკიდა ინგლისურიდან ვების წიგნის თარგმანს, 1898 წლის მარტში, ის სწერდა ანა ილიას ასულს: „მინდა გთხოვო, რომ მიშოვო ინგლისური ენის სახელმძღვანელო. აქ ვთხოვე მოეცათ სათარგმნი და მივიღე Webb-ის სქელი წიგნი. ძალიან მეშინია, რომ შეცდომები არ დავუშვა.

კარგია მქონდეს:

---

[1] „ფეიქრები". — რ ე დ.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 8. — რ ე დ
[3] ი ქ ვ ე, გვ. 20. — რ ე დ.

1) ინგლისური ენის გრამატიკა, განსაკუთრებით ს ი ნ ტ ა ქ-ს ი და განსაკუთრებით განყოფილება ენის იდიოტიზმების შესახებ. თუ ნ. კ.-ს არა აქვს ნუროკი[1] (იგი, მგონი, ჰქონდა, მას— მხოლოდ არ ვიცი, საკუთარია თუ არა), გამომიგზავნე მხოლოდ ერთი ზაფხულით მაინც, თუ შენ (ან მანიაშას) არ გჭირდება. თუ შეიძლება ინგლისურ ენაზე კარგი სახელ-მძღვანელოს შოვნა, ძალიან კარგი იქნებოდა.

2) გ ე ო გ რ ა ფ ი ულ ი და საკუთარი სახელების ლექსიკონი. მათი ინგლისურიდან თარგმნა და ტრანსკრიფცია ძალიან ძნელია; ძალიან მეშინია შეცდომებისა. არ ვიცი, არსებობს თუ არა შესაფერი ლექსიკონები? თუ არ არის ცნობები „წიგნში წიგნების შესახებ“ ან რომელიმე სხვა საძიებელში ან კატალოგში, მაშინ, იქნებ, შესაძლო იყოს როგორმე სხვა წყაროებიდან გაგება?— რა თქმა უნდა, თუ შემთხვევა იქნება გაგებისა და შოვნისა (ფინანსები არ მაწუხებს, რადგან ჰონორარი ცოტა არ იქნება, მხოლოდ პირველი ნაბიჯი უნდა გადაიდგას აზრიანად), თორემ დიდ წვალებად არ ღირს. მე მივიღებ კიდევ ამ წიგნის გერმანულ თარგმანს, ასე რომ მისი დაძლევა ყოველთვის შეიძლება“[2].

შუშენსკოეში რომ ჩამოვედი, თან მოვიტანე ნუროკი, რომლითაც საპატიმროში ვსწავლობდი. ილიჩმა ინგლისური ენა ჩემზე კარგად იცოდა, მე ინგლისურ გამოთქმაზე არავითარი წარმოდგენა კი არ მქონდა, გამოვთქვამდი ფრანგულ ყაიდაზე. ვლადიმერ ილიჩი უსმენდა, როცა ინგლისური ენის მასწავლებელი მის დას ოლგას ასწავლიდა ინგლისურის ხმამაღალ კითხვას. სხვათა შორის, ილიჩიც გამოთქმის მხრივ მაგრად ვერ იყო. მე ვსწავლობდი გამოთქმას მისი მითითებების მიხედვით, მაგრამ, როცა ოთხი წლის შემდეგ ლონდონში ჩავედით, ჩვენი არავის ესმოდა და ჩვენც არავის ლა-

---

[1] Практическая грамматика английского языка с хрестоматией и словарём, СПБ, 1894, — Н. К.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 106—107. — რ ე დ.

პარაკი არ გვესმოდა. მოგვიხდა გამოთქმების ხელახალი შესწავლა.

ლონდონში რომ ჩავედით, ჩვენ ნელ-ნელა ვითვისებდით ინგლისურ გამოთქმას, დავდიოდით კრებებზე, ვისმენდით იქ სიტყვებს ინგლისურ ენაზე, დავდიოდით ჰაიდ-პარკში, სადაც ინგლისელები გამოდიოდნენ, ვლაპარაკობდით სახლის პატრონთან. ვისმენდით აგრეთვე სანაცვლო გაკვეთილებს ორი ინგლისელისაგან. ჩვენ მათ ვასწავლიდით რუსულ ენას, ისინი ჩვენ გვასწავლიდნენ ინგლისურს.

1902 წლის ოქტომბერში დედისადმი გაგზავნილ წერილში ვლადიმერ ილიჩი წერს, რომ იგი უკვე პრაქტიკულად ეუფლება ენას, ხოლო იმავე წლის დეკემბერში მარია ილიას ასულს ურჩევდა ესწავლა ინგლისური ენა ტუსენის მიხედვით, „რადგან, — წერდა ის, — ტუსენი ჩინებულია. ადრე არ მჯეროდა ამ სისტემისა, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ეს ერთადერთი სერიოზული საქმიანი სისტემაა. ტუსენის შესწავლის შემდეგ, თუ აიღებ ერთ-ორ გაკვეთილს ნამდვილი უცხოელისაგან, მაშინ უთუოდ კარგად შეიძლება შეისწავლო ენა. არის ახლა ტუსენის ლექსიკონები, რომლებშიაც გამოთქმაც არის აღნიშნული; ძალიან ვურჩევ მანიაშას იყიდოს, თორემ ჩვენი ალექსანდროვი ბევრს სცოდავს“[1].

გერმანული ენის კიდევ უფრო ღრმა შესწავლის მიზნით ვლადიმერ ილიჩი, პავლოვსკის ლექსიკონის გარდა, 1898 წლის დეკემბერში (გადასახლებაში მყოფი) გვთხოვს გავუგზავნოთ ტურგენევის გერმანული თარგმანი: „სახელდობრ ის, რაც ტურგენევის თხზულებებიდან თქვენთვის სულ ერთია,— მხოლოდ სასურველია საუკეთესო თარგმანთაგანი. გერმანული გრამატიკა სასურველია რაც შეიძლება სრული იყოს,—განსაკუთრებით სინტაქსი. თუ გერმანულ ენაზეც იქნება, ეს კიდევ უკეთესია, რასაკვირველია“[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესაეებისადმი, 1934, გვ. 287.—რ ე დ.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 164. — რ ე დ.

ტურგენევის თარგმანი საჭირო იყო გერმანული ენის შესასწავლად შებრუნებითი თარგმანის გზით. 1901 წლის მაისში ილიჩი მიუნხენიდან გამოგზავნილ წერილში რჩევას აძლევს სიძეს, მარკ ტიმოთეს-ძე ელიზაროვს, რომელიც საპატიმროში მოხვდა, თუ როგორი „რეჟიმის“ დაცვა სჯობია: „...გონებრივი მუშაობის საკითხში, — წერს იგი, — განსაკუთრებით გირჩევ თარგმნას და ამასთან შებრუნებითს თარგმნას, ე. ი. ჯერ უცხო ენიდან რუსულად გადმოთარგმნას წერილობით, შემდეგ კი რუსულიდან გადათარგმნას ისევ უცხოურად. ჩემი გამოცდილებიდან დავასკვენი, რომ ეს ენის შესწავლის ყველაზე რაციონალური საშუალებაა“[1].

გარდა იმისა რომ იცოდა ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენები, ლენინი სწავლობდა აგრეთვე პოლონურს, იტალიურს, ესპოდა ჩეხური და შვედური.

მეორე ემიგრაციის დროს, 1908 წლის ზაფხულში, როცა ჟენევაში შეევედი ექვსკვირიან კურსებზე იმ უცხოელ პედაგოგთათვის, რომელნიც სამშობლოში ფრანგულ ენას ასწავლიდნენ, მე ვუამბე ილიჩს სწავლების მეთოდების შესახებ. სწავლების ცენტრში დგას ფონეტიკა, ამასთან ითვალისწინებენ მასწავლებლის სამშობლო ენის თავისებურებებს, იმართება მუდმივი საუბრები კლასებში და უახლოესი ექსკურსიების დროს. ამ კურსებზე ძალიან ხშირად ხდება გრამოფონის ფირფიტებზე (ლინგოფონები) ჩაწერილი სწორი ფრანგულით წარმოთქმული სიტყვის მოსმენა. ილიჩი ძალიან დაინტერესდა სწავლების ასეთი წესით, გაეცნო სახელმძღვანელოებს, რომლებითაც ვმეცადინეობდით, მოიწონა ეს მეთოდი და ილაპარაკა მისი ფართოდ გამოყენების აუცილებლობაზე. ახლა ჩვენ ძლიერ ვეტანებით უცხო ენების შესწავლას. ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ სწავლობდა ლენინი უცხო ენებს.

„პრავდა“ № 245,
1937 წლის 5 სექტემბერი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, წერილები ნათესავებისადმი, 1934, გვ. 267—268. — რ ე დ.

ილიჩის დავალება

მეცნიერებათა აკადემიაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს პოპულარიზატორთა კადრების შერჩევისათვის — მუშაობა წარმოებს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ასტრონომიის ხაზით. ზოგი რამ კეთდება აგრეთვე სხვა გამომცემლობებშიც. საზოგადოებრივი მეცნიერების ხაზითაც კეთდება ზოგი რამ, მაგრამ მცირედი, ამავე დროს პოლიტიკური ლიტერატურის მოთხოვნილება ძალიან დიდია. ეს ვიცით ჩვენი სოფლის ბიბლიოთეკებიდან, მოზრდილთა სკოლებიდან. ახლახან ვასწორებდი ერთ მეთოდიკურ წიგნს და იქ ამოვიკითხე ასეთი ფრაზა „მცირე განათლების მქონენი ყველაზე მეტად მოითხოვენ წიგნებს ტექნიკურ და პოლიტიკურ ლიტერატურაში. გვიხდება მათი დარწმუნება, რომ საჭიროა იკითხონ ბელეტრისტიკა". დარწმუნება კი აშკარად არ ხერხდება. წერა-კითხვის სკოლების მოსწავლეები უკმაყოფილონი არიან, რომ წერა-კითხვისა და მცირემცოდნეთა სკოლების სახელმძღვანელოები შედგება მთლიანად ბელეტრისტიკული მოთხრობებისაგან.

მოზრდილთა სკოლის „მოჟერეზა"-ს (სადგური ლუბლინო) მასწავლებელი ამბობს, მოსწავლეები ნანობენ, რომ მცირემცოდნეთა სკოლებში არ არის პოლიტცოდნის საათიო.

1918 წელს ვლადიმერ ილიჩმა ერთხელ ჩვენთან, ბინაზე მოიწვია ლიტერატორთა თათბირი, რომელთაც, მისი აზრით, შეეძლოთ პოპულარულად ეწერათ; ფინჯან ჩაიზე დიდხანს ბჭობდნენ, თუ რაზე და როგორ დაწერონ პოპულარული წიგნები. ამ დღეებში ჩემს პედაგოგიურ არქივში ვიპოვე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის გაყვითლებულ ბლანკზე ხელმოწერელი, ჯერ კიდევ ძველი ორთოგრაფიით შედგენილი, მანქანაზე დაბეჭდილი ინსტრუქცია, თუ რის შესახებ უნდა დაიწეროს პოპულარული წიგნი. ეს ილიჩის ინსტრუქციაა.

აი, ეს ინსტრუქციაც:

„დავალება: ორი კვირის ვადაში შედგენილ იქნეს საკითხავი წიგნი გლეხებისა და მუშებისათვის.

წიგნი უნდა შედგებოდეს ცალკეული, დამოუკიდებელი, 2—4 ნაბეჭდი გვერდის მოცულობის ფურცლებისაგან, რომელთაგან თვითეული მთლიანი უნდა იყოს.

თხრობა უაღრესად პოპულარული, ყველაზე უბრალო გლეხისათვის გასაგები. ფურცლების რაოდენობა 50-დან 200-მდე. პირველი გამოშვებისათვის 50 წიგნი.

თემები: საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობა, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკა. მაგალითად: რა არის საბჭოთა ხელისუფლება. როგორ ვმართოთ ქვეყანა. კანონი მიწის შესახებ. საბჭოთა სახალხო მეურნეობები. ფაბრიკების ნაციონალიზაცია. შრომის დისციპლინა. იმპერიალიზმი. იმპერიალისტური ომი. საიდუმლო ხელშეკრულებანი. როგორ ვთავაზობდით ზავს. რისთვის ვომობთ ახლა. რა არის კომუნიზმი. ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. და ასე შემდეგ.

შეიძლება და უნდა ავიღოთ ძველი კარგი ფურცლები, გადავაკეთოთ ძველი სტატიები.

საკითხავი წიგნი უნდა გვაძლევდეს მასალებს საჯარო კითხვისათვის და შინ წასაკითხავადაც, ცალკეული ფურცლების გადასაბეჭდადაც, სხვა ენებზე სათარგმნელადაც (მცირე

დამატებით)“. ეს დაწერილია 1918 წელს. თავის დროზე ასეთი კრებული შედგენილი იყო, მაგრამ ჩაკვდა რომელიღაც გამომცემლობის წიაღში.

მას შემდეგ 18 წელი გავიდა და ისევ უაღრესად აქტუალურია ილიჩის დავალება. თემები ახლა ცოტა სხვაგვარად უნდა შეირჩეს. ეს მეტად პასუხსაგები სამუშაოა. მისი შესრულება აუცილებელია.

„პრავდა“ № 149,
1936 წლის 1 ივნისი.

შინაარსი

წინასიტყვაობა 4

ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა. მოგონებანი ილიჩზე

I. ოჯახური ვითარება (ვ. ი. ულიანოვ-ლენინის მშობლები და მათი დრო) 7
II. ვლადიმერ ილიჩის ბავშვობისა და ყრმობის წლები . 14
III. ცხოვრება ყაზანში 27
IV. ცხოვრება სამარაში 31
V. ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის (ნ. ლენინის) რევოლუციური მუშაობის დასაწყისი . 39
1. სამარიდან პეტერბურგს . 39
2. ახალი ნაცნობობა და ურთიერთობა . 43
3. ბრძოლა „ეკონომისტების“ წინააღმდეგ 50
4. თვალთვალი და დაპატიმრება 56
VI. ვლადიმერ ილიჩი საპატიმროში 59
VII. გადასახლება 75
ილიჩის დაბრუნება გადასახლებიდან და „ისკრის“ იდეა 82
ილიჩის მესამე დაპატიმრება. უფაში წასვლა და საზღვარგარეთ გამგზავრება 88

დ. ი. ულიანოვი და მ. ი. ულიანოვა. ლენინის შესახებ. ნაწყვეტები მოგონებებიდან

გიმნაზიაში 95
დ. ულიანოვი. I 97
მ. ულიანოვა. II . . . 99
სამარის ალაკაევკის პერიოდიდან (1889—1893 წწ.) სოფლად და ქალაქად 101
მ. ულიანოვა. I . 101
დ. ულიანოვა. II . . 114
დ. ულიანოვი. III. ჭადრაკი . . 121
დ. ულიანოვი. IV. შემთხვევა ვაპარ არაფიევთან 130